ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკატერინე გაბაშვილი

კრებული

ეკატერინე გაბაშვილი

კრებული

გამარჯვებული ნიკო

(მოთხრობა)

I

ქალაქი დილის ტკბილს ძილში იყო. არავითარი მოძრაობა არ არღვევდა მოქალაქეთა მოსვენებას; მხოლოდ აქა-იქ დუქნის წინ ასასები ზმორებით და შმუშვნით ილაგებდნენ ლოგინს და მიეშურებოდნენ სახლში. ორი-სამი ეტლი ძილმორეული მეეტლეთი ზლაზვნით და ტაატით მირიხინებდა შინისკენ.

აღმოსავლეთი ოქროსფრად იყო შეღებილი. ჰაერი არ იძვროდა. ცხადი იყო, რომ იმ დღეს საკმაოდ ეცხელებოდა.

ამ დილის რიჟრაჟზედ ორი მანდილოსანი ავლაბრის აღმართს შეუდგნენ. უფროსს მძიმედ გატენილი ბოხჩა ჰქონდა იღლიაში, გახუნებულ დრაფის ტალმის ქვეშ და მეორე ხელით წამდაუწუმ იწევდა თავისს კაბის უშველებელ ბოლოს, რომელიც მახესავით ედებოდა ფეხებში და უშლიდა სიარულს. მეორე თანამგზავრი კუდიანის კაბის პატრონისა ახალგაზდა თვრამეტ-ცხრამეტის წლის ქალი იყო; ეს დაღონებულისა და დაძმარებულის სახით მისდევდა თავისს დედას, თუმცა ფიქრით კი სულ სხვაგან იყო.

მზემ ამოაშუქა და ეს ორნი შევიდნენ ავლაბრის მოედნის ერთ ბაკში, სადაც კახეთში წასასვლელი დილიჟნები სდგას ხოლმე. მეეტლე ცხენებს უვლიდა. ქალების დანახვაზედ მეეტლემ ზიზღით და დაცინვით გადაავლო თვალი ახალ მოსულთ და უზრდელად წაიტუტუნა: ,,ვა, მამალს ფთას აღარ შემოაკვრევინებდით, თქვენი სახლი

ხომ წყალს არ წაუღია, რომ ასე ადრე მობძანდით?!”

- რას მიჰქარავ, რასა, ვიღაცა ოხერი გდიხარ? - შეუტია უფროსმა ქალმა: - ადრე მოვსულვართ, გვიან ხომ არა, რას ბურტყუნებ? რომ გვეცდევინებინა, მაშინ უფრო მადლობელი იქნებოდი?

- დედა, რას ელაპარაკები? წავიდეთ იქით. კუნჭულში დავსხდეთ სადმე, მანამ სხვა მგზავრებიც შეიკრიბებიან.

ბაკის გარშემო ბოსლები, საქათმეები, საღორეები და კიდევ ბევრი წვრილმანი შენობანი იყო შემორიგებული და ამისთვის ეზო პატივითა და ჭუჭყით იყო მოცული. ჩამოსაჯდომი ალაგი ძნელი სანდო იყო ამ უსუფთაობის გამო და ამისათვის დედა და შვილი მივიდნენ დანგრეულ, გახუნებულ, ადამის ჟამის გაკეთებულ დილიჟანთან და ჩასხდნენ შიგა. მეეტლემ ეხლა უფრო

უზრდელად და ხმამაღლა დაიღრიალა: ,,არა, რომ სხდებით, რას სხდებით? ხომ ჰხედავთ. ჯერ ორი საათიც გაივლის წასვლამდე; ყველა ხომ თქვენსავით ღამის მთეველი არ არის, რომ გაუთენებლივ მოვიდეს და ორი საათი უნდა ტყუილად ხეხოთ დილიჟნის სკამის მაუდი?

- ქა, რას ჩაგვაცივდა ეს მამაოხერი? გაგონილა! დედავ და თვალო, ფული ხომ მიღებული გაქვს, რაღას გვერჩი, თავი დაგვანებე! ჩვენის მოსვლით შენ რა დაგაკლდება, სასმელს არა გთხოვთ და საჭმელსა.

- ეგღა გაკლდათ რაღა, საჭმელ-სასმელიც მოგართვათ! მე შენ გითხრა, ,,ნავოდკად" სულ ჭრელ აბაზებს გადმომიყრით. ვოიჰ, მანდილოსანის მგზავრობა კი... - და აქ საშინელის სიტყვით გაილანძღა ქალაქელი კინტო, რაღაც მანქანებით კუჩრად გადაქცეული.

- ოჰ, ღმერთო! ღმერთო! ეს რა მოგვივიდა? - თვალებზე ხელის დაფარებით ამოიკვნესა უმცროსმა ქალმა, - უკაცოდ ამ ბრიყვებში რა გვეშველება?!

- რა დაგემართა, ქა? გულს რაზედ იხეთქამ, შვილო. ამდენი მიჰქაროს, მინამ მოსწყინდებოდეს. ერთ დროს ათი მაგისთანა ძაღლი მდგომია თავსა, მაგრამ რა ვქნათ, ,,ჟამნი მეფობენო'', ნათქვამია.

- შენ, ეი, ადამიანო, ნუ ილანძღები, თორემ მამაჩემი საქუა არ წამიწყდება, განანებ. თუ კნეინა ბძანდები, რატო შენი საკუთარი ,,ერეკლეს'' ეკიპაჟით არ მიბძანდები გომბორის მთაზე!

ვინ იცის, სადამდის მივიდოდა კუჩრის ზრდილობიანი ბაასი, რომ ახალი პასაჟირი არ მოჰმატებოდა მარცხენა ფეხზე ამდგარ ეტლის პატრონს. ახალი მოსული

ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი იყო, ოცდასამისა, თუ ოცდახუთის წლისა. თავისს პატარა, მხრებში წახრილ, გულჩავარდნილ ტანზედ ეცვა სუფთა, ახლად შეკერილი შავი ტანისამოსი და ნაცრისფერი, ფეხებამდის გრძელი პალტო. თავზედ ახალივე შავი კარტუზი ეხურა.

პირველ შეხედვაზედ მოგაგონებდათ ქარვასლის ნოქარს, მაგრამ როდესაც დააკვირდებოდით იმის გაუბედავ, მორცხვს მიხვრა-მოხვრას და სათნოებით სავსე პირისახეს, დარწმუნდებოდით, რომ უფრო პატივსაცემის ჯურის კაცი იყო. ყმაწვილმა კაცმა უჩუმრად შესდო დილიჟნის ჩამოსაჯდომ სკამ ქვეშ თავისი პატარა ბოხჩა და უჩუმრადვე, დაბლა თავდაღუნული მიჯდა დილიჟნის მეორე თავში ქალების მოშორებით. შემდეგ მოვიდა მღებარი, საღებავით მომაკვდავივით გალურჯებულ ფრჩხილებით. კალმუხის გარიბალდი კოხტად გვერდზე ჰქონდა წამოდებული და ყელზედ

ჭრელი ქალაღაია ეხვია. მისი ჩალვადრისებური ხურჯინი კარგა რიგიანად იყო გაჭიკნილი და თითქმის ნახევარი დილიჟანი დაიჭირა. შემდეგ მოვიდნენ: სირაჯი, ოქრომჭედელი თავისის ნივთეულობის ყუთებით და ერთი ვიღაც ძნელად მისახვედრის ხარისხის კაცი, სამხედრო ქუდით, ყურთმაჯებიანი კაბით და ზედ ეცვა მეტად მოკლე, ახალ მოდაზედ შეკერილი, ბურძგლიანი პალტო. ყველა ამ მგზავრთა ბარგმა ისე აავსო დილიჟნის ორ სკამს შუა დარჩენილი ალაგი, რომ ყოვლად შეუძლებელი შეიქნა ევროპიულად ჩამოჯდომა და მგზავრებმა ნებაუნებურად მუხლთ მოიკეცეს ჩვენებურად.

თუმცა ახალგაზრდა მგზავრ ქალს საშინლად ეძნელებოდა მოკეცა და წამდაუწუმ გაღვიებულ მჭადივით იღმეჭდა პირისახეს, მაგრამ ბოლოს ესეც დაემორჩილა თავისს ხვედრს და მღებრის ხურჯინზე

შეაწყო თავისი კოპწია ტუფლებში გამოკრული ფეხები.

დილიჟანი მძიმედ დაიძრა. პატარა ხნის სიჩუმის შემდეგ, მგზავრებმა გააბეს ჩვეულებრივი საგზაო საუბარი: სად მიხვალ? რისთვის? რა საქმე გაქვს? რამდენიმე წამის განმავლობაში, ყველანი მეგობრულად ბაასობდნენ ერთმანეთში, გარდა ყმაწვილის ქალისა და ყმაწვილის კაცისა, რომელნიც დილიჟნის თავსა და ბოლოს ისხდნენ და უფრო ბევრს ყურადღებას აქცევდნენ გარშემო ბუნების გაღვიძებას და თავისს აზრების მსვლელობას.

ახალგაზრდა ქალი იყო ლიზა კოშკაძისა და თავისს დედით მართათი მიემგზავრებოდა კახეთს ძნელის და ფრიად სავალდებულო თანამდებობის აღსასრულებლად - სასოფლო სკოლის მასწავლებლად იყო დანიშნული. მან მხოლოდ მაისში გაათავა სწავლა და, როგორც უმოწყალეო ღარიბმა, ითხოვა ალაგი ერთ სასოფლო

სკოლაში. მართა ტყუილად არა ტრაბახობდა დილიჟანის კუჩერთან - შენისთანა ხუთი და ათი თავსმდგომი და მოსამსახურე მყავდაო. ფრიად გაკეთებულის თავადიშვილის ქალი იყო და ბევრი ბიჭი და მოახლე ჰყავდა ლალად სიყმაწვილეში, მაგრამ, როგორაც თითონ სთქვა: "ჟამნი მეფობენო", და დღეს თავისის ხელის თითების ნამუშავრით იკვებავდა თავსა და თითო-ოროლა გროშსაც უნახავდა თავის კურსდასასრულებელ საყვარელ ლიზას. აი ეს მოდაზედ შეკერილი ლიზას კაბა, კოხტა შლიაპა, ლამაზი გამოკვართული ბაშმაკები, ხელთათმანები და სხვა, სულ ამის დღე და ღამ ნატეხის ნამუშავრით არის შეძენილი.

მართა ამირხანაძისა კარგა ხნის გასათხოვარი ქალი იყო, როდესაც იმის მამის სოფელში ლილიფარიანში გამზომი კომისია მოვიდა.

მიწის მზომელი რუსი იყო და თან თარჯიმნად ჰყავდა ახალგაზრდა აზნაურიშვილი, მეხუთე თუ მეექვსე კლასიდან გამოსული, ივანე კოშკაძე. მიწის მზომელი მართას მამის სახლში დასახლდა, რადგანაც მთელ სოფელში ამის მეტი რიგიანი სახლი არსაით მოიძებნებოდა. მართამ დიდი ყურადღება მიაქცია ყმაწვილს და მოხდენილს თარჯიმანს და შემოდგომაზედ, როდესაც კომისია ქალაქს დაბრუნდა, მართაც მამის ჩუმად კოშკაძეს თან გაჰყვა იმ იმედით, რომ გაანჩხლებული მშობელი მალე დაშოშმინდებოდა და აპატიებდა დანაშაულს თავისს ქალ-სიძეს. მაგრამ მამა საშინლად განრისხდა ასეთის შეურაცხყოფისათვის და მიტევების მაგივრად ქალი შეაჩვენა და თავისს საცხოვრებელი თავისს უმცროს ქალს დაუმტკიცა; ესეც არ აკმარა განრისხებულმა თავადმა თავისს საცოდავ ქალს, ყოველი ღონისძიება იხმარა და სამსახურიდან გამოაგდებინა ივანე. მართა, სიმდიდრეში და

ფუფუნებაში აღზრდილი, შეიქმნა თავისს გატაცების მსხვერპლად და ჩავარდა საშინელ სიღარიბეში. ორი-სამის წლის შემდეგ ქმარიც მოუკვდა და დარჩა პატარა ლიზათი სრულიად უმოწყალოდ. ბევრის წვითა და დაგვით გამოზარდა მართამ თავისი ლიზა რვა-ცხრა წლამდე და, შემდეგ ბევრის ცდისა და დიდკაცების ფეხების ლოკვისა, ბინა გაუჩინა "ზავედენიაში".

ლიზა დღეს კურსშესრულებულია და აი ახლა თითონ იწყებს შრომას, რომ მოამაგე დედას ლუკმა პური გაუჩინოს და თვითონაც პატიოსანის შრომით იცხოვროს.

ლიზა დიდის გულის ტკივილით განშორდა ქალაქს. მისი გულითადი სურვილი იყო, ქალაქში ეშოვნა ალაგი მასწავლებელისა, მაგრამ საუბედუროდ, იმისი დიპლომი პირველის ხარისხისა არ იყო, და მუდმივი ალაგი სახელმწიფო პანსიონებში ასცდა და დღიურად

გაკვეთილებით ცხოვრება ვერ იკისრა, კონკურენციისა ეშინოდა; ისევე სოფლის მასწავლებლობა ირჩია და აი მიდის სოფელში გულგატეხილი და დაძმარებული. ლიზას თვალთ წარმოდგენილი აქვს სოფელი თავისის დედის ნაამბობის მიხედვით:

- სიმარტოვე, სიმარტოვე და უფერული და ერთგვარი ცხოვრება, შვილო, სხვას ნურას მოელი, - ეტყოდა ხოლმე მართა და ამის გამო ლიზაც უნუგეშოდ უყურებდა თავისს მომავალს, სოფლის სკოლის მასწავლებლობას.

- ყოველთვის ერთი და იგივე, დილიდგან საღამომდე! - ამოიოხრებდა ხოლმე ლიზა: - ბავშვები, ბავშვები და ბავშვები. არც წასაკითხი წიგნი ჩემთვის, არც ერთი განათლებული ადამიანი ხმის გასაცემად! მთელი ჩემი სიყმაწვილე მარტოდ მარტო უნდა გავატარო მხოლოდ ლუკმა პურის შესაძენად! ჩემი ამხანაგები კი ეხლა, ვინ

იცის, რა სიამოვნებასა და დროს გატარებაში არიან; თავიანთ სახლებში, მორთულნი, მხიარულნი, ბედნიერნი თავისის თავისუფლებით და მე კი! - მე უბედური მივარდნილ სოფელში, გამოყრუებული, ოცდახუთის მანეთის შემაცქერალი. ოჰ, ღმერთო! რად გააჩინე ღარიბი ადამიანი ქვეყანაზედ!

ყველა ეს ფიქრები ცხადად ებეჭდებოდა ლიზას პირსახეზედ და ნაღველით და ცრემლებით ავსებდა იმის გონიერ თვალებს.

დილიჟნის მეორე ბოლოში მჯდომი უფრო სხვა ფიქრებში იყო გართული. ეს იყო სოფლის შვილი და სიამოვნებით მიილტოდა სოფლისაკენ. ყმაწვილის კაცის ოცნება სავსე იყო მრავალის მაღალის აზრებით. იმედი ჰქონდა თავისი კეთილი აზრები დაემყნო სოფლის ნიადაგზედ. ესეც იმავე აზრით მიდიოდა კახეთში, როგორც ლიზა; ამასაც

სოფლის მასწავლებლობა ჰქონდა მინდობილი, მაგრამ ეს თანამდებობა უფრო სანუგეშო და სასიამოვნო აზრებს ჰბადავდა მის გულში, ვიდრე სამწუხაროს. ლიზა იტანჯებოდა მხოლოდ პირადის უბედურებით, სწუხდა მხოლოდ თავისს მარტოობას, თავისს ოცდაახუთ მანეთის ჯამაგირის სიმცირეს და ნიკო ბერიშვილს კი საკუთარ პირადობის ფიქრი აინუნში არ მოსდიოდა. ფიქრობდა მხოლოდ იმ მოვალეობისათვის, რომელიც თავისს ცხოვრების ასპარეზად აირჩია და რომელიც თავისს ქვეყანაში საუკეთესო შრომად მიაჩნდა. თვალ-წინ ჰყვანდა მხოლოდ ის პატარა მოწაფეები, რომლებისთვისაც გონების თვალები უნდა აეხილნა, რომლებისთვისაც სინათლის გზა უნდა ესწავლებინა, რომელთა გულში სწავლა და მეცნიერება უნდა დაენერგა. სოფლის მღვდლის შვილი იყო, სიღარიბეში წვა და დაგვით გამოზრდილი. ამიტომ ძალიან კარგად იცოდა სოფლის ავი და კარგი, მისი მწვავი და წყლულნი და

ფიქრობდა, რომ ერთადერთი სინათლის მომფენი სოფლის ბნელს ცხოვრებაში სკოლა იყო, და ამ სინათლის მოფენა, ამ სიბნელის გაშუქება საბედნიერო საქმედ მიაჩნდა და სხვაგვარი პირადი ბედნიერება სრულიად მივიწყებული ჰქონდა.

ნიკო ბერიშვილს, როდესაც დილიჟნის ჯანჯღარში ხანდისხან ფიქრი შეუწყდებოდა, უნებლიეთ გადაჰხედავდა ლიზას და, თუ შენიშნავდა, რომ ისიც მე მიყურებსო, მორცხობით თავს ჩაჰღუნავდა ხოლმე.

კარგა დასაღამოჟამებული იყო, როდესაც დილიჟანი ნელ-ნელა შეუდგა გომბორის მთის აღმართს ქალაქის ახლომახლო მიდამონი გვალვისაგან გარუჯულნი, შეიცვალა მშვენიერის ბუნებით: ყვითელ, თვალგადაუწვდენელ მინდვრის და ზედ გველივით გაწოლილ მტკვრის მაგივრად, გამოჩნდა სასიამოვნო

მწვანე ტყე და ველი. მაგრამ მთის ბურუსმა მალე იწყო ძირს ჩამოსვლა და ერთის საათის განმავლობაში სულ მთლად მოიცვა არე-მარე. “კუჩერი” მაღლა ხმით უშტიალებდა ცხენებს, მგზავრებმა თავები ჩაქინდრეს და იწყეს მარჯვნივ და მარცხნივ რხევა. მართა ბავშვივით მიეყრდნო თავისს ლიზას და ამოუშვა ხვრინვა. დილიჟანში სრული სიბნელე იყო და სიბნელისავე შესაფერი მყუდროება. მხოლოდ ლიზა და ნიკო ფხიზლობდნენ და ეხლა უფრო ხშირად და გაბედვით გადაჰხედავდნენ ხოლმე ერთმანეთს და იქნება ხშირათ ცქერაც იყო მიზეზი ამათის სიფხიზლისა, თორემ დილიჟანის ნელი რყევა, იქ მსხდომთა მადიანი ხვრინვა და გარშემო ჩამოვარდნილი ბინდი და ბურუსი ძლიერ ხელს უწყობდა მგზავრობის გამო შემოკლებულ დღევანდელ დილის ძილის გასაგრძობად.

II

ცხრა საათი იქნებოდა, როდესაც დილიჟანი შევიდა კარგა დიდ ეზოში სოფელ გომბორს. ეზო გაჩაღებული იყო ორის ფარნით. ეზოს აქეთ-იქით დიდის ხის ფარდულების ქვეშ რამდენიმე ცხენი ქერსა სჭამდა და ისმოდა ხმა ხრამა-ხრუმისა. ეზოში ახალ მოსულს დილიჟანს გარდა ორი სხვა დილიჟანიც იდგა. სახლიდან ჟღავი-ჟღუვი გამოდიოდა. ლიზა და მართა თავიანთ ბოხჩით მოწიწებით შევიდნენ ოთახში. სქელი, ფაშფაშა დედაკაცი მოეგება, გაფარფარებულის, განიერის კაბით, თავზედ ხელსახოცგაკრული.

- მობძანდით, მობძანდით, აი ქალების ოთახი, - დამახინჯებულის ქართულის ენით უთხრა ქალებს სახლის პატრონმა, რუსის დედაკაცმა.

ოთახი, რომელშიაც შეიწვია სახლის პატრონმა დედა და

შვილი, რიგიანად მოწყობილი იყო; სტოლზედ ლამპარი ენთო და ცხოვლად ანათებდა პატარა ოთახს, რომელსაც სუფთა შპალიერი ეკრა, ფანჯრებს თეთრი კისაის ფარდები ეფარა და კედლებთან ორი საწოლი ედგა ზედ გაშლილი სუფთა ლოგინით. ამ სადგურ სახლში, რომელსაც ,,ანასტასიას'' უწოდებდნენ, რამდენიმე ოთახი იყო მგზავრებისათვის და დღეს თითქმის ყველა ოთახი გაევსოთ მგზავრებს, რადგანაც ენკენისთვის ათი იყო და ,,ალავერდობისათვის'' ბევრი მიეშურებოდა კახეთს. მომეტებული მათგანი ვაჭარი ხალხი იყო, ზოგი თელავიდან და სიღნაღიდან და ზოგიც ქალაქიდან. ანასტასიამ საჩქაროზედ აადუღა ოთხი-ხუთი სამოვარი, ყველა ოთახში თითო-თითო შეიტანა თავისს ჩაის იარაღით და ცხელ-ცხელის რძით დიდრონ ქაშანურის სარძევეებით.

მართა და ლიზაც შემოუსხდნენ სამოვარს და

მდუმარებით შეექცეოდნენ ჩაის. მარტო ნიკო ბერიშვილი შედიოდ-გადიოდა აივნიდან ოთახში და ოთახიდან აივანზედ: ყმაწვილს კაცს თითქო ეკრძალებოდა სახლის პატრონისა და ვერ ჰბედავდა ერთი სტაქანი ჩაი მოეკითხნა.

- დედა, გენაცვა, დაუძახე იმ ყმაწვილს, - უთხრა ლიზამ მართას, - საწყალი სულ მარტოა, არავის ეკარება. ან იქნება ფულიც არა აქვს, რომ ჩაი დალიოს.

- დავუძახოთ, შვილო, ადამიანები არა ვართ. ერთი სტაქანი ცხელი წყალი რა დასაზოგავია. - მაშინვე კარებიდან გასძახა ნიკოს: - ყმაწვილო, დაგვეწვიეთ, შვილო, ჩაიზედ, ჩვენც მარტონი ვართ და დიდად ვისიამოვნებთ.

ნიკო მოკრძალებით შემოვიდა ოთახში. დაბლა

თავჩაღუნული მივიდა ლიზასთან ხელის ჩამოსართმევად და საჩქაროდ წაიჩურჩულა თავისი გვარი და სახელი.

რამდენისამე წამის შემდეგ ლიზამ და ნიკომ უამბეს ერთმანეთს თავიანთ მოგზაურობის მიზეზი. აღმოჩნდა, რომ ესენი ახლო მეზობლები იქნებიან ერთმანეთისა, რადგანაც სულ რამდენიმე ვერსია ნაციხურალსა და ლეკისკარას შუა, სადაც ამათი სკოლებია.

- თქვენც პირველად მიხვალთ, თუ გამოცდილი ბრძანდებით მასწავლებლობაში? - ჰკითხა მართამ ნიკოს.

- არა, წელს მესამე წელიწადია. კანიკულებში შინ გახლდით, ზემო ქართლში მყავს დედ-მამა და ახლა ისევ ვუბრუნდები ჩემს თანამდებობას.

- ზემო ქართლში? მაშ აქ რა გინდათ, განა თქვენში კი არ

არის სკოლები, რომ თქვენ სახლთან ახლო ყოფილიყავით?

- ზემო ქართლში, ბატონო, საუბედუროდ, აგრე რიგად ხშირი არ გახლავთ სკოლები. მეც ბევრი ვეჩიჩინე ჩვენის სოფლის გლეხებს, მაგრამ ხარჯისა ეშინიანთ და არც არავინ მეთაური ჰყავთ, გულის შემატკივარი; ამის გარდა ქართლში ძნელი იმისათვის არის სკოლის დაარსება, რომ სოფლები ძლიერ პატარებია, ოცდაათი-ორმოცი კომლი სკოლას ვერ შეინახავს და რამდენისამე სოფლისთვის ერთად საძნელოა. კახეთში კი სოფელი არ არის, რომ ხუთას-რვაასი კომლი არ სცხოვრობდეს და ამისათვის მთავრობას არ უძნელდება სკოლების დაარსება.

ყველა ამეებს ლიზა გულისხმიერებით უგდებდა ყურს; მისთვის სოფელი ქართლშიაც და კახეთშიაც ერთგვარად უცნობი იყო. ლიზა თუმცა ყოფილა თავისს სიცოცხლეში

ორიოდ-სამჯერ სოფლად თავისს ამხანაგების სახლობაში, მებატონეებთან და მხოლოდ შორიდგან თუ მოუკრავს თვალი გლეხკაცის ცხოვრებისათვის, თორემ იმათი ავი და კარგი გაგონებითაც არ გაუგონია და ეხლა კი გარემოებამ წილად არგუნა მდაბიო ხალხში ტრიალი, იმათის შვილების განვითარება და, ცოტად თუ ბევრად, იმათი შემზადება თავიანთ ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

- ყმაწვილები როგორ სწავლობენ, ადვილად? ნიჭიერები არიან? - დაეკითხა ლიზა ნიკოს.

- ნიჭით, როგორ მოგახსენოთ, ქალაქის მემკვიდრეთა შვილებზე უნიჭოები არ არიან, მაგრამ სოფლელები უფრო ძნელად შეიგნებენ ხოლმე საგანს და მეორე-მესამე წელიწადს კი უფრო დაკვირვებით ექცევიან საქმეს. საუბედუროდ, სწავლისათვის ცოტა დროა დანიშნული

და, როდესაც გონება ეხსნებათ, სწავლის გემოს იღებენ, იძულებულნი არიან სკოლას თავი დაანებონ.

- ოჰ, რანაირად მეშინიან უნიჭო ყმაწვილებისა! - მწუხარებით წარმოსთქვა ლიზამ. - დაბალ კლასებში ვასწავლიდი და უნიჭოები ამატირებდნენ ხოლმე თავიანთის სისულელით, გაუგებრობით!

- არა, გლეხებთან ტირილით ვერას გააწყობთ, - ღიმილით მიუგო ბერიშვილმა. - იმათთან მხოლოდ დიდის მოთმინებით და გულმხურვალებით თუ გახდებით რასმე.

ამათ ბაასში სხვა ოთახების სტუმრებმა ჩაიც გაათავეს და ვახშამიც გაიშალეს. გაიმართა ,,ალავერდი'' და ,,იაღშიოლ'', ზედ მოჰყვა "მრავალჟამიერ'', შემდეგ გარმონის ჭყვიტინი და შეუძლებელი შეიქმნა ლაპარაკის

განგრძობა. ბერიშვილი გამოეთხოვა დედა-შვილთ და წავიდა ღამე გაეთია სადმე, რომელისამე ოთახის კუნჭულში.

სიმღერა, ,,ალავერდი'', ხანდახან დოლის მაგივრად სტოლის ფიცრის შემწეობით ლეკური არ შეწყვეტილა გათენებამდის. ირიჟრაჟა თუ არა, ორმა-სამმა თანამგზავრმა ფანჯარა დაურაკუნეს ლიზას: ''ადექით, რაღა! გათენდა, გეყოფათ მოსვენება, დროა წავიდეთ''.

- ჯერ ხომ დილიჟანი მზად არ არის, დეე, ცოტა მოისვენონ, - მოწიწებით სთხოვა ნაბახურევებს ბერიშვილმა. - მთელი ღამე სულ ხმაურობა იყო... იქნება თვალი არც კი მოუხუჭნიათ უბედურებს.

- დეე მოისვენონ, დეე, - უთხრა ერთმა მიკიტანმა მეორეს თვალის ქნევით და დაცინვით. - ხომ ჰხედავ ამ

„ტუტენტს” გული სტკივა! ბარიშნას თვალები! ვა რა თვალებია, იალბუზის ვარსკვლავივით კი აბრიალებს-და!

- გაჩუმდით-მეთქი! - მუქარით შეუტია ნიკომ ლაზღანდარებს და მუშტზედ დაიხედა.

- ვა, ვა ეს რა სტროგი ვინმე ყოფილა. ვა, შენი ვინმე ხომ არ არის, რომ აგრე ცხარობ?

- გაჩუმდით-მეთქი!

ამ ორ სიტყვაში იმდენი სიმამაცე და გულის სიამაყე იყო, რომ მიკიტნები ჩაჩუმდნენ, აქეთ-იქით გაიფანტნენ და მხოლოდ იქ მისცეს ნება თავისს გესლიან და ავს ბუნებას.

ლიზა სწორედ ამ ფანჯარასთან იწვა, საცა ეს ბაასი მოხდა და ყოველივე დაწვრილებით გაიგონა. დედაკაცის

თავმოყვარეობამ გაიღვიძა და სიამაყით ჩაიცინა. თუმცა მართა აჩქარებდა ლიზას, ჩქარა, შვილო, ცხენებს აბმენ, იმ ოხერ "კუჩრის" სალაპარაკოდ აღარ გავხდეთო, მაგრამ ლიზა ზლაზვნით იკრავდა ბაშმაკის ღილებს და ფიქრით თავისს ახალ კავალერს დასტრიალებდა.

- რა შვილია! - ტუჩის აბზუებით ამბობდა ლიზა: - ტანდაბალი, ქათამივით პაწაწინა თვალები აქვს, ყურებამდის შავი ბალანი ასხია. ტანისამოსი, ტანისამოსი?! სწორედ იარმუკაზედ ექნება ნაყიდი. ახლა იმის რუსული ლაპარაკი: ღოსპოდინ ისპეკტორ. ხა, ხა, ხა! - უცებ გადაიხარხარა ლიზამ და საშინლად გააშტერა თავისს დედა მართა.

- ქა, რა დაგემართა, ქალო, რა ეშმაკები მოგეჩვენა? ეგრე უსაბაბოდ ხარხარი გაგონილა! ვინც გაიგონებს, რას იტყვის!

- ეხლავე, დედაჯან, ეხლავ მზად ვიქნები, - და საჩქაროდ ფეხზედ წამოხტა.

III

მშვენიერი რამ იყო ამ შემოდგომის დილაზედ სოფელი გომბორი, ახოვან მთის მწვანე კალთებზედ მოკეცილი! რა მსუბუქი და ნესტით გაჟღენთილი იყო ეს მთის ჰაერი. ცხოველ სურათად წარმოუდგა ლიზას ეს სოფელი თავისის პატარა თეთრის სახლებით და სოფლის შუა მწვანე მეიდანზედ გაშლილ საქონლით. ბრწყინვალე ვარაყიანის რკალით იყო შემორკალული გომბორის მთის წვერები ამომავალ მზის სხივების წყალობით. ყმაწვილი ქალი მთლად ცქერად გადაიქცა. ეს მშვენიერი სურათი უფრო ცხოვლად იხატებოდა იმის შეუჩვეველ თვალს წინა და უფრო ღრმად იბეჭდებოდა მის გულში ეს

მდიდრულად შეხამებული ბუნება.

დღეს დილიჟანში, განგებ თუ შემთხვევით, ნიკოლოზის გვერდით იჯდა და ამაყად უცქეროდა თავიანთ პირდაპირ მჯდომარე ქალაქელ ვაჭრებს; ისინიც მოწიწებით ექცეოდნენ დღეს ქალებს და დიდის სიფრთხილით ირჩევდნენ საუბრის საგანს.

- დედი, - უთხრა მართას ოქრომჭედელმა, - ალავერდს ხომ არ მიბძანდები? ისეთი ნივთები მიმაქვს, რომ კაცს თვალს მოსტაცებს. უყიდე რამე შენს მშვენიერ ქალსა, იაფად მოგირიგდები.

- არა, შვილო, ჩვენ ნივთების ფული ვინ მოგვცა. ჩემი ქალი ერთი საწყალი მასწავლებელი არის. ალავერდში თუ მიხვალ, იქ ბევრი კნეინები იქნებიან, იმათზე გაასაღე.

- ბარიშნა, ბროწეულს არ მიირთმევ? ისეთი ბროწეულია, ისეთი, როგორც შაქარლამა! პირდაპირ ჰერევნიდან მიმიღია, მე და ჩემმა ღმერთმა.

ლიზამ ღიმილით მიიღო ბროწეული და თან ბერიშვილს გადაჰხედა, თითქო ამ გადახედვით მადლობა უნდა ეთქვა იმისთვის, რომ დღეს მგზავრები ასე თავაზიანად ექცეოდნენ.

- ლიზა, შვილო, გაიხედე, რა მშვენიერი ტყეა! ჰხედავ შიგადაშიგ რა ახოვანი ხეებია წაქცეული კაცის მოუსვენარის ხელისაგან.

მართლაც, მშვენიერი რამ არის ბუნება, გომბორის პირველ მაღლობიდან რომ დაეშვება შოსე ახოვან ტყეში. განიერი, სუფთა, ვერცხლივით მოჭედილი გზა, თითქმის გადახურული აქეთ-იქიდან დაბურული ტყის ტოტებით.

თავდაღმართში ცხენებმაც გაიღვიძეს და ამაყად გააქროლეს თავისი მძიმე ტვირთი. ბუნების მეტისმეტმა მშვენიერებამ და დილიჟანის ჩქარმა სრიალმა კარგს გუნებაზედ დააყენა ყველა.

- შენი ჭირიმე, შენი, ვანიჩკო, აბა თუ ,,ნავოტკი'' გინდა, გაჰკა! - შესჭყიოდნენ მგზავრები დაღვრემილ მეეტლეს. - აბა, მარჯვედ, ვანიჩკოჯან, მარჯვედ! თელავში ადრე ჩაგვიყვანე და იქ ჩაგაჭყაპებთ წითელ ღვინოს!

მაგრამ ამათმა სიხარულმა დიდხანს არ გასტანა, დაღმართი შესწყდა, დილიჟანი შეუდგა გომბორის უდიდესს და უკანასკნელ აღმართს და ცხენებმა ისევ ჩაჰკიდეს თავები. ბერიშვილს გულით უნდოდა ეთქვა რამე ლიზასთვის, განეგრძო წუხანდელი დაწყებული ბაასი, შეეტყო მისი აზრი, მიმართულება, შეხედულობა იმ საგანზედ, იმ შრომაზედ, რომელსაც ეს ქალი უნდა

შესდგომოდა, მაგრამ წყეული ხასიათი, ბურსაში აღმოცენებული მუდმივი კრძალვა, ენაზედ მუხრუჭს უჭერდა და მთელი გზა ლიზამ და ნიკომ თითქმის უსიტყვოდ გაიარეს.

IV

საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, როდესაც დილიჟანი შევიდა კახეთის დედა-ქალაქში. ნეტა იმის ნეტარებას, ვისაც შორიდან დაუნახავს თელავი და შიგ კი არ გაუვლია. თელავი გარედან შეხედვით წარმოადგენს ხელოვნურად შეკრულ ვარდის კონას, რომლის ცქერაც არ დაჰღალავს არც თვალს და არც გონებას: მაღალს სერზედ გადამდგარი ქალაქი მთლად გატენილია ბაღ-ვენახებით, რომლებ შუა აქა-იქ წითელის კრამიტით დახურულ ლამაზად აგებულ სახლებს ვარდივით ამოუყვიათ თავები. ზემო და ქვემო თელავი ერთი-ერთმანეთზედ

ჩამოკიდებულ ნინევიის ბაღებს წარმოგიდგენთ, მაგრამ შიგ ქალაქში კი რომ შეხვალ, ვაი შენს ოცნებას. ვიწრო, ნაგვით სავსე ქუჩები და ზოგან ქუჩების მაგივრად გამშრალი განიერი და დიდრონის ქვებით სავსე ხევები გიკარგავენ ყოველგვარ ილუზიას, შორიდან დანახულის სურათით აღძრულს.

შუა ქუჩას, რომელიც ქალაქს ორად ჰყოფს; ჩამომწკრივებული აქვს ორივ მხრივ დუქან-ბაზარი, სადაც ვაჭრობა კარგა რიგიანად უნდა მიდიოდეს, თუ ამ აუარებელ ხალხს მივიღებთ მხედველობაში, რომელიც ირეოდა იმ დღეს, როდესაც ჩვენი ნაცნობი დილიჟანი, შემდეგ ბევრის რახრახისა გაუთავებელ რიყეებზედ, გაჩერდა შიგ შუა ბაზარში.

დილიჟანში მსხდომნი თავიანთის ბარგით ეშურებოდნენ გადაბძანებას. მხოლოდ ლიზა და მართა გაშტერებული

იცქირებოდნენ.

- გადმოდით, რაღა! - თავისებურის უზდელობით უთხრა ვანიჩკამ ქალებს. - ვერ გაიგეთ, მოვედით! ცხენები მინდა დავაბინაო ხვალამდის ხომ აქ არ ისხდებით!

- წავალთ, შვილო, წავალთ, - თითქო ახალი გამოფხიზლებულიაო, ისე წამოხტა მართა. - ღმერთი მოწყალეა, ქვეყანაზედ კეთილი ადამიანი არ გაწყვეტილა, ერთიც არის ვინმე გზას გვიჩვენებს.

ლიზა ეხლა უფრო საშინლად ჰგრძნობდა თავისს მარტოობას. რა ექნა უცხო ქალაქში, ვისთვის მიემართნა, როგორ გაეგო, საით იყო იმისი ახალი ბინა. მანამ მართა ამოალაგებდა თავის ბარგი-ბარხანას, ლიზა ხელებჩამოყრილი, ყოვლად უმოწყალოდ, იდგა შუა ბაზარში; გარს შემოეხვივნენ ქუჩის გოგო-ბიჭები,

გამვლელ-გამომვლელნი, შესჩერებოდნენ და დაკვირვებით უყურებდნენ გზაში გაჩერებულ უცხო ქალსა.

ბოლოს მართაც ჩამოვიდა და ბარგით ხელში მიჰმართა ერთ მედუქნეს:

- შვილო, ვერ მიგვასწავლი სადმე ბინას, რომ ღამე გავათიოთ? დღეს სადღა წავალთ, დაღამებულია.

- რა ვიცი, როგორი ბინა გინდათ? თუ გსურთ, აი პირდაპირ სასტუმროა, იქ მიდით; გინდათ აი ამას იქით რომ დუქანია, იქ მიდით: დუქნის ოთახი აქვთ, გაქირავებენ.

- უჰ, კაცები! ბრიყვები! - სასტიკად სთქვა ლიზამ: - ის ბერიშვილი იყო თუ ვიღაც, რა იქნა! აქაური იყო და ასე

თავი დაგვანება, გზას ვერ გვასწავლიდა, ზურგზე ხომ არ ავეკიდებოდით...

ლიზას ეს სიტყვები ჯერ არ გაეთავებინა, რომ ნიკო საჩქაროდ მოვიდა და უთხრა ქალებს:

- მობძანდით, აი აქეთ მობძანდით, ერთი ნომერი ვიშოვნე სასტუმროში. სუფთა ოთახია, საჭმელსაც ცოტაოდენს იშოვნით რასმე.

ლიზას შერცხვა თავისს უალაგო აჩქარებისა და გაწითლებულმა მაგრა ხელი ჩამოართვა ნიკოს და უთხრა:

- თქვენ ძლიერ კეთილი ხართ. მე მეგონა, რომ ამ უცხო ალაგას თავი დაგვანებეთ-მეთქი. მაპატივეთ, რომ ამ გვარი ეჭვი გავივლე გულში.

ნიკომ მორცხვად გაიღიმა და საჩქაროდ ავიდა სასტუმროს დაფერხვილ კიბეზედ.

თელავის სასტუმრო ერთადერთია მთელ ქალაქში და ისიც მთლად ცარიელი დაუხვდათ ჩვენს მგზავრებს. სასტუმროს მისავალი კარი და კიბე ისე ფამფალებდა, რომ მგზავრებმა დიდის სიფრთხილით ძლივს მოახერხეს ასვლა; აივანი, ოთახები წარმოადგენდნენ ერთ რაღაცა ნაოხარს, მტვრითა და აბლაბუდით გატენილს. პირმოტეხილი კოკა, გვერდზედ გადახრილი ხის სტოლი, ადამის ჟამის გაუხეხავი ცალყურა სამოვარი და ჭრელის ნაჭრების საბნით გადაფარებული ხის ტახტი, აი რა იყო მორთულობა საუკეთესო ოთახისა ამ სადგურში.

ლიზამ თავისუფლად ამოისუნთქა, როდესაც თავისი თავი ჭერქვეშ დაინახა. პირი დაიბანა, თმა გაისწორა და გავიდა სასტუმროს აივანზედ, რომელიც გადაჰყურებდა

მთელ ალაზნის ხეობას და მის დანახვაზედ აღტაცებით შესძახა: ეჰ, ღმერთო, რა მშვენიერებაა, რა სურათია! და მართლაც, თითქო სამოთხე იყო იმის თვალ-წინ გადაშლილი: აყვავებული, კეკლუცად მორთული ალაზნის ველი, განიერი, მწვანე ჭალებით და აჭრელებული, ხნულ-ნაწვერლებით სავსე მინდორი, თვალგაუწვდენელი მდელო, შუაზედ გაყოფილი ალაზნის ვერცხლისებრივად მობრჭყვრიალე ზოლით და შემოკალთული ცალმხრივ დაღესტნის ახოვანის მთებით და მეორე მხრივ გომბორის სიმაღლეებით. ამ მთების კალთებზე ხშირ მწვანეში გახვეული წითელი კრამიტებით დახურული სახლები სოფლებისა აგვირგვინებდნენ ძვირფას სურათს კახეთისას, ამ საუკეთესო და სასიქადულო მხარეს საქართველოსას. ჩამავალი მზე რაღაც რბილს, ნაზს შუქს აყენებდა მთლად ამწვანებულ არემარეს და მათ ზემოდან თოვლით თავწაყრილ დაღესტნის მთების ზოლსა. ლიზა არ იყო

შეჩვეული დაკვირვებას; იმისი ბუნება ძნელად შთაიბეჭდავდა ხოლმე მშვენიერების ძალას, მაგრამ ამ დიადმა, ბრწყინვალე ბუნების სიმდიდრემ მთლად დაატყვევა იმისი თვალი. ნიდაყვზედ დაყრდომილი ხშირ ბინდამდე ხარბად სტკბებოდა ბუნების მშვენიერებით; ბინდმა მხოლოდ სურათის ფერი შესცვალა და უფრო სიტურფეთი და პოეტური საიდუმლოებით შეავსო. აქა-იქ, ალაზნის გაღმა და გამოღმა ცეცხლები აენთო, დაღესტნის მთებს ბურუსი შემოეხვია, გარშემო სრული სიჩუმე ჩამოვარდა, მიწყდა კაცთა ხმაურობა, სიოც კი არ არხევდა შემოდგომის სიტკბოებით გატენილს ჰაერს. ლიზა ისევ ნიდაყვზე დაყრდომილი იყო და გონებადაუტანებლივ, უაზროდ, მთელის თავისს არსებით შთანთქმულიყო ბუნების მზერით. ოთახში მართას მიეძინა, აივნის კარები ღია იყო და იქიდან მკრთალი ნათელი გამოდიოდა გარეთ; უცებ ამ შუქს რაღაც აეფარა და აივანზე სრულიად ჩამობნელდა; ამ

შემთხვევამ შესწყვიტა ლიზას ოცნება; ყმაწვილი ქალი ნელა წამოდგა და ოთახისკენ გაეშურა. ოთახის კარებში შეხვდა ვიღაც ყმაწვილ კაცს ჩერქეზულის ტანისამოსით და სახლის პატრონს ქალს, რომელიც ყმაწვილს მოწიწებით თავს უხრიდა და ბოდიშს იხდიდა იმასთან:

- კნიაზო, მაპატივეთ, რომ თქვენი ოთახი სხვას მივეცი. არ ვიცოდი თქვენი მოსვლა, თორემ რა ღმერთი გამიწყრებოდა!

- არ ვიცოდი, არ ვიცოდი! - მედიდურად, ხმამაღლა უწყრებოდა კნიაზი ქალს. - განა არ შეიძლება ერთი ოთახი ყოველთვის ჩემთვის იყოს დარჩენილი, რა იშვიათი სტუმარი მე აქ ვარ! სხვა თქვენს ოთახებში კაცს არ ედგომინება. მე, საცა იქნება, იქ წავალ და დღეიდან კი აღარ ვიცნობ თქვენს ჭუჭყიანს სასტუმროს კი არა, ტრახტირს, ბოსელს, საქათმეს!

- რათა სჯავრობთ, ბატონო, - წყნარად უთხრა ლიზამ თავადს. - ჩვენ ადვილად შეგვიძლიან სხვა ოთახში გავათიოთ ღამე და ეს ოთახი ერთ წამში თავისუფალი იქნება თქვენთვის. დედა! - მიუბრუნდა მერე ლიზა გამოფხიზლუბულ მართას, - ამ ბატონს ჰქონია ყოველთვის ეს ოთახი დაქირავებული, ადე, ჩვენ მეორეში გადავიდეთ, სახლისპატრონს პირს ნუ გავუტეხავთ.

- უკაცრაოდ, უკაცრაოდ, ნუ შეწუხდებით, ქალები ბრძანებულხართ, არ ვიცოდი! - დაბლა თავის დაკვრით წაიტუტუნა თავადმა, როდესაც ლიზას მშვიდი და ზრდილობიანი სიტყვები გაიგონა, ამასთანავე, რასაკვირველია, არც ლიზას ლამაზი თვალები და ლაზათიანი ფიგურა დარჩა შეუნიშნავი კნიაზს.

- მე თვითონ არა მიშავს რა სხვა ოთახში. ნინო, -

მიუბრუნდა შემდეგ სახლისპატრონს, - მეორე ოთახში დააგვევინე, როგორც იქნება, გავათევ ღამეს!

- უკაცრაოდ, მადმოაზელ, მაპატიეთ, თქვენი ღვთის გულისთვის, ჩემი სიბრიყვე, რომ ასე უდროოდ დავარღვიე თქვენი მყუდროება! გთხოვთ მიცნობდეთ დღეიდან თქვენს პატივისმცემელ თავ. იასონ ჯამბადრუკიანს.

- ძალიან სასიამოვნოა ჩვენთვისაც თქვენი გაცნობა. დაბრძანდით, ბატონო, მანამ თქვენს ოთახს მოამზადებენ, - კეკლუცობით და მიმოხვრით უთხრა ლიზამ თავადს.

- დიდად გმადლობთ, - მოხდენით დაუკრა თავი იასონმა ყმაწვილ ქალს და ჰკითხა: - თუ უკაცრაოდ არ გახლდებით, საიდან მობრძანდებით, ან აქ სად აპირებთ

ჩამოხდომას?

- ნაციხურალის სოფლის მასწავლებლის ალაგი უნდა დავიჭირო, - მიუგო ლამაზმა და, თითქო არ იყო, სირცხვილის სიწითლემ გადაჰკრა პირისახეზდ.

ეს შენიშნა თავადმა და სიბრალულით უთხრა:

- სოფლის სკოლის მასწავლებლად, თქვენ? ეგ შეუძლებელია! მთელი დღე გლეხკაცების ჭუჭყიან, ბრიყვ ბავშვებთან, ხომ ჭკუაზედ შესცდებით, მადმოაზელ!

“მადმოაზელს” დიდის მეცადინეობით გამოსთქვამდა ხოლმე იასონ ჯამბადრუკიანი, თითქო ამ სიტყვებით უნდოდა დაერწმუნებინა ლიზა, რომ განათლებული და სხვადასხვა ევროპიულ ენების მცოდნე ვარო, და ლიზაც ცოტა არ იყოს, მოჰხიბლა იასონის გაწვრთნილმა მიხვრა-

მოხვრამ, იმისმა გაშალაშინებულმა ბაასმა; ამასთან ერთად იასონ ჯამბადრუკიანი მშვენიერი შეხედულების ვაჟკაცი იყო. იმის წერწეტი, კარგად მოყვანილი ტანი ხელოვნებით შეკერილ ჩერქესკაში იყო გამოწყობილი, ბროწეულის ფერი ატლასის ახალუხი ძლიერ უხდებოდა იმის ცხვრისფერ თვალებს და ხორბლისფერ პირისახეს. შავი ქამარ-ხანჯალი და შავი უბრალო მასრები რაღაც სიდარბაისლის ხასიათსა სდებდა იმის მორთულობას.

იასონი ტკბილად აცეცებდა თავისს დიდრონ ბეც თვალებს ლიზას და კმაყოფილებას უღვიძებდა ნორჩ, გამოუცდელ გულში.

იასონი ერთი-ორი წამით სახლის პატრონს რაღაცას დაეხმაურა და ერთის საათის შემდეგ, მართას და ლიზას დაუკითხავად, სადგურის პატრონის მოსამსახურემ სუფრას დაუწყო შლა მათ ოთახში.

ძვირფასმა კახურმა ღვინომ, ცვრიანმა მწვადებმა და ცივმა დედალმა სიამოვნების მაგივრად ძალიან შეაშინა მართა. რა ხუმრობაა ამისთანა მასპისძლობა! იქნება მე მშიერსაც დამეძინა, ვინ ეხვეწებოდა იმ დალოცვილს სახლის პატრონს. მაგრამ ვახშამი ტყუილად გაიშხამა ამ საშინელის ფიქრებით. იასონმა მიიწვია ისინი ვახშმად და თითონვე დაუწყო მასპინძლობა:

- მიირთვით, შენი ჭირიმე, მიირთვით. მერე არა სთქვათ ქალაქელებმა, კახეთში მასპინძლობა არ იციანო. ნაციხურალი ახლოა ჩემს სოფლებზედ და იმედი მაქვს იქ უფრო რიგიანად გაგიმასპინძლდებით; რაც შეეხება თქვენს სამძიმო თანამდებობას, მადმოაზელ, ვეცდებით როგორმე უფრო სუფთა საქმე გაგიჩინოთ, ვიდრე სოფლის მასწავლებლობა. ოჰ, სოფლის მასწავლებლობა ყმაწვილი, გაზდილი და ლამაზი ქალისათვის, это нечто

весьма грубое, - ჩაურუსულა იასონმა, რადგან ეგონა, რომ ქართულად ასე ცხოვლად ვერ გამოსახავდა თავისს მძულვარებას სასოფლო სკოლის მიმართ. - Предоставьте это дело семинаристам. ვერ წარმოიდგენთ, ზედ გამოჭრილები არიან ბურსელები სკოლებზედ, აი თუნდ ჩვენი სოფლის ლეკიკარას სკოლის მასწავლებელი მთელი დღე, კვირაობითაც კი, განუყრელად გლეხებში ზის, იმათ ელაპარაკება, იმათში ერთობა; ჩვენ კი ვერას გზით ვერ შევიჩვიეთ. გასაკვირველი არ არის, განათლებული კაცი და განათლებულ საზოგადოებას ერიდებოდეს და გლეხებში, იმ უმეცარ, თითქმის გაპირუტყვებულ ხალხში დროს ატარებდეს და თანაც კმაყოფილებით ჰგრძნობდეს თავს!

- ჩვენ ის გზაში გავიცანით, ერთის დილიჟანით მოვედით, - უთხრა მართამ იასონს - ეტყობა ძალიან სინდისიანი ყმაწვილი კაცია; უთუოდ თავისს თანამდებობასაც

სინდისიერად ექცევა, გლეხები მიუნდვიათ იმისათვის და ცდილობს სარგებლობა მოუტანოს რამა.

- დიაღ, ლიბერალობა მე თითონ კარგად მესმის, მე თითონ ხშირად ვეხმარები გლეხებს გაჭირვებაში, მაგრამ მთელი თავისი დრო რომ იმათ შესწიროს განათლებულმა კაცმა, этого решительно понять не могу. Помилуйте, это равносильно самоубийству!

ამ სიტყვებით, რასაკვირველია, იასონმა მიჰმართა ლიზას, რადგან მართა ღირსად არ სცნო ამ მაღალ აზრების გასაზიარებლად.

- ოხ, რა რიგად მიხარიან, კნიაზ იასონ, რომ თქვენისთანა მეზობლები მე ყოლებიან. Вообразите, მე კი მეგონა, რომ გამოყრუებულ სოფელში ჭკუაზედ შევიშ ლებოდი, - გულის სიწრფელით ეუბნებოდა ლიზა იასონს.

- За ваше здоровье прелестная гостья наша! - აღტაცებით უთხრა იასონმა ხუთი-ექვსის სტაქნის შემდეგ ყმაწვილ ქალსა. - სიმშვენიერეს სიფაქიზე ეკუთვნის და ჩვენც ვეცადოთ რისიც ღირსი ხართ, ის მოგიზღვნათ.

ამ სიტყვებთან ერთად იასონმა უფრო სიტკბოება მისცა თავისს მზერას და შეუწყვეტელმა ცქერამ და ალერსიანმა ბაასმა მთლად მოაჯადოვა ჩვენი ლიზა. ყმაწვილი ქალი კეკლუცობით იხრიდა დაბლა კისერს და ტკბილისავე ღიმილით მადლობას უხდიდა კნიაზს.

კარგა შუაღამე გავიდა; იასონმა მესამე ბოთლი გამოსცალა და ბაასის შეწყვეტას კი არ აპირობდა; მართას, თუმცა სთვლემდა, დაღალულობა თავს ართმევდა, მაგრამ ზრდილობა ნებას არ აძლევდა სტუმარი, ანუ უკეთ რომ ვთქვათ ძალად მასპინძელი დაეთხოვნა.

ლიზა თავისს სიცოცხლეში პირველად ელაპარაკებოდა ასე თავისუფლად ყმაწვილს კაცს და ეს ძლიერ აღელვებდა და დაღალვასა და მოსვენებას სულ ავიწყებდა. წამოწითლებული, თვალებგაბრწყინვალებული ეტიტინებოდა იასონს და ფიქრადაც არ მოსდიოდა, თუ რა მახეს უბამდა თავისს გულს და ზიანს აძლევდა თავისს სახელს ულმობელი საზოგადოების თვალში.

V

ნაციხურალი თითქმის ერთს ვერსზეა გაჭიმული. განიერი, ჩინებულად მოვლილი შოსე ორად ჰყოფს სოფელს. გზის ორთავე მხრივ დუქან-ბაზარია გამართული და აქეთ-იქით სოფლის შენობებია ჩამწკრივებული თავ-თავისის დიდრონის ამწვანებულ

ეზოებით. აქ ხშირად შეხვდებით ორსართულიან, ჩინებულად ნაგებ ქვითკირის სახლებს, რომლებიც გაკეთებულის გლეხკაცების საკუთრებაა და საზოგადოდ კი მომეტებულ მოსახლეთ ხის დარბაზები უდგიათ, კრამიტით ან ჩალით დახურული საბძლურად. შესანიშნავია, რომ ამ სოფელში და თითქმის სხვაგანაც მთელს კახეთში იშვიათად შეხვდებით ბოლის ასასვლელს; უთუოდ ტკბილი კახური უცეცხლოდაც ათბობს აქაურობას, ან ამათი თვალები ადვილად იტანს კომლის სიმწარეს.

კარგა მოზრდილ მინდორზედ, სოფლის ბოლოს, სდგას ნაციხურალის სკოლის შენობა; მშვენივრად არის აგებული, კედლები თეთრად აქვს გალესილი და წითელის კრამიტით დახურული. გარეგანი შეხედულება მნახველს საკმაოდ ასიამოვნებს. დღეს, თორმეტ სექტემბერს, სკოლის ეზო მთლად სავსე იყო

გლეხკაცებით. სკოლის მეორე მხარეს, განიერ აივანზედ შეკრებილნი იყვნეენ სოფლის დედაკაცები და შიგ სკოლის ოთახში სამოცამდე ყმაწვილი, რომელთა უმეტესობა გოგოები იყო. ბავშვებსაც და დედ-მამასაც კახეთში წმინდად აქვთ დაცული ძველებური ტანთსაცმელი: აბორკიანი, კერასიანი კაბა და კინტოური ყელიანი ჩუსტები, რომელიც ქართლში ძლიერ გახშირებულია, აქ იშვიათად, თითქმის არც კი მოიპოვება ოთხკუთხი გულამოჭრილი კაბა სარტყელ-გულისპირით თითქმის ყველა დედაკაცს უმშვენებს წამოსადეგ წერწეტს ტანსა.

მასწავლებლის ოთახშიაც კარგა ბლომად ირევა ხალხი: ამ სოფლის მღვდელი თავისის კრებულით, მთავრობისაგან დანიშნული და გამოგზავნილი მოხელე სკოლის კურთხევაზე დასასწრებლად, ამ სოფლის ორიოდ-სამი თავადიშვილი, სოფლის მოსამართლენი და მამასახლისი

და რამდენიმე ახლო-მახლო სკოლის მასწავლებელი, მათ შორის ჩვენი ნაცნობი ნიკო ბერიშვილიცა.

ლიზა კოშკაძისა, სადღესასწაულო ტანისამოსით მორთული, თუმცა ჩვეულებრივად ჰშვენის, მაგრამ დღეს საშინლად ფერმიმკრთალია. მას ცოტა არ არის, აშინებს ის აზრი, რომ ამოდენა ხალხში, მღვდლისა და მთავრობის წარმომადგენელის თანდასწრებით, უნდა შეუდგეს თავისს თანამდებობას და ვაი თუ შევკრთე, როგორც რიგია, ისე ვერ დავიწყო ჩემი პირველი გაკვეთილიო.

ორ საათზე ყველანი სასკოლო ოთახში შეიყარნენ. მღვდელმა ოლარი გადაიგდო და დაიწყო პარაკლისი. ლიზა ფანჯარასთან იდგა და მოუთმენლად უყურებდა გზას.

- უთუოდ მომატყუა იასონმა, - ფიქრობდა მწუხარებით. -

იმ ღამეს, მე მგონია, ღვინო მეტი მოუვიდა და იმიტომ მექცეოდა ისე ალერსიანად: ,,ჩვენო მშვენიერო, ძვირფასო სტუმარო!'' რამდენი სიტკბოება იყო იმ ორ უბრალო სიტყვაში. რა სიამოვნებით და მეგობრულად დამაშტერებდა ხოლმე თავისს ლამაზ ბეც თვალებს! ოჰ, ნეტავი კი აასრულოს დაპირება და დღეს ამ სკოლის კურთხევის ცერემონიას დაესწროს. ასე ადრე რად დაიწყეს პარაკლისი, ათი საათია. იქნება, იმას, ჯერ არც კი გაუღვიძნია!

პარაკლისი თავდებოდა, როდესაც სკოლის ეზოში შემოგრიალდა ლაზათიანი საგზაო კალიასკა. კალიასკაში გადაწოლილი იჯდა იასონ და მის გვერდით ვიღაც ზორბა, გულზვიადობით სავსე მოხუცი კაცი. ძვირფასის ქართულის ტანისამოსით.

იასონმა მოწიწებით ხელი მოჰკიდა მოხუცს და

კალიასკიდან გადმოსვა. ამათ შემოსვლაზე ხალხში ჩოჩქოლი ატყდა. ყველამ გზა დაუთმო მოხუცს და პირმოთნეობით სავსე სალამი მისცა.

- ეს ის ყმაწვილია, გუშინ რომ მასწავლებელი ქალი მოიყვანა, - უთხრა ერთმა აივანზე მდგომმა დედაკაცმა მეორეს.

- მართლა? ქა, ეგ ხომ ლეკიკარიანთ ბატონიშვილია! ამბობენ გზაზე გოგოს არ გაატარებს, რომ უკან არ აედევნოსო, ქა, მაგას რათ მისდევდა, თუ ეგ კარგი ქალია?!

- ვინ იცის , რა წყლისა და რა სინდისისაა! - წაიტუტუნა მესამემ. - ერთი შეხედეთ, რა რიგად გაუყარა თვალი-თვალში იმ ყმაწვილს, ლეკიკარიანთ ბატონიშვილს!

მართლადაც და ლიზა მთლად ცქერად გადაიქცა. იასონი დღეს საშინლად ჰშვენოდა: ამაყად ყელმოღერებული, თავიდან ფეხებამდე ლაზათიანად გამოწყობილი, მამაცურად ხანჯალზედ ხელდაყრდომილი დიდად ერჩეოდა აქ შეყრილებში. ხშირად მიიდებდა ხოლმე ბეც თვალებზე ოქროს პენსნეს და ასე ათვალიერებდა აივანზედ მდგომ ქალებს და შემდეგ თითქო ადარებსო, ისევ დააშტერდებოდა ლიზას სახეს.

პარაკლისის შემდეგ წარმოითქვა რამდენიმე სიტყვა სკოლის მნიშვნელობის შესახებ, მეორე მოხელემ განიხილა ყოველივე მოწყობილობა სკოლისა, გადასცა ლიზას მთავრობის პროგრამა, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელათ წლის განმავლობაში მასწავლებლებს, და მოიწადინა მოსმენა სამაგალითო გაკვეთილისა.

ლიზამ ხმის კანკალით უბრძანა ბავშვებს

დამსხდარიყვნენ და შეუდგა გაკვეთილს; ჯერ თრთოდა გაუბედაობით, მკვდრის ფერი დაედო, მუხლთ ეკეცებოდა, მაგრამ მოაგონდა, რომ აქ სხვათა შორის, იასონიც არისო და წელში გასწორდა და ხმამაღლა დაიწყო ყმაწვილების სწავლება.

სასწავლებელში უფროსი კლასების შეგირდები ხშირად ასწავლიდნენ სანიმუშოდ უმცროს კლასების შეგირდებს და ამისათვის ლიზა, როგორც გამოცდილი, რიგიანად გაუძღვა თავის გამოსაცდელ გაკვეთილს. მოხელე კმაყოფილი დარჩა, თანაგრძნობით ჩამოართვა ხელი, ორიოდე-სამი ტკბილი სიტყვა უთხრა მასწავლებელს და გაეშურა. იმას გაჰყვნენ სხვებიც... ოთახში დარჩნენ მხოლოდ იასონი თავისის მამით და ნიკო ბერიშვილი, რომელსაც გულით უნდოდა მიელოცნა ლიზასთვის გამარჯვება.

იასონის მამა, ლუარსაბ ჯამბადრუკიანი, კარგა ხნის მოხუცი იყო, მაგრამ წელი ჯერ სწორედ ეჭირა და თავისს სიბერის ნისლით გადაკრულ თვალებს არშიყობით აჭყეტდა ლიზას:

- მიხარიან, თქვენმა მზემ, მიხარიან, რომ სკოლებში თქვენისთანა კეთილშობილ ქალებს აძლევენ ალაგებს. განათლებული ადამიანი ყოველთვის სასიამოვნოა სოფელში და ეს ჩვენი ბატონი მასწავლებლები კი ბუსავით გვიყურებენ თავადიშვილებს. თქვენ კი, იმედი მაქვს, აგრე არ გვიზამთ, მიხვალთ, მოხვალთ, პატივსა გვცემთ და პატივსაც მიიღებთ.

- დიდად ბედნიერი ვარ, ბატონო, რომ ინებეთ სკოლის დათვალიერება და იმედი მაქვს, ყურადღებას არ მოგვაკლებთ შემდეგშიაც, - ზრდილობიანად უპასუხა მოხუცს ლიზამ.

- არა, არა, ნუ გეშინიან, ყოველთვის თვალ-ყურს ვადევნებთ თქვენს საქმიანობას. ნუ გეშინიან... ხა... ხა... - ნაძალადევად, უაზროდ გადიხარხარა ლუარსაბმა და მხარზედ ხელი დაადო ლიზას: - ნუ გეშინიან, ნუ, ჩვენო შავთვალავ. მშვიდობით, მშვიდობით, ლამაზი და კარგი ქალი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა! - მსუნაგ კატასავით ტუჩები გაიწკმატუნა თავადმა ლუარსაბმა.

იასონი უსიტყვოდ გამოეთხოვა ლიზას და მხოლოდ დიდმნიშვნელოვანებით ჩამოართვა ხელი.

ნიკო კლასში იდგა ჩაფიქრებული და არ იცოდა, რა ეთქვა ლიზასთვის იმის დღევანდელის ქცევის შემდეგ. ყმაწვილი კაცი გულის ტკივილით ჰხედავდა, რომ ლიზას იზიდავდა სულ სხვა საზოგადოება, სულ სხვა მისწრაფება აღელვებდა და არა ის ნიადაგი, რომელზედაც

უნდა გაეძლიერებინა თავისი მოღვაწეობა. ლიზამ ხმაც არ გასცა დღეს ყმაწვილების მშობლებს, არც თითონ ყმაწვილებს; ის თავს ევლებოდა სულ სხვებს, აჰყოლოდა მხოლოდ თავისს გულის თქმას და სრულიად ივიწყებდა თავისს მოვალეობის საგანს.

- ოჰ, ბატონო ნიკო, - კმაყოფილების სიცილით უთხრა ლიზამ, როდესაც სტუმრები გააცილა და ოთახში შემობრუნდა. - რარიგად მომწონს ეს მოხუცებული ლუარსაბ, რა კეთილი, რა ლმობიერი თავადია! იმედი მაქვს, რომ დიდ შემწეობას გაუწევს ჩემს სკოლას!

- ტყუილი იმედია! ლუარსაბი მხოლოდ ბებერი ყბედია და უნამუსო კაცი: ნუ მიენდობით მაგის ტკბილ სიტყვებს და მაცდურ ენას. თუ შემწეობა უნდა, განა თავისს სოფელში არ ააქვს სკოლა, რატომ არ უნდა შეჰხედოს და თანაგრძნობის მაგივრად რად სდევნის ყოველ ჩემ

განზრახვას? მე ვიცი იმისი ბოროტი სული და სწორედ ბოროტის განზრახვითაც მოვიდა დღეს თქვენს სკოლაში. ერთი შვილი ჰყავს კიდევ პატიოსნებით სავსე! მე თქვენ გირჩევთ, ბატონო ლიზა, იმათთან დაახლოვებას ერიდეთ.

- ოჰ, ღმერთო ჩემო, რა არის მაგვარი თქვენი სიავკაცე! - ოხუნჯობით უთხრა ლიზამ ნიკოს. - თქვენ რაც გინდათ ისა სთქვით და მე კი აღტაცებული ვარ მამისაგანაცა და შვილისაგანაც, მაგრამ ახლა იმათ კი თავი დავანებოთ. რატომ არ მილოცავთ, რომ ასე კარგად გადავრჩი დღევანდელ განსაცდელს?

- მაგისთვის დავრჩი, მაგრამ...

- რაღა მაგრამ? არ იცით, როგორ, რა სიტყვით მომმართოთ? გინდათ გასწავლოთ? მაგრამ დრო არ არის, კვლავ იყოს, ეხლა კი წავიდეთ მეორე ოთახში, დედა

დიდი ხანია სადილად გველის. ეგ რა წიგნები გიჭირავთ ხელში, არ შეიძლება გადავათვალიერო? სპენსერი, უშინსკი, პესტალოცი, ჰა, ჰა, ჰა! სად შეგიგროვებია მაგდენი გენიოსი ერთად.

- ეს წიგნები თქვენთვის მოვიტანე, მაგრამ...

- ოჰ, ღმერთო, რა არის მაგდენი მაგრამ ! მაგრამ რა? ახლა კი გნებავთ ისევ უკან წაიღოთ?

- მე მგონი, აგრე ემჯობინება. თქვენ დრო სად გექნებათ ამათის კითხვისათვის? კლასებს შემდეგ აღარავინ მოგაცლით: ტანცაობა, სეირნობა, სტუმრობა მოინდომებს თქვენს დანარჩენ თავისუფალს დროს.

- რეებსა ლაპარაკობთ, ბატონო ნიკო! მაშ თქვენ გინდათ, რომ მე მთელი დღე თქვენსავით, როგორც იასონი ამბობს,

გლეხებში ვიჯდე და იმათთან ვილაპარაკო?

- დიაღ, ჩემის აზრით, ეგ საუკეთესო დროს გატარება უნდა იყოს სოფლის მასწავლებლისათვის, თუ, რასაკვირველია, გეცოდინებათ, რა ელაპარაკოთ. ამისთვის მომზადებაა საჭირო.

- ეგ თავის დღეშიაც არ იქნება! - მოუთმენლად დაჰკრა ფეხი ლიზამ მიწას. - ნახევარი დღეც საკმარისია იმათ შვილებთან თავის სახეთქად. დანარჩენი დრო მე ისე მინდა მოვიხმარო, როგორც ჩემი ნებაა: ვიტანცაო, ვისეირნო, სტუმრად ვიარო, როგორც თქვენ დამცინით, და მე კი სრულებით სასაცილოდ არ მიმაჩნია, - ცოტა არ იყოს გაბუტვითა სთქვა ლიზამ.

VI

ენკენისთვის ცამეტს, სკოლის კურთხევის მეორე დღეს, ლიზა სკოლის კიბეზედ იჯდა და გულხმიერებით კითხულობდა პესტალოცის, მაგრამ ვერას გზით ვერ დაეძლია, ვერ მოენელებინა იმის გაუხსნელ გონებას ამისთანა უჩვეული ტვირთი. ზოგიერთ ალაგს სამჯერ-ოთხჯერ კითხულობდა და მაინც ვერ შეეთვისებინა იმისი აზრები. ისე იყო გართული ლიზა ამ მძიმე შრომაში, რომ მანამ კიბესთან არ გაჩერდა ეტლი, არც კი შეუნიშნავს; ახლა კი შეჰკრთა, გაოცდა ამ გვარის შემთხვევით და უცებ ფეხზედ წამოხტა.

გუშინდელს ჯამბადრუკიანთ კალიასკაში გადაწოლილი იჯდა ლუარსაბ; მის გვერდით იჯდა ყვითლად ჩამომხმარი, მაგრამ კეთილშობილურის შეხედულებით სავსე, ხნიანი დედაკაცი. წინ, სკამზედ, იჯდა იასონ, ჩვეულებრივად მორთული და მხიარული.

- აბა, ბარიშნავ, წამოდი ალავერდში, - გაჩერების უმალვე გადმოსძახა ლუარსაბმა ლიზას: - ეკიპაჟში ალაგი გვქონდა და მე ვუთხარ ქეთევანს: მოდი უჩიტელნიცა წავიყვანოთ, მადლია, თვალს გაახელს-მეთქი.

- ჩემი წამოსვლა, აბა , როგორ შეიძლება. სკოლა მხოლოდ გუშინ გაიხსნა და დღესვე თავი როგორ დავანებო, - მოწიწებით უპასუხა ლიზამ მოწყალე თავადს.

- Это все глупости! მოემზადეთ, ჩვენ არც კი გადმოვალთ. ისე მოგიცდით, - ბძანების კილოთი უთხრა ლუარსაბმა ლიზას.

- დედისაც მეხათრება, მარტო დარჩება, - მორცხვობით დაუმატა ლიზამ.

- დედათქვენს რა უშავს, - სწრაფად მიუგო იასონმა: -

მთელი სოფლის დედაკაცები შემოეხვევიან, რაკი მარტოდ დაიგულებენ.

ამ დროს სახლიდგან გამოვიდა მართა, მიუახლოვდა ეკიპაჟს. დაბლა თავი დაუკრა თავადებს და შემდეგ მიჰმართა ლიზას - შვილო, რაღას ალოდინებ, ჩქარა მოემზადევი, რატომ ღმერთს მადლობას არ სწირავ, რომ ამისთანა პატიოსანნი ცდილობენ თვალი გაგახელინონ. რატომ არ გადმობრძანდებით, კნეინა, რატომ არ გაბედნიერებთ ჩვენს საცოდავ სახლს. ღმერთმა გადაგიხადოთ, ბატონებო, ჩემი ობლის პატივისცემა.

- გმადლობთ, - წყნარად მიუგო ქეთევანმა მართას. - კვლავ გნახავთ, ეხლა ძლიერ დაგვიღამდება, ოცი ვერსი მეტი გვაქვს კიდევ გასავლელი.

- კარგი ქალი გყოლია, მე და ჩემმა ღმერთმა. ძლიერ

მომეწონა, ლაზათიანი გოგონაა! - უთხრა ლუარსაბმა მართას, როდესაც ლიზა სახლში შებრუნდა მოსამზადებლად. - ღირსია, ღირსი, რომ ვანუგეშოთ, ხალხში გამოვიყვანოთ.

ამ ლაპარაკის დროს ქეთევანი ჩუმად იყო და მხოლოდ იმის გაყვითლებულ პირისახეს უფრო ფერი ჩაუჯიგრდა და მშვენიერ თვალებზე თითქო ნისლი გადაეფარა.

იასონი ჩუმად იდგა კალიასკის გვერდით და პატარა ბავშვივით მოკრძალებით უსმენდა მამას.

ამასობაში ლიზაც გამოვიდა თავისი პატარა ბოხჩით და ალაგი დაიჭირა იასონის გვერდით ეკიპაჟის წინა სკამზე.

მშვენიერი, მყუდრო და ტკბილი საღამო იყო. გზატკეცილზე ჩარდახიანი ურმები შეუწყვეტლივ

მიჭრიალებდნენ და დართული გლეხის ქალნი და რძალნი უკან ფეხით მისდევდნენ ურმებს. ხანდისხან ეკიპაჟებიც გაჰქროლავდა ხოლმე და ცხენოსნებს ხომ ბაწარივით გადაბმული ჰქონდათ თავი ერთმანეთზედ.

თუმცა ჯამბადრუკიანთ ეკიპაჟს ოთხი მშვენიერი ცხენი ნიავივით მიაქროლებდა რკინასავით მოჭედილ გზატკეცილზედ, მაგრამ ალავერდი კარგა მოშორებით იყო ნაციხურალზედ და ძლიერ დაღამდა, როცა ჩვენი მლოცველნი მიუახლოვდნენ ალავერდის ეკლესიას.

გზაში ლიზამ ორჯერ-სამჯერ იგრძნო, რომ ვიღამაც ფეხი-ფეხზე დაადგა და ამ გარემოებამ ძალიან დააღონა; თითქო სინანული დაიწყო, რომ უპატრონო ყმაწვილი ქალი თითქმის უცნობ ხალხს გამოჰყვა; ნიკო ბერიშვილის სიტყვებიც მოაგონდა ლუარსაბის ხასიათის შესახებ და მწუხარებით კინაღამ ცრემლები გადმოჰყარა. ყმაწვილს

ქალს გულმა ფრიალი დაუწყო; ლიზამ მუდარებით შეჰხედა ქეთევანს და იმისმა პატიოსნებითა და სიკეთით სავსე თვალებმაც ნუგეში სცა საცოდავსა და დააშოშმინა.

საოცნებო სახილველი იყო ამ დროს ალავერდის წინ გადაშლილი მინდორი: ეკლესიიდან დაწყებული, გალავნის კარების მარცხნივ და მარჯვნივ, ჩამორიგებული იყო წყობისად გადაჩარდახებული ურმები და მათ წინ დიდი ცეცხლი ენთო; ურმებს შუა, ეკლესიის კარებგასწვრივ, სიგრძეზედ, ორპირად დუქან-ბაზარი იყო გამართული. ამ განიერ გზას მრავალი ფარანი აშუქებდა. ცოტა მოშორებით, იქ, სადაც დაცემული მინდორი ალავერდისა ცოტაოდნად მაღლდება და თითქოს საგანგებოდ გაკეთებულ ტახტსა ჰგავს, აშენებული იყო მწვანე ხის ტოტებითა და ბორდოხით დაფარული დიდრონი ფანჩატურები და მათ წინ გაბმულ თოკზე ჩამოკიდებული იყო სხვადასხვაფერად

აყვავებული ქაღალდის ფარნები. რაღაც საზღაპრო სახილველი ეგონებოდა კაცს ამ დროს ეს არემარე. შორს, შორს ამ ბრწყინვალე სურათის ბოლოს მოსჩანდა სიბნელეში დიდი, ახოვანი, თეთრად განსპეტაკებული ალავერდის წმ. გიორგის ეკლესია, რომლის გალავანშიაც სრული სიჩუმე და მყუდროება სუფევდა. გალავანს გარეთ კი საშინელი ხმაურობა იყო: შარმანკები, ზურნა, დაირა, სტვირი, სიმღერა, ვაჭრების ძახილი, პირუტყვთა ღრიალი ერთად შეერთებულიყო და საოცარი ჟრიამული იდგა.

ეკლესიის კარებთან ჯამბადრუკიანთ მოეგებნენ მღვდელი, ორი პოლიციის ჩაფარი და დიდის პატივისცემით აიწვიეს საუკეთესო სახლში, რომელიც გალავანს ჰქონდა დატანებული. ამ სახლის განიერი და გრძელი აივანიც მთლად გაჩაღებული იყო ფარნებით. კედელთან ჩარიგებულ სკამებზე მრავალი მორთული

ქალი და კაცი ისხდნენ და ჩაის შეექცეოდნენ. ახალ მოსულებს საკუთარი ოთახი დახვდათ მომზადებული, სადაც დილიდგანვე გამოგზავნილ მოსამსახურეებს დაელაგებინათ ბარგი და ვახშმის სამზადისს შესდგომოდნენ კიდეც.

ჩაის შემდეგ ლუარსაბმა სთხოვა ქალებს, ერის დასათვალიერებლად წავიდეთო. ქეთევანმა დიდის ბოდიშის მოხდით უთხრა თავისს ქმარს: ,,მე თავი მტკივა საშინლად, აქ დავრჩები, თქვენ გაისეირნეთ და ამ ქალსაც უჩვენეთ აქაურობა''.

- არა, ბატონო, მე თქვენ თავს არ დაგანებებთ, მეც აქ დავრჩები და აი ფანჯრიდგან გადავიხედავ. აქედგან უფრო კარგად დავათვალიერებ მთელ არემარეს.

- მაშ მეც აღარ წავალ, ვაჟო! - თავისებურის უსულო

ხარხარით სთქვა ლუარსაბმა. - თუკი ქალები არ წამოხვალთ, მე რაა? ალავერდობა ჯერ არ მინახავს თუ? თქვენთვის მინდოდა მეჩვენებინა ჩვენი ჯვაროობა, ბარიშნავ; ამისთანა რამ თქვენს ქართლში ხომ არა გენახებათ რა. სულ რომ ცოტა ვსთქვა, ათი ათასი ურემი აღარ იქნება დღეს მოსული? ეხლა ხალხი უნდა ნახოთ-და! ვის არ შევხვდებით აქ: თუშს, ფშავს, ხევსურს, ინგილოს, დიდოელს, ლეკს, თათარს, ჩერქეზსაც კი. ყველა თავისის ეროვნულის ტანისამოსით და იარაღით არიან დაკაზმული. თავ-თავიანთ ქვეყნების ნაწარმოები აქვთ მოტანილი გასასყიდად: მშვენიერი შალები, ნაბდები, ქუდები, ლეკური, ხმალ-ხანჯლები, საფენი, ზოგს ერბო მოაქვს, ზოგს ყველი, ზოგს მრავალი საქონელი მოუდის, ცხენი, ცხვარი, ძროხა და კამეჩი ხომ აუარებელია გასასყიდი. არა, არა, ქალბატონო, წავიდეთ, გავისეირნოთ. აბა, ახლა აქაური ქალი და კაცი ნახეთ: თქვენებურებივით კი არ დახაშმულან და დაგვალულან.

თქვენზე კი ნუ მიიღებთ, - საზიზღარის ღიმილით უთხრა ლუარსაბმა ლიზას, - თქვენ აქაურებსაც თვალს მოსთხრით სილამაზით და სინარნარით!..

მამის ლაპარაკზე ლიზამ შვილს შეხედა. უნდოდა იმის სახეზედ ამოეკითხა უკმაყოფილება, გაკიცხვა მამის შეუსაბამო ქცევისა. მაგრამ იასონ ჩვეულებრივად, მოკრძალების ღიმილით უსმენდა მამას.

- ჩემის გულისათვის ნუ დაიშლი, შვილო, - ნაზად უთხრა ქეთევანმა ლიზას. - მე აქ ნაცნობ ქალებთან ვისაუბრებ და ვახშამს მოგიმზადებინებთ. ძლიერ კი ნუ დაიგვიანებთ, დაღალულები ვართ.

გულის კანკალით გაჰყვა ლიზა მამას და შვილსა, ყმაწვილი ქალი გაოცებული იყო იასონის ქცევით. იასონი, თელავში ალერსიანი, ტკბილი, მხიარული მოლაპარაკე,

ლიზას არშიყობით გატაცებული, დღეს მამას გვერდით უსიტყვო, უაზრო, ხელშეკრულ მონასა ჰგავდა. მთელი ორი დღე, გუშინ და დღეს, ეძებდა ლიზა იასონის სახეზედ თანხაგრძნობის ერთს ხაზს, ერთს მეგობრულ სიტყვას, მაგრამ იასონი პირმოკუმული იყო და, თუ ხანდისხან შეხედავდა, მხოლოდ მაშინ, როდესაც მამა მოშორებით იყო.

ლუარსაბი დიდის ყურადღებით ათვალიერებინებდა ლიზას ყველაფერს, რაც კი ერობაში შესანიშნავი იყო რამე: სავაჭროს, ხალხის ნაწარმოებს; უხსნიდა აქ მყოფს ხვადასხვა ხალხის ზნე-ჩვეულებას, არკვევდა იმათ ტანთსაცმელის სხვადასხვაობას - თუშის გაქონილ ტყავ-შალის პერანგებს, ფშავების ქალთა ძველის ვერცხლის ფულით გაკეთებულ სამკაულებს, ლეკის ქალების ახალუხ-კაბას, დიდოელების მელურ, ბოროტებით სავსე პირის მეტყველობას და სხვ.

ერის დათვალიერების შემდეგ ლუარსაბმა ლიზა მიიყვანა თავადიშვილების უბანში გაჩაღებულ ფანჩატურებთან. აქ ქალები, დიდის გემოვნებით ჩაცმულები ევროპიული ძვირფასის ტანისამოსით, ფანჩატურის უკანა მხარეზე ჩარიგებულ სკამებზე ისხდნენ. მათ წინ ძირს გაშლილ ქეჩა-ხალიჩაზე მოკეცილები ისხდნენ ქართულად ჩაცმულნი მანდილოსანნი და აქა-იქ ქალებშუა ყმაწვილი კავალრები, ზოგი სერთუკ-პიჯაკებით და ზოგი ჩერქეზულად დაკაზმული. ფანჩატურსგარეთ, ცოტა მოშორებით, საზანდრები დამღეროდნენ თარის სევდიან ნელ-წკრიალა ხმას, ან მედუდუკენი უბერავდნენ ტკბილ დუდუკს და დაირა-ნაღარას გაჰქონდა გუგუნი.

ლუარსაბმა მამობრივის ერთგულებით გააცნო ლიზა ყველას; ლუარსაბის ხათრით ლიზა პირფერად პატივისცემით მიიღეს და გულში კი ყველამ ტუჩი

აუბზუა. ლუარსაბთან გავლაც საკმარისი იყო, იმათის აზრით, რომ ყმაწვილ ქალს სრულებით დაჰკარგოდა სახელიცა და პატიოსნებაც.

ყმაწვილები სიცილით ეუბნებოდნენ იასონს : ,,შე საწყალო, როდემდის უნდა გგლეჯდეს მამაშენი პირიდგან ლუკმას? აი ეგ ლამაზი გოგრუცუნაც მაგას უგდია ხელში! “

- ჰო-და! - ორაზროვანის სიცილით უპასუხებდა იასონი. - მე ეგ ,,მადმოაზელა” თელავის სასტუმროში ვიპოვნე, კარგი ვახშამი მივართვი, გათენებამდე ვებაასე. ერთი სიტყვით, რაღა გაგიგრძელოთ, ძლიერ დავმეგობრდით, მეორე დღეს ჩემის კალიასკით მივაბრძანე ნაციხურამდე, დავაბინავე და პირობა მივეც, ხვალვე გნახავ-მეთქი. წარმოიდგინეთ ჩემი სისულელე! ავიღე და ყველა ეს მამაჩემს ვუამბე. ერთიც ვნახოთ, მეორე დღესავე, დილა-

ადრიან, კალიასკას აბმევინებს. - მამა სად მიხვალ? - ნაციხურალში, დღეს იქაურ სკოლას აკურთხებენ, შენც წამო, დავესწროთ, ვნახოთ რა ამბავი იქნებაო. მე მაშინვე ენაზე ვიკბინე. მაგრამ რაღას გავაწყობდი. წავედით. მამაჩემი მთლად გადაირია მაგის სიმშვენიერით. შინ დავბრუნდით თუ არა, დედაჩემს ჩააცივდა, ალავერდში უნდა წავიდეთო. დედამ ბევრი იუარა, ავად ვარო, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, ფაცაფუცით დილითვე ბარგი გამოგზავნა და ნაშუადღევს კი, ისე უცბად, ამ ქალის კარებზე მიგვიყვანა. ჩააცივდა, უთუოდ ალავერდი უნდა გაჩვენოვო და აი ხედავთ, ჩემს ნაპოვნს მე ახლოც აღარ მაკარებს.

- შეხე, შეხე, ბიჭო, იმ ,,მადმოაზელას'' კი თვალები შენსკენა რჩება. ფიქრი ნუ გაქვს, ბებერი როგორ გაჯობებს. შენ შენებურად პენსნე დაუმიზნე ხოლმე! შორიდანაც გასჭრის შენი თვალები... ხა... ხა... ხა!

- თუ მამაჩემი მოშორდა როგორმე, მაგის მე ვიცი! მაგრამ ცხვრის ქოფაკსავით უგურგურებს, ერთ წამს თვალს არ აშორებს.

გაიმართა ლხინი, ცეკვა. ლიზა შეუფერხებლივ გადადიოდა ერთი კავალრის მხრიდან მეორისაზედ: ქალი ყმაწვილურის აღტაცებით ეძლეოდა მხიარულებას და ვერ ამჩნევდა იმ უწესო ქცევას, რომელსაც მოცეკვავენი ჰკადრულობდნენ იმის შესახებ. მეტადრე იასონი, წაქეზებული ამხანაგების უშვერის ლაზღანდარობით, ხელებს ამტვრევდა ლიზას და რაც ძალი და ღონე ჰქონდა იკრავდა გულზედ.

მრავალ მაყურებელთა შორის ბერიშვილიც უყურებდა ამ ლხინს და მოუთმენლად ცმუკავდა, მრისხანების თვალს ატანდა ყველას, ვინც კი ლიზას კადნიერად თვალს

გაუსწორებდა და გულში ბუტბუტებდა: „უბედური გომბიო, ჩაერია ამ უზნეო, ქარაფშუტა, უსაქმო ლაწირაკებში და დაიღუპა, ნამდვილად დაიღუპა!” მრავალი ქალი თამაშობდა. მრავალ ქალებს ეტრფიალებოდნენ კავალრები, მაგრამ ნიკოს ეგონა, რომ მხოლოდ ლიზას ექცევიან შეუფერებლად, უკანონოდაო; უნდათ ყმაწვილი ქალი დაამცირონ და სახელი გაუტეხონო. ასე ეგონა იმიტომ, რომ პირველსავე დანახვაზედ ნიკომ ლიზა თავისს გულში ჩაისვენა, თავისს სათაყვანებელ ხატად გახადა და ყოველგვარი სითამამე, ღიმილი, ხელის შეხება ამ ხატის შეურაცხყოფად მიაჩნდა და მზად იყო თავისს მცირე, სუსტის ჯანით დაეფარა, დაეცვა ეს ობოლი, უპატრონო, საწყალი მასწავლებელი ქალი.

ყველაზედ მომეტებულად ააშფოთა ნიკო იასონის და იმის ამხანაგების ურცხვმა ბაასმა ლიზას შესახებ.

ყმაწვილი კაცი მთლად აენთო, ხელების მტვრევას მოჰყვა, გულმა ძაგძაგი დაუწყო.

- ოჰ, ბატონო ნიკოლოზ! - დაცინვით უთხრა ლუარსაბმა ბერიშვილს, როდესაც ლხინი დაიშალა და ლიზასთან ხელი-ხელგაყრილი გამობრუნდა: - თქვენც აქა ყოფილხართ?

- დიაღ, აქ გახლავართ! თვალს ვადევნებ, ყურს ვუგდებ, ვსტკბები ჩვენის ვაჟკაცების გმიროობით ყმაწვილი ქალების სახელის შესალახავად.

- რას ჰბოდავ, მამა გიცხონდა, რა ფილოსოფიას ჩმახავ? ბიჭო, სულ ხომ ბუზღუნი არ იქნება, ერთხელ გაიღიმე, ერთხელ ადამიანურად მოიქეცი, ამყოლს აჰყე, დამყოლს დაჰყე, ქვეყანას შენ მიჰბაძე, განა შესაძლებელია, რომ ქვეყანამ შენ მოგბაძოს? - მამაშვილურის დარიგების

კილოთი უთხრა ლუარსაბმა ნიკოს და მხარზე ხელი დაჰკრა.

- არა, მაგრამ გული მტკივა, სისხლი მემღვრევა, როდესაც გალაღებული მაძღარი ბედმძიმე ღატაკს სთელავს, მომავალს უბნელებს... - და ამ სიტყვებთან ერთად ნიკომ ზიზღით შეხედა იასონს, იასონი კი იმ დროს რაღაცას ჩასჩურჩულებდა ლიზას და ისიც იღიმებოდა, ნეტარებას ეძლეოდა.

ლიზა, დაღალულ-დაქანცული, გაუხდელად ამოუჯდა გვერდში ქეთევანს და იმის კალთის მფარველობის ქვეშ ტკბილს, ოცნებით სავსე ძილს მიეცა; მის გარშემო სრული სიჩუმე და მყუდროება სუფევდა, მხოლოდ გალავან გარეთ მთელი ღამე ხმაურობა და ჟრიამული არ შეწყვეტილა; იქ სიცოცხლე სდუღდა და გადმოდიოდა: შეზარხოშებული ვაჟკაცნი მოუსვენრად დაეხეტებოდნენ

ზურნა-დალაბანდით უბან-უბან და დაღალულ მლოცველთ ძილს უფრთხობდნენ, მოსვენებას არ აძლევდნენ. ვაჭარნი გაფაციცებით სწმენდდნენ, ჰფერავდნენ, ჰბერტყავდნენ თავიანთ ფართალს, საუკეთესოს თვალსაჩინოდ აწყობდნენ და დამპალ-დამპალს ქვეშ ალაგებდნენ მყიდველის თვალის ასაბმელად.

მხოლოდ თვით ტაძარი იდგა დადინჯებული, დარბაისლად და მდუმარებით გადმოჰყურებდა ათასობით შეგროვილს ხალხს, ხალხს ვითომდა სალოცავად მოსულს, ის კი არა თუ მაცდურობით სავსეს, დაუწყნარებელს და ხორციელის მღელვარებით გატაცებულს.

ლუარსაბსაც არ ეძინა, მთელს ღამეს აივანზედ იჯდა და შინელში გახვეული ჩიბუხს ეწეოდა. ხანდისხან

მღელვარებით წამოდგებოდა და ბოლთასა სცემდა, ხანდახან გადაეყუდებოდა აივანს და თითქოს სტკბებოდა წინ გაშლილის მშვენიერის სურათით, ხან შუბლზედ ხელს გადაისვამდა და თითქო ცდილობდა თვალიდან მოეშორებინა ის მძლავრი ფიქრები თუ სურვილები, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა. ბოლოს მისი თვალი გაჩერდა დიდებულ, თითქო შუბლშეკრულ ტაძარზედ და თავადმა უნებლიეთ პირჯვარი გადაიწერა, ამოიხვნეშა, დარცხვენილი სკამზედ დაჯდა და კვლავ ჩიბუხი გააბოლა. მაგრამ ვერას გზით ვერ დასძლია თავისი ვნებითა და ჟინით აფორიაქებულ ბუნებას და ისევ ზეზე წამოხტა.

- ჰე, ჰე, ეს რა მემართება, აგერ განთიადია და ძილი არ მეკარება, ნუთუ ეშმაკი ჩემზედ ძლიერია? - ძლიერია, მა რა ჯანაბაა. ის დღეა, რაც ის გონბიო ვნახე და გონება ამერია, სამოც წელში მიხწეულ კაცს ძარღვებში სისხლი

ამიდუღდა, სურვილი აღმეძრა... ეხლა აქ ჩემი ლაწირაკი მეღობება წინ და ეს უფრო მაგიჟებს, იქ ის ვიღაცა დიაკვანი... დიაკვანი... ჰმ, იმას კი გავსრეს, გავანადგურებ... მაგრამ თითონ გოგოა საქმე... რა თვალები აქვს! რა ბაგე! ბაგე თვით უმანკოება... უნდა მოვგლიჯო, უთუოდ უნდა მოვგლიჯო ის უმანკოების ვარდი, ის ტკბილის ცვარით დანამული ვარდი... მაშ მე ლუარსაბი არა ვყოფილვარ და თავზე ქუდი არა მხურებია... ვარდს ვარდებში ვაგორავებ, დიბა-სტავრაში ჩავსვამ, ოქრომკედის გრეხილს შემოვავლებ, ალმასებით ავაბრჭყვიალებ და ქალს სხვა რა უნდა, ისიც ვიღაც კოშკაძის ქალს... სკოლის მასწავლებლობას მალე გასცვლის ფუფუნებაზედ, დიაღ გასცვლის...

სწორედ ამ სიტყვებზედ ლუარსაბის თვალი კიდევ ეკლესიას მიაჩერდა და იქ კედელზედ მიყრდომილი, გულხელდაკრეფილი ნიკო დაინახა და გაფითრდა:

„იქნება ჩემს სახეზედ წაიკითხა ყველა ის, რაც მაღელვებს, რაც მწყურიან? - იქნება, მაგრამ რაო! მაგას, მაგ ბაღლინჯოს, მაგ არა-კაცს უნდა შევუშინდე? ხა, ხა, ხა!” - მძლავრად გადიხარხარა ლუარსაბმა და დაცინვით გადასძახა ნიკოს: - ლოცულობ, ფილოსოფოსო, ლოცულობ? მხოლოდ პირი აღმოსავლეთის მაგივრად ჩრდილოეთისკენ გაქვს მიქცეული.

- დიაღ, ჩრდილოეთისკენ, რადგან ჩრდილოეთს უფრო ესაჭიროება გამჭრიახი თვალი! - მრავალმნიშვნელობით მიუგო ნიკომ და გასწია გალავანის კარებისაკენ.

VII

ცა პირისფრად შეიღება. მზემ ნელ-ნელა იწყო ამოსვლა დაღესტნის მთებზე შემოკრულის ბურუსიდან. ალავერდის არემარემ, მის წინ გაშლილმა ფართო

მინდორმა მზის სხივებზე მხრები შეანძრია, გაიღიმა და განთიადის მოწყალებით ცოტას ხნით შეყურებულმა ხელ-ახლად მძლავრი ხმა ამოიღო: ზურნას ჩაჰბერეს და გაისმა ჩვეულებრივი "საარი", მომღერლებმა ხმა ამოიწმინდეს, მერიქიფემ ყანწი-საღვინე მოიმართა და ლხინი გაჩაღდა; აღებ-მიცემამ, ვაჭრობამ დუღილი დაიწყო.

ალავერდის ტაძრის სამრეკლოდან ზარების რეკვა მოისმა და მლოცველნი სალოცავად მიიწვია. გალავანს მოაწყდა აუარებელი ხალხი და იმის ვიწრო შესავალ კარებში ჭედვისაგან ერთი ალიაქოთი იყო. თვით ფართო გალავანი ზღვასავით ღელავდა და ხალხის ბრბოს ჩოჩქოლი გაჰქონდა. ეკლესიაში ერთგვარის სასოებით ლოცულობდნენ ქრისტიანე ხევსურნი, კახელნი და სხვა მთიულნი და მაჰმადიანნი: ლეკნი და ჩერქეზნი; საწირავიც ერთგვარის გულუხვობით იწირებოდა და

ჭრელ-ჭრელი აბაზიანები ქრისტიანეთა და მაჰმადიანთა ერთ კალთაში გადადიოდა. რამდენიმე მღვდელი ვერ ასწრობდა დაწყალობებას და ფულის კრებას.

ეკლესიის კარის ბჭესთან ხომ მთელი ზღვა იყო შესაწირავებისა: აუარებელი ტყავები ხარებისა, ცხვრებისა, ქადა-ნაზუქი, ხაჭაპური, ცხვრის ბარკლები, ძროხის ბეჭი, ზვარაკი, მამლები ხორა-ხორად იდგა; ზედაშის სავსე საღვინეები ჯარივით იყო გამწკრივებული და სამი მოძღვარი ვერ ასდიოდა კურთხევას შესაწირავებისას. მრავალი დიაკვანი ჰკრებდა ნაძღვნევს და მაინც ვერ ასწრობდა აკრებას; ასობით იცდიდნენ შემომწირველნი და საშინელი წაკვრა-წატანება იყო; ყველანი ცდილობდნენ მოეშორებინათ თავიდან თავისი ვალი და მისცემოდნენ გალავანს გარეთ გამართულს საერთო ლხინს და შვებას.

ეკლესიის ერთ კუნჭულში ქეთევანი იდგა და ხელგაპყრობილი, ცრემლებით სავსე თვალებით, რაღაცას შესთხოვდა ალავერდის სასწაულთ-მომქმედს წმ. გიორგის; იმის პირისახეს ჩვეულებრივი სატანჯველის შეხედულების მაგიერად რაღაცა ზეციური ნუგეში მოჰქონდა და სანატრელ ელფერს სდებდა მის მაღალ ზნეობით გამსჭვალულ ბუნებას. იმის შორიახლოს იდგა იასონი, ოქროს პენსნეთი აღჭურვილი, ქალების ჯგუფს ათვალიერებდა, ლიზა კი მოკუნტული, ფრთებშეკრეჭილ მერცხალივით ლუარსაბს გონებაგაფანტვით უგდებდა ყურს და თითქო ცდილობდა იმის კლანჭებიდან თავის დაღწევას, მაგრამ ამაოდ, ბებერ არშიყს მოთმინება ეკარგებოდა წირვის გაჭიანურებით და ამიტომ ლიზას უთხრა:

- დღევანდელ დღეს წირვის მოსმენა ყოვლად შეუძლებელია, წავიდეთ ერში, აბა, ახლა დღისით ნახეთ,

რა არის „ალავერდობა”; ეს უბრალო თქვენებური ქართლური ჯვარობა კი ნუ გგონიათ, ბაზარია, იარმუკა მთელის დაღესტნის მაზრისა, ფშავ-ხევსურეთის, ლეკ-დიდოელთა, ქიზიყელთა და მრავალთა სხვათა. აქ იკრიბება ყოველი მშრომელი თავისი ნაწარმოების გასასყიდლად და მსყიდველი მთელი წლის საჭირო ავეჯის შესაძენად.

ლიზამ ამ დროს შენიშნა იასონი, რომელიც ნელ-ნელა კარებისკენ მიდიოდა და სიხარულით აასრულა ლუარსაბის სურვილი.

გალავანი ახლა უფრო სავსე იყო, ახლა უფრო გაძნელებულიყო მოძრაობა და ამიტომ ლუარსაბმა მარჯვედ გაუყარა ლიზას მკლავში ხელი და დიდის ვაი-ვაგლახით გალავნიდგან კარში გაიყვანა.

ქალი შეკრთა, დაიფანტა, როდესაც მარტოდმარტო, ხელიხელგაყრილი ამოდენა ხალხში ლუარსაბთან დარჩა, მაგრამ რაღას გააწყობდა; უნებურად გაჰყვა თავისს კავალერს და თან იმედს არა ჰკარგავდა, რომ იპოვიდა თვალიდგან ასხლეტილ იასონს.

ლუარსაბი კი მიდიოდა წინ არხეინად, მაღლა თავაღებული, ამაყი და კმაყოფილი, რომ იასონის დაუზვერავად, მტრის თვალთ მოშორებით, ხელთ ჰყავდა თავისის სურვილის საგანი.

- ხედავ, ჩემო კარგო, ამ აუარებელ ხალხს, ამ სიცოცხლით სავსე ცხოვრებას, ამ მშვენიერ, კეკლუც ბუნებას? განა რომ ღირს კაცმა იცოცხლოს, იდღეგრძელოს, სიამოვნების ფიალა სვას, სვას და გული გაიმეფოს?! გაიხედე, გაღმა დაღესტნის მთებს გაჰხედე, რა დევებივით წამომსხდარან და რა მდიდრულ, დიად ჩარჩოდ

შემოჰკვრიან კახეთის მშვენიერს ველს, რა ეშხით გალობს და მიიმღერის ჩვენი ცელქი, ტკბილ-სასმელი ალაზანი. ჰხედავ ამ მშვენიერს თვალტანადს, მარჯვე მთიელ ბიჭებს, მათის ქალების მდიდარ სამკაულს, მათს ძველებურს, მაგრამ ლამაზ ტანსაცმელს? შეხედე, რამდენი ვაჟკაცობა და სიკეკლუცე აქვთ ამ მოჯირითე ჩერქეზებს, დახე, თითქო ჰაერში ფრინავსო ეგ დალოცვილი, მალხაზი, მარდი, შავარდენის მსგავსი ყმაწვილი, ხან ძირს ახტება თავისი ტაიჭიდგან და ხან ფრინველსავით ზედვე ევლება, ეალერსება, ყელზე ეხვევა, ვით ძვირფასს სატრფოს! ხედავ, მშვენიერო, - თანდათან ხმის დადაბლებით ჩასჩურჩულებდა ტკბილის ხმით ლუარსაბი ლიზას და ცდილობდა თავისის მჭევრმეტყველებით მოეხიბლა, დაეთრო თავისი თანამგზავრი. ლიზაც თანდათან უფრო თანაგრძნობით უგდებდა ყურს გონიერი თავადის ტკბილს, ნიჭით და დაკვირვებით სავსე საუბარს და შეუმჩნევლად მასთან

ერთად გავიდა ერიდან და სოფლის სახლ-კარ-მიდამოებს მიუახლოვდა.

- ძლიერ შორს წავედით, კნიაზო, ხედავთ, სად დაგვრჩა ეკლესია! ხომ ძებნას დაგვიწყებენ, კნეინა ქეთევანი რას იტყვის?

- რაც უნდა სთქვას, ჩვენ რას დავეძებთ? - გატაცებით სთქვა ლუარსაბმა.

- თქვენ, ბატონო, გინდათ ყველას შემაძულოთ... ყველას ჩემი ავი ათქმევინოთ, - და ხელი გამოგლიჯა ქალმა ლუარსაბს, - რას მერჩით? - ტირილის ხმით დაუმატა ლიზამ და გამობრუნდა.

- ლიზა, მშვენიერო ლიზა, რად მწამებ მაგ საშინელს ცილსა? მე მინდა, რომ ყველას შეგაძულო, ყველას ცუდი

ვათქმევინო შენი? ოჰ, პირიქით, მე მსურს, რომ ყველა გათაყვანებდეს, ყველა ისეთივე მონა იყოს შენი, როგორც მე, ჩემო ლამაზო ანგელოზო, სანატრელო, - და ლუარსაბმა ხელი წაატანა გულზე მისაკრავად.

ლიზა შეკრთა და მთლად ცახცახი დააწყებინა.

- რას შვრებით? არა გრცხვენიათ?.. - ძლივს წამოილუღლუღა და სახლისაკენ გაეშურა.

- ლიზა, ქალო! - ქშენით მისდევდა უკან ლუარსაბი და ამშვიდებდა: - რა დაგემართა, რა გეწყინა? განა მე შენი მამა არა ვარ, მამობრივი სიყვარულით არ გეპყრობი? სხვანაირად კი არა ჩამომართვა რა! სირცხვილი, სირცხვილი შენთვის!

ლიზა ახლა უფრო შეკრთა და შერცხვა, არ იცოდა, მართლა

შესცდა, თუ არა. ლუარსაბი იქნება მხოლოდ მამობრივის გრძნობით ჰპატრონობდა, უალერსებდა ისე, როგორც მომავალ სარძლოს, როგორც... ,,მაგრამ არა, გული სხვას მეუბნება, შიში თვალთ მიბნელებს... ზიზღი მახრჩობს... მაგრამ განა შესაძლებელია?.. “ამ აზრებით გზადაბნეულმა ლიზამ უარი აღარ უთხრა ლუარსაბს, როდესაც მან კვლავ ხელი გამოართვა და საჩქაროდ გამობრუნდა ეკლესიისაკენ.

შუადღე კარგად გადასული იყო, ხალხი აშლილიყო ნადიმიდგან, დუქან-ბაზარს ალაგებდნენ, ურმებს აბამდნენ, ცხენებს ჰკაზმავდნენ, ხალხი აპირობდა დაშლას, როდესაც ლუარსაბი და ლიზა მოხუშულის პირისახეებით ეკლესიის გალავანში შემოვიდნენ.

გალავნის დაჩრდილულ მხარეს დიდი სუფრა იყო გაშლილი, მრავალი სტუმარი დასტრიალებდა

მასპინძელს კნეინა ქეთევანს, რომელიც ფრიად აღელვებული შეჰყურებდა გალავნის კარებს; ლუარსაბის მოსვლაზე ერთბაშად სუყველანი ჩაჩუმდნენ, ყველა იქ მყოფს რაღაც საზარელმა ფიქრმა გაურბინა გულში, მაგრამ ლუარსაბის მხიარულმა კისკისმა და მხურვალე ბოდიშის მოხდამ ყველა მალე დაამშვიდა და სუფრას სწრაფად შემოუსხდნენ.

ლიზა თავჩაღუნული, გულსევდიანი სუფრის ბოლოს დაჯდა. დიდხანს იყო ჩაფიქრებული, თუმცა იმას, როგორც ყმაწვილს, ჯერ სრულიად ცხოვრების უცნობს არსებას, კარგად ვერ გამოერკვია, თუ რა არის უბედურება, მაგრამ მაინც მიხვდა, რომ იმის სახელს რაღაც ჩირქი მოეცხო და სევდით გული ევსებოდა; მიხვდა, რომ წამოვიდა აქ, უცხო საზოგადოებაში, უპატრონოდ, უმფარველოდ; თვალები ცრემლებით აევსო და რომ ქვითინი არ დაეწყო, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა.

იმის თვალებმა ჯერ ბერიშვილი გაარჩია, რომელიც სუფრის მეორე ბოლოში იჯდა, და გულმოკლული, მწუხარებით სავსე ლიზას უყურებდა; ლიზა მერე იასონს შეაშტერდა; ეს ყმაწვილი კაცი სწორედ ლიზას პირდაპირ იჯდა და მრისხანე მსაჯულის დაშტერებით ცდილობდა ლიზას დარცხვენის მიზეზი შეეტყო და ჭეშმარიტებით აეხსნა, რა .ამბავი იყო მის თავს; ამ ორთავეს სახემ ლიზა, დამშვიდების მაგივრად, უფრო ააღელვა, უფრო გაუორკეცა ის ნაღველი, რომელიც მის გულსა სწამლავდა: ,,მაშ ლუარსაბის საქციელი გასაკიცხი, უმსგავსი იყო, რომ ეს ყმაწვილები მრისხავენ: ერთი სიბრალულით მეკიდება და მეორე სასტიკად მსჯის'', - გაიფიქრა ყმაწვილმა ქალმა და უფრო ჩაუღრმავდა თავისს ვარამს.

სადილის დაწყებისას სუფრაზედ სრული წესიერება და დაწყნარებული ბაასი იყო სტუმართა შორის; ეკლესიის სიახლოვე ნებას არ აძლევდა ხმამაღალს ლხინს

გაჰყოლოდნენ, სიმღერა, საკრავების დაკვრა დაეწყოთ, მაგრამ ჩინებულმა კახურმა, ლუარსაბის განთქმულმა ,,მაცხონემ'' მალე ააჭიკჭიკა ჯერ ჭაბუკნი, მერე ხნიერთაც ხმა ამოაღებინა და ერთ საათს შემდეგ სრული რევოლუცია მოახდინა; აქა-იქ სიმღერის ხმაც გაისმა, სადღეგრძელოები უფრო გახშირდა, ოხუნჯობამ და კამათმა იმატა, ქალ-ვაჟთ თვალები აუჟუჟუნდათ და ცდილობდნენ ერთი-ერთმანეთს დაახლოვებოდნენ; ზოგმა ალაგი იცვალა, შემთხვევით შეხვედრილი, და სასურველს ალაგს დაჯდა. აქაო და ასეთი არეულობააო, იასონმა მიიქცია ყურადღება ლიზასი და სუფრაზე დანის წვერით დაუწერა: ,,სადილს შემდეგ აღმოსავლეთის კარებთან გელი''.

სადილი დაუბოლოვებელი შეიქმნა, მსმელები ლუარსაბს შემოუსხდნენ, ხნიერი ქალები ქეთევანს მიუახლოვდნენ და ვინც ამ ორ წრეს არ ეკუთვნოდა, ან ვისაც არ უნდოდა,

რომ ჰკუთნებოდა, აქეთ-იქით გაიშალნენ გალავანში; ზოგი ბოლთას სცემდა, ზოგი ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და ბაასობდნენ.

ლიზამ რა წამს თავისუფალი დრო იპოვნა, აღმოსავლეთის კარებისაკენ მიაშურა და გულის ფანცქალით შესდგა. იასონი უკვე იქ იყო და აღელვებით შემოჰყვირა: "მადლობა ღმერთს, რომ გამხადეთ ღირსი თქვენის დანახვისა... მაგრამ, მაგრამ... ეგ გემოვნებაზე ყოფილა დამოკიდებული, ზოგს ასი წლის ბებერი მოსწონს და ყმაწვილს, მისთვის მკვდარს, შეხედვასაც არ აღირსებს!"

- თქვენ ცილსა მწამებთ, ბატონო იასონ; თქვენ თვითონაც არ გჯერათ, მე მგონი, თქვენი სიტყვები. ორი დღეა თქვენ გელით. თქვენს ერთს სიტყვას, ერთს თანაგრძნობის ნიშანს, და თქვენ კი მიმატოვეთ და მართლა ბებერის და

მასთან ულირსის ადამიანის ანაბარას დამაგდეთ... მე კი პატივს ვცემდი, როგორც თქვენს მშობელს... მამას... - ხმის კანკალით ამბობდა ლიზა და თან იასონს მორცხვად, მოწიწებით გაჰყურებდა, სტკბებოდა იმის ღვინისაგან აღელვებულის, ეშხით სავსე პირისახით.

- მაშ, ჩემო მშვენიერო, არ მოგხიბლა მამაჩემის ბაყბაყმა? იმის მაღალ ფარდებში ფრენამ, იმისმა დაჩლუნგებულმა ტრფიალმა? მე კი ეჭვით დავდნი, შურით კინაღამ გადავირიე და, თუ აქ არ მოსულიყავ, ვინ იცის, რა მომექმედნა, ჩემო მშვენიერო! - უფრო ტკბილად გაიმეორა იასონმა და ლიზას ხელი ხელში აიღო და ცოტაოდენის ყოყმანის შემდეგ პირთან მიიტანა და გრძნობით აკოცა. - მაშ სიტყვას მაძლევ, რომ მამაჩემი შენს თავს ვერ წამართმევს? რომ შენი გული მე მეკუთვნის? რომ შენ საუკუნოდ ჩემი იქნები, ჩემი? - გატაცებით ჩასჩურჩულებდა იასონი თავჩაღუნულ,

ცეცხლივით ანთებულ ლიზას.

- შენ, შენ, იასონ? განა მართალს ამბობ? განა სხვა არავინ მოგწონს? - მორცხვად ლუღლუღებდა თავბრუდახვეული ლიზა.

- მომწონს ვინმე მაშინ, როდესაც შენ გხედავ? განა ეგ შესაძლებელია, ჩემო მშვენიერო?! შენი სახე, შენი ძლევამოსილი შავი თვალები პირველ დანახვაზედვე გულს ჩავისახე და ამით ვცოცხლობ მას დღეს აქეთია, რაც პირველად სასტუმროში გნახე, ჩემო ნუგეშო, ანგელოზო, ალვის ხევ! - უფრო და უფრო თავდავიწყებით შესტრფოდა შეზარხოშებული იასონ და ხელს ულმობელად უჭერდა მოჯადოებულს, გულუბრყვილო ლიზას.

ლუარსაბი, თუმცა ჩვეულებრივ ბევრსა სვამდა, ყანწი

ყანწზე გადაჰყავდა ,,მოუკუპრავში'', მაგრამ გუნებაზე კი მაინც ვერ იყო; იმისი ღვინის წყალობით გაწითლებული პირისახე სიამოვნების მაგივრად საშინელის ბრაზით იყო ალანძული: ერთი-ორჯერ კიდეც ადგა ლუარსაბი სუფრიდგან, ვითომდა განკარგულების მოსახდენად, მაგრამ ნამდვილად კი იმისთვის, რომ დაეთვალიერებინა ლიზა და იასონი, რომლების განცალკევება იმის გამჭრიახ თვალს არ გამოჰპარვია. ბოლოს მაინც თავი ვერ შეიმაგრა, ვეღარ მოითმინა და შორიახლო მდგომ ბერიშვილს უთხრა: ,,ნიკო, შენ გაზრდას, წადი, იასონს დაუძახე, უთხარ, უზრდელობაა შენგან სუფრიდან ადგომა მაშინ, როდესაც სტუმრები ისევ სხედან და შეექცევიან-თქო''.

ბერიშვილი პირდაპირ აღმოსავლეთის კარებისაკენ წავიდა, რადგან ამანაც კარგად შენიშნა, საითაც წავიდნენ ლიზა და იასონ და იმისი გულიც ლუარსაბის გულზედ არა ნაკლებ ცახცახებდა და იქით მიისწრაფებოდა. ნიკო

საჩქაროდ მიუახლოვდა მოტრფიალეთ და თავზარდაცემული შესდგა: ლიზა გაბრწყინვალებულის თვალებით ხმატკბილად ეფიცებოდა იასონს: ,,გეფიცები ამ წმინდა ეკლესიას, რომ შენს მეტი ჯერ თვალში არავინ მოსვლია ლიზას და არც მოუვა თავის დღეში, თავის დღეში!..''

- მართლა, მართლა? - აღტაცებით მივარდა იასონ ლიზას ხელს, მაგრამ ბერიშვილმა შეაჩერა:

- კნიაზო, მამათქვენი გიბრძანებთ, - დაცინვით უთხრა იასონს და ლიზას კი უზომო გულისტკივილით და სიბრალულით გადახედა.

ქალი არ შეკრთა, არ დაიბნა, სირცხვილის ალ-მური არ ავარდა მის სახეზედ ამ საყვედურით სავსე შეხედვაზედ; პირიქით, ლიზა თითქო კიდეც ამაყობდა, რომ მოინადირა,

დაიმონა ის რაინდი მშვენიერებისა, რომელიც პირველსავე დანახვაზე გულის მეფად გაიხადა, პირიქით, მზად იყო თავისი ბედნიერება ეუწყებინა ქვეყნისათვის, დაეყვირნა, ბუკი დაეკრა, მოეფინა თავისი გულის ბედნიერების სხივები მთელ ცასა და დედამიწაზედ.

იასონმა კი დარცხვენით წაიდუდუნა: ,,მაშ, მე წავალ'', და ქურდულად, ფეხაკრეფით გაიპარა.

ლიზამ ხმა არც კი გასცა წინ მდგომ განადგურებულს, მიწასთან გასწორებულს ბერიშვილს, თითქო ვერც კი შენიშნა და ეკლესიის კარებისაკენ გაბრუნდა. აქ, კარის ბჭეში, დაიჩოქა და მხურვალე, გულწრფელი ლოცვა დაიწყო: ,,ოჰ, ღმერთო, წმინდაო გიორგი, გმადლობ, გადიდებ, თაყვანსა გცემ იმ უდიდესი ბედნიერებისათვის, რომელიც ეხლა მე მომანიჭე. ოჰ, ეხლა კი ბოლო მოეღება დედიჩემის წანწალს, დღიური

ლუკმისათვის შრომას, დაუსრულებელ ზრუნვას, ჩემი ლიზა შიმშილით არ მოკვდეს, უპატრონო ობოლი არავინ შეურაცხჰყოსო! საწყალი დედა, როგორ გაიხარებს, როგორ თაყვანსა სცემს თავისს მანუგეშებელ მაცხოვარს, ღვთის მშობელ დედას”. აქ ლიზას თვალწინ გაირბინა იმ დაუსრულებელმა სიღარიბემ, შიმშილმა და დაუსრულებელმა მშობლის ცრემლების გუბემ და თვალები ცრემლებით აევსო, ხელები აღაპყრო და ხმამაღლა შეჰღაღადა წმინდა ეკლესიას: „შენ აკმარე გაჭირვებულს, ბედკრუელს, ქვრივ-ობოლს...”

- შენ სტირი, იადონო? სტირი მაშინ, როდესაც მე აქ, შენ ახლო ვარ, მაშინ, როდესაც მზად ვარ თაყვანი ვსცე შენს მშვენიერებას! ადე, მთხოვე, რაც გინდა! სიმდიდრე, მორთულობა, ძვირფასი თვლები, უზომო ფუფუნება, სიყვარული ძლიერი, მწველი! დიაღ, გიჟი ვარ შენთვის, გიჟი! - და თან ამ ცეცხლმფრქვეველ სიტყვებთან ერთად

ვეფხვივით მივარდა ლიზას და ხელში აიტაცა შეუმჩნევლად მოახლოვებულმა ლუარსაბმა.

- მხეცო, უნამუსოვ რას შვრები მაგას? - გველის სისინივით მოესმა ლუარსაბს და ერთს წამს შემდეგ ნიკოს მკლავებით შებოჭილი მიასკდა კედელს.

- შენ!.. შენ ხარ, დიაკვანო? შენა?.. ხა, ხა, ხა! უბედურო! ვის ებრძვი, ვის? ხომ გაგსრისე, გაგანადგურე... შე საზიზღარო ბაღლინჯოვ, ქვემძრომო, არა-კაცო!... - კბილების კრაჭუნით, დორბლების სროლით ცოფობდა კედელზე მიჯაჭვული კნიაზი და სიკაპასით მთლად თრთოდა.

VIII

დაბინდდა, ალავერდის არემარე სულ მთლად

დაცარიელდა. აქა-იქ თითო-ოროლა დაგვიანებული მედუქნეღა ალაგებდა თავისს გაუსყიდლად დარჩენილ ფართალს. გუშინდელი სიცოცხლით სავსე მოძრაობის მაგივრად სრული სიჩუმე და მყუდროება იყო გარშემო; ვრცელი მინდორი იმ გაჩაღებულ ცეცხლის მაგივრად, რომელიც ურმებ წინ ჩამწკრივებულ და დართულ პატარძალთ აღგზნებულ სახეებს აბრწყინვალებდა, დღეს მხოლოდ ნახშირითა და ნაცრის გროვებითღა იყო მოდებული და ეს მყუდროება და სიცარიელე სრულიად არ შეეფერებოდა ბერიშვილის სულის მღელვარებას. ეს ყმაწვილი კაცი, რომელსაც დიდი ცეცხლი ენთო გულში, მოჩვენებასავით დაეხეტებოდა ამ ჩამქრალ ნაცეცხლართა შუა და საშინლად ჰგმინავდა.

- რა ვქნა? რა? - სასოწარკვეთილებით შესდგებოდა ხოლმე და შემდეგ ისევ გაქანებული დარბოდა. ნიკომ კარგად იცოდა, რაც მოჰყვებოდა იმის თავხედობას, იმის

გაბედულს საქციელს: ალაგის დაკარგვა, შიმშილი, წვრილ და-ძმათა დაწიოკება, საყვარელ მოწაფეთა უპატრონოდ დატოვება. ხან თითქო შეძრწუნდებოდა, ნანობდა, რად ავყე ჩემი გულის ძვრასაო, მაგრამ შემდეგ ისევ მზად იყო გაქანებულიყო და ხელახლად მიეკრა ტაძრის კედლებზედ ის ბებერი, აზავებული უნამუსო და შეეფურთხებინა ჭაღარა ურცხვ სახეში.

ვინ იცის, როდემდის და სადამდის ივლიდა თავისის შავბნელ ფიქრებით გატაცებული ნიკო, რომ წესის დამცველად დატოვებულ ჩაფარს არ შეეყენებინა:

- ვინ ხარ? რას დაეხეტები ამ დროს, თუ ავი სული არა ხარ? სად არის შენი ბინა?

- ჩემი ბინა? - გაშტერებით დაეკითხა ბერიშვილი, - რა ვიცი... მაგრამ, ჰო, მართლა, აიქ, სოფელში, გლეხკაცისას

მიბია ცხენი.

- სადაური გლეხკაცისას, ხომ არ გაგიჟდი? მანდეთ ხომ ალაზნის ჭალებია, ვის ატყუებ, ოხერო! - და აქ ჩაფარი უზრდელად წასწვდა კისერში.

- რას მიჰქარავ, გამიშვი! ვერა მხედავ, გზა ამერია, - ახალი გამოფხიზლებულივით სთქვა ნიკომ და სოფლისკენ გამობრუნდა.

- საწყალი, რარიგ გამობრუჟულა! - ცოტაოდენის შურით წაიტუტუნა შიმშილისაგან ფერდი-ფერდს მიკრულმა ჩაფარმა.

მართლაც მთვრალივით გაბრუებული შეჯდა ნიკო ნაქირავებ ბეხრეკზე და ჩაქჩაქით გაუდგა თავისს სოფლის გზას. თავჩაღუნული, ფიქრებში გართული

მიდიოდა ზედ შუა გზაზე და ამის გამო კინაღამ ქვეშ არ მოიტანა გამოქროლებულმა ეტლმა, რომელმაც თავისის ჯავარიანის ოთხის ცხენით ნიავ-ქარივით გამოურბინა გვერდით. ნიკომ მხოლოდ თვალი მოჰკრა ბურუსში გახვეულ მთვარის შუქზე, რომ ეტლის წინა სკამზე, იასონის გვერდით, ლიზა იჯდა მობუზული და რაღაც უცნაურის მუდარებით მისჩერებოდა პირისპირ მჯდომარე ქეთევანის ფერმკრთალ სახეს.

ლიზა, თუმცა დაღალულ-დაქანცული იყო სულითაც და ხორცითაც, მაინც მეორე დღესვე შეუდგა თავისს საქმეს. გულმოდგინედ უჩვენებდა ბავშვებს დიდ დაფაზე დახატულ ასოს და თან ხმამაღლა ამეორებინებდა მთელს კლასს ერთად ამ ასოს სახელს.

კლასში საშინელი ჟრიამული იდგა; ორმოცის ბავშვი ყვირილი ერთად რაღაც ჯოჯოხეთურ ჰანგებს უერთებდა

ლიზას ყურში გამჯდარ ზურნის ხმას და დაღალულ-გაბრუებულ თავს უფრო უბრუებდა, მაგრამ მან მაინც თავისი არ დაიშალა, შუადღემდე არ მოსპო სწავლება და შუადღისას კი, შეგირდების დათხოვნის შემდეგ, გაფითრებული, მოწყვეტილი ყვავილივით დამჭკნარი დაეცა თავისს ლოგინზე და გამოურკვეველ ოცნება-ფიქრს მიეცა.

- შვილო ლიზა, ადექ, რა დაგემართა, რით ვერ დაისვენე? დაღამდა კიდეც. აი ბ-ნი ნიკო მოვიდა, ადე, გახედე, აბა მე რა ველაპარაკო? - ალერსიანად აღვიძებდა მართა თავისს ნებიერს, რომელიც სიყმაწვილეს დაეძლია, შავი ფიქრები გაეფანტა და ღრმა, ტკბილს ძილს მისცემოდა იმისი დაღლილი ბუნება.

- ნიკო?.. იასონი კი არა ? - გულის წუხილით წარმოთქვა ლიზამ.

- რას ამბობ, ქალო! ნეტა რაში გეკნაჭება? ვის გაუგონია ყოველდღე უცხო კაცების თრევა და ან ვინ რას იტყვის! ნეტა ალავერდშიც არ გამეშვი, მთელი სოფელი თურმე აგანგაშებულა, ჯამბადრუკიანთ ამყოლი ქალი ვერაფერი მასწავლებელი იქნებაო.

- მართლა უთქვამთ, დედა, მართლა! - შეჰყვირა ლიზამ და საშინელი ტირილი მორთო. - რად გამიშვი, რადა? განა შენ კი არ უნდა გეფიქრა, განა შენ კი...

- სუ, ქალო, სუ! ხომ გეუბნები ი ყმაწვილია აქა-მეთქი.

გაღებულ კარებიდან სულ ესმოდა ეს საუბარი ნიკოს, რომელიც კლასის ოთახში მოუთმენლად ბოლთასა სცემდა; ყმაწვილმა კაცმა რამდენჯერმე ჩაახველა, მაგრამ ტირილი და ყვედრება მაინც არ შესწყდა.

ბოლოს გამოვიდა ლიზა, თვალებდასიებული ტირილით და ნიკოს გრძნობით ხელი ჩამოართვა; უნდოდა მადლობაც ეთქვა, მაგრამ სიტყვების მაგივრად მდუღარება გადმოსცვივდა. ყელში ქვითინი მოაწვა. ნიკო უნებლიეთ დაიხარა და მოწიწებით, როგორც წმინდანს, მიეტანა სამთხვეველად. ასე ეამბორა ხელზედ.

- ჩემი ძმა ხარ, მეგობარი, მხსნელი! - ტირილით ლუღლუღებდა ლიზა და მზად იყო ძმასავით ყელზედ მოჰხვეოდა. მართა, რომელიც პატარა ხანს უკან შემოვიდა, გაოცებული იდგა და ვერ გაეგო მიზეზი ამათის აღელვებისა.

- ნუთუ ლიზა ამას ირთავს?! - გაუელვა გულში მართას და კინაღამ წაიქცა. - როგორ? ესეც გლეხს, უგვაროს, უსახლკაროს!..

მაგრამ მართას მწუხარება დიდხანს არ გაგრძელდა, ნიკოს შემდეგმა სიტყვებმა მალე დააშოშმინა გული დედისა.

- ლუარსაბი დღეს დილით საჩქაროდ წავიდა ქალაქში; ეს კარგს არას მოასწავებს ჩემთვის: ამ ორ-სამ დღეში გამისტუმრებენ აქედან.

- ქა, რისთვის, შვილო, რა დანაშაულისათვის? ან კნიაზს რა ხელი აქვს შენთან?

ლიზამ საჩქაროდ ანიშნა ნიკოს და იმანაც გადაასხვაფერა საუბარი.

- ისე, საქმე გაგვიჩნდა საერთო და მეც უთუოდ უნდა წავიდე.

- დედა, გენაცვა, ჩაი მოგვიმზადე, მე დღეს ხომ არა მიჭამია რა და შიმშილით გული მიწუხს.

მართას გასვლის უმალ ლიზა მიუახლოვდა ნიკოს და გულმტკივნეულად უთხრა: - დაგითხოვენ სკოლიდან ჩემის გულისათვის! რაღა ვქნა, რა მოვიმოქმედო, რომ ეხლა მე გადაგარჩინო განსაცდელს? ყოვლად შეუძლებელია თქვენი აქედან გაძევება! მერე რისთვის, რისთვის? რა დააშავეთ, ვის შეუძლიან პატიოსნებისათვის კაცი დასაჯოს?!

- ჩემი შველა ყოვლად შეუძლებელია. ლუარსაბი დამითმობს თავისს შეურაცხყოფას? იმის მადლობელიც უნდა ვიყო, რომ ბიჭებს არ მომაკვლეინა ცემით... მაგრამ ამისათვის ნუ სწუხართ, ღმერთი მოწყალეა, ულუკმაპუროდ არ დავრჩები ქვეყანაზე. მე მხოლოდ,

მხოლოდ თქვენი ჯავრი მაქვს, რომ ამ სვავ-ყორნებში უპატრონოდ რჩებით... მე მინდა გთხოვოთ... შეგევედროთ, - კანკალითა და დარცხვენით ამბობდა ნიკო, - დიაღ, შეგევედროთ, რომ ერიდოთ იმათ. ან ეხლავე ეცადეთ სხვაგან გადაყვანას... თუ აქ დარჩით, დაიღუპებით, ლუარსაბს ხუმრობა არ უყვარს... ძალა იქნება, თუ ნება, ის თავისას აასრულებს; ხომ ხედავთ, რარიგად არის გადარეული? რითი შეიკავებთ, ვინ დაგიცავთ იმ ღვთის რისხვისაგან?

- იასონ... დიაღ, იასონი! განა ეხლა ის არ უნდა იყოს ჩემი მფარველი? გუშინ, მე მგონი, გაიგონეთ, რა რიგ მეფიცებოდა: “მიყვარხარო...”

ამ სიტყვებზე მთლად გაწითლდა ლიზა და კიდევ ტირილს მოჰყვა:

- იასონი? იმისი სიტყვები?! ჰო, მაგრამ...

- რა? განა იასონიც გეზიზღებათ, გძულთ? ისიც ავაზაკია? - უკმეხად მიუგო ლიზამ და ტუჩაბრეკილი უკან მიჯდა.

- ნუ მიწყრებით, ბატონო ლიზა, - ალერსით უთხრა ნიკომ. - თქვენ ჯერ გამოუცდელი ბავშვი ხართ და ნება მომეცით გაგაფრთხილოთ, ცოტაოდენად გაგაცნოთ ის, რომელმაც აგრე ადვილად მოინადირა თქვენი გული... ეგ ყმაწვილი იმ კრებულის კაცია, რომლის წევრნიც ყოვლად უსაქმურნი, ამაყნი, გონებაგაუხსნელნი ბრძანდებიან, ამ ვაჟბატონების აზრით, ყოველი ღარიბი იმიტომ არის გაჩენილი, რომ იმათი ლუკმა გახდეს, იმათ ოქროს არ გადურჩეს შეუსყიდველი, დაუძლეველი. პირველი ხომ თქვენ არ იქნებით. ლუარსაბს მთელ ამ მხარეში სახელი აქვს განთქმული, როგორც აბეზარს, ყოველის ოჯახის წამბილწველს, მრავალი რიგიანი დედაკაცის ნამუსის

ამხდელს! შეხედულებით მშვენიერი ვაჟკაცი, შეძლებით ხელგაშლილი, გონებამახვილი, ხელმწიფის სახლში მცველად და ამალის წევრად ნამყოფი და იქ დახელოვნებული ,,დონჟუანობაში'', ლუარსაბი ადვილად იმონებდა დღემდის ყველა მანდილოსნის გულს და დღეს, თუმცა სიბერემ ცოტა არ არის კისერში ჩაუკაკუნა, მაგრამ მაინც ეგ უფრო საშიშია თავისის არშიყობის ხელოვნებით, მანამ იმისი შვილი იასონი, რომელიც, თუმცა პარიჟშია ნამყოფი, განათლება რიგიანი აქვს მიღებული, მაგრამ ბევრში კი ძლიერ ჩამორჩება თავისს ბრწყინვალე მამას. მაშინ, როდესაც გემოგახსნილი მამა ვარჯიშობს მაღალ საზოგადოებაში, შვილი გლეხის გოგოების გაბრიყვებასაც სჯერდება: ჯერ მაგალითი არ ყოფილა, რომ შვილი წინ გადაჰღობებოდეს მამას; იმათ ყოველთვის ბრძოლის მეიდანი განსაზღვრული აქვთ. თქვენ კი ისინი ერთმანეთს შეახვედრეთ და ვეჭვობ, რომ შვილი დარჩეს გამარჯვებული. ვშიშობ, რომ იმათს

ჭიდილში თქვენ არ გაიჭყლიტოთ, თქვენი სახელი არ დაიჩრდილოს... კიდევ ბოდიშს ვიხდი, ბატონო ლიზა, რომ ასე კადნიერად გელაპარაკებით და ვბედავ გაგაფრთხილოთ, მაგრამ ძალა არა მაქვს, დავსძლიო ჩემი თავი... იმ დღიდგან, როდესაც თქვენ ვანიჩკა კუჩერმა გაგიბედათ ურიგო სიტყვა, როდესაც გზაში ბრიყვმა ბაზაზხანელებმა გაკადრეს ოხუნჯობა, ჩემი თავი თქვენს დამცველად... თქვენს...

- ჩემს პატრონად გგონიათ? ბავშვად მიგაჩნივართ? ფეხის ადგმას მიპირობთ? - ახლა კი სრულიად ამრეზილად სთქვა ლიზამ და ფანჯარასთან მივიდა.

ნიკომ ოთახში დაიწყო სიარული. მასწავლებელი ხანდახან შესდგებოდა და შეჰხედავდა ხოლმე გაბუტულ ლიზას, მზად იყო მდუღარებით შეეტირნა, აეხსნა, რომ ჩემი შიში, ჩემი გაფრთხილება მხოლოდ მეგობრობის

ნიშანია, მხოლოდ მოძმის ხელის გამოწვდენაა გაჭირვების დროსაო, მაგრამ ვეღარ გაჰბედა, ენამ უმტყუნა და მხოლოდ გულმა უწყო ჩუხჩუხი.

ლიზა კი ფანჯარასთან იდგა ფიქრებში გართული და თითქო აღარც კი ახსოვდა ბერიშვილის აქ ყოფნა და მისი წრფელი გულის წუხილი.

- მშვიდობით! - უცებ სთქვა ნიკომ და საჩქაროდ გავიდა ოთახიდან.

ლიზა შეკრთა, ერთ წამს რაღაც სულისკვეთება იგრძნო, უნდოდა მოსწეოდა ნიკოს, მეგობრულად ხელი გაეწვდინა, დაჰპირებოდა, გავფრთხილდებიო, წინდახედვით მოვიქცევიო, მაგრამ შუა გზაზე შესდგა, მერე ისევ გაღებულ ფანჯარასთან მივიდა და იქიდან მოუთმენელის მოლოდინით დააშტერდა სკოლის წინ

გაშლილ, მოკრიალებულ შოსეს, რომელიც მთის კალთებისაკენ მიიკლაკნებოდა.

მშვენიერი, ტკბილი საღამო იყო, ერთი იმ საღამოთაგანი, როდესაც დიდის ხნის ჩასული მზე მხოლოდ წითლადღა აფერადებს ცას და შებინდებას რაღაც საიდუმლო მყუდროებას აძლევს. თუმცა სექტემბრის ნახევარს გადასული იყო, მაგრამ კახეთი ისევ მწვანით იყო შემოსილი, აქა-იქ ოდნავ ვაზის ფოთოლს თუ შეჰპაროდა ოქროს მსგავსი სიყვითლე და ისიც მხოლოდ აქა-იქ. აი ბინდის დროსაც კი ისეთი სითბო და სინესტე იყო ჰაერში, რომ ბევრი სხვა მხარე მკათათვეშიაც შეჰნატრებდა ამ ღვთის მოწყალებას.

ნიკო ბერიშვილი, მხარზედ პალტო გადაგდებული, ქუდმოხდილი, შოსეს გასწვრივ ბილიკ-ბილიკ მიდიოდა; მიდიოდა, მაგრამ ფეხქვეშ დედამიწას კი არა ჰგრძნობდა;

იმისი თავი შავის ფიქრებით იყო სავსე და გარემოცული; მშვენიერი ბუნება სიამოვნების მაგივრად ერთი მეორეზედ უფრო საშინელს, უფრო სავალალო სურათებს უყენებდა თვალწინ.

უცებ მყუდრო ჰაერში გაისმა ცხენის ფეხის ხმა და გზაზედ მალე გამოჩნდა მშვენიერი მხედარი, რომელიც მშვენიერს მერანს მოაგოგმანებდა და ტკბილად ღიღინებდა:

ოდეს სატრფოს, შეეყარო,

ვისთვის გიძგერს მარად გული,

თუ რომ ჭეშმარიტად გიყვარს,

ასე უნდა სიყვარული!

ნიკომ მალე იცნო იასონის მიღერებული ტანი, იმისი ბედნიერების ღიმილით მოცული ლამაზი სახე და ამოიოხრა: „ესეც იქ მიდის, იქ, საიდანაც მე გამომაგდეს და სადაც ამას კი გულში ჩაიკვრენ", და პირველად თავისს დღეში, ამ ხალხის შვილს, შეშურდა კეთილშობილთა უპირატესობა. „მუქთა აზნაურთა" ზიზღით მაყურებელი დემოკრატი დღეს პირველად შეჰნატროდა მხოლოდ იმიტომ, რომ საყვარელი არსება ცულლუტი იყო და ზიზილ-პიპილას მეტად აფასებდა, მანამ დამჯდარ ჭკუას და მაღალ სინდისს, უხერხულ და უშნო გვამში დაბუდებულს.

შუაღამე მოტანებული იყო, როდესაც იასონი სკოლიდან გამოვიდა, სახლის კარებში ლიზა სანთლით იდგა და ბედნიერების აღმომეტყველ თვალებით შეჰყურებდა, როდესაც ყმაწვილი კაცი მარდად მოახტა მერანს და

დაბლა თავის დაკვრით უთხრა:

- მაშ, აგრე, ჩემო ბატონო, ლიზა. ხვალ საღამოზედ ცხენებით ვსეირნობთ!

- დიაღ, ბატონო იასონ, თუმცა კი...

- რაღა კი! განა სიტყვა არ მომეცით?

ლიზას მოაგონდა ნიკოს აზრი იასონის შესახებ და ცოტაოდნად შეყოყმანდა, მაგრამ ცხენით სიარული, ეს მუდმივი მისი სანატრელი სიამოვნება, ისე იზიდავდა ყმაწვილის ქალის ოცნებას, რომ წამს შემდეგ მხიარულად ათქმევინა: ,,დიაღ, დიაღ, დიდის მოუთმენლობით მოგელოდებით; მხოლოდ ცხენი დინჯი იყოს, ხომ გითხარით, მე ჯერ ცხენზე ჯდომა არც კი ვიცი''.

- არხეინად ბრძანდებოდეთ, დედაჩემის საჯდომ ცხენს გაახლებთ და მეც ურიგო მეჯინიბობას არ გაგიწევთ... - დიდ მნიშვნელობითა და თავმოწონებით დაუმატა ყმაწვილმა თავადმა.

IX

გავიდა ორი კვირა და ამ ხნის განმავლობაში იასონი და ლიზა ყოველდღე დასეირნობდნენ ცხენებით. მშვენიერი დარი თითქო განგებ უწყობდა ხელს ახალგაზრდა მიჯნურთ; შემოდგომის მზე, სიტკბოებით და სინაზით სავსე, მუდამ თან ახლდა ცხენოსანთ და იმათ ისედაც ბედნიერებით გაბრწყინვალებულ არსებას უფრო ატკბობდა და ანაზებდა.

ბევრჯერ შეხვდა ნიკოს კოშკიკარის მივარდნილ მშვენიერ მიდამოთა შორის ეს სასიამოვნო კავალკადა და

ბევრჯერ გამოიწვია იმის გულში მწვავე შური და გულის კვნესა, მაგრამ რა ექნა? რა შეეძლო? ყოველი ღონისძიება მეტიჩარაობად მიაჩნდა და ცდილობდა მოთმინებით გაეტანა თავი, მაგრამ მისი გულის ვარამი ისე ძლიერი იყო, ლიზას ტრფიალებამ ისე ღრმად გაიდგა ფესვი ნიკოს უმანკო სიყვარულის სურვილით აღსავსე გულში, რომ მოთმინება ტანჯვად, ავადმყოფობად გადაექცა. მეტადრე ის აზრი, ის რწმენა, რომ საყვარელი არსება უთუოდ გაწბილდებოდა, გათახსირდებოდა უშვერის ხელით, ჰკლავდა იმის ბუნებით სუსტს არსებას და არღვევდა მის ჯანმრთელობას.

ორის კვირის შეუწყეეტელმა ტანჯვამ მთლად გამოსცვალა ნიკო, რაღაც მოსიარულე მოჩვენებად გარდააქცია და, როდესაც კვირა დღეს ჩვეულებრივ შეუძღვა ეკლესიში თავისს მოწაფეებს საგალობლად, ეს ცვლილება ყველამ შენიშნა. წირვის შემდეგ ყველანი

თანაგრძნობით დაეკითხნენ ავადმყოფობის მიზეზს. მეტადრე კნ. ქეთევანი მოექცა გულმოდგინედ:

- შვილო ნიკო, რა ამბავია შენს თავს? რატომ არა სწამლობ, ავადმყოფი ხარ, სახეზედ მკვდრის ფერი გადევს!

- ავად არა ვარ, ბატონო ქეთევან! მხოლოდ სულიერად ვიტანჯები და, თუ ნებას მომცემთ, თქვენა გთხოვთ ჩემის შვების წამალს.

- თუკი შემიძლიან რამე, დიდის სიამოვნებით! მე მზად ვარ ყოველი ღონისძიება ვიხმარო შენ გასაკურნად! - ტკბილად მიუგო ქეთევანმა და თანაგრძნობით დაუწყო გამოკითხვა.

ნიკოს გული პირამდე სავსე იყო მწუხარებით და ქეთევანის თანაგრძნობამ აიძულა ეთქვა სრული

აღსარება, გაემჟღავნებინა თავისი სასოწარკვეთილებით სავსე ფიქრი და ეჭვი, გადაეშალა ზღვასავით მღელვარე და მშფოთავი გული უიმედო მიჯნურისა.

- ბატონო ქეთევან, უნდა დაეხმაროთ საცოდავ ქალს, უნდა გადაარჩინოთ დაღუპვას, - მხურვალედ ემუდარებოდა ნიკო ქეთევანს. - ცოტაოდენი ხათრი აქვს თქვენი თქვენს შვილსა, ჩააგონეთ, აუხსენით, რომ საშინელს საქმესა კისრულობს, ჰკლავს, აუწმინდურებს ყმაწვილის ქალის იმ ერთადერთს სამკაულს, რომელსაც უმანკოებას, დედაკაცის სახელის სიწმინდეს ეძახიან. თქვენ შეგიძლიანთ ააცდინოთ ლიზას ის ღვთის რისხვა, რომელიც მოელის. იასონმა არ მოიშალა მისი დაჟინებით ტრფიალი... გუშინ წყლის პირას ისხდნენ, ცალის ხელით აღვირები ეჭირათ და ცალით ერთმანეთის ხელი; ლიზა სულგანაბული ისმენდა ალაზნის ბუტბუტს, იასონი კი აღგზნებული, თავდავიწყებული მარტო ლიზას

გულისცემას უგდებდა ყურსა, ერთი წამი კიდევ და... მაგრამ ჩირგვებში ფაჩუნი მოისმა და ლიზა გამოფხიზლდა, ერთი-ორი ამისთანა შემთხვევა კიდევ და გაჰქრა მომავალი, დატრიალდა უკუღმა ყმაწვილის ქალის ცხოვრების ჩარხი, დაღი დაესვა იმის კეთილს სახელს...

ასე უამბობდა გზა და გზა თავისს გულის ტკივილს, თავისს სულის ავადმყოფობის მიზეზს ნიკო ქეთევანს და თან კანკალებდა, ცრემლები ერეოდა თვალებში. ქეთევანის ჩვეულებრივი ფერმკრთალი, ტანჯული პირისახე მთლად გაფითრდა, მუხლებმა კანკალი დაუწყო, იმისმა დედაკაცურმა ღირსებამ კარგად გაზომა ის საფრთხე, ის უზნეო განზრახვა, რომელშიაც იმისი საყვარელი იასონ შეუბრალებლივ აბამდა საბრალო არსებას და შეძრწუნდა. პატარა ხანს უკან დაბეჯითებით უთხრა ნიკოს: ,,მესმის, მესმის და ვტირი ჩემის შვილისათვის!.. ვეცდები, ყოველ ღონისძიებას ვიხმარ,

რომ უბედურება ავაცილო თავიდგან შენს სატრფოს. ოჰ, თვალებო, რად სჯობნით ყოველთვის დედაკაცის გონებას, რად არჩევინებთ იმას, რაც დამღუპველია და რად ათქმევინებთ უარს იმაზე, რაც შემრგოა და ბედნიერების უტყუარი თავდები", - ამოოხვრით დაუმატა თავისის გამოცდილებით გულდამწვარმა ქეთევანმა და სახლში შევიდა.

ხშირ-ბინდი იყო, ცოტა არ იყოს წამოიღრუბლა კიდეც. მართა დაღონებული უჯდა სამოვარს და მოუთმენლად მოელოდა ლიზას. "რა ვქნა, - ფიქრობდა თავისს გულში, - ხომ არა შეემთხვა რა იმ უბედურს. რაზე ატყდა ასე საშინლად: ყოველდღე ცხენი, ცხენი და ცხენი. სხვა არა იყოს რა, ვინ რას იტყვის, ყმაწვილ კაცთან დაეხეტება ტყესა და ველში; მაგრამ რა ვქნა. ხმა ვეღარ ამომიღია. შენი რა საქმეაო, მე ვიცი და ჩემმა თავმაო, თანაც ალერსს მომიყვება: "დედი, ბედი მიღიმებს და შენ ხელს მიშლიო".

ვინ იცის, ეგებ მართალსაც ამბობს, თუმცა კი ღარიბია, უოჯახო ქალის ბედს...” მართას ფიქრები უცებ შეწყდა, სკოლის აივანზე ფეხის ხმა მოისმა.

- ვაიმე, შვილო! - შეჰკივლა მართამ და ფეხები ძლივს მიათრია კარებამდის, საიდგანაც იასონმა გულზე მიყრდომილი ფერმიხდილი ლიზა შემოიყვანა, ბავშვივით ხელში აყვანილი. მართამ დაიკივლა და წაიჩოქა. გული თითქო შეუჩერდა, ენა ჩაუვარდა.

- ნუ გეშინიან, დედა-ჯან, ნუ, ფეხი მაქვს მხოლოდ ნაღრძობი, უზანგში ჩამრჩა და გადამეგრიხა. მადლობა უთხარ იასონს, - აქ ლიზას ღონემ უღალატა და ცოტას ხნით გული შემოეყარა. მართა საშინელის წიოკებით იცემდა თავ-პირში და გიჟივით იწვევდა ქვეყანას საშველად.

ერთ წამში მთელი სოფელი თავს დაეხვია მასწავლებელს და ვინც კი რა წამალი იცოდა, ყველა ზედ მოახმარა; მარილწყლით უზელდნენ ნაღრძობს, ულოცავდნენ, თბილებს ადებდნენ; ბოლოს სოფლის ჯარა-ექიმი გოგიაც მოიყვანეს. გოგიამ დაშავებული ფეხი გულხმიერად გასინჯა და ღიმილით უთხრა ლიზას: თქვენი სეირნობა ძვირად დაუჯდება თქვენს ბალღებს, ერთ-ორ კვირას ველარ მოისმენენ თქვენს სწავლას.

- რას ამბობ, გოგია? - შეჰყვირა იასონმა. - იქნება ბატონი ლიზა დაკოჭლდეს კიდეც?

- სიკოჭლისა კი ფიქრი არ არის, მაგრამ ცხენზე ჯდომა კი ძნელი იქნება! - ქვეშ-ქვეშურის ღიმილით სთქვა გოგიამ და ლიზას ფეხი მაგრა შეუბოჭა არტაშნებით.

- შვილო იასონ, მოდი ჩემთან. მინდა ძლიერ მძიმე საქმეზე მოგელაპარაკო, - უთხრა ქეთევანმა თავისს შვილს, რომელიც დაღონებული ფანჯარას მიჰყუდებოდა და რაღაცას ღიღინებდა. ისიც მიუახლოვდა საყვარელ დედას და გულმოდგინედ ხელებზე კოცნა დაუწყო.

- რას მეტყვით, დედაჩემო? მამაჩემის ამბავი ხომ არა მოგივიდა რა? ხომ არ გაჯავრებს კიდევ ის ბებერი ცუღლუტი? - ღიმილით ჰკითხა იასონმა დედას.

- შვილო, შენ ღიმილით იხსენიებ მამიშენის ცუღლუტობას, იმ ცუღლუტობას, რომელსაც კაცები სიცოცხლით და თამაშობით ტვირთულობთ და არც ერთს თქვენგანს ფიქრად არ მოუვა, თუ რამდენ ცრემლად უღირს ის ცუღლუტობა დედაკაცს, რამდენ შავს და ბნელ ყოფაში აგდებს; ეგ ცუღლუტობა ბევრჯერ მთელ სიცოცხლესაც უწამლავს, უკარგავს სამუდამოდ ოცნებას,

უხშობს იმედს საუკეთესო მომავლისას. აბა, თუნდ ჩემი სიცოცხლე წარმოიდგინე! რა იყო წინათ და რა არის დღესაც, თუ არ დაუშრობელი ცრემლი და განუწყვეტელი წამება! მამიშენის უზნეობა, რომელსაც შენ და შენთან ათასნი მხოლოდ ცულლუტობას ეძახიან, განუწყვეტელი ჯოჯოხეთის ამგები იყო ჩემთვის მთელი ოცდაათის წლის განმავლობაში და დღეს, თუმცა ჩემ ხორციელ ტანჯვას იმისთანა მწვავი ხასიათი აღარა აქვს, სამაგიეროდ ზნეობრივი ტანჯვა გაორკეცებულია. როგორ! ორმოცდათხუთმეტის წლის მოხუცმა, მთლად გაჭაღარებულმა დარბაისელმა, გონებას არ მოკლებულმა თავადმა ხელი შეახო, არშიყობა დაუწყო თვრამეტის წლის გომბიოს, რომელიც სულით და გულით მოენდო შენს ჭაღარას, შენს დარბაისლობას? - ამის მაყურებელს მე თავზედ ბალანი კიდევ შემრჩეს? გონება, ღირსება არ შემერყეს? განა შეგიძლიან წარმოიდგინო, რა ცეცხლი ენთო ჩემს გულში მაშინ, როდესაც საქვეყნოდ,

მოურიდებლად ალავერდში, ფეხთ გაეშალა მამაშენი იმ გომბიოს? ოჰ, მე ყოველთვის მომთმენი, ჩემის ხვედრის მონა, მზად ვიყავ მაშინ ყელში ვწდომოდი, ლაფი დამესხა გათეთრებულ წვერ-ულვაშზედ, მაგრამ კიდევ იმ გომბიოს სიბრალულმა მომათმენინა. რა შუაში იყო საცოდავი, რა დანაშაული ჰქონდა ქალს იმ ურცხვ საქციელში, რომელიც მამაშენმა მოიქმედა ათასის მტრისა და მოყვარის წინაშე... მაგრამ რაც მამაშენმა დამაკლო, შვილო, ახლა შენ უნდა შემისრულო? ის, რაც ცოლის გულს ნაღვერდალი დააკლდა, ის დედის გულს უნდა დაუმატო? ეხლა, როდესაც დავაჟკაცებული დაგინახე, როდესაც დედის გული შენი სიმშვენიერით და ზნეობის ძალით უნდა გაიფურჩქნოს, ხელახლად აჰყვავდეს, რას მიქადი შენ? შენც იმავე გზით იწყებ სიარულს, რომლითაც მამაშენმა დედამიწასთან გამასწორა? რათ, შვილო? განა სხვა გზა, სხვა საქმე, სხვა უკეთესი ასპარეზი არ არის ვაჟკაცობისათვის, ქალის გულის დამორჩილებისათვის,

მისის შელახვის და წაბილწვის გარდა? აი, მაგალითად, აიღე ეს ღარიბი საცოდაობაში აღზრდილი მღვდლის შვილი, რამდენ კეთილს სთესავს თავისს გარშემო, რამდენ გაჭირვებულს უხელს თვალს, რამდენ გზადაბნეულს უკვლევს კვალს. განა შენ, მდიდარს, ნასწავლს, გულკეთილს და კეთილშობილს უფრო სავსებით არ შეგიძლიან ყოველივე ეს აასრულო? აი მე, ჯანმიხდილი, ნახევარ ცხოვრების გზა გავლილი და ყოველისფრის უსწავლელი დედაკაცი გამოვფხიზლდი და რარიგ ვნუგეშობ, რა სიამოვნების წყაროს ვპოვებ მით, რომ ბერიშვილის სიტყვისამებრ ვეხმარები ღარიბ-ღატაკს, ცოტაოდნად ვშველი ტვირთ-მძიმეთა. განა შენ ჩემი შვილი არა ხარ, განა შენ ჩემი კეთილი, გულუხვი, ლმობიერი იასო არა ხარ? მაშ, მოშორდი საწყალ ქალს, თავი დაანებე. დეე ერგოს იმას, ვინც მზად არის თავი შესწიროს იმას, ენაცვალოს, სალოცავ ხატად გაიხადოს.

- რას ამბობ, დედაჩემო! მე მირჩევ თავი დავანებო ლიზას, რომ მამაჩემმა გაიხაროს? გაოცებული ვარ შენის ლაპარაკით!

- მამაშენმა? ხომ არ გაგიჟდი! მე ნიკოზე გელაპარაკები!

- როგორ! განა ნიკოსაც უყვარს?

- საშინლად, გატაცებით და მასთან წმინდისა და წრფელის სიყვარულით, იმგვარ სიყვარულით, რომელიც ჩვენთვის ძნელი მისანდობია.

- ახლა ლიზასაც დაეკითხე! ხა, ხა, ხა! - გადაიხარხარა იასონმა. - ნიკო და ლიზას გემოვნება სულ შორი-შორს არის. ლიზა, დედაჩემო, თავით-ბოლომდე ესტეტიკაა და ნიკო ბურსა. რა არის იმათ შუა საერთო? გარდა ამისა, დედაჩემო, უნდა გამოგიტყდე, რომ ეხლა გვიანღაა. ლიზა

მე მიყვარს და იმას მე ვუყვარვარ. ნიკომ ეს ყველაფერი კარგად იცის. დღეს იმან თავისის უმსგავსი ქცევით კინაღამ მოჰკლა ლიზა. ბედი იმისი, რომ ქალი განსაცდელში იყო და იმას მივეშველე, თორემ მე იმას იქიდან ცოცხალს გაუშვებდი?!

- როგორ? რა მოხდა? - შეკრთომით დაეკითხა ქეთევან და პირჯვარი გადიწერა, - ნუთუ მოგასწროთ?..

- შოსეზედ ნაბიჯით მოვდიოდი, ლიზას ცხენი ისე ახლო იყო ჩემს ცხენზე, რომ მე უნებლიეთ ხელი გადავხვიე ყმაწვილ ქალს და ისე გაყუჩებულნი, ბედნიერნი მივდიოდით შინ, ერთმანეთს გარეშე ველარას ვხედავდით; ბინდი იყო, მთვარე ღრუბლებს მოეფარა. უცებ ლიზას ცხენი შეფრთხა და თვალის დახამხამებამდე ქალი ცხენზე დაეკიდა, უზანგში ფეხი ჩარჩა, ჩამოვარდნის დროს გადაეგრიხა და გულშეწუხებული

ნაღრძობის ტკივილით, ცოცხალმკვდარი, ძლივს გადმოიღეს უნაგირიდან.

- მერე? ნიკო რა შუაშია? შენა ხარ მიზეზი და სხვას ემუქრები?

- როგორ თუ რა შუაშია! შუაგულ გზაზედ გაწოლილიყო გულაღმა და ვარსკვლავებსა სთვლიდა, ჩვენის ცხენების ფეხის ხმას ყური მოუყრუა და თავისს უგუნურობით კინაღამ ადამიანი შემოიკლა.

- საწყალი ნიკო! ვინ იცის, როგორ იტანჯება ახლა? ქალი, ქალი როგორ არის? თავი როგორ დაანებე? პატრონი ვინა ჰყავს? - გულაღშფოთებული ეკითხებოდა ქეთევან იასონს.

- ეხლა აღარა უშავს რა, გოგიამ შეუკრა ფეხი არტაშნებით

და ტკივილი ცოტათი შეუამდა; ოჰ, რანაირად იტანჯებოდა, დედაჩემო, რომ გენახა, შეგებრალებოდა!

- მაშ გიყვარს? ცოლად შეირთავ? - ამ კითხვაზე ისე დააშტერდა დედა იასონს, თითქო უნდოდა იმის გულის პასუხი სინამდვილით ამოეკითხნა, იმის გრძნობის სიღრმე გაეზომა.

- დიაღ, მიყვარს და მზადა ვარ ცოლად შევირთო, თუ მამა...

- მამა! კიდეც ეგ არის, შე უბედურო, რომ მამაშენზეა დამოკიდებული შენი მომავალი, შენი ყოველი ნაბიჯი, თვით შენი სუნთქვაც და შენ კი იმისთანა საქმეებს ეკიდები, რაზედაც ის თავისს დღეში ხელს არ მოგიმართავს. როგორ გგონია, ლუარსაბ ჯამბადრუკიანი, ის ამაყი, ზვიადი, ამპარტავანი ლუარსაბი, რომელიც

მთელს კახეთში კაცს არ იდრის, რომელიც უბრწყინვალეს გვარიშვილს ცდილობს დაუმოყვრდეს, ნებას მოგცემს ვიღაც უგვარტომო უჩიტელნიცა შეირთო? მერე ის უჩიტელნიცა, რომელიც თითონაც მოუვიდა თვალში; რომლის დასაკუთრებას თავდავიწყებამდე ეტანება?!

- ახლა ქალაქში ის ბევრს სხვასა ნახავს, ბევრზე გაირთობს გულს და სოფლის მასწავლებელი აქ მოსვლამდე კიდევაც გადაავიწყდება.

- ოო, შვილო, შენ ისე კარგად არ იცნობ მამაშენს, როგორც მე. ის ერთხელ წინ გადადგმულს ნაბიჯს უკან თავის დღეში აღარ გადასდგამს. პირიქით, ძლიერ ვშიშობ, რომ იმისი ასე უეცრად ქალაქში გაქცევა უმიზეზო არ იყო. ვინ იცის, რა მოახერხოს, სად გადაიყვანოს ეგ ქალი, ან იქნება შენ გაგაბას სადმე, რომ თავიდან მოგიშოროს; განა არ იცი, დიდი ხანია აპირობს შენს სამსახურში გამწესებას და, აბა,

თუ შეუძლიან რამე, რაღა დღისთვისღა დაზოგავს. მე შენ გითხრა, დიდი გავლენიანი ნათესაობა და მეგობრები არა ჰყავს! თვით მთავარმმართებელს გულითად მეგობრად მიაჩნია. რამდენჯერ უთქვამს მამაშენს, ამპარტავნება ნებას არ მაძლევს, თორემ რა ალაგსაც მინდა, იქ გავმწესდებიო.

- მართალს კი ამბობ, დედაჩემო! უთუოდ იმისთვის გაეჩქარა, რომ თავიდან მომიშოროს და ლიზა ხელიდან გამომგლიჯოს, მაგრამ ტყუილად ეცდება, ლიზა მე იმაზე აღარ გამცვლის, ის სულითაც და ხორცითაც ჩემია და ჩემი იქნება!

- შვილო, კიდევ გაგონებ პატიოსნებას, შენს მოვალეობას! ნუ დაუკარგავ იმ ობოლ გოგოს თავისს შესაფერს, პატიოსნებით სავსე საქმროს და მეგობარს. ნუ დაჰკლავ უდანოდ ნიკოს, იმ საწყალს, ღატაკს ქონებით, მაგრამ

მდიდარს პატიოსნებით და კაცთმოყვარეობით. განა არ ჰხედავ, განა არ ჰგრძნობ იმის სიწმინდეს, იმის მოღვაწეობას, იმის თავგანწირულ შრომას საცოდავ გლეხების დასახმარებლად? განა არ გიყვარს, არ გებრალება? რად ართმევ საცოლეს? რად უკარგავ სასოებას?!

- საკვირველი ადამიანი ხარ, დედაჩემო, შენ ბერიშვილისთვის უფრო ჰზრუნავ, სანამ ჩემთვის, განა მე კი არ მიყვარს, განა მე კი არ დავიტანჯები, რომ სხვას დავუთმო ის, რაც ჩემია? განა ის უფრო სამართლიანი იქნება, რომ ბერიშვილმა მე წამართვას ის, რაც მე უფრო მეკუთვნის სიყვარულის ძალითა? ლიზას მე ვუყვარვარ, მე, და არა ის! განა სიყვარული ნაძალადევი შეიძლება, განა სიყვარულს ვუბრძანებ, ეს არის შენი საფერი და მარტო ეს გიყვარდესო! არა, დედაჩემო, შენ აქ ტყუილად ერევი. დავიცადოთ, იქნება მამაჩემი მლოცავს,

აუცილებელ საქმეს ემორჩილება და ხელს მიმართავს. წინდაწინვე გულს რად მიკლავ?

X

ნიკო ბერიშვილი ლიზას ცხენიდგან ჩამოვარდნის შემდეგ შინ დაბრუნდა. საშინელმა სევდამ და სინანულმა შეიპყრო მისი არსება. რას ვშვრები, გონებას რად ვკარგავ, რის იმედი მაქვს? ვის ეკნაჭება ჩემი მფარველობა, ჩემი ზრუნვა! აი ეხლაც კინაღამ მოვკალ ჩემის უცნაურის გულმხურვალებით. ვითომ გულმხურვალებით?! განა მე რომ არ შემყვარებოდა ლიზა, განა ის ეგოისტური გრძნობა, რომ ის ჩემი უნდა იყოს და არა სხვისა, არ არის მიზეზი, რომ ასე გულმხურვალედ ვიქცევი? დიაღ, დიაღ, კარგად ვგრძნობ, რომ ვძალადობ, მინდა სხვას გამოვგლიჯო ის, რაც მე არ მეკუთვნის, დიაღ, არ მეკუთვნის!! ძლიერ კარგად ვიცი, ძლიერ კარგად ვხედავ

ყველაფერს, მაგრამ უძლური ვარ, უძლური... ძალა არა მაქვს გულიდგან ამოვიგლიჯო ის, რაც ჩემი არ არის და ვითომ ვლიბერალობ, ვითომ მინდა კრავს მგლის კლანჭები ავაცილო, უმანკოება დავიცვა! ოჰ, წუთისოფელო! რად უცარავ კაცს ხელს, რად უვლენ იმისთანა დაბრკოლებას, რომელიც უშლის თავისი კეთილი განზრახვანი აასრულოს? მთელი ორი წელიწადი ვსულდგმულობდი იმითი, რომ ჩემ პატარა მოწაფეებს თვალს ვუხელდი, გულის კანკალით ვეგებებოდი ყოველ იმათ წარჩინებას, ყოველ იმათ წინ წადგმულ ნაბიჯს, შეძლებისდაგვარად არც იმათ მშობლებს ვაკლებდი მცირე დახმარებას, ჩემს სიყვარულს და ძალ-ღონეს ვუზიარებდი ყველას, ვიზედაც კი ხელი მიმიწვდებოდა და ბედნიერი ვიყავ ამ ჩემის კაცურის მოვალეობის აღსრულებით. და ახლა?.. ოჰ, რად შემახვედრე, რად მომივლინე არსება, რომელმაც მთლად შთანთქა ჩემი ვინაობა და თითქმის ჩემს ადამიანურ ღირსებაზედაც

ხელი ამაღებინა... ღმერთო, ღმერთო! მიწინამძღვრე, გამომარკვიე ამ სიბნელიდან...

- ბატონო ნიკო, ბატონო!.. ჩაფარმა თელავიდგან ეს ქაღალდი მოგართვა, - მეგობრულის კილოთი უთხრა კოშკიკარის მამასახლისმა, რომელიც ნიკოს ვაების დროს ღია კარებში იდგა და დიდხანს შესვლას კი ვერა ჰბედავდა.

- ქაღალდი! აბა? უთუოდ ჩემი აქედგან განდევნის ბრძანებაა...

- როგორ თუ განდევნისა? განა ვის შეუძლიან შენი გამოცვლა? მაშ ჩვენ კაცები აღარ ვყოფილვართ, ჩვენ საქმეში ხმა აღარა გვქონია!

- ეჰ, გიორგი! თქვენთვის ვის რა უკითხნია თავისს

დღეში, რომ ეხლა დაგეკითხენ, - ვაებით წამოიკვნესა ნიკომ. - მაგრამ ჯერ ვნახოთ რა ამბავია:

“Прошу немедленно по получении сего приказа передать вверенную вам школу школьному попечителю и выехать в г. Тифлис”. - დიაღ. არ შევცდი, გიორგი, მე აქედან მისტუმრებენ... მისტუმრებენ და ამდენ საქმეს უნდა თავი დავანებო, - ხმის კანკალით სთქვა ნიკომ და, თითქო ძარღვებში მოშლილი ქალიაო, ქვითინით გულზე მიეყრდნო თავზარდაცემულ მამასახლისს.

- როგორა ხარ, ჩემო ძვირფასო? - ალერსით ეუბნებოდა იასონ ლიზას, რომელიც ფერმიხდილი, თვალებჩაცვივნული იჯდა თავისს საწოლზე. - ტკივილები ხომ აღარ გაწუხებს? რა ჰქნა იმ ბრიყვმა, იმ უზრდელმა... რატომ კბილები არ ჩავამტვრიე, არ გავსრისე!

- ნუ ილანძღები, იასონ! ნიკო ეხლა ჩვენზე ძლიერ შორს არის და ვეღარ გვიყურებს, - გულის ტკივილით და თვალებში ცრემლებით თქვა ლიზამ და იასონს გახსნილი პაკეტი მიაწოდა.- წაიკითხე და სწორედ სთქვი შეგიძლიან გაზომო, თვალი ჩააწვდინო იმ გულის სიღრმეს, რომელსაც ნიკო ისე ცხოველად ჰხატავს თავისს წერილში?!

“ბატონო ლიზა! - კითხულობდა იასონი ნიკოს წერილს, - მე ხვალ ადრიან მივალ, ბრძანებისამებრ, ტფილისს. ვტოვებ აქ იმას, რაც საუკეთესო საუნჯეა კაცისათვის - ჩემს გულს (და, ვაიმე, იქნება გონებასაც). ეხლა თქვენ ბედნიერი ხართ და ძნელად წარმოიდგენთ ჩემის უბედურების სიდიდეს, მაგრამ თუ როდესმე გეწვიოთ დაუპატიჟებელი სტუმარი - უბედურება, მომიგონეთ, შემიბრალეთ... მომიკითხეთ, მიბრძანეთ და გიახლებით.

გიახლებით, როგორც ერთგული ლალა, როგორც გულდამწვარი დედა, როგორც სულიერი მოძღვარი და ვეცდები წყლული დაგიმშვიდო, თვალზე ცრემლი მოგწმინდო, შენს გულს თუ არ სიხარული, სითბო და სიმშვიდე მაინც მივანიჭო. დიაღ, ბატონო ლიზა, იცოდეთ და გახსოვდეთ, რომ თქვენ გყავთ მეგობარი, რომელიც დაივიწყებს თავისს მომაკვდინებელს ჭრილობას, თქვენგან მინიჭებულს და მხოლოდ თქვენის ტკივილის დასაამებლადღა იზრუნებს. მაპატიეთ, რომ თქვენს მომავალ უბედურებაზე ვლაპარაკობ ასე დაჟინებით; ეს აზრი ისე მძიმედ მაწევს გულზე, ისეთის სავსებით მეხატება თავისის აუცილებლობით, რომ ვბედავ და გთხოვ, მომიგონო გაჭირვების დროს. ჩემი ადრესი იცით. მამიჩემის სოფელში დავბრუნდები. გაახლებთ რჩეულ წიგნებს, რომლების მოწყალებითაც მე გონება შევიმაგრე. ეცადეთ, შეეჩვიოთ კითხვას. გარწმუნებთ, ეს დიდი ნუგეში იქნება თქვენთვის. მაღალის აზრების კაცებთან

დაახლოვება ხელს არ შეუწყობს იმ უზნეობა-გახრწნილების ზეგავლენას, რომელთა მსხვერპლად გარემოებისა და შემთხვევის წყალობით თქვენ აუცილებლად შეიქმნებით”.

- რას გაჩუმდი, იასონ? რატომ არ მანუგეშებ, ჩემო საყვარელო! რომ იცოდე, რარიგად მომიკლა გული მაგ წერილმა, რანაირად დააბნელა ჩემი ოცნებანი, ჩემი გატაცება... ნიკოს ცრუმორწმუნოება ჩემს მომავალზე მეც თითქმის აუცილებლად მიმაჩნია... ვინ იცის, რითი გათავდება ჩვენი ტრფიალება, ჩვენი შეცოდება... რას მოიტანს გარემოება. შენ რომ ნიკოს ალაგას ყოფილიყავ, ჰპოვებდი ამოდენა ლმობიერებას გულისას? არ გადამაგდებდი, როგორც ჩვარს, გამოუსადეგარ ნივთს? არ მომარიდებდი შენს ბრწყინვალე პირისახეს? მანუგეშებდი? - ჩაცინებით ჰკითხა ლიზამ გაჩუმებულს იასონს.

- რაებს ამბობ, ქალო! რა შავ ფიქრებს მისცემიხარ მაშინ, როდესაც ჩვენი ბედნიერება სიმწიფეში და გაძლიერებაში შედის? მეც დამაღონა ნიკოს წერილმა, მაგრამ მხოლოდ პირად იმის შესახებ, საწყალი, ეხლა კი მებრალება, ეხლა კი მესმის, რა ცეცხლშიც ყოფილა. ნეტა ერთი კიდევ მენახა. რა მიარბენივებდა ისე საჩქაროდ?

- უთუოდ ძალა დაატანეს, თორემ გამოსათხოვებლად მაინც მოვიდოდა, - ამოოხვრით სთქვა ლიზამ.

- ვინ? რა ძალა? რა მოხდა? - გაოცებით ჰკითხა იასონმა.

- როგორ, განა არ გაგიგია, რომ გუშინ ბრძანება მოსვლია, საჩქაროდ დაანებე სკოლას თავი და წამოდიო? ეს სულ მამიშენის ოინებია. ნიკომ ალავერდშივე სთქვა, მე აქ აღარ მაბოგინებენო.

- მერე, მამაჩემს ნიკოსთან საჩხუბარი რა ჰქონდა? გაძევებას რას ერჩოდა?

- მამაშენი წუწკი, მყრალი მოხუცია! - თავდაუჭერლობით წამოიძახა ლიზამ. - იმას უნდოდა ჩემი შერცხვენა და ნიკომ ვაჟკაცურად მომაშურა და სამაგალითოდაც დასაჯა, ურცხვ პირზე ლაფი გადაასხა.

- ჰმ, ეხლა კი მესმის! მაშ დედაჩემი მართალია! უთუოდ იერიშს ახლა ჩემზე მოიტანს, მაგრამ ვნახოთ, რას დამაკლებს.

- ოჰ, იასონ რა მომელის, რა? შესძლებ ჩემს დაცვას, ჩემს შელახულ სახელის აღდგენას?..

- შვილო, გოგია არის, ფეხი უნდა გინახოს, - გააწყვეტინა

მართამ თავისი შემოსვლით ლიზას საუბარი და იასონი გაჭირვებიდგან დაიხსნა.

ლუარსაბ ჯამბადრუკიანი მთელი ოთხი თვე დარჩა ტფილისში. თუმცა იმისი გული გატაცებით მიიწეოდა კახეთს, სადაც იასონის წყალობით ლიზა საფრთხეში ეგულებოდა, მაგრამ, რაკი საქმე დაიწყო, შუა გზაზე აღარ უნდოდა გაჩერება. რაკი ბერიშვილის გაძევება ისე ადვილად და დაუბრკოლებლივ მოახერხა, ეხლა უფრო თამამად შეუდგა იასონის დაბანაკებას. ითხოვა ყველგან, საცა კი თხოვნა შეიძლებოდა და სად არ შეეძლო ლუარსაბს თხოვნა? სად არ იღებდნენ იმას ალერსით და პატივისცემით! ათიოდე ალაგს აუთქვეს იასონის განწესება, მაგრამ ლუარსაბი არჩევანში იყო, უნდოდა არც მწვადი დაეწვა და არც შამფური; თუმცა იასონის გზიდგან ჩამოცლა ძლიერ ეჩქარებოდა ლუარსაბს, მაგრამ ამ სიჩქარეში არც იმას ივიწყებდა, რომ იასონი ჩემი

პირმშო ერთადერთი შვილიაო და ცდილობდა რიგიანი ადგილი ეშოვნა მისთვის.

თავადი მხოლოდ საშობაოდ დაბრუნდა ლეკიკარში და მუყაითად შეუდგა იმის გამოძიებას, თუ რა მოხდა იმის იქ არ ყოფნაში. მაბეზღარნი და შიკრიკნი მალე იპოვა თავისს აუარებელ მოსამსახურეთა შორის და რამდენსამე დღეზე დაწვრილებით შეიტყო იასონისა და ლიზას ამბავი: “ფეხმძიმედაც კი თურმე გახლავთ”, ჩასტუტუნებდა, სხვათა შორის, იასონის ბებერი გამდელი.

- მართლა?!. ოჰ, ეგ საშინელებაა, გადამეტებული თავხედობაა, ეგ... - სიბრაზით და მწუხარებით გალურჯებული წამოხტა ლუარსაბი და შუბლზე ცივი ოფლი მოიწმინდა. - ოჰ, მოიცადონ, ნახვენ, თუ როგორ ჩავაშხამებ, როგორ გავქელავ მე იმათ, როგორ დავარღვევ

მათს უწმინდურს კავშირს, როგორ ბოლოს მოვუღებ იმათს პირუტყვულ ვნებათა ღელვას! - გიჟივით დარბოდა ლუარსაბი ოთახში და დორბლებს ჰყრიდა; ხანდახან თავში ხელებს წაივლებდა და მზად იყო თავი კედლისათვის მიეხლია. - ოჰ, რა ვქენ? რად დავანებე უგუნურს, მხეცს? რატომ არ ვიცოდი, რომ ასე იქნებოდა? მაგრამ ახია, ახია ჩემზე... ოჰ, რომ შემეძლოს, ჩემის ხელით გავგლეჯდი ორთავეს... მაგრამ... რა ვუყო... - ბებერი თინა, კარებთან მიყუჟული, მთლად კანკალებდა; რას მოიფიქრებდა, თუ იმის გაზრდილის "ცულლუტობა" თვით "ცულლუტს" დიდს ბატონს ასე განარისხებდა. - დალოცვილი, - ტუტუნებდა თავის-თავად, - განა ეს პირველია ან შვილისაგან და ან მამისაგან? რა მოეჩვენა, რაზედ გადაირია? რაღა ვქნა, საქმე როგორ გავასწორო? წავალ ქალბატონს შევჩივლებ, ეგების იმან დაამშვიდოს.

ქეთევანი წინდაწინვე გრძნობდა მომავალ ელვა-ჭექას,

მრისხანე ქარ-ცეცხლს, მაგრამ რა ექნა, რა საშუალებისათვის მიემართნა?! ყოველთვის ღვთის განგებაზე დამყარებულმა, ეხლაც ლოცვა-ვედრებას მიჰმართა და გულის წუხილით იწყო ლოდინი აუცილებელის უბედურებისა. მოლოდინიც დიდხანს არ დასჭირდა.

ახალწლის წინა დღეს ლუარსაბმა მოიხმო მზარეული და განკარგულება მისცა, რომ ზეგისთვის მზად ყოფილიყო ყოველივე სანოვაგე, რაც დიდს ნადიმს დასჭირდებოდა. “სამოც სულამდე იქნებიან. გესმის! სუყველაფერი უხვად და გემრიელი უნდა იყოს. მარნის კარებთან რომ დიდი ქვევრია, ის აახდევინე, მინდა ვნახო, ხომ არ გაფუჭებულა წითელი ღვინო. რა ხუმრობაა, ღვინო რომ დამიწუნოს ვინმემ! თელავიდგანაც მოვლენ მთავრობის წარმომადგენელნი, მაზრის უფროსი, მარშალი და სხვ”.

- ყოველიფერი მზად იქნება, შენი ჭირიმე, პირველი ხომ არ არის ჩემთვის დიდი წვეულება, სამოცი კი არა, ჩემო ხელმწიფევ, სამასსაც გასძღოლია თქვენი ნიკოია და ახლა რაღა ღმერთი გაუწყრება, - ტრაბახით სთქვა ნიკოია მზარეულმა და დაბლა თავის დაკვრით გავიდა გარეთ.

ამავე ოთახში ქეთევანიც იჯდა, მაგრამ ლუარსაბმა მზარეულის ბრძანების დროს ცოლს ზედაც არ შეჰხედა, თითქო სტუმრების გამასპინძლებას უმასპინძლოდ ეპირებოდა.

- რა ამბავია? რა მიზეზით აპირობ ნადიმს? - ხმის კანკალით შეეკითხა ქეთევანი ქმარს. - მე კი არ უნდა ვიცოდე, მე კი არ უნდა შევემზადო?

- ახლა ხომ იცი, მოემზადე, ვინ გიშლის, ორი დღე გაქვს წინ და განა შენი სამზადისი მაგაზე ბევრს ხანს

მოითხოვს? - მკვახედ უთხრა ლუარსაბმა ცოლს და გასასვლელად მოემზადა.

- ლუარსაბ, ნუკი გამიწყრები და შენ როგორღაც გუნებაზე ვერა ხარ. სტუმრებს იწვევ, ნადიმს ემზადები და შენ კი ისე ხარ განრისხებული, ისეთი ულმობელი შეხედულება გაქვს, თითქო ეგ სტუმრობა შენთვის ძლიერ შემაძრწუნებელი, ნაძალადევი იყოს.

- იქნება ეგეც არის! ვინ იცის, ვნახოთ.

- რას აპირობ, რას? მითხარი შენი ღვთის გულისათვის, მითხარი, ჩემო ლუარსაბ! ამაზე მეტი აღარ შემიძლიან, გული რაღაც უბედურებას მეუბნება, იასონს რას უპირებ, რად უწყრები? რად დაანებე თავი იმ ოთხ თვეს, თუკი...

- კმარა, კმარა! თუ მე დავანებე თავი, შენ სადღა იყავი?

დედა არა ხარ, ვერ ააცდენდი შენს შვილს ფათერაკს?.. მაგრამ რა, შენ რა მოგეთხოვება! შენ მხოლოდ ილოცე და იწუწუნე... - გულისგამგმირის დაცინვით უთხრა ქეთევანს ლუარსაბმა და ოთახიდგან გავიდა.

XI

ახალწლის მეორე დღეს აუარებელი სტუმარი მოვიდა ჯამბადრუკიანისას. ეკიპაჟი ეკიპაჟს მოსდევდა, ცხენოსანთ ჯგუფი ცსენოსანთ ჯგუფს. სადღესასწაულოდ დართული ქალები ცქრიალით დადიოდნენ დიდ დარბაზში და გაკვირვებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს: “ნეტა რა არის მიზეზი დღევანდელის წვეულებისაო?” თუმცა ლუარსაბის სახლი უჩვეი არ იყო ლხინსა და ნადიმს, მაგრამ სხვა დროს მიზეზი წვეულებისა ან დღეობა იყო რომელიმე ოჯახის წევრისა, ან სოფლის ეკლესიის დღესასწაული, ან სხვა

რამ პატივსადები მიზეზი აძლევდა საბაბს სახლის პატრონს გულუხვ მასპინძლობისას, მაგალითად, იშვიათის, დიდის, ღირსეულის სტუმრის წვევა. დღეს კი რა იყო მიზეზი, არავინ იცოდა.

- იქნება შვილის ნიშნობა ჰქონდეს? ხედავ, "უჩიტელნიცაც" როგორ აღელვებულია, მაგრამ ის რა ფერი აძევს პირისახეზე?

- ეგ ყოვლად შეუძლებელია! ლუარსაბი თავის დღეში მაგის ნებას არ მისცემს თავისს შვილს და, თუ ლიზაც აქ არის დღეს, ეგ მხოლოდ იმისათვის, რომ ბებერს დღეს საარშიყო საგნად ეგ ქალი ჰყავს არჩეული; იქნება მამამ არც კი იცის, მაგის აქ არ ყოფნაში შვილმა როგორ გაიმარჯვა, - ოხუნჯობდნენ ხნიერი ქალები, რომელნიც იასონს დიდ დანაშაულად უთვლიდნენ ვიღაცა გომბიოს უკან დევნას და დიდგვარიანთა შთამომავლობით

წარჩინებულ ქალების უყურადღებობას.

ლიზა მართლაც საშინელ ფერზე იყო; თავისი თავი ამ ბრწყინვალე საზოგადოებაში მეტ ბარგად მიაჩნდა და თან ვერ წარმოედგინა ლუარსაბის თავხედობის შემდეგ ალავერდში, როგორღა შევიძელ აქ მოსვლაო. თავისს თავს განუწყვეტლად ეკითხებოდა: “რად მოველ, რად? მაგრამ გული რაღაცას მეუბნებოდა, მიწვევდა, ცნობის მოყვარეობით ავსებდა ჩემს არსებას: ნეტა რად მიმიწვიეს, რა აზრი აქვს ჩემს აქ ყოფნას! ვითომ აქ იციან ჩემი და იასონის დაახლოვება? ან იქნებ ადვილად დაეთანხმონ თავისი შვილის სურვილს, დღესვე გადაწყვიტონ ჩემი ბედი?.. იასონი კი მარწმუნებს, დედაჩემი ჩემსკენ არისო. ოჰ, ღმერთო, მე კი მთლად მაცახცახებს, მუხლი მეკვეთება, გული საშინლად შემომკვნესის. სამი დღეა იასონი არ მინახავს, ნეტა რა არის მიზეზი, შიშით და ეჭვიანობით მთლად დავილიე,

ყოველი მოთმინება დავკარგე, კინაღამ კაცი არ გავუგზავნე. აი ეხლაც აქ უფრო იმის სანახავად, ამბის გამოსაკითხავად მოველ. მაგრამ როგორ ვნახო, დიდი და პატარა სულ თვალს მადევნებენ. ვინ იცის, მთელს ქვეყანას ჩვენზედ აქვს განგაში! დედაჩემიც საქმეს მიჭირებს, გაფრთხილდი, ხალხის სალაპარაკოდ ნუ იხდი თავსაო. გლეხკაცებიც კი გკიცხავენ და გემუქრებიანო. რა ვქნა, რა ვუყო, თუკი ღონე არა მაქვს, თუკი მხოლოდ ის არის ჩემის ცხოვრების ვარსკვლავი, თუკი უიმისოდ ჩემი სიცოცხლე შეუძლებელია?! ან რად უნდა მოვერიდო, განა ის ჩემი საქმრო არ არის?.. განა ფიცი არა აქვს მოცემული, განა სიყვარული ნებას არ გვაძლევს ერთმანეთს თავს შემოვევლოთ? მაგრამ იასონი სად არის? რატომ არა სჩანს, რატომ არ მომეგება?” - ამ საშინელ ტანჯვაში და თრთოლვაში იყო საწყალი ლიზა, როდესაც ქეთევანმა სტუმრები სასადილო ოთახში მიიწვია.

ვრცელ, კარგად მოწყობილ ოთახში სამპირად იდგა სტოლები, სუფრა მდიდრულად იყო გაშლილი, აუარებელი სასმელ-საჭმელი, ძვირფას ჭურჭელთან შეხამებული, სასიამოვნოდ ჰმოქმედებდა სტუმრებზე. რაც კი შეეხებათ მასპინძლებს, ვერ იტყოდით, რომ სასიამოვნო შეხედულება ჰქონდა მათ დაღვრემილს პირისახეს: მამაც, შვილიც და დედაც ჩვეულებრივის მასპინძლურის მხიარულების მაგიერ, რაღაც ფიქრებით იყვნენ გატაცებულნი და ამათ შემაყურალი სტუმარნი მხიარულების მაგივრად მგლოვიარეებივით გამოიყურებოდნენ. არც ხმა, არც ჩვეულებრივი ქართული სუფრის ღიღინი და სიმღერა, არც მემუსიკეთა საკრავთა ჟღერა, მხოლოდ ყველანი გულიანად შეექცეოდნენ დიდის გემოვნებით მომზადებულ საჭმელებს, ხმა არსაიდგან მოისმოდა, აქა-იქ ჩუმ-ჩუმად თუ იტყოდნენ ერთ-ორ სიტყვას.

შუა სადილზე ლუარსაბმა უბრძანა მოსამსახურეებს მოეტანათ ის ოცი ბოთლი რჩეულის ღვინისა, რომელიც მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევისთვის ჰქონდა ხოლმე შენახული და ღვინის მოტანის უმალ მიჰმართა სტუმრებს: “ბატონებო, უეჭველია, გნებავთ შეიტყოთ დღევანდელი წვეულების მიზეზი და მასთან ჩვენის პირქუშობის, მოწყენილობის მიზეზიც? - ეხლავე მოგახსენებთ: ჩვენი შვილი იასონ, ჩვენი ერთადერთი ნუგეში და ბედნიერება ხვალ დილით მიემგზავრება რუსეთს, სადაც სამსახურში უნდა შევიდეს. რასაკვირველია, ადვილად წარმოიდგენთ ამის გამო ჩვენს ტანჯვას, ჩვენის მწუხარების სიდიადეს... მაგრამ განა არ მოგეხსენებათ, ყმაწვილი კაცი ცხოვრებისათვის უნდა მოემზადოს. გავიდეს, გამოვიდეს, ნახოს ქვეყანა და თითონაც ქვეყანას ეჩვენოს, იასონს შესწევს გვარიშვილობა, სიმდიდრე და თვალტანადობა იმისათვის, რომ საზოგადო ასპარეზზე გამოვიდეს,

სანუკველი ალაგი დაიკავოს. სირცხვილი იქნებოდა ჩემთვის, რომ ხელი არ გამემართნა, გზა არ მიმეცა მისთვის თავის გამოსაჩენად. მე ველოდი და ჩემმა ლოდინმა ტყუილად არ ჩაიარა: იასონი დანიშნულია მაზრის უფროსის თანაშემწედ სტავროპოლში და აი დღეს მე მოგიწვიეთ, რომ გზა დაულოცოთ და იმის სადღეგრძელო დაგვილიოთ”.

- ურა, ურა! გზა მშვიდობისა და წარჩინებისა! - მოისმა ხმამაღალი გრიალი დიდის ხნის სიჩუმით შეწუხებული სტუმართა. - ურა! ურა!

საშინლად იმოქმედა ლუარსაბის სიტყვებმა ორს დედაკაცზე, რომელნიც ერთიმეორის პირდაპირ ისხდნენ: ქეთევანი, გულშეწუხებული, კედელს გადაესვენა, ლიზას კი სახე დაეღრიჯა, თვალები გადმოუბრუნდა და პირდაღებული, ხელებგაშლილი მიაჩერდა იასონს და

თითქო იმისგან მოელოდა პასუხს, აუცილებელ პასუხს მამის გადაწყვეტილებაზე, მაგრამ იასონმა თავი ჩაჰკიდა, უსუსურს მუნჯობას მიეცა. ლიზა მიხვდა, ჩემი საქმე გათავებულიაო და გონებადაკარგული ზეზე წამოხტა: “როგორ?.. რა ბრძანეთ?.. ხვალ უნდა წავიდეს? ხვალ?..” - და აქ ისეთი ხარხარი ასტეხა, რომ შიშის ზარმა მოიცვა მთელი საზოგადოება, ყველანი ფეხზე წამოხტნენ, ყველანი ცდილობდნენ საცოდავის დამშვიდებას, მაგრამ ყოველი ცდა ამაო შეიქნა: ლიზა ხარხარებდა და თან ხელები ემანჭებოდა, პირისახე საშინლად ებრიცებოდა, ეგრიხებოდა; მთელ იმის სხეულს თრთოლა და ცახცახი გაჰქონდა; შემდეგ ტირილს მოჰყვა და ისეთი შესაზარი და გულის გამგმირი იყო ეს სიცილ-ტირილი, ეს საშინელი ისტერიით შეპყრობილი ახალგაზრდა ქალი, რომ ბევრმა ვერ შესძლო ყურება და აქეთ-იქით გაიფანტნენ.

ნახევარ საათის ტანჯვის შემდეგ ლიზა დაშოშმინდა და

თვალებდახუჭული, ღონემიხდილი, მკვდარივით გაჭიმული ჩასდეს ურემში და დედას მიაყენეს კარებზე.

* * *

ნიკო ბერიშვილი ლუარსაბის დაბეზღების შემდეგ სამოსწავლო მთავრობამ სრულიად გამორიცხა მასწავლებელთა რიცხვიდგან; ამგვარად ახალგაზრდა კაცს მოესპო ის გზა მოქმედებისა, რომელიც აძლევდა საზრდოს იმის სულიერს მისწრაფებასა და თან აკმაყოფილებდა იმის მცირე ცხოვრების მოთხოვნილებას. ბერიშვილი იძულებული იყო ხელი აეღო საპედაგოგო ასპარეზზე, იმ ასპარეზზე, რომელიც მის ბუნებას, მის მიდრეკილებას, მის ზნეობრივ პრინციპებს შეესაბამებოდა და რომლისათვისაც მზად იყო მთელი თავისი ძალ-ღონე, მთელი თავისი სიცოცხლე შეეწირა.

მოხუცებული დედ-მამა, წვრილი, აღზრდას მოკლებული და-ძმა მძიმე ტვირთად აწვა ნიკოს სინიდისს და ძალას ატანდა მუშაობისათვის ხელი მიეყო. მაგრამ რა ექნა, რა საქმე დაეწყო? რა საქმისათვის იყო მომზადებული? მაშინ, როდესაც მთელი მისი არსება მიიწევდა საზოგადო საქმის დასახმარებლად, ხალხში ნათელის გასავრცელებლად, ეს ხელშეკრული უსაქმოდ, ცოცხალმკვდარივით მცონარებდა.

ბევრის ფიქრისა და ზნეობრივის ტანჯვის შემდეგ ნიკომ გადასწყვიტა მღვდლობისათვის მოეკიდა ხელი. თუმცა სარწმუნოებრივი გრძნობა ხელს არ უწყობდა ამ დიდსა და წმინდა საქმეს შესდგომოდა, მაგრამ სრულის გულწრფელობით ნუგეშობდა მით, რომ სამაგიეროდ რელიგიურის რწმენისა ჰქონდა მადლი, ზნეობრივი ძალა, ძალა კაცთა სამსახურისა, რომ თამამად შეეძლო მოძღვრების ჯვარი აეღო ხელში და შესდგომოდა ამ მძიმე

საქმეს, ფრიად ვრცელსა და სავალდებულო საქმეს.

ნიკოს აფერხებდა მხოლოდ მეორე აუცილებელი პირობა სულიერის მოძღვრობისა - აუცილებელი შეუღლება ვისთანმე. ეს აზრი მთლად სწამლავდა იმის გულს და გონებას. “როგორ, მაშინ, როდესაც ჩემს გულში საუკუნოდ აღიბეჭდა სახე და სახელი ერთისა, როგორ შევითვისო და შევისისხლხორცო მეორე? ეკლესიის კანონები შემიძლიან აღვასრულო იმ იმედით და რწმენით, რომ ხალხს ვემსახურები, მის სულიერს მოთხოვნილებას საზრდოს ვაძლევ, ქრისტიანობის მაღალ იდეალს ვუქადაგებ, ვასწავლი, მაგრამ ცოლ-ქმრობის მძიმე უღელი როგორ ვზიდო, როდესაც ცოლთან არ მაკავშირებს სიყვარული, ეს ერთადერთი ქვაკუთხედი ცოლ-ქმრობის საიდუმლოებისა?”

ეს მღელვარება და სულის ქეჯნა გაუორკეცდა ნიკო

ბერიშვილს მაშინ, როდესაც მამის სამწყსოს მოახლოებით, სოფელ ლილფარიანში, განთავისუფლდა მღვდლის ალაგი და შესაძლო იყო ნიკოს, როგორც სემინარიაში კურსდასრულებულს, ადვილად მიეღო ის ადგილი. იმ მრევლში ნამყოფს მღვდელს დარჩა მხოლოდ ერთი ქალი და ჩვეულებისამებრ ახლად განწესებულს უთუოდ უნდა შეერთო ცოლად.

- შვილო, ნუ ჰხუჭავ თვალებს კარებზე მომდგარ ბედზე! - ტირილით ემუდარებოდა დედა ნიკოს. - ყველა, შენს მეტი, აღტაცებით მიეგებებოდა მაგ ხვედრს და შენ კი უარს ამბობ! რისთვის? რა გაქვს მიზეზი? სხვა არა იყოს რა, საცოლე მაინც როგორ არ იზიდავს შენს გულს. რა ქალია, რა ზრდილი, რა მშვენიერი, რა ოჯახის პატრონი! ძველისძველად ნაგები და მომართული ოჯახი, ყოველის ღვთის მოწყალებით სავსე და ნაკურთხი!

- თუ ამ შემთხვევას დაჰკარგავ, - უმატებდა მამა მწუხარებით, - ყელს გამოსჭრი შენს თავსაც და შენს წვრილ და-ძმასაც. ხომ მხედავ, გავტყდი, მეტი აღარ შემიძლიან! შენ აღზრდას მოვახმარე მთელი ჩემი ძალ-ღონე, ჩემი ნაწვავ-ნადაგი ორიოდე გროში, იმ იმედით, რომ შემდეგ შენ გეპატრონებინა ოჯახისთვის და შენ კი ისევ კისერზე ...

- ოჰ, კმარა, კმარა, მამაჩემო! - გააწყვეტინა ნიკომ მამას საყვედური და, სასოწარკვეთილებით სავსე, გავარდა გარეთ.

XII

ბნელი, გაზაფხულის სურნელოვანებით გაჟღენთილი საღამო იყო. ნიკო თავჩაღუნული, შავს ფიქრებში წასული და საშინელის ზნეობრივის ბრძოლით წელში მოხრილი,

ბოლთას სცემდა პატარა, ტკბილად მოლუკლუკე რუს პირას. ხანდახან შესდგებოდა, შეჰხედავდა ჩაბნელებულ ცას და ამოიკვნესებდა: “ოჰ, ღმერთო! ძალა მომეც ჩემის ხვედრის ტარებისა, ძალა მომეც, რომ არ დავეცე, არ ვუღალატო ჩემს მოვალეობას, ჩემს კაცურ დანიშნულებას... რა ვქნა, რა ვქნა? ნუთუ შესაძლებელია ყოველივე, რაც იყო, დავივიწყო და ჩვეულებრივს, თელილს გზას გავუდგე? ნუთუ ცხოვრების კომედიას ერთი მსახიობიც მივუმატო? ვეკურთხო, ცოლი შევირთო, სხვის სავსე ოჯახს დავეპატრონო, გავძღე, ვიფუფუნო, ჩავიძინო?.. არა, არა, მე იმდენი ძალა არა მაქვს, რომ წარსული გულიდგან ამოვიგლიჯო... უღონო ვარ... თუმცა მოვალეობა მავალებს, თუმცა სხვა უჩემო, როგორც დედაჩემი ამბობს... მაგრამ არა, არა და არა! ვარჩევ თავი გავინადგურო, სიცოცხლე მოვისპო! “სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი”, სთქვა სახელოვანმა რუსთველმა. მაგრამ რა არის სახელოვანი სიკვდილი?

მეკუთვნის მე თუ არა?”

- ყმაწვილო, აი რაღაც წერილია შენთან, - შეაწყვეტინა ფიქრები ნიკოს რკინიგზის სადგურიდან მოსულმა გლეხმა.

- წერილი ჩემთან? შესაძლებელია? - და თან გულმა ისეთის ძლიერებით შემოჰკვნესა, რომ კინაღამ გადაიქცა. - ნუთუ ლიზა მიხმობს? - ელვასავით გაურბინა თავში. - ნუთუ ის უბედური უკვე მიტოვებულია?..

დიდხანს ატრიალა ნიკომ წერილი ხელში, თითქო წაუკითხავად უნდა გაეგო მისი შინაარსი და თითქო მიხვდა კიდეც, მიხვდა და თვალცრემლიანი, ნელის ნაბიჯით სახლისაკენ წავიდა.

“ბატონო ნიკო! რად გწერ ამ წერილს, მეც თითონ არ ვიცი,

რა უფლება მაქვს თავს შემოგახვიო ის, რაც მე მკლავს, რაც მე თავზარსა მცემს და საფლავის კარამდე მიწვევს? - არავითარი! მაგრამ მაინც ჩემი სული თხოულობს უკანასკნელად მოველაპარაკო, აღსარება ვუთხრა, ჩემი სულის გოდება გავუზიარო ვისმე და ვის, თუ არ ისევ შენ?! ჩემო ნამდვილო მეგობარო, ჩემო ძმაო, ჩემო ერთადერთო ჭირისუფალო! "დამიძახე და მოვალ, მოგივლი, გულს მიგიკრავ, როგორც მშობელი და წყლულს დაგიამებო", - მწერდი შენ უკანასკნელად და ის წერილი ერთადერთი ნათელი წერტილი იყო ჩემს ბნელ, უდროვოდ მოსპობილ ცხოვრებაში".

"ყოველი შენი წინასწარმეტყველება ასრულდა: დავკარგე ის, რის შემდეგაც სიცოცხლე აღარ შეიძლება და, როდესაც შენ ამ წერილს მიიღებ, უბედური ლიზა დედამიწაზე ცოცხალთა შორის აღარც კი იქნება".

“ლუარსაბმა წამართვა საყვარელი, ლუკმა პური და ერთადერთი ნავთსადგური უბედურის ყმაწვილი ქალისათვის ამ წუთისოფელში - მშობელი დედა: მშობელმა ვერ აიტანა თავისის პირმშოს შეურაცხყოფა და თავი ანაცვალა იმის სახელს. მაგრამ დამაგვირგვინებელი ჩემის უბედურებისა კოშკიკარელების საქციელი იყო: ლუარსაბისაგან დახელებულნი თავს დამესხნენ, თავს ლაფი დამასხეს და სკოლის კარი დამიკეტეს.

“ლუარსაბი დაშოშმინდა და, როდესაც განადგურებული მნახა, მიწასთან გასწორებული, ვითომ აყენება მოინდომა, თავისებური ნუგეში მცა, აღმითქვა ყოველგვარი ბედნიერება, ფუფუნება, ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი და ამ ახირებულმა, სიგიჟემდე მისულმა თავხედმა უფრო ამაჩქარებინა ჩემი გადაწყვეტილება - რაც შეიძლება მალე მომესპო შეგინებული სიცოცხლე”.

“იასონი უგზო-უკვლოდ დაიკარგა”.

“ასე, ჩემო ტკბილო მეგობარო, დავრჩი ქვეყნად შერცხვენილი, უარყოფილი, უპატრონო და ზნეობრივ შემუსვრილი. რისთვის-ღა უნდა ვიცოცხლო? იქნება იმისათვის, რომ მე, უბადრუკი, შენს ლმობიერ გულს შემოვეკედლო? - არასოდეს. მშვიდობით. ჩემს გულში ერთი გრძნობაღა დარჩა, გრძნობა უზომო პატივისცემისა შენდამი და ეს პატივისცემა მავალებს, პატიოსნურად გამოვესალმო წუთისოფელს. შენ დიდის შრომით და სიყვარულით შეძენილს წიგნებს გიბრუნებ. ზოგიერთი წავიკითხე, მაგრამ გვიანღა იყო, ნუგეში ჩემისთანათათვის აღარსად არის! მათი მიღება შეგიძლიან საზოგადო ბიბლიოთეკაში, იქ ვტოვებ შენის ადრესით”.

P.S. მართლა, თქვენ სოფელზე ახლო, ს. ლილიფარიანში, სცხოვრობენ თავადნი ამირხანაძეები. თუ შემთხვევა მოგეცეთ გადაეცით, მათი ქალი მართა კოშკაძისა ქალითურთ ისევე ამოშლილი არიან ცხოვრების სიიდგან, როგორც მაგათ ჰყავდათ ამოშლილი თავიანთ გულიდგან. ინუგეშონ, არ ვამტყუნებ. ყოველი დანაშაული დასჯილი უნდა იყოს. ასე ამბობს, მე მგონი, ცხოვრების ფილოსოფია. ლიზა".

- გუშინ თუ გუშინწინ თქვენ მოგაბარათ ვინმემ წიგნები ნიკო ბერიშვილის გადასაცემად? - ამ სიტყვებით მიჰმართა საზოგადო ბიბლიოთეკის მმართველ ქალს ნიკომ.

იმის სიტყვები ისეთი მღელვარებით იყო ნათქვამი, მისი გაწეწილი თმა, დაუბანელი პირისახე და ბელეშად ჩაცმული ტანისამოსი ისეთს სურათს წარმოადგენდა,

რომ ქალს შემცდარი ეგონა, შიშით ფეხზე წამოხტა, უკან-უკან დაიწია და საჩქაროდ მიუგო:

- დიაღ, დიაღ! მე მომაბარა. აი წიგნებიც.

- თითონ ამათი მომტანი რაღა იქნა, ხომ არ იცით? თქვენის ღვთის გულისათვის, მიმასწავლეთ... იქნება გითხრათ თავისი ბინა, თავისი განზრახვა? ნუ დამიმალავთ... რა დაემართა? მითხარით...

- დაბრძანდით, ბატონო, დამშვიდდით! ნუ ჰღელავთ აგრე. აი წყალი ჩაყლაპეთ, - ლმობიერად ამშვიდებდა ქალი მთლად ათრთოლებულ ნიკოს.

- არ შემიძლიან, უნდა მოვძებნო! ვაითუ დავიგვიანე და რაღა ვქნა? რაღა? - დაფანტულივით გაიძახოდა ნიკო.

- დამშვიდდით, დამშვიდდით, მე შემიძლიან გასწავლოთ იმისი ბინა, მხოლოდ დამშვიდდით, გული გაიმაგრეთ.

- მოკვდა, მოკვდა? - ისეთის ხმით შეჰკივლა ნიკომ, რომ კაცს ეგონებოდა, სულიც თან ამოატანაო, და ფერმიხდილი დაეცა სკამზე.

- ნუ გეშინიანთ, ცოცხალია, - საჩქაროდ მიატანა ყმაწვილმა ქალმა, - გამაგრდით, ღონე მოიკრიბეთ, იმედს ნუ ჰკარგავთ. იმას მხოლოდ პატრონი უჭირს და თქვენ კაი დროს მიეპატრონეთ.

- მადლობა ღმერთს, მადლობა ჩემს გამჩენს! - შვებით ამოისუნთქა ნიკომ და ოცდაოთხის საათის განმავლობაში, ლიზას წერილის მიღების შემდეგ, პირველად მოვიდა გონს და ტანსაცმელზე დაიხედა: გახუნებული, ლაქებით სავსე პიჯაკი, ჭუჭყიანი პერანგი,

მტვრით სავსე ქუდი, ტალახით მოსვრილი ჩექმები ვერაფრად იამა და სირცხვილის ალმურმა გადაჰკრა.

- გუშინღამ ლიზას წერილი მივიღე და, როგორც ვიყავ, ისე გავვარდი სადგურზე; მე მგონი, ტალახი იყო, მთლად ამოვსვრილვარ, - ბოდიშის მოხდით უთხრა ნიკომ ქალს და თან სთხოვა მალე ეცნობებინა ლიზას ბინა.

- ლიზა კოშკაძისა ჩემთან სწავლობდა ზავედენიაში. დიდი ხანი არ მენახა, გუშინწინ შემოვიდა ბიბლიოთეკაში და თქვენი წიგნები მოიტანა; ისე აღელვებული იყო, ისე არეულად ლაპარაკობდა, ისე ჩქარობდა და მოუსვენრად მოძრაობდა, რომ ძალიან გამაკვირვა, მაგრამ მინამ გამოვკითხავდი რასმე, საჩქაროდ გავიდა. გამოვუდექი, მინდოდა დამებრუნებინა, დამემშვიდებინა, მაგრამ უკანაც არ მოიხედა. მეორე დღეს გაზეთში პოლიციის ცნობათა

შორის ამოვიკითხე: “გუშინ, საღამოს ჟამს, მტკვრის ხიდიდგან წყალში გადავარდა ყმაწვილი ქალი, მაგრამ მენავეები ყოჩაღად მოიქცნენ და დარჩობას გადაარჩინესო”. მე მაშინვე საავადმყოფოსაკენ გავექანე. გულმა მიგრძნო, რომ წყალში გადავარდნილი უთუოდ ლიზა იქნებოდა და არც მოვსტყუვდი. თვალებდახუჭული, გაჭიმული იწვა საავადმყოფოს საწოლზე და მოუსვენრად სუნთქავდა. ხელი შევახე, ოდნავ გაახილა თვალები და ისევ მალე დაჰხუჭა. უთუოდ მიცნო, ხმა კი არ გამცა და დახუჭულ თვალებიდგან ორი დიდი ცრემლი გადმოვარდა და მარგალიტივით გაფითრულ ლოყებზე ჩამოგორდა.

- ლიზა, მითხარი რამე? რა გიშველო, რა გინდა, ვინ გინდა ნახო? სად არიან შენი პატრონები, დედა? - ჩავეკითხე გულის წუხილით. იმან მხოლოდ ოდნავ თავი გააქნია და მდუღარების ნაკადულმა მოუმატა დენას იმის

ფერმკრთალ პირისახეზე.

- საშიშოა იმისი მდგომარეობა? ექიმები რას ამბობენ? - გაფითრებით დაეკითხა ნიკო ქალს.

- არა, ამბობენ, რამდენისამე დღის შემდეგ სრულიად განთავისუფლდება, თუ ზნეობრივ დამშვიდდებაო...

- საწყალი, საწყალი მსხვერპლი უგუნურებისა! - მწუხარებით ამოიკვნესა ნიკომ, მღელვარება ვეღარ შეიკავა და ტირილი დაიწყო. დიდხანს ქვითინებდა და ამის ქვითინი შესაზარი იყო: დიდის ხნით შეკავებულმა გულის ბალღამმა პირი გაიხსნა და ნაკადულად გადმოსკდა.

- დამშვიდდით, ბატონო, დამშვიდდით, - ეხვეწებოდა ბიბლიოთეკის მცველი ქალი ნიკოს, - თქვენი დამშვიდება

და პატრონობა საჭიროა ლიზასთვის!

- დიაღ, მე მრცხვენიან ჩემის სისუსტისა, მაგრამ დავიღალე, ვეღარ შევძელ... მაპატიეთ, - მადლობით ხელი ჩამოართვა ნიკომ ქალს და საჩქაროდ გამოვიდა ბიბლიოთეკიდგან.

ეპილოგი

(იასონის წერილი დედასთან)

“დედაჩემო, რომ იცოდე, რარიგად დამარცხებულია ჩემი თავმოყვარეობა, რარიგად დასჯილია ჩემი სიყმაწვილის დანაშაული? ვიცი, რომ შენ ყველაზე სასტიკი მსაჯული ხარ ჩემი და სამართლიანად დაინახავ ჩემს სასჯელს, მაგრამ ვის გავუზიარო შენს მეტს, ვის ვუთხრა ის, რამაც ჩემი წარსული ჩემსავე თვალში ზიზღით აავსო და შავი

და ბნელი მიაყენა!

“ათის წლის რუსეთში განდევნის შემდეგ, მამაჩემის მოწყალებით ძლივს მეღირსა საქართველოში დაბრუნება და ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ვფიქრობდი, რაკი ქართლამდის მივაღწიე, ჩემს საყვარელ კახეთამდინაც დიდი მანძილი აღარ დამრჩენია-მეთქი და მალე ჩემს დედა-ქალაქში გავიმართავ სამფლობელოს მაზრის უფროსისას-მეთქი. ეს იყო ჩემი სატრფიალო აზრი, ამაზე ზევით არ მიდიოდა ჩემის დიდების სურვილი, მაგრამ ერთმა გარემოებამ სულ თავზე ბალანი ამიშალა და იმ ფუჭს, ზიზილ-პიპილებით შემკულ ხარისხს სრულიად ფერი დაუკარგა.

“მე სულ ორის თვის გამწესებული არ ვიყავ აქ მაზრის მმართველად, როდესაც ჩემის მთავრობისაგან წერილი მივიღე; წერილი კერძო იყო და მიბრძანებდნენ: “გთხოვთ

საიდუმლოდ, არაოფიციალურად გამოიძიოთ და ნამდვილად შეიტყოთ, თუ რა ამბავია სოფელ ლილიფარიანშიო”. მე ეს მონდობილება საჩქაროდ ავასრულე, გავიმძღვარე წინ ამ სოფლის მცოდნე პოლიციის მოხელე და ერთ კვირა დღეს მივედი ლილიფარიანის მამასახლისთან.

“არ შემიძლიან დაწვრილებით არ გაუწყო ამ სოფლის გარემოება, რადგან ყოველი კუთხე, ყოველი ქვა-ქვაზედ დადებული შენობა, გზა-კვალი, წყალი, ეკლესია ზედ ატარებენ იმათს ზედგავლენას, რომელთ მოქმედებაც მე უნდა გამეცნო და, როგორც დამნაშავენი, უნდა გამემხილებინა.

“როგორც გითხარ, კვირადღე იყო. შემოდგომის მზე ტკბილად ანათებდა დედამიწას, ახლად ამოსული ჯეჯილები გზის ორივე მხარეს მშვენივრად ბიბინებდნენ;

არც ერთი ცოცხალი ქმნილება, არც ერთი მგზავრი არ მოჩანდა დიდ მინდორზე, ცაც და დედამიწაც გაყუჩებული იყო, სრულიად განსვენებას მისცემოდა ბუნება. უნებლიეთ მეც დამიმორჩილა ამ თბილმა, ნათელმა, მყუდრო გარემოებამ და ოცნებას მივეცი და ვერ შევნიშნე, თუ როგორ მივუახლოვდი სოფელს. ათი საათი იქნებოდა, როდესაც ლილიფარიანში მიველ და გაკვირვებული დავრჩი მისის გარეგნობით: არსად, გარდა საზღვარგარეთისა, არ შევხვედრივარ ამისთანა სუფთა და კოპწია სოფელს; ორპირად ჩამომწკრივებულს სოფლის სახლებს, გზის აქეთ-იქით, წინ ორიოდ-სამი ხე უმშვენებდა ეზოებს, რაც საქართველოში იშვიათია და ქართლში ხომ სანთლით არ მოიძებნება. თვით გზა გატკეცილი იყო და ორთავე მხრივ ღრმად ამოჭრილ არხებში ანკარა რუები მოუდიოდა. სოფელი მთლად ცარიელი იყო. მამასახლისის სახლის კარები გადმორაზული დამხვდა, სოფელში ჭაჭანებად არავინ

მოსჩანდა. აქეთ-იქით მივიხედე და ერთ სახლის წინ დავინახე ერთი მოკუნტული ბებერი დედაკაცი, რომელიც მზის სხივებზე გვერდებს ითბობდა და თან პატარა ბავშვების თამაშობას თვალ-ყურს ადევნებდა.

- დედი, - დავეკითხე იმას, - რად აყრილა მთელი სოფელი? ნუთუ შენს მეტი მცხოვრები არავინ არის ამ სოფელში?

- ააა? - წაილუღლუღა ძალზე დაყრუებულმა ბებერმა.

- ხალხი სად არის? მამასახლისი? - დავიყვირე მე და ცოტა არ იყოს "ნაჩალნიკური" გული ყელში მომებჯინა, რომ ჩვეულებრივ გლეხკაცობა არ მომეგება.

- ხალხი? მამასახლისი? საყდარში, შვილო, საყდარში! კვირა დღეს სხვაგან სად იქნებიან. საყდარში არიან ყველანი, დღეს ნიკოლოზ მღვდელი ქადაგებას იტყვის და

ყველანი იქ არიან. მარტო მე ბედკრული დავრჩი შინ, ყრუ ვარ და ბავშვები მომაბარეს.

“ჩაფარი მაშინვე დაფაცურდა, უნდოდა გაქცეულიყო საყდრისკენ და მათრახით მოელალა ჩემ თაყვანის საცემად უგუნური გლეხკაცობა, მაგრამ მე შევაყენე. რაღაცა ჩემებურმა თავაზიანობამ შემიპყრო და თითონ გავწიე ეკლესიისაკენ, რომელიც მაღლა ფერდობზე მდებარეობს და ძირს მის კალთებს ქვეშ გაშლილს სოფელს გადმოჰყურებს, თითქო მფარველობას უწევსო. ეკლესიაში შეველ და იქვე კარებთან სვეტს ამოვეფარე. საყდარი სავსე იყო სადღესასწაულოდ ჩაცმულ გლეხკაცობით. ტრაპეზის წინ პატარა, გამხდარი, ოდნავ ჭაღარაშერთული მღვდელი იდგა და აღტაცებით უხსნიდა გატაცებულ მსმენელთ იმას, თუ რა არის ქრისტეს უდიდესი მცნება: “შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი”.

“მქადაგებელის პაწია თვალები ისეთის ცეცხლით იყო სავსე, მისი ლამაზი კი არა, მაგრამ მარილიანი სახე, ისეთის გრძნობით იყო აღზნებული, მის ტკბილს, მუსიკალურს ხმას ისეთის ლმობიერებით სავსე ძალა ჰქონდა, რომ მეც კი დამიმორჩილა, გულის სიღრმემდი ჩამწვდა და იქ რაღაც მიძინებული, დიდის ხნის უქმობით დაჩლუნგებული რელიგიური გულწრფელობა გამიღვიძა.

“ქადაგება გათავდა და ეკლესიის ჩარდაგიდგან მოისმა მშვენიერი მწყობრი, ანგელოზებრივ გალობა. მლოცველთ მოწიწებით მუხლი მოიყარეს და სასოებით სავსე თვალნი მიაპყრეს აღსავლის კარებს, საიდგანაც მღვდელი და მთავარი ბარძიმ-ფეშხუმით გამოდიოდნენ. მე გაოცებული ვიყავი. ვინ ასწავლა ქართველ კაცს ლოცვა, რა მანქანებამ დაუბრუნა ეკლესიას? - იცი, ვინ იყო ის კურთხეული მოძღვარი, ის სულიერი მამა, ის

ლმობიერების გამღვიძებელი ქართველ გლეხის დიდი ხნით ლოცვას გადაჩვეულ გულში? - ის იყო ჩვენი ძველი ნაცნობი, შენი საყვარელი და ნაქები ნიკო ბერიშვილი. და აი იმან აქ, ეკლესიაში, თავისი ძლიერებით პირველად დამამარცხა და თვალი გადამავლებინა ჩემს წარსულზე.

“მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო ამ გაოცებისა და სახტად დარჩენისა, რაც მე შემდეგ ვნახე.

“წირვა გამოვიდა, ხალხი ჩუმად, წყნარად, ფიქრაღბეჭდილი სახით ნელ-ნელა გამოდიოდა საყდრიდგან და სოფლისაკენ მიემართებოდა. ეკლესიის სვეტს უფრო გაფრთხილებით მოვეფარე, რომ ჩემი მუნდირით და ჩემის ხარისხით არ დამეროღვია საზოგადო მყუდროება და მხოლოდ ერთის საათის შემდეგ წირვის გამოსვლისა მამასახლისის თანამგზავრობით მივედი ბერიშვილთან.

“ბერიშვილი სდგას, დედაჩემო, იმისთანა სასახლეში, რომელთანაც ჩვენი ნაქები დარბაზები თაგვის სოროებად გეჩვენება. მაგრამ კი არ იფიქრო, რომ ის სასახლეს გაედიდკაცებინოს, სიმდიდრესა და ფუფუნებას შეეპყრას! არა. ეს ისევ ის ნიკოა და ისევ ის ტყავი ასხია. თავდაბალი, სადა, ზრდილი და კაცთმოყვარე, მხოლოდ სათნოება მოჰმატებია, რადგან ყოველი თავისი აზრი შეუსრულებია და საბრძოლველად აღარა დარჩენია რა.

“რასაკვირველია, ყველა ამ გარემოებამ ხელ-ფეხი შემიკრა და ნიკოს წინ ისე წავდექ, როგორც ცოდვილი შენდობის სათხოვნელად და არა ისე, როგორც მონდობილი მქონდა, ვით იუდა გამცემი და გამკიცხველი.

“დიდის მორიდებითა და გაფრთხილებით ვუამბე ჩემის მოსვლის მიზეზი და ავუხსენი ჩემი გაკვირვება, რომ

გხედავ მღვდლადა-მეთქი, მაშინ როდესაც, როგორც მახსოვს, სასულიერო მოღვაწეობა არ გქონია საგნად ცხოვრებისა-მეთქი.

- მართალია, - ამოოხვრით მომიგო იმან, - მე სხვა გზით მინდოდა მიმეღწია საწადელისათვის, მაგრამ გარემოებამ მაიძულა ჯვარითა და სახარებით ხელში შევსდგომოდი ჩემის განზრახვის აღსრულებას და არ ვემდური წუთისოფელს, მივაღწიე სასუფეველს და განა სულ ერთი არ არის, რა გზითაც მივაღწიე? მაგრამ წამობძანდით. მე ყოველსავე გაჩვენებთ და, თუ დაინახავთ რასმე ჩვენს საქციელში გასაკიცხავს, გაჰკიცხეთ; ეგ თქვენის სურვილისა და გადაწყვეტილებისათვის მიმინდვია.

ჩვენ გავედით მოძღვრის ოთახიდგან გძელ ტალანში და შევედით დიდ დარბაზში, რომელიც სამოსწავლო სკამებით იყო სავსე და ზედ რამდენიმე ახალგაზრდა

გლეხის დედაკაცი სწერდა რვეულებზე; იმათ თავს ადგა შავებით ჩაცმული ქალი და წერას თვალ-ყურს ადევნებდა; ჩვენ შესვლაზე ის კარებისაკენ ზურგშემოქცეული იყო და, როდესაც ხმაურობაზე მოიხედა, მე გველნაკბენივით შევყვირე და, როგორც მოჩვენების დანახვაზე, უნებლიეთ პირჯვარი გადავიწერე. ის, ის კი მთლად გაშეშდა, მხოლოდ მარჯვენა ხელი გულისაკენ გაივლო და მაგრა მოიჭირა მკერდზე. ოჰ, რა მშვენიერი იყო იმ დროს რომ იცოდე, დედაჩემო! მისი დიდრონი ბრჭყვიალა თვალები, რომელიც უწინ კაცს სწვავდა თვისის სხივებით, ეხლა მხოლოდ ლმობიერებით ანათებდა; მისი თეთრ-წითლად გაღაჟღაჟებული სახე ეხლა მარმარილოდგან ნაკვეთს ქანდაკებას წარმოადგენდა. სადად გადავარცხნილი შავი თმა უჩენდა მშვენიერ გადაშლილ შუბლს, იმ სპეტაკ შუბლს, რომელიც წინათ პაწაწა კულულებით ჰქონდა დაფარული. შავი კაბა, თეთრი საყელო-სამაჯურებით

წმინდანის შეხედულებას აძლევდა და უნებლიეთ იწვევდა რაღაცა პატივისცემას მის მიმართ. რამდენსამე წუთს ესე ვიდექით ერთმანეთის პირდაპირ მე და ლიზა, დიაღ, ლიზა, დედაჩემო, ის ლიზა, რომელიც ცოცხალთა შორის აღარ მეგულებოდა და რომლის აჩრდილი მოსვენებას არ აძლევდა ჩემს სინდისს ათის წლის განმავლობაში.

ბოლოს ნიკომ დაარღვია ეს მომაკვდავი მდუმარება:

- ელისაბედ, თავადი ჯამბადრუკიანი, როგორც მოხელე, როგორც მცველი საზოგადო წესიერებისა, მოსულა ჩვენსას განსახილველად იმისა, თუ რას ვმოღვაწეობთ მე და შენ და ჩვენი მოღვაწეობა ხომ არ არღვევს საზოგადო მშვიდობიანობას.

- შვილიც მამის ხელობას შესდგომია? დაბეზღების

ასპარეზი სჩანს მემკვიდრეობად გადაჰქცევიათ ბრწყინვალე თავადთ ჯამბადრუკიანებს! - გულის გამგმირის დაცინვით სთქვა ლიზამ და სახე მძულვარებით მოეღრიცა.

“თავში სისხლი ამივარდა, სირცხვილის ოფლმა დამასხა, მზად ვიყავ დედამიწაში ჩავმძვრალიყავ, მეწყევლა ჩემის გაჩენის დღე, მაგრამ რას გავაწყობდი? განა ღირსი არ ვიყავი იმისთანა გარდაწყვეტილებისა?

- ელისაბედ! შენ ივიწყებ, რომ ყოველი კაცი მოვალეა აასრულოს თავისი მოვალეობა, ბატონი “ნაჩალნიკი” მხოლოდ თავისს მოვალეობას ასრულებს, - ლმობიერად უთხრა ნიკომ ცოლს და მერე მე მომმართა: - აი, ბატონო, ეს დიდი და საუკეთესო ოთახი ჩვენ დავუთმეთ სასოფლო სკოლას. აქვე გვაქვს მოთავსებული პატარა სასოფლო ბიბლიოთეკა. კვირაობით კი ჩემი მეუღლე აქ

ასწავლის, როგორც თქვენ ხედავთ, ამ ახლად მოყვანილ პატარძლებს, რომელთაც წერა-კითხვა არ იციან, კვირაში ორჯერ საღამობით ჭრა და კერვასაც.

- რატომ მარტო პატარძლებს ? - შევეკითხე მე ნიკოს.

- სხვებმა ყველამ იციან წერა-კითხვა და ჭრა-კერვაც.

- მთელ სოფელში?

- დიაღ! ჩვენ ბევრი დრო გვქონდა ამ წელიწადში ამ ადვილი საქმის აღსასრულებლად. ახლაც ყურს ვუგდებთ, და რომ არ დაივიწყონ, წიგნების კითხვას ვაჩვევთ ნელ-ნელა.

შემდეგ ნიკომ გამიყვანა მეორე ოთახში, სადაც გამართული იყო ჩარხები, ქანდარები და სხვადასხვა

სააბრეშუმო იარაღი, და მითხრა: აქ, ბატონო, ჩვენ ვამზადებთ აბრეშუმს და ვასწავლით მის შემუშავებას გლეხის ქალებს.

მესამე ოთახში მიჩვენა პატარა აფთიაქი. ამ ოთახის ერთ მხარეს შირმის უკან ორი სუფთად გაშლილი ლოგინი იყო; მე ამან ძლიერ გამაკვირვა. - ეს საწოლები იმ შემთხვევისთვის გვაქვს, - მითხრა მოძღვარმა, - თუ დიდ ოჯახში გადამდები ავადმყოფობით გახდება ვინმე, ჩვენი სახლი სოფელზედ კარგა მოშორებით არის და ბევრჯერ ამ განცალკევებით სოფელი გადავარჩინეთ განსაცდელს. მეც და ჩემი ცოლიც ცოტაოდნად მიხვედრილი ვართ ექიმობას და, სანამ შეძლება ნებას მისცემს გლეხკაცობას თავისი საკუთარი ექიმი იყოლიოს, ჩვენ ვაძლევთ ცოტაოდენს შემწე ობას.

მერე მაჩვენა დიდი ქვითკირის ბეღელი, სადაც ინახებოდა

საზოგადო პური, მერე მარანი, მშვენივრად მოწყობილი ყურძნის საწურავი მანქანით, საქაჩავით და სხვ.

- ყველა ეს აქაურის გლეხებისა არის, - მიხსნიდა ნიკოლოზ მღვდელი. - საზოგადო ზვრიდან შემოსული ღვინო და საზოგადო მაღაზიის პური სრულიად ჰფარავს სასოფლო ხარჯს, სახელმწიფო გადასახადს, გზების შეკეთებას და კიდევ რჩება იმდენი, რომ ვინახოთ თანხის შესაგროვებლად, რომლის სარგებლითაც შეგვეძლება ვიყოლიოთ საკუთარი ექიმი, გავიჩინოთ რიგიანი საქონელი, შევიძინოთ ზოგიერთი სამეურნეო იარაღი და, თუ საჭიროდ დავინახავთ, მამულებსაც შევისყიდით მეზობელ თავადებისაგან.

- საზოგადო ვენახი რას ჰქვიან? თუ უკაცრავად არ ვიყვე, ამიხსენით, - დავეკითხე მე.

- ამ შვიდი-რვა წლის წინათ ჩემმა ცოლმა აჩუქა აქაურებს ოცდა ათი დღის მიწა, ერთი ფერდობის კალთებზე, მზის გულად, იმ პირობით, რომ სოფელს შემოეღობნა და თავისის მუშითა და შრომით გაეშენებინა ვენახი. რასაკვირველია, სოფელი დასთანხმდა და აგერ ოთხი-ხუთი წელიწადია ჩინებული მოსავალი მოსდით კიდეც. ვენახის გაშენების სასწავლებლად ჩვენ მხოლოდ მცოდნე მებაღე მოვუწვიეთ და იმის შემწეობით ის საზოგადო ვენახი დღეს ჩინებულის ვაზით არის სავსე და სამაგალითო მევენახეობის წესით ნაგები და შემუშავებული. აგრეთვე ღვინის დაყენება პირველში გვასწავლა იმავე მცოდნე მებაღემ და ახლა კი თითონ გლეხებიდგან არჩეული და სწავლული მებაღისაგან გაწვრთნილი მებაღეობს და აწარმოებს როგორც ვენახს, ისე ღვინის დაყენების საქმეს.

- თქვენ იმ ვენახიდგან კულუხს არ იღებთ?

- არა. მხოლოდ მაშინებისა და მარნის მოწყობაში დახარჯულ ფულს ცოტა-ცოტაობით გვიხდიან შემოსავლიდგან. გარდა ამისა, - განაგრძო ნიკომ, - გლეხებს აქვთ საზოგადო მინდორიც სახნავად. ისიც ოცდაათის დღისაა და ისიც ნაჩუქებია ჩემის ცოლისაგან. მთელი სოფელი ხნავს იმას, ანოყივრებს და როგორც მარჯვენა თვალს ისე ულოლიებს. წელს კერძო მამულებიდგან დღიურზე საშუალო რიცხვით თორმეტი კოდი გამოვიდა და საზოგადო მინდვრიდგან კი ოცდახუთს გადააჭარბა. ეს ბელელი სავსეა ჭერამდის და მხოლოდ მაშინ გავყიდით, როდესაც მომავლის წლის მოსავლის პირს დავინახავთ.

- ახლა კი, მე მგონია, ყოველივე აგიხსენით, - წყნარათ მითხრა ნიკომ. - რასაც დაასკვნით, ეგ თქვენ ხელთ არის.

- დიდად გმადლობთ, - დაბლა თავის დაკვრით ვუთხარი მე, - მხოლოდ ორიოდე რამეს კიდევ გკითხავთ.

რასაკვირველია, დედაჩემო მიხვდები, რომ ჩემი გამოკითხვა პირად ჩემს ცნობისმოყვარეობას შეეხებოდა და არა ჩემზე მონდობილ გამოძიებას.

- ვინ განაგებს ყველა მაგ საქმეს, ვინ ხელმძღვანელობს ყველა მაგ დაწყობილებას?

- რასაკვირველია, ჯერ მე და ჩემი ცოლი და შემდეგისათვის კი ვამზადებთ თვით მცხოვრებთაგან გამგებელთ. ჩვენ ყოველ წელიწადს ვგზავნით ქალაქში უკეთესის ნიჭის ყმაწვილებს და შემდეგში ისინი დაიჭერენ ჩვენ ალაგს. აი მალე მოგვივლენ რამოდენიმე ჩინებულად მომზადებული ხელოსნები, ამ სოფლის შვილნი და იმათ დახმარებით წავუმატებთ კიდევ ერთ

საქმეს: დავაარსებთ სახელოსნოს, სადაც სოფლის სკოლაში დამთავრებულები გადავლენ სახელოსნოში ხელობის შესასწავლად.

- ხარჯი, ხარჯი ყველა მაგ დაწყობილებისა საიდგან მოდის, რა წყარო გაქვთ, რა სიმდიდრე?

- ხარჯი? - განა არ მოგეხსენებათ, რომ ჩემს ცოლს დარჩა თავისის პაპისა კარგა რიგიანი მემკვიდრეობა? ის მემკვიდრეობა ჩვენ ისე მივიღეთ, როგორც ღვთის განგებით მოვლენილი წყალობა და საშუალება სიკეთის დასათესად და ისე ვიხმართ, როგორც ზეციერ მამას ესიამოვნება და ჩვენს ბუნებრივს და ზნეობრივს მოთხოვნილებას შეესაბამება.

- ნუთუ პირადი ცხოვრება შესწირეთ საზოგადოს? ნუთუ კაცი მოკვდა თქვენში და მხოლოდ აზრიღა

მფლობელობს?

- სრულიადაც არა. ყველას თავისებურად ესმის სიცოცხლე, ჩვენ მხოლოდ ამგვარი სიცოცხლე ავირჩიეთ და ჩვენებურად დიდი ბედნიერებიცა ვართ.

- ლიზაც თანაგიგრძნობთ? თუ მხოლოდ ემორჩილება თავისს ხვედრს? - ამის თქმაზე საშინლად გავწითლდი, შუბლზე ოფლი წამომადგა. რა უფლება მქონდა ასეთი რამ მეკითხნა? მაგრამ გული ვერ დამეჯერებინა, ვერ წარმომედგინა ლიზას ამგვარი შეცვლა.

ნიკო გაფითრდა და თითქო იუარა პასუხის მოცემა, მაგრამ ერთს წამს შემდეგ დამშვიდდა და ლმობიერად მიპასუხა: ელისაბედი არის სული ყოველის საქმისა და იმგვარის გატაცებით მიისწრაფვის წინ, როგორითაც მხოლოდ დედაკაცს შეუძლიან. ის სწუხს მხოლოდ იმას,

რომ ცოდნა და გარემოება ნებას არ აძლევს ყოველივე ბედნიერება და კმაყოფილება გააუფლოს, ყველა ნაკლი შეავსოს, ყველგან უკვდავების წყარო ადინოს!

- რამ შესცვალა აგრე, რამ აქცია დედაკაცი მოციქულად? - შევსძახე მე.

- უბედურებამ! - მოკლედ მითხრა ნიკომ და მისი პატარა თვალები ცრემლებით აივსო. მე დედამიწამდე დავიხარე, რომ ჩემი შერცხვენილი პირისახე არ მეჩვენებინა მისთვის და გავშორდი საოცარ მღვდელს. მისი მეუღლის ნახვა კი ვეღარ გავბედე, თუმცა მზად ვიყავ ხელზე მოვხვეოდი და მის წინ შენანების ნიშნად მუხლი მომედრიკნა.

შენი იასონ".

"**P.S.** "მამაშენი ლოგინად არის, დიდი ხნის სიცოცხლე

აღარ აქვსო”, - მწერ და, შენ და ჩემდა სამარცხვინოდ, ეგ გარემოება არ მაღელვებს, პირიქით, მას შემდეგ, რაც ზემოთ აღგიწერე, ჩემი აზრი განუყრელად ულოლიებს ამ იმედს, რომ მალე ჩემი სახლი ჩემ საკუთრებად შეიქმნება და მამაჩემის ბატონობის ქვეშ აღარ დამჭირდება ჩვეულებრივი მონური მოძრაობა და შენის დახმარებით, ჩემო ტანჯულო მშობელო, და ნიკო ბერიშვილის ლოცვა-კურთხევით ჩემი მოქცევაც შესაძლებელი შეიქმნება!”

“უბედურებამაო”, - სთქვა ნიკომ, - ნუთუ მხოლოდ უბედურებას შეუძლიან კაცს ბედნიერების გზა აპოვნინოს?

იასონ”.

კონა

I

- დედა, პური, დედა, პური!

მისუსტებულის ხმით შესტიროდა ოთხი შვილი ერთს მაისის მშვენიერს დილას ახალკაცის ცოლს, მართას.

- ვაი, დედათქვენს, რომ ვერაფრით გაგაძღობთ, - თავისთვის წაიტუტუნა მართამ და შვილებს კი ნუგეში მისცა: - სუთ, სუთ! ეხლავ მხალს მოგიხარშავთ. ხვალ მამათქვენი მოვა და ფქვილს მოგვიტანს.

- ფქვილს მოგვიტანს? მართლა? ფქვილს მოგვიტანს? -

სიხარულის ღიმილმა გაუარა სახეზედ ოთხს უსუსურს ბავშვს, რომელთაც ერთის კვირის განმავლობაში მარილწყალში მოხარშულ მხალის მეტი არა ეჭამათ რა.

დედამ კი გულით ამოიოხრა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მამა ამათ ბევრს არას მოუტანდა და, ვინ იცის, ისიც დამშეული სად დაეხეტებოდა საგლახაოდ, ლუკმა-პურის სათხოვნელად.

სამი წლის განმავლობაში ზედიზედ ქიზიყში მოსავალი არ მოვიდა. გაწყდა ყოველი ნაყოფი მთელს მხარეში. კარგი გაკეთებული ოჯახები წმინდა გლახებად გადაიქცნენ და გუდაწამოკიდებულები, ასობით დიდი და პატარა, მთელი სახლობით, დაწანწალებდნენ ახლომახლო სოფლებში და ქალაქებში.

მინდვრები მოდებული იყო ქალით და კაცით ბალახის

ძირის სათხრელად, რომელსაც მარილ-წყალში ხარშავდნენ და იმით საზრდოობდნენ, ვიდრე საიდგანმე მოწყალება გამოუჩნდებოდათ და ერთი-ორი დღით ლუკმა-პურს იშოვნიდნენ. მაგრამ მოწყალებით მთელის მხრის გამოკვება შეუძლებელია და ქიზიყის მცხოვრებნიც აქა-იქ გაიფანტნენ ლუკმა-პურის მოსაძებნად.

რადგან მშიერის ცოლ-შვილის შინ დაყრა შეუძლებელი იყო, მთელი სახლობებით ანებებდნენ თავს მშვენიერს ქვითკირის შენობებს, შეჩვეულ მიწა-წყალს, თავისს ღვიძლ სამშობლო ალაგს და მიდიოდნენ იქით, საცა იმედი ჰქონდათ საზრდოს შეძენისა.

პეტრე ახალკაციც კარგი გაკეთებული ოჯახისშვილი იყო: კარგი ქვითკირის ოთახი, ქვითკირისავე გომური, ფართო ეზო და ჩხრიალა წყარო ამშვენებდნენ იმის სადგომს. მშვენიერი მთის ჰაერი და კარგი მდებარეობა უვნებლად

ინახავდა პეტრეს სახლობას. სამნი ძმანი, დეკებივით ვაჟკაცნი დღე და ღამე განუწყვეტლად შრომობდნენ ოჯახისათვის და მართლაც რომ ამათს ოჯახში ღვთის თვალი ტრიალებდა. გუთნეული გამართული ჰქონდა პეტრეს და ისე წვრილფეხა საქონელი გასასყიდლად მთელი ჯოგი დაუდიოდა მინდორში. საზოგადო მამულში ამათზე ბევრს ვერავინ მოხნავდა. ისეთს ძნას დასდგამდნენ ხოლმე ახალკაცები, რომ მთელ სოფელს შურდა. მაგრამ აი ბუნებამ ჯიბრი გაუწია კაცს და სამს წელიწადში აყვავებული ოჯახი სრულიად ძირს დასცა. სადღაა გუთნეული, სადღაა ჯოგი და მოწყობილი სახლ-კარი! ამათ სახლს მტვერი აედინა; უკანასკნელი მართას მზითვის დანჯღრეული სკივრიც კი ლუკმა-პურისთვის წაიღო შეუბრალებელმა სომეხმა. პეტრეს უნცროსმა ძმებმა, როგორც უცოლშვილო კაცებმა, თავს უშველეს, სხვა მხარეს წავიდნენ სამუშაოდ და პეტრე კი უკანასკნელ ღონისძიებამდის ვერ ანებებდა თავს იმ

ალაგს, სადაც აღზრდილიყო და სადაც იმის მამა-პაპის ძვლები იყო დაფლული.

მაგრამ შიმშილ-წყურვილმა დასძლია ზნეობითს ძალას. იმან დაავიწყა ადამიანს ყველაფერი, გარდა თავისი მუცლისა. ტირილით გამოესალმა მართა ყოველს კუნჭულს თავისი ტკბილის ოჯახისას და გაუდგა ქმარ-შვილით დიდ შარა-გზას.

ტიტლიკანა, დაგლეგჯილ-დაფხრეწილი ეს ოჯახი ემზგავსებოდა მაწანწალა ბოშის სახლობას. დღითი დღე აქა-იქ ლუკმა-პურის თხოვნით დაქანცულები, ძალამიხდილნი, ერთ საშინელ ცხელ ზაფხულის საღამოს შემოვიდნენ პეტრე და მართა სამის შვილით (ერთი გზაზე დამარხეს) ავლაბარში.

საშინელი სანახავები იყვნენ შიმშილისაგან მიხრწნილი

ბავშვები. ფეხებიდგან მეტის სიარულით სისხლი სდიოდათ და ხელ-პირი ბოლში გამოყვანილსავით ჰქონდათ მზისაგან დახრაკული.

ქალაქმა შეიბრალა დამშეულნი და მალე მოიძღეს კუჭები. ერთს დერეფანში შეაფარა ღამით პეტრემ სახლობა. დღისით სათხოვნელად დადიოდნენ და საღამოთი წელებდაწყვეტილნი მიეყრებოდნენ ცარიელ მიწაზედ დასაძინებლად.

კუჭები დაიძღეს თუ არა, ოჯახის შვილობის სიამაყემ გაიღვიძა ამათში: თხოვნა და ხელის გაშვერა სასირცხვილოდ მიაჩნდათ. უშრომლად ლუკმის შოვნას ჩვეულნი არ იყვნენ და სხვის ნაბოძები ლუკმა ბევრჯერ ყელზედ ადგებოდათ: აქეთ-იქით მეზობლებმა ურჩიეს პეტრეს ზემო-ქართლში წასვლა.

- იქ მოსავალი ბევრი მოდის, პურს იშოვნი, გლეხური საქმე ბევრი გამოგიჩნდება და ნელ-ნელა წამოფოჟოლდები. ღმერთი ხელს მოგიმართავს და ერთხელ ისევ ოჯახის კაცი შეიქმნები.

პეტრემაც დაიჯერა და წავიდა ქართლში. სოფელ არაშენდას გაქანებული მკა იყო, როდესაც პეტრემ თავისი ცოლ-შვილი იქ მოასხა. გლეხის გული უძირო კეთილის ზღვაა: პეტრე მაშინვე მიიკედლეს და ერთმა გლეხმა თავისს გომურში დააყენა. მეზობლებმა საჩქაროდ მოურბენიეს პური, რძე, მაწონი დამშეულს ბავშვებს.

ბევრი ილაპარაკეს პეტრესთან არაშენდელებმა, შესჩივლეს ერთმანეთს თავიანთი ბედ-იღბალი და კარგა შუაღამისას თავისს სახლში წავიდნენ. გემრიელად დაიძინეს ახალ მოთიბულ თივაზე ახალკაცებმა და იმედი მოეცათ, რომ ამათ მაწანწალობას ბოლო მოეღებოდა.

II

სოფელი არაშენდა ქართლის შუაგულში მდებარეობს. ის შემკულია დიდის კაკლის ხეებით და დიდროვანი წყაროებით. უკანიდან ამყუდროებს ახოვანი ტყე, წინ მტკვრის ღელეები აქვს გაშლილი და მრავალ სოფელს გაჰყურებს. მაგრამ თითქოს ამ მშვენიერ ბუნებას აყვავების მაგივრად დაუჩაგრავს აქ მცხოვრები ხალხი. მებატონის თუ გლეხის სადგომი რაღაცა ნაოხარს წარმოადგენს: გლეხის მიწურის სახლებიდგან მარტო დიდ ერდოებს ამოუყვიათ თავები და კარებზე ნეხვის გროვებს. მწვანე ბალახი, გაფოთლილი ხე არც ერთ მოსახლეს კარებზე არ მოიპოება. კალო, საბძელი, ბოსელი, ბაკი და საქათმე სულ ერთმანეთშია არეული. ზოგ სახლს სამხრეთისკენა აქვს პირი, ზოგს ჩრდილოეთისაკენ, ზოგს ალთას, ზოგს ბალთას,

სასოფლო გზა ისე მიხლაკ-მოხლაკნული და ოღრო-ჩოღროიანია, რომ თუ ოთხი კაცი არ შემოეჭიდა ურემს, უხიფათოდ არ გადურჩება.

სოფლის თავში გამოჭიმული დგას მებატონის ორსართულიანი სახლი, მაგრამ ახლო კი რომ მიხვალ, ვაი იმ გამოჭიმვას, რომ ის არის გამოჭიმული! ერთი უზარმაზარი შენობაა, როგორც ყველა შენობები ჩვენში ბატონ-ყმობის დროს მოწყობილი, და რაღაც უშნოდ არის აყუდებული. წინა პირზე მარტო სამი ოთახია გალესილი და მეორე გვერდი კი, ჟამთავითარებისა გამო, ნახევარზე ჩამონგრეულა. ირგვლივ ბალკონი აქა-იქა გვერდზე წაწოლილა და განსვენებისათვის მიუცია თავი. ყავარი ხომ ქარისაგან ისეა გაწეწ-გამოწეწილი, რომ სტრაფილები ძაღლებისაგან გამოხრულ მკვდარი ცხენის გვერდებს მიაგვანან. მრავალს ფრინველს გაუკეთებია ამ კედლებში ბუდე და თავისებური არქიტექტურით შეუმკიათ

როდესღაც ყვითლად შეღებილი სახლის კედლები. სახლის წინ გაფანტულა უკრუხო წიწილებივით სათონე, სამზარეულო, საქათმე და სხვა სამოსახლკარო შენობები. აქვე ეზოში გადმომჩქეფარებს მშვენიერი წყარო და მშვენიერადვე ავსებს ტალახით არემარეს უგზო-უკვლობის გამო. ამ ტალახში განისვენებენ დამტვრეული ურემი, გვერდზე გადახრილი და ტყავგამძვრალი ტარანტასი, ძარი, ჯინი და გუთანი; ქათმები, ბატები, ღორი და მწევრები, ეს აუცილებელი სამკაული ჩვენის მებატონის ოჯახისა, აქვე ტალახში დასეირნობენ. ბალკონზე ზის კნეინა ბარბარე და გადმოჰყურებს თავისს გაწყობილ ოჯახს. კნეინა ბარბარე თავბრუაძისა ჯერ ახალგაზრდა დედაკაცია. ის არის ერთი თბილისელ ყასბის ქალი და ყასბურადვე იქცევა კნეინურ კანში. სქელი, მუცელგადმოვარდნილი, მთელის თვეობით უძრავადა ზის ზემო სართულში, ქვემოთ ჩამოსულს იშვიათად ნახავს ვინმე. რას აკეთებს? რით ატარებს

დროს? ეს იმის მოსამსახურეებს უნდა ჰკითხოთ. მთელი დღე ხან ერთს ლანძღავს და ხან მეორეს; ბიჭისა და გოგოს ლანძღვის შუა ძილი და შემდეგ ისევ ლანძღვა. თუ კნიაზი სფირიდონ თავბრუაძე შინა ბრძანდება, ვაი იმის ბრალი! ახლა იმაზე გადავა ბარბარეს შეუწყვეტელი ლოცვა-კურთხევა. სფირიდონიც ამას იმიზეზებს და მთელის კვირაობით, ზოგჯერ თვეობითაც სახლიკაცებში, გორში და თბილისში ქეიფობს; და თუ ვინიცობაა მოისურვა და ეს ქეიფი თავისს ოჯახში გადმოიტანა სფირიდონმა, მაშინ დატრიალდება ხოლმე ჯარა. ქათმების კაკანი, ცხვრის ბღავილი, ბიჭების და დედაკაცების შერბენ-გარბენა სულ ფერს შეუცვლის ხოლმე თითქმის ყოველთვის მიძინებულს თავბრუაძიანთ ოჯახს. კნეინა ამ დღეებში უფრო ხმამაღლივ ილანძღება, უფრო ხშირად გადის და შედის აივანზე; ამოალაგებს ხოლმე მზითვის ქეჩა-ხალიჩას, ვერცხლეულს, სუფრა-სალფეთქს და მოჰყვება

სასტუმროს ლაგებას. გასაოცარია იმათი სასტუმრო: კედლები ყვითლად შეღებილი, ნიაღვრის სხვადასხვაგვარ ხაზებით არის დახაზული. ჭერის ბათქაში აქა-იქ დიდ ბელტებსავით ჩამოცვივნულა: რვა თუ ცხრა ფანჯარას მარტო აქა-იქ უსხედს მინები; დანარჩენი თვლები ქაღალდებით არის გაკრული და ამისათვის ოთახში ყოველთვის ბრწყინვალე დღეშიაც კი, ჩამობნელებულია. ერთი გრძელი ტახტი და ექვსიოდ დამახინჯებული სკამი შეადგენს სამკაულს ამ რუისისავით გაგრძელებულ ზალისას.

ამ კურთხეული მეუღლეების ნაყოფს შეადგენენ: თორმეტი წლის ვაჟი ლევან, სფირიდონის პირველ ცოლთან ნაყოლი და სამი ერთი-ერთმანეთზე მომყოლი ქალები ბარბარესი.

აი ამ სახლობასთან მოიყვანა მართა ახალკაცის ცოლმა

თავისი უფროსი გოგო კონა.

კნეინა ბარბარემ და მართამ სიტყვიერად ერთმანეთს პირობა ჩამოართვეს: კონა უნდა ჰყოლოდა ბარბარეს ათის წლის განმავლობაში მოსამსახურედ; ესწავლებინა მისთვის ხელსაქმე, წიგნი, სინდისიანად შეენახა და ათის წლის შემდეგ, კარგი მზითვით მიეთხოვებინა იმისთვის, ვისაც იმას ბედი საქმროდ გამოუჩენდა.

მართა გულმოწყვეტილი დაეკონა თავისს კონას და ბევრი მდუღარება დააყარა თავისს პატარა გოგუცუნას.

- რა გაეწყობა, შვილო, სიღარიბეს, - ჩასტუტუნებდა მართა კონას, - თორემ მე განა ისე უღმერთო ვარ, რომ სხვის ხელში ჩაგაგდო? მაგრამ, შვილო, შინ მშიერი ყოფნას, იქ მუცელი მაინც გაგიძღება. მამაშენი დღიურის მუშაობით ჩვენც ვერ გვარჩენს; ახლა ზამთარიც მოვა და

მაშინ სამუშაოც აღარა იქნება რა.

საბუთები ძლიერ საბუთიანი იყო, მაგრამ კონას არ ესმოდა იმათი მნიშვნელობა, მაგრა ეკვროდა დედას ძუძუებში და გულამომჯდარი ტიროდა. უცხო სახლი, დედის ტკბილის ალერსის მოშორება საშინელება იყო იმისთვის. მაგრამ მოსახდენი უნდა მოხდეს და ათი წლის კონაც უპატრონოდ დარჩა თავბრუაძიანთ სახლში.

III

დღეიდგან კონა გახდა მორჩილი მონა და ყმა ყოველ თავბრუაძიანთ ოჯახის წევრისა. ყურისგდება და გაწვრთნა კონასი ბარბარემ ჩააბარა უფრო იისახარს, სფირიდონის პირველი ცოლის მოახლეს, ოჯახის ბურჯს, მთელის სახლობის ტანტიკინს და მოსამსახურეების მეხს. ერთი საშინელი ახმახი, კარგა მოზრდილის

ულვაშებით, რიხიანის ხმით იისახარი უფრო მიაგავდა ბებერ ქოსა კაცს, სანამ დედაკაცს. ის თავისს დღეში არ ყოფილა გათხოვილი, არ ჰყოლია შვილი და ამისათვის არ უგრძვნია სიყვარული. იმის შეუბრალებლობა განთქმულია მთელს არაშენდაში. სოფლის გოგო-ბიჭები შიშით გაეკვრიან ხოლმე ღობეს, როდესაც ის შეხვედრაზე გადააჭყიტავს ხოლმე იმათ არწივივით დაბრიალებულ თვალებს. იმას მთელის სახლის გასაღებები სარტყელზე აქვს გამობმული და მთელი დღე ზემო და ქვემო სართულს ალილუიას უვლის, რომ მეტი პური არვინ შეჭამოს, გვერდზე არვინ წამოწვეს და განსვენებას თავი არვინ მისცეს. ის რომ არა ჰყოლოდა სფირიდონს, იქნება ნახევარი მამულიც არ შერჩენოდა და ცოლ-შვილი შიმშილით გასწყვეტოდა.

ამისთანა იყო იისახარ, რომლის მსხვერპლად გახდა დღეიდგან კონა. პირველსავე დღეს გულჩათხრობილი,

მწუხარებისაგან მობღუნძული კონა იისახარმა მიუსვა აკვანს. მთელი საათობით განუწყვეტლივ კონა მოკეცილი იჯდა და არწევდა აკვანს; და თუ ამ თავის გამაბრუებელ რწევაში ჩაეძინებოდა, ვაი იმას! - დაიძინე, შე გულმკვდარო? - წაუმუჯლუგუნებდა იისახარ. კონა გულგახეთქილი გააჭყეტდა თვალებს და ისევ მიჰყოფდა აკვნის რწევას ხელს. განთიადისას, როდესაც ძილი ტკბილია ყველასათვის და მეტადრე ათის წლის ბავშვისათვის, კონას წამოაგდებდნენ ფეხზედ. ფეხშიშველას, დაფხრეწილის კაბით, უნდა ამოეტანა წყაროდამ წყალი, ხელ-პირი დაებანინებინა ყველასათვის, დაეგავა ოთახები, მოევლო ყმაწვილისათვის. ყველა ამ საქმეში იისახარ უკან მისდევდა კონას და ყოველსავე შეფერხებაზე უბრიალებდა თვალებს. კონას ყოველს ბავშვურს გათამაშებისათვის, ეშმაკობისათვის კანჭებში შხოლის გაკვრითა სჯიდნენ. ბარბარეს შვილები აქვე, ამის გვერდით, თამაშობდნენ, დარბოდნენ, ყვიროდნენ და

არავითარი მონაწილეობა არ შეეძლო მიეღო ამ თამაშობაში პატარა გოგოს. ბევრჯერ ბავშვების თამაშზე კონა გულით გაიხარებდა ხოლმე თავისი აკვნის ძირიდგან.

- ქა, რას ხარხარებ, შე წუწკო, - ეტყოდა ხოლმე იისახარ, - განა შენც მაგათი ტოლი ხარ, შე აშარო!

თუ ბავშვები კონას აწვალებდნენ, სჩქმეტდნენ, ქოჩორს აგლეჯდნენ, იმისგან ტირილი შეუძლებელი იყო. ბარბარე და იისახარ დიდად გაიკვირვებდნენ...

- ქა, დამიხედეთ ნებიერს, ყმაწვილებმა ხელი ვეღარ უნდა გახლონ, არც კი გიხარიან, შე გულმკვდარო, რომ ეს ბავშვები შენ გეთამაშებიან?

- კონავ, აბა მოდი, გამაჭენე, - ეტყოდა რვა წლის კნიაჟნა

გოგოს და საჩქაროდ შეახტებოდა ზურგზე.

კონაც აჭენებდა ოთახში, აჭენებდა იქნობამდის, მანამ ძალამიხდილი პირქვე არ დაეცემოდა.

- გაჰკარ მაგას, - მაშინვე ეტყოდა ბარბარე სიცილით თავისს მამაც შვილს და შეუდგებოდა წკაპუნი პატარა გოგოს გვერდებს.

ხილის ჭამაზე ხომ როგორც ბავშვები, ისე უფროსები თვალებს აბრეცინებდნენ კონას.

- კონავ, ჩურჩხელა მოუტანე ყუთიდგან ყმაწვილებს! კონავ, მურაბა ჩამოუღე თახჩიდგან ბავშვებს! - უბრძანებდა ბარბარე და ერთხელ არ მოაგონდებოდა, რომ იმისთვისაც მიეწოდებინა რამე. კონას პირი ევსებოდა ნერწყვით, მაგრამ თხოვნა როგორ შეეძლო, და

თუ ვინიცობაა ხელი წასძლევდა და რომელსამე ყმაწვილს ხელიდგან წააგლეჯდა რასმეს, იისახარ მაშინვე გაიხარებდა ამ შემთხვევით და მთელი დღე უჭმელს დააგდებდა.

კონას ამ განწირულებაში მარტო ერთი ამხანაგი ჰყავდა; პატარა ლევანი თუმცა ისე უბედური არ იყო, როგორც კონა, მაგრამ ყოველთვის დებში გამორჩეული და ობლობისაგან გულჩათხრობილი, თითქო ბუნებრივადვე თანაუგრძნობდა უპატრონო პატარა კონას. ის ყოველთვის განუზიარებდა ხოლმე იმას იმ მცირე ნაწილიდგანაც, რასაც კი დედინაცვალი შეახვედრებდა. ბევრჯერ უსამართლოდ დასჯილი ბარბარესაგან და უხასიათო მამისაგან, მიუჯდებოდა კონას და შესჩიოდა თავისს უბედურებას. სადილს შემდეგ, როდესაც ბარბარე და იისახარ ძილს მიეცემოდნენ, კონა, ლევანი და ბავშვები გავიდოდნენ კარზე, რომ ძილი არ გაეფთხოთ

უფროსებისათვის და ამ სადილ-შემდეგებში ორი ობოლი, თუმცა კი გარჩეულნი საზოგადო მდგომარეობით, შეერთდებოდნენ ხოლმე მწუხარებით. რამდენიც იზრდებოდნენ ლევანი და კონა, იმდენად ამათი მეგობრობა უფრო მტკიცდებოდა და ერთმანეთის უბედურება უფრო გულს უტეხავდათ საცოდავს ბავშვებს.

ყოველ მხრივ შევიწროებულმა კონამ მალე დაჰკარგა თავისი ბავშვური ხასიათი. ის ყოველთვის თავჩაღუნული, დაღონებულის სახით დასცქეროდა დედამიწას, თითქო იქ უნდოდა ამოეკითხა თავისი უბედურების მიზეზი. მოიგონებდა თავის თავისუფალ ცხოვრებას, დედის ტკბილს ალერსს და გულით ამოიოხრებდა. ბევრჯერ აკვანთან თავჩაღუნული, თვალებზე ხელმიფარებული ჩუმად ქვითქვითებდა. დიდი და პატარა, გოგო თუ ბიჭი, ყველა კონას

უბრახუნებდა თავში, ,,კონა, წყალი, კონა, ცეცხლი, აქ მოდი, იქ წადი!'' გაისმოდა მთელ სახლში სამზარეულოდგან დაწყებული ბატონის ოთახამდის. საღამოზედ დაღალულ-დაქანცულ კონას მიეძინებოდა სადმე ოთახის კუნჭულში და იქვე მიაგდებდნენ ზედ ძველის საბნის ნაფხრეწს.

მართა კარგად ხედავდა თავისი შვილის უბედურებას, მაგრამ რა ექნა! არჩევანი შეუძლებელი იყო. პეტრე გაზაფხულზე ავად გახდა; ციებ-ცხელებამ წააქცია და მთელი ექვსი თვე ფეხზე ვეღარ წამოდგა. მართა დღე და ღამ მუშაობდა, რომ სახლობისათვის ლუკმა მიეწოდებინა. მეორე გოგოც მოახლედ მისცა და ერთის ბიჭით და ავადმყოფის ქმრით დაბრუნდა თავის ქვეყანაში, საიდგანაც ამბავი მოსდიოდა, რომ ხალხს სახელმწიფოდ თესლი დაურიგდათ და წელს მშვენიერი მოსავალი მოვიდა ქიზიყშიო. პირველმავე კეთილმა

ამბავმა აუღელვა გული ახალკაცებს და საჩქაროდ გაემგზავრნენ თავიანთი ოჯახის აღსადგენად. თუმცა მართასათვის ორ-ორის შვილის დატოვება უცხო, უგულო სახლში სიკვდილზე უარესი იყო, მაგრამ იმედი, ყოველთვის კარგად წარმომდგენი მომავლისა, გულს უმაგრებდა: ,,ერთხელ-ორჯერ კარგი მოსავალი მოვიდეს და შემდეგ ღმერთი მოწყალეა. წამოვალ და ჩემს ცოდვის შვილებს ისევ ჩემს ქოხში წავიყვან”, - ამბობდა მართა.

IV

მშვენიერი შემოდგომის დღეა. ვენახები მწიფე ყურძნით არის სავსე. ბალახს და ხის ფოთოლს ყვითელი ფერი დაედო. ჰაერში რაღაც ტკბილი სურნელოვანი სითბოა. არაშენდაში დიდი და პატარა გაქანებულ მუშაობაშია. კაცები სიმინდს ზიდავენ, დედაკაცები ბოსტნეულს იღებენ, ხილს ინახავენ. ყოველ სულდგმულს სახლში

შეაქვს რამე ზამთრისათვის. მარტო თავბრუაძეანთ კარებზე სრული სიჩუმეა. ბატონიანთ სძინავთ, სახლის ახლო რუს პირზე სხედან ხუთიოდე პატარა ბავშვები და ბორბალს ატრიალებენ; ცოტა მოშორებით თხუთმეტის წლის გოგო და თვრამეტის წლის ყმაწვილი კაცი ჩუმად რაღაცას ელაპარაკებიან ერთმანეთს. ესენი არიან კონა და ლევანი. ხუთმა გრძელმა, მტანჯველმა წელმა გაიარა ამ ორის უბედურისათვის და კი ვერაფრით შესცვალა მათი უფერული მდგომარეობა; ისევ ისე მონანი არიან თავიანთ ბედისწერისა. ბარბარეს რამდენიმე შვილი მოემატა და კონას ამითი, რასაკვირველია, ჯაფა. ის წელში გაუშლელად მუშაობს და მადლობის მაგივრად ყოველ დღე ისახრება. ლევანი მამის უთაურობით და დედინაცვლის მოწყალებით თითქმის უსწავლელი დარჩა.

არაშენდას ზაფხულობით მოდიოდა ერთის იქაურ

აზნაურის შვილი ალექსანდრე გოგრაშვილი თავისის რამდენიმე შეგირდით. სფირიდონი სარგებლობდა ამ შემთხვევით და მარტო ზაფხულობით მიაბარებდა ხოლმე თავისს უფროს შვილს, ლევანს. რასაკვირველია, ამგვარ დროგამოშვებით სწავლით ბევრს ცოდნას ვერას შეიძენდა ლევანი, მაგრამ მისდა საბედნიეროდ ალექსანდრე გოგრაშვილი ერთი იმ ნათელ პირთაგანი იყო, რომელმაც არ შეიძლება დიდი შთაბეჭდილება არ მოიქმედოს ყველაზე, ვინც კი იმას დაუახლოვდება. ის ერთი იმ კაცთაგანი იყო, რომლის დანიშნულებაც არის აღზრდა ახალგაზრდობისა და რომელსაც ის სამაგალითოდ ასრულებდა. იმან ლევანს თუმცა სწავლით სამი-ოთხი ზაფხულის განმავლობაში ბევრი ვერა გადასცა რა, მაგრამ ზნეობით ისეთს პატიოსნებით სავსე მიმართულებაზე დააყენა ლევანის ჩვილი და უბედურებისაგან გატეხილი ხასიათი, რომლის შეცვლაც არავითარ გარემოებას აღარ შეეძლო. ამ ორი-სამი წლის

ნაგლეჯ-ნაგლეჯის სწავლით გათავდა ლევანის განათლება. ყმაწვილი, ძალით და ღონით სავსე, მთელი დღეობით უსაქმურად დაეხეტებოდა სოფელში ხან ვის კალოზე ჩამოჯდებოდა, ხან ვის ბოსელში შევიდოდა ზამთრობით საბაასოდ. მოუმზადებელი იყო ყოველგვარ საქმისათვის და მეტისმეტად იტანჯებოდა ცუდაობით. უბედურების დროს, რაშიაც დედინაცვლის წყალობით ხშირად იყო ჩავარდნილი, ლევანი ყოველთვის მიმართავდა ხოლმე კონას. კონას თანაგრძნობის ცრემლები ამშვიდებდა, ამსუბუქებდა იმის აღელვებულს გულს.

აი, დღესაც, გალანძღული და თავლაფდასხმული სასოფლოდ იმისთვის, რომ უცაბედად აზიზი ბარბარეს ერთადერთი ძე წააქცია, შესჩივის კონას: -

- ოჰ, კონავ, ზოგჯერ ჩემის დედინაცვლის უსამართლო

ლანძღვაზე რაები მომდის თავში! მინდა მივარდე, ყელში წავუჭირო და კატასავით მივაღრჩო, მაგრამ მერე რაღა ვქნა! ხომ დავიღუპე! იმას ხომ აღარავინ მკითხავს, თუ რამ მაქნევინა ეს საქმე. არა, მაშინვე ციმბირში მიკრავენ თავს. თუმცა კი, სწორედ რომ სთქვას კაცმა, ციმბირში კიდეც ემჯობინება ჩემთვის. იქ მიწას მაინც მათხრევინებენ, იქ მეც ისე მიყურებენ მაინც, როგორც სხვა მუშებს და შურით ხომ გულს არ მომიკვლენ, როგორც აქა. ერთის მამის შვილებს, ერთისა და იგივე ცხოვრების პატრონებს, როგორ გვარჩევენ ერთმანეთში, ხედავ? რა კი ჩემს დებსა და ძმას დედა ჰყავთ, კარგადაც აცვიათ, კარგადაც აჭმევენ, ასწავლიან კიდეც და მე კი, რადგან უბედურება მეწვია და მშობელი აღარა მყავს, კიდევ უარესად მიმწარებენ წუთისოფელს ამ გამორჩევით. რატომ მე კი არ მასწავლეს? რა ვარ ახლა? - უგუნური. არ ვიცი, რა გავაკეთო, რა საქმეს დავადგე. რასაც ხელს მოვკიდებ, ყველაში სიბრიყვე მეტყობა. რადა?

რა დამიშავებია? არა, მე ასე ცხოვრება აღარ შემიძლია. მე წავალ, გადავარდები სადმე, ქვეყანა დიდია, საცხოვრებელს როგორ ვერ ვიშოვნი? მოჯამაგირობა მირჩევნიან ამგვარ თავის დამცირებას და შერცხვენას.

- ნუ , ბატონიშვილო, ნუ! ნუ იფიქრებ მაგეებს. სად უნდა წახვიდე? სხვაგან იქნებ უარესს დღეში ჩავარდე. სხვა არა იყოს რა, მე მაინც არ გებრალები? შენს მეტი ნუგეში ვიღა მყავს, რომ შენც თავი მიმანებო. ხანდისხან შენთან არ დავიჩივლო ჩემი გულის დარდები, არ შემოგტირო ჩემი უბედური ბედი, რაღა მეშველება? მოვითმინოთ, ლევანჯან, იქნება ღმერთმა გვიშველოს საიდგანმე, - ტირილით ეუბნებოდა კონა.

- კონა, ნუ სტირი. შენი ცრემლები გულს უფრო მიკვლენ. ჩემს უბედურებას შენიც ემატება და მაშინ უფრო მოუთმენლად მინდა, რომ დავიკარგო სადმე. მოდი,

გოგო, ერთად გავიქცეთ. წავიდეთ სადმე, შორს, შორს, რომ ქვეყანაზე ვერავინ გაიგოს, თუ შენ გოგო ხარ და მე ბატონიშვილი. ერთად მოჯამაგირედ დავდგეთ, ვიმუშაოთ, ფულები მოვაგროვოთ და მერე...

- მერე?

- მერე? სახლი გავიმართოთ და და-ძმურად ერთად ვიცხოვროთ.

- გოგო, გოგო! - მოისმა წივილი იისახარისა. - სადა ხარ, შე გაგლეჯილო! დაგავიწყდა, რომ სახლში შემოსვლა გინდა. აქ მოეთერ, აქა, შე უნამუსოვ.

კონა ნელა წამოდგა ფეხზე. ის იყო ყარყარა, მაგრამ მეტად სუსტის აგებულობისა. იმის ტანს რაღაცა ბუნებრივი ლაზათი ჰქონდა და წყნარი მიხვრა-მოხვრა. იყო

ფერმკრთალი და იმის ლამაზი შავი თვალები მუდამ დაღონებულნი გამოიყურებოდნენ. ბელეშად შეკერილი თეთრი ჩითის კაბა, წითელი გახუნებული თავსახვევი, ქალბატონის გამონაცვალი დაწიწკნილი ბაშმაკები შეადგენდნენ იმის მორთულობას. იმან გულით ამოიოხრა, ლევანს გადახედა, შეაგროვა ბავშვები და შევიდა სახლში.

V

ლევანი მწვანეზე გაიშოტა, დაებჯინა თავით ორთავ ხელებს და დაუწყო ყურება წყლის შეუყენებელ მდინარეობას. ათასნაირი ფიქრები ტრიალებდა ამ ობლის თავში. რა მომელის მე? რა მქვიან მამიჩემის ოჯახში, ან ქვეყანაში? პავლიკა ბიჭს უფრო მეტი ალაგი უჭირავს ცხოვრებაში, მანამ მე. ორი ხმა რომ მაღლა ამოვიღო, ჩემი დედინაცვალი მაშინვე გადმომიბღვერს; ყოველ წამს

სცდილობს სიცოცხლე მომიშხამოს. აბა რა იყო დილას მიზეზი? ჯერ თითონ მლანძღა, მერე მამას მიუტანა ენა, გამლანძღაო, და კინაღამ ჯოხით აცემინა. ოჰ, ნეტა კი ეცემა! მიზეზი მაინც მექნებოდა ჩემი გულის შხამები ვიზედმე გადამესხა. მამაჩემი! უხასიათო, უსირცხვილო! ოღონც აიცილოს ბარბარეს ლანძღვა და თუნდა იმისთვის თვრამეტი წლის ვაჟკაციც გალახოს, რა უშავს. რა უშავს? ხელი ეხლო და მაშინ ნახავდა, რაც უშავდა. მაგრამ რისთვის ვიტან ამდენ ტანჯვას? რითი მაქვს იმედი, ფერი შეუცვალო ჩემს უბედურ ყოფა-ცხოვრებას? ნუთუ კონას დატოვება მაბრკოლებს? რა ვიცი, ყოველთვის, წასვლას რომ დავაპირებ და იმის დაღონებულ სახეს წარმოვიდგენ, მრცხვენიან ვუღალატო და ხუთის წლის ამხანაგობა დავარღვიო. საწყალი! მთელი იმის სიცოცხლე ცემა-ტყეპაში მიდის. რასაც ბარბარე აკლებს, იმას იისახარი უსრულებს. ცემა ცემაა და გაუპატიურება ყოველ წამს ხომ უარესია. გუშინ კონას ქურდობა

დააბრალეს. კონამ მოიპარა! განა კონას მოპარვა შეუძლიან რისამე? მაგრამ ვინ არის გამრჩევი. კონა უპატრონო, ობოლია, მოსარჩლე არავინა ჰყავს და ყოველთვის მტყუანი უნდა გამოდიოდეს. ,,ვიღას შევტირო ჩემი უბედურებაო”. საწყალი! ვიღას უნდა შესტიროს მართლა? მთელი სახლობა მგლებივით შეჰყურებს და მეც თავი დავანებო? არა. იმასაც უნდა ვუშველო და ჩემს თავსაც. ჩემს მეგობარს ალექსანდრეს მივწერ, დარიგებას ვკითხავ. ის უთუოდ გზას მიჩვენებს. იმის გულში იმდენი სიყვარულია, რომ გაჭირვებულს უთუოდ ხელს მომაშველებს.

VI

“ძმაო და მეგობარო ალექსანდრე!” - სწერდა ლევანი იმავ დღეს გოგრაშვილს, - ,,თქვენ კარგად მოგეხსენებათ ჩემი მდგომარეობა. მე თქვენ ყოველთვის ისე გიყურებთ,

როგორც ძმას და ძმურადაც გიამბობდით ჩემის ოჯახის ამბავს. თქვენ მირჩევდით მომეთმინა, იქნებ მამაჩემის გულს როდისმე გაეღვიძნა და ჩემთვის გზა მოეცა რამე. მაგრამ იმის გულის გაღვიძება შეუძლებელი ყოფილა. ჩემი მოთმინება გათავდა, მეტი აღარ შემიძლიან. დღეს მე კაცი ვარ, თვრამეტის წლის კაცი. მე თქვენის მოწყალებით ვიცი, რა არის კაცი. მე თქვენის მოწყალებით ვიცი, თუ რა დამოკიდებულება უნდა იყოს კაცებს შუა და მოთმინება აღარ შემიძლიან. ჩემი ვინაობა აუწერელია; მე ყოველ დღე განდევნილი ვარ, ყოველ დღე თავლაფდასხმული მამიჩემის სახლში. მინდა თავი განვითავისუფლო ამ სიბნელიდგან და იმედი მაქვს ხელს მომიმართავთ, დარიგებას მომცემთ და გზას მაჩვენებთ. ესეც უნდა მოგახსენოთ, რომ მეორე ტყვე, რომელიც ჩემთან უნდა განთავისუფლდეს, ბევრათ უარეს დღეშია და იმის იქ დატოვება ჩემგან უსინდისობა იქნება. გეხვეწებით, მალე შემატყობინეთ პასუხი. მე იქამომდე

აღელვებული ვარ, რომ მეშინიან ფათერაკი არა შემემთხვეს რა. ერთი რომ უსაფუძვლოდ გამლანძღონ, ერთი რომ კონას ჯოხი მოუღერონ, ვინ იცის, იქნება თავი ვეღარ შევიმაგრო და უბედურება მოვახდინო რამე. მირჩიეთ, რა ვქნა! მირჩიეთ!”

ერთ კვირაზე ლევანს შემდეგი პასუხი მოუვიდა გოგრაშვილისაგან: ,,ლევან მე დიდად ვწუხვარ, რომ შენში ადამიანური აზრები აღვძარ. მე მინდოდა კაცად მექცია და ის კი ვეღარ მოვიაზრე, რომ მაგ აზრებით სადა გტოვებდი! როგორ შეგეძლო აგეტანა ის უზნეობა და ბარბაროსობა, რომელიც შენს სახლში ტრიალებს. მე მინდოდა კაცი ყოფილიყავ და ის კი ვეღარ მოვიფიქრე, რომ ბოლომდის შენი გზაზედ გაყვანა ჩემს ხელთ არ იყო. მე მაშინვე ვერ მოვიფიქრე, რომ უნდა მგელი ყოფილიყავი, რომ მგლებში მგლურად გეღმუილა, რომ ბატკანს უთუოდ გადაგყლაპავდნენ. მაგრამ შენ ისეთი

მასალა იყავ შენის უმანკოებით, რომ შეუძლებელი იყო მე მაგ მასალისათვის ხელი არ მომეკიდნა, არ შემემუშავებინა, თუმცა კი შენი სრულიად დაახსნა მაგ ყოფიდან არ შემეძლო. მე ვგრძნობ შენს მდგომარეობას. მე მესმის შენი გმირული სურვილი, რომ კონაც გინდა გაანთავისუფლო, მაგრამ როგორ უნდა მოგაწვდინო ხელი! იქნება არც კი იცი, რომ შენ მცირეწლოვანი ხარ და არ შეგიძლიან მამის სახლი მიატოვო და თანაც ტკბილი ლუკმა, მუქთი მოსამსახურე გამოჰგლიჯო. კანონით მამას შეუძლიან შინ დაგაბრუნოს, სასტიკად დაგსაჯოს, შემდეგში უარესს დღეში ჩაგაგდოს. და თუ მოახერხებ და წამოხვალ, ჩემი სახლი შენთვის ყოველთვის მზად არის. თუ ბრძოლა იქნება საჭირო შენის განთავისუფლებისათვის, რამდენადაც შესაძლო იქნება, კიდეც ვიბრძვი. მაგრამ რაღა ვქნათ მაშინ, რომ ყოველივემ ამაოდ ჩაგვიაროს და მამაშენმა შინვე დაგაბრუნოს?!”.

VII

ლევანმა კონას გადასცა ალექსანდრეს პასუხი. ის შეძრწუნდა, როგორ თუ უნდა გავიპაროთ. მერე ქალბატონი რას იტყვის? იმას ვერ წარმოედგინა, რომ ქალბატონის წინააღმდეგ ნაბიჯის გადადგმა შესაძლებელი ყოფილიყო. ის ისე შეეჩვია მონობას, რომ თავისუფლება ვერც კი წარმოედგინა. - მერე რომ დაგვეწივნენ და დაგვაბრუნონ?!.

- დაგვაბრუნონ?.. ჩვენ ჩვენსას ვეცადნეთ და თუ დაგვაბრუნებენ, მაშინ სხვაფრივ ვიფიქროთ. მაშინ ბრძოლა გაიმართება და გამარჯვება იმას დარჩება, ვინც უფრო ღონეს გამოიჩენს. შენ ბარგი შეკრული გქონდეს. მე მთაში წავალ, იქნება შალბაშის ფულებით მოვაგროვო რამე. მე მამა ხანდისხან გამგზავნის ხოლმე ფულის

ასაკრეფად და მთიულები ფულს არ დამიჭერენ. ფული რაკი გვექნება, ფიქრი აღარ არის. რკინიგზამდის, როგორც იქნება, ჩავალთ და შემდეგ ალექსანდრე მოგვეშველება.

ერთის კვირის განმავლობაში დიდს აღშფოთებაში იყვნენ კონა და ლევანი, დამკვირვებელი რომ ჰყოლოდათ ვინმე, ადვილად შეატყობდა ამათ მღელვარებას. ლევანი უფრო გულმაგრად და გადაწყვეტილებით მოელოდა გამგზავრებას და კონა კი თრთოდა. ამას წამდაუწუმ ავიწყდებოდა დაწყებული საქმე. ბევრჯერ შუა ოთახში გაჩერდებოდა და თავისთვის რაღაცას ტუტუნებდა; ბავშვები ღრიალებდნენ და კონას არაფერი ესმოდა. იისახარმა წიკვინი მოუხშირა, უფროდაუფრო ხშირად დაუწყო კონას კანჭებს შხოლის ლაწუნი, მაგრამ მდუმარებიდგან კი ვერ გამოიყვანა.

- დაგლახვროს ჩემმა წმინდა-გიორგი ლანახვისისამ! რა

დაგემართა, შე გულმკვდარო, რაზედ გამოყრუვდი? ვირის ქეჩი ხომ არ გაკრავს, რომ ცემასაც კი ვეღარ ჰგრძნობ?

კვირა საღამოს ლევანი მთიდგან დაბრუნდა და კონა გაიხმო:

- გოგო, ფული ვიშოვნე, ჩვენი საქმე კარგად არის. ამაღამ ფხიზლად იყავ, რაწამს სახლში ხმა მიწყდება, გავიპარნეთ.

- ლევან, ლევან, არ შემიძლიან. მუხლები მიკანკალებს. გული როგორღაც მეუბნება, რომ დაგვიჭერენ და მერე ვაი ჩვენი ბრალი! ცოცხლად მიწაში ჩამსმენ. არ შემიძლიან, არა. მარტო შენ წადი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

- აი, შე ლაჩარო, შენა. მერე მე სადღა ვარ, ვერ გიშველი?

მაშ მე ბიჭი აღარა ვყოფილვარ, რომ შენ ხელიღა დაგაკაროს ვინმემ. ეშმაკს შეაფურთხე და წავიდეთ. ნუ გეშინიან, ობლის ღმერთი ჩვენს მხარეს იქნება.

შუაღამისას, როდესაც თავბრუაძიანთ სახლში ჩამიჩუმი აღარ ისმოდა, ბალკონის კარები ჩუმად გაიღო და ჩუმადვე მიიხურა. ბნელაში ორი ჩრდილი ერთი-ერთმანეთის მომდევნო, ხელიხელს ჩაკიდებული, ფეხის აკრეფით, უხმოდ განშორდნენ სახლსა. კარგა მანძილს რომ გასცილდნენ, ლევანი და კონა შესდგნენ, გადახედეს თავის სატუსაღოს, გადიწერეს პირჯვარი და გაჩქარებულის ნაბიჯით გაუდგნენ გზასა.

განთიადისას იისახარს ყმაწვილის ატეხილი ტირილი შემოესმა, ადგა, გავიდა ქალბატონის ოთახში და პირ-კატა ეცა. ბარბარე გაქანებული ხვრინავდა და კონას ლოგინი კი ცარიელი იყო. გამოვარდა გარეთ, შეჰქნა ყვირილი, ერთ

წამზე მთელი სახლობა ფეხზე დააყენა. აქეთ გოგო, იქით გოგო. ლევანი აღარავის გაახსენდა ბარბარე ქევქევით გამოგოგდა და ორთავ ხელები თავში შემოიკრა, - ქა, ახლა რაღა პასუხი გავცე იმ გოგოს დედას, რას მეტყვის, ჩემი შვილი შენი ამანათი იყო და სად დამიკარგეო! მიშველეთ, ბიჭებო, მოძებნეთ, დაიჭირეთ, თუ ღმერთი გწამთ და მე ვიცი, როგორც დაგასაჩუქრებთ. სოფელმაც გაიღვიძა. შეიქნა ერთი საშინელი აყალ-მაყალი. ზოგს უხაროდა ეს შემთხვევა, ზოგს უკვირდა. კარებზე მოგროვილ ხალხში სხვა და სხვა აზრი მოისმოდა.

- ვაცხონე იმის მამა, - ამბობდნენ ყმაწვილი ბიჭები, - რაც იმას ესენი სცემდნენ, რატომ აქამდისაც არ გაიქცა. ე ოხერი ბატონყმობა დიდი ხანია გადავარდა და ეგ საცოდავი კი ყმაზე უარესს დღეში იყო.

- აი გაუწყდა სახელი იმ ურცხვს! ვინ იცის ვის

გადამთიელს მიჰყვა და თავი გაიფუჭა, - უმატებდნენ დედაკაცები.

ამ არეულ-დარეულობაში შეუნიშნავად სახლს მიუახლოვდა ტარანტასი, იქიდგან გადმოხტა სფირიდონ და ამაყად უბრძანა ბიჭებს:

- გადმოიღეთ ეს უნამუსო და ახლა მე ვიცი, როგორს თავისუფლებასაც ვუჩვენებ მაგას.

ბარბარემ შეჰკივლა, იისახარმა გულშემოიყარა, დიდი და პატარა ტარანტასს შემოეხვია. გადმოიღეს კონა გაყვითლებული, მუხლმოკვეთილი და წინ დაუდვეს თავისს ქალბატონს. ბარბარეში გაიღვიძა ყოველმა იმისმა პირუტყვულმა გრძნობამ; ის წამოვარდა ფეხზე და თავისს ზორბა გვამით შეადგა კონას. ამას სრულიად დაავიწყდა, ბოლო რა იქნებოდა ამის პირუტყვობისა. ეს

მხოლოდ ჰხედავდა თავის მსხვერპლს და პირუტყვსავითვე შეუბრალებლივ სჯიდა მას. არც ერთი ხმა, არც ერთი კრინტი არ დაუძრავს უბედურს გოგოს, და თუ არ შეენიშნათ იქ მდგომ ბიჭებს კონას გულწასვლა, იქნება ფეხქვეშაც, ხმაამოუღებლივ ამოსვლოდა სული. უძრავი კონა შეიტანეს სახლში.

- სად იპოვნე ეგ ძაღლის ლეკვი? - დამშვიდებით ჰკითხა ბარბარემ სფირიდონს, თითქო აქ არაფერი ამბავიაო.

- სად ვიპოვნე, ქალო, და სტანციაში. წარმოიდგინე, გადმოვხტი ვაგონიდან თუ არა და ვნახოთ ხელი-ხელ ჩაკიდებული ლევანი და ეგ დარბაისელი შემოდიან იმავე ვაგონში. მაგათაც შემნიშნეს და გაქცევა დააპირეს. გაქცევა რომ არ დაეპირებინათ, მე აბა რას მივხვდებოდი! მაშინ კი მივხვდი, ვწვდი და დავიჭირე გოგო, ლევანი კი თავდაღმა დაეშვა და სად წავიდა და სად არა, ვეღარ

გავიგე რა. დეე, წავიდეს, შორი გზა არ ექნება და როცა ჩავიგდებ ხელში, მაშინ მე ვიცი, როგორც მწყრებს გამოვურეკ. ისე დავბუბნი, ისე, რომ სიბერემდის ვეღარ დაივიწყოს. ვაჟო, ეს რაღაცა თავისუფლებააო, სულ გადაგვირია ბავშვები. რა ეშმაკად მივე იმ მჭადიჭამია გოგრაშვილს, მაგრამ ტყუილად კი არ არის ნათქვამი: ,,ჩვენი საქმე მაშინ წახდაო, როცა დათვი საძაღლედ გახდაო''.

კონა დიდხანს იწვა ლოგინში უგრძნობლად. არც მომვლელი, არც ხმის გამცემი იმის ბედობაზედ არვინ იყო. მთელი დღეობით მწყურვალი, სიცხისაგან ყელამომხმარი შესცქეროდა ზეცას და ნატრობდა სიკვდილს. იისახარმა ორჯერ-სამჯერ წამოაგდო ფეხზედ, ეგონა, რომ კონა ტყუილად იწვა ლოგინში, მაგრამ ორი ნაბიჯის გადადგმაზე კონა უძლურად დაეცა ფილაქანზე და მხოლოდ მაშინ მიანებეს თავი.

ამ ხანებში არაშენდას შემთხვევით მოვიდა ექიმი. მეზობლებმა ურჩიეს ბარბარეს, გოგო უჩვენეო, და იმანაც სინდისის გასაწმენდად მოიწვია. ექიმმა გადაათვალიერა კონას დაბრანძული ლოგინი, ნოტიო კედელი იმის საწოლთან და კნეინას შენიშნა: ,,ამ მდგომარეობაში ეს გოგო ერთს კვირასაც ვერ გააღწევსო''.

კნეინამ "მდგომარეობა" კონას ავადმყოფობას დააბრალა და, როგორც უნუგეშოს, ქვა მიაგდო. ხანდისხან, მეტადრე კვირაობით, როდესაც დედაკაცები მოცლით იყვნენ, შემოხედავდნენ ხოლმე კონას. ზოგი დიდგულას ასმევდა, ზოგი ძირტკბილას, ზოგი დოს პერანგში აწვენდა და შემდეგ ისევ მიივიწყებდნენ ხოლმე. ყველას თავისი საქმე ბევრი ჰქონდა და კვირაობითაც საკმაოდ სთვლიდნენ იმის მოვლას.

ექიმის სიტყვამ არ გასჭრა, თუმცა კონა მთელი ზამთარი ლოგინად იყო, მაგრამ რამდენიც გაზაფხულის სითბომ გააღვიძა ქვეყანა, იმდენი კონამ თანდათან მოიხედა და ერთ მარტის თბილ დღეს ფეხზედ წამოდგა, მაგრამ ვაი იმ წამოდგომას. მკვდრის ფერით სახეზედ, წელში ორად მოკაკული მძიმე და განუყრელის ხველით საშინელი სანახავი იყო. მაგრამ ბატონყმობის დროს გაქვავებული გული იისახარისა და სისხლის მოყვარე ყასაბის ქალი ბარბარე ვერ ამჩნევდა თავიანთგანვე შემზადებულს სურათს. იმათთვის სულიერი თანაგრძნობა შეუძლებელი იყო: სხვისი ტირილი სიცილად მიაჩნდათ და სხვისი ტანჯვა ქეიფად. ისინი სვავებივით მივარდნენ თავიანთ მსხვერპლს და თითქო გაიხარეს, რომ ისე ადვილად არ გამოეცალათ ხელიდან.

- კნეინას ვახლავარ! - საშინელის გველურის სიცილით მიეგება ბარბარე ამოსვლის უმალვე კონას. - როგორ

მოისვენეთ, ჩემო ბატონო?..

კონა გაოცებული შეჩერდა. მერე საშინლად თვალები დააჭყიტა და წაბარბაცდა.

- რა კნეინა იქნებოდი. - დაუმატა იისახარმა, - გემოვნება კი გქონია! აი, თუ ჩაიხუტებდი კნიაზს ჭუჭყიანს უბეში.

- რა კარგად მოუხდებოდა კნეინობა ახალკაცის გომბიოს იქნება დედაშენმა დაგარიგა, რომ აგრე მარდად მოქცეულიყავ? და სიკეთის მაგივრად, რომ მშიერი გაგაძღეთ, წინიდან მოსათხრელი თვალები უკანიდან დაგეთხარა.

- საშინლად დაშვენდებოდა ტახტზე ჯდომა ლანჩაშეხეულ და გამურულ კონას. რა რძალი დაგიმშვენებდა, კნეინა, გვერდს, თითით საჩვენებელი კი

იქნებოდა! მეხი კი დაგაყარე მაგ თავზე, მეხი! შე წუწკო, კაცმა რომ შემოგხედოს, მჭადში ნახშირს ვერ გამოარჩევ და მაგდენი კუდიანობა კი შეიძელი.

- აი გახმეს ეგ გოგრა, რომ შენისთანა გომბიოები ვერ გაქალბატონდნენ! - და ორთავე ხელებით თავში ჩაჰკრა ბარბარემ კონას.

- ქალბატონო, ქალბატონო, დამეხსენით! - ხელების მტვრევით ეუბნებოდა კონა. - დამეხსენით. ტყუილად ნუ მწვავთ, ტყუილად ნუ მაბრალებთ. განა არ იცით, რომ მე ეგენი თავისს დღეში თავში არ მომსვლია. შარს რად მიგონებთ, რადა? შემიბრალეთ.

- ხმა გაიწყვიტე, შე ძაღლის ლეკვო! შენ გინდოდა გაგეჩირქიანებინა ჩვენი ოჯახი, შენ გინდოდა პატიოსანი თავადიშვილი დაგეღუპა და ხმაც ვეღარ უნდა გავცეთ?!

- ქალბატონო, გეუბნებით, დამეხსენით. მეტი მოთმინება აღარ შემიძლია! მეც ადამიანი ვარ, ჩემს გვამშიაც ადამიანის სისხლი ტრიალებს, შემიძლიან მოთმინება დავკარგო და მაშინ... - კონა წელში გაიმართა, სახე გაუწითლდა და ეს სიტყვები ისეთი სიმამაცით სთქვა, რომ ცოტა არ იყო შეაშინა თავისი მტრები; მაგრამ ერთის წამის შემდეგ ისინი უარესის გაცოფებით მივარდნენ:

- ქა, ვერა ხედავთ, როგორ ენა ამოიდგა. იქნება შენ შენი თავი მართალი კნეინა გგონია! მოდი, ბარემ დამკარ კიდეც რაღა, თორემ რა, თორემ რა? ხმა ჩაიწყვიტე, ხმა, თორემ ისე გაგცლი ბუწუწებიდან, რომ დედაშენმა მართუამაც ვეღარ გიცნოს.

- ოხ, ღმერთო, ღმერთო, მომათმენიე! - იტყოდა ხოლმე კონა და ბარბაცით, კბილების კრაჭუნით გავიდოდა

გარეთ.

ამგვარმა უსამართლო ცილისწამებამ კონას ჩუმი და უფერული ხასიათი სრულიად შესცვალა. ეხლა ეს ჩუმად აღარ ემორჩილებოდა თავისს ბედისწერას, ჩაისახა გულში შურისძიება და დღე და ღამ ამის საფიქრებელი ის იყო, თუ როგორ გადაეხადნა თავისს მტრებისათვის სამაგიერო. გრძელსა და გაუთავებელს ღამეებს ატარებდა უძილოდ ხველების გამო და სულ იმ ფიქრში იყო, თუ როგორ აესრულებინა თავისი განზრახვა. ,,ლევანი ყოველთვის მზად იყო შურის საძიებლად, მაგრამ დასჯისა ეშინოდა", ეუბნებოდა თავისს თავს კონა. ,,და მე რიღასი მეშინიან! მე ხომ დიდი ხანი აღარ დამრჩენია სასიცოცხლოდ და ისე მაინც მოვკვდე, რომ მაგათი ჯავრი არ წამყვეს. ერთ მუჭა სისხლს მაინც დავლევ ჩემი სიცოცხლის ფასად! ოხ, ლევან, ლევან, რა მიყავი, თავისუფლების მაგივრად სიცოცხლე რად მომიწამლე!"

ახალ-ახალი ზნეობის დამამცირებელი მოქმედება და დაცინვა ბარბარესი და იმისი ერთგულის მოახლისა უფრო და უფრო უმტკიცებდა ამ აზრს კონას თავში. ბოლოს იქამდის მიაღწია, რომ თითქმის ჭკუაზე შესცდა ამ აზრზე. ,,რითი მოვკლა? ან რომელი მოვკლა?'' ხშირად ჰკითხავდა თავისს თავს.

ერთხელ თავისს ყუთს ალაგებდა და კუნჭულში იპოვნა პატარა ლამაზი კალმის დანა. ეს ლევანის პირველი საჩუქარი იყო და შიშით ვერ აჩენდა კონა, რადგანაც ყოველი ამის საკუთრება უთუოდ გადავიდოდა ხოლმე იისახარის ხელში. ერთხელ სტუმრებმა კონას თეთრი ფული აჩუქეს და ისეთის სისწრაფით გამოჰგლიჯა ხელიდან, რომ კინაღამ თითებიც თან გაატანა. კონამ დანა კარგად გასინჯა, გადაატრიალ-გადმოატრიალა და ჯიბეში ჩაიდო. ამ დღიდგან კონას შეხედულობა სრულიად

შეიცვალა. ტანში გასწორდა, თითქოს სიმაღლეც მოემატა, თვალები აენთო, გაყვითლებული ლოყები გაუწითლდა, მოძრაობაში სისწრაფე დაემჩნია. ამან მოიკრიბა რაც დარჩენილი ძალა და ღონე ჰქონდა შურისძიების ასასრულებლად და ლოდინიც დიდხანს არ მოუნდა.

ერთხელ კონამ ბარბარეს ძვირფასი შალი დასწვა უთოში. ბარბარე გააფთრდა, მოჰგლიჯა კონას თავშალი და ქოჩრის წიწკვნა დაუწყო - აი შე წუწკო, შენა. აბა ახლა გიშველოს, აბა ახლა მოგიტაცოს შენმა კნიაზმა, აბა გაგანთავასუფლოს! - და თან ლუკმა-ლუკმა აგლეჯდა ხორცებს. იისახარიც შემოვარდა და ქალბატონს კვერი დაუკრა. კონა ათრთოლდა, უკანასკნელი ღონისძიება მოიხმარა და ბარბარეს ხელიდან გაუსხლტა, ცოფიანივით დორბლი გასდიოდა პირიდგან, თვალები წინ წამოუცვივდა, ყელში ხრიალი დაიწყო და თვალის დახამხამებამდის თავისი დანა ბარბარეს გულში ჩაარჭო.

მაგრამ კმაყოფილების მაგივრად დატორტმანდა, გვერდზე ხელი წაივლო და უსულოდ დაეცა ბარბარეს ფერხთით. პირიდგან სისხლი გამოსკდა და შეუერთდა ქალბატონის სისხლსა.

ამავე დროს მეორე კარებიდან შემოვიდა მართა ხურჯინით დატვირთული. ამან ძღვენი მოუტანა ქალს მოსაკითხად. ძლივს ეღირსა თავისი გულითადის აზრის ასრულება. მოვიდა ქალის გასანთავისუფლებლად და დაინახა, რომ განთავისუფლებამ დაასწრო, განთავისუფლებამ საზარელმა, მაგრამ ნამდვილმა და საუკუნომ...

VIII

ბარბარეს დაჭრილობა ძლიერ მცირე გამოდგა. არც იარაღი და არც ძალა საკმაო არ იყო, რომ იმის გასუქებულ

მკერდში ჩაეტანებინა.

ლევანი იმავე დღესვე, როდესაც მამას სადგურიდგან გაექცა, ტივით ქალაქში ჩამოვიდა. გოგრაშვილის შემწეობით და ნათესავების მაშუალობით სფირიდონი შეურიგდა თავისს შვილსა და თვეში სამი თუმანი საზრდოდ დაუნიშნა. ლევანი გიმნაზიაში სწავლობს და იმედი აქვს უმაღლესი სწავლაც მიიღოს. ამის შრომით სავსე სიცოცხლეს ძლიერ ხშირად ამღვრევს ის აზრი, რომ ამხანაგს უმტყუნა და სათნო კონა უმეცრების მსხვერპლად გაჰხადა.

ღვინია გადაიჩეხა

(საახალწლო იმედები)

I

- ნიკო, ხვალ ძლიერ ფრთხილად უნდა იარო, თორემ ამ საშინელ გაყინულზე, თუ ერთი ფეხი გაუსხლტა საქონელს, ის არის და ისა, ცოცხალსაც ვერ ააყენებ.

- ოჰ, და! მე და ჩემმა ღმერთმა მართალს ამბობს ნენეი, - დაუმატა რძლის სიტყვებს მოხუცებულმა გოგიამ, რომელიც რკინის ფეჩის წინ იყო მიცუცქული და ხელებს ითბობდა. - აგერ სამოცდაათი წლის კაცი დავბერდი და თითქმის არ მახსოვს, რომ მოვსწრებოდე ამისთანა ყინვას

ჩვენს ქვეყანაში. ჩემს ბიჭობაში კი გამიგონია, 1800 წელს მტკვარი ისე გაიყინა, რომ ორი კვირა ხალხი ზედ გადიოდ-გამოდიოდაო.

- ეხლაც აგრე არ არი? იმ დღეს რომ ქალაქში ვიყავი, მტკვრის პატარა ტოტზე აბდა-უბდას დაყირაობდნენ „პოვოსკები". პატარა ბიჭები ისე დასრიალებდნენ კუკიის ხიდის ქვეშ, აი დასწყევლოს ღმერთმა, ისე დასრიალებდნენ, რომ გეგონებოდა დაფრინავენო: არც იქცეოდნენ ის ოჯახ-ქორები, არც ირყეოდნენ, გეგონებოდა ფეხებში ეშმაკები შესხდომიათო, - დაუმატა ნინიკამ.

- რა ძლიერ გაგკვირვებია ყინულზე სრიალი, ჩვენებურები კი არ დასრიალებენ ხოლმე ციგებითა? ისე დავსრიალებთ, ისე, რომ რეტი დაგვეხვევა ხოლმე. - ლაპარაკში ჩაერია ათი წლის მიხა, მამას ძველს მაზარაში გახვეული და

თავზედ რაღაცა ჭუჭყიან ძონძწაკრული.

- მამილო! ხვალ ქალაქში რომ ჩახვიდე, საახალწლოდ ,,ბაშმაკები'' მიყიდე! ამოდენა გოგო ვარ და ჯერ ფეხსაცმელი არა მღირსებია.

- მეხი კი დაგაყარე მაგ თავზე! ამოდენა, ვინ იცის, რვა წლისა მარტო ღვინობისთვეში შესრულდები. ნეტა იმდენი ფული აიღოს ერთ პატარა ურემ შეშაში, რომ საახალწლოდ ორიოდე ფუთი ფქვილი მოგვიტანოს და პირის გასახსნელად ხუთიოდ გირვანქა ხორცი! შობა დღესაც ცარიელ ლობიოზედ გადავიარეთ.

- მართალს ამბობ, ნენე, უხორცობა ამისთანა დიდ ბედნიერ დღეს როგორ შეიძლება! ნახევარ თუნგი არაყიც კი მომეტებული არ იქნება, მე და ჩემმა ღმერთმა! მეტადრე ამისთანა ყინვაში, - დამქაში დაუკრა გოგიამ

რძალს.

- ბატონო, ეგ ხომ კარგი იქნება და კარგი, მაგრამ თქვენ პერანგს გული პირი სულ ჩამოგლეჯილი აქვს და არყის ფასით რომ ერთი არშინი ლურჯი ტერნო მოგიტანოს ნინიკამ, მე მგონია, ის კი ემჯობინება.

- მე, ძალო! ე, ოხერი ქალამნები სულ შემომეგლიჯა, ფეხები ლამის დამაძროს, მაშ ქალამნები არ მინდა?

- შენა, დედაკაცო, შენთვის რატომ არაფერს მაბარებ? - დაცინვით უთხრა ნინიკამ ცოლსა. - ისე ლაპარაკობთ, თქვე დალოცვილებო, თითქოს ჩემი დავარდნილი ხარების მაგივრად, ლომა კამეჩები მებას და სიფრიფანად ჩალაგებულ შეშის მაგივრად დატვირთული ურემი მიმქონდეს! ჩვენი სოფლის ურემ შეშას რიგიანი ხომ არავინ იყიდის, ჩვენ ის შემოგვევაჭრება, ვისაც ჩვენსავით

ხუთი გროში ორას თუმნად უღირს. აი საგურამოს ურმები, აბა ურმები ისინია! ამ დიდ ზამთარში თითო ურემი თორმეტ მანეთად იყიდება. ჩვენი ურემი, რაც უნდა გაჭირდეს, განა არ იცით, რომ ოთხს მანეთს არ გადააჭარბებს. ქალაქელმა დედაკაცებმა იციან: „ქა, დიღმური ურემი და ხუთი მანეთი?! ხუთი მანეთი მქონდეს, მცხეთურს ვიყიდი, დიღმური ურემი რა საკადრისია! რა უთხრა გაჭირვებას თორემ, მაგისი ფასი ექვსი აბაზია, ექვსი აბაზიც კი მეტია!" ის კი არ იციან იმ დალოცვილებმა, რომ, მართლა რომ გაჭირვებას რა უთხრა, თორემ დიღმელს თითო ღერი შეშა თითო სისხლის წვეთად უღირს! საიდან სად უნდა მოვიტანოთ, რამოდონა შალბაში უნდა გადვიხადოთ და ექვსი აბაზიო! ექვსი აბაზი კი არა, რაც მე ამის მოტანაზედ ტანჯვა გავწიე, თითო ღერი ექვსი მანეთი უნდა ღირდეს. გუშინ ტყეში ხარები რომ დამიცვივდნენ, ურემი ამ დაღმართზედ სულ მხრით ვზიდე; ორჯერ-სამჯერ ისე

მოვსხლტი ყინულზედ, მეგონა, ეს არის დამრჩა ცოლ-შვილი გატიალებული-მეთქი! ექვსი აბაზი! თითო ღერი, ყინულზედ დაკრული, რის ვაი-ვაგლახით ავაძრე და მერე რამდენ ხანს ვაფხიკე ყინულები, რომ საქონლისთვის ტყუილად ყინული არ მეტარებინებინა.

- კიდევ მაგ ყინვის იმედი მაქვს და! - უპასუხა ნენემ ქმარსა. - ამისთანა ვაგლახ ზამთარში ხუთ მანეთს როგორ არ მოგცემენ და ხუთ მანეთად ბევრი რამე მოგვივა საახალწლოდ.

- ნეტა ეგრე იყოს, დედაკაცო, და მაშინ ერთ წითელ თავშალსაც შენ მოგიტან.

- უი ქა, წითელი ხელცახოცი უნდა მოვიხვიო სამი შვილის დედამა! წითელი კი არა და თუ კარგ ლურჯ თავშალს ამომიტან, ურიგო არ იქნება, სხვა რომ არა იყოს რა, ახალ

წელიწადს ახალი მაინც დამეკვებება.

- მართლა, ბიჭო, - უთხრა მორცხვად თავჩაღუნულმა გოგიამ შვილსა: - თუ მომეტებული გქონდეს ორიოდ შაური, ნუ დაზოგავ, შენ გაზრდას, და ცოტა-ოდენი თუთუნი მიყიდე. აგერ ორი კვირაა, რაც ჩიბუხი არ გამიბოლებია და ლამის გავგიჟდე, პურზე მომეტებულად მომშივა ხოლმე, ი ტიელი!

- დედა, დედა, თაფლი, ნიგოზი! ახალ წელიწადს გოზინაყი არ გვინდა? - კაბას სწევდა პატარა ფეფე დედას და საცოდავად ეღრიჯებოდა ნენეს.

- კარგი, კარგი, კმარა! რაც მოვა შეშის ფასად, ღმერთმა ხომ იცის, ჩემთვის არას შევინახავ. მოიტა, დედაკაცო, ლუკმა შევჭამო, გაუთენებლივ უნდა გავიდე, რომ ხვალ საღამოზედ თვალნათლივ ამოვბრუნდე, ახალ წლის

ღამეს კარში ხომ არ გავათენებ?

II

ქალაქი დიდ ალიაქოთშია. დიდი და პატარა, დატვირთული სხვადასხვა ტკბილეულობით, ხორაგით თუ საახალწლო მორთულობით, მიეშურება შინისკენ. შეშის მოედანზედაც გაცხარებული ვაჭრობაა. ყოველ კაცს ახალ-წელიწადს სხვა სიუხვესთან უნდა რომ სახლიც თბილი ჰქონდეს. მოვაჭრენი უფრო ღარიბები არიან; მდიდრებს ზამთრის საგზალი დიდი ხანია დამზადებული აქვთ, ღარიბებმა კი სხვა დროს რომ სიცივე აიტანოს, ამ დღეს არ შეიძლება: - მტერი, მოყვარე მოუვა, - თავს ხომ ვერ შეირცხვენს და სიცივით გვერდებს არ გამოუყინავს!

- პოჟალუიტე, პოჟალუიტე! - რუსულ ჯიღჯიყით იწვევენ

რუსს, ქართველს, თუ სომეხს მხერხავი იმერლები. - ეტა გრაბოვი, ეი ბოღ, ჩისტი გრაბოვი, სუდარინია, ნე ტარგუი, კაკ ბოღ, ოსემ რუბლი სტოიტ, დაი, ბედნი ჩალავეკ! ნუ, დაი, ნე ტარგუი! - მიეცი, კაცო, მიეცი, მეტი რაღა გინდა, შე ოხერო, ოქრო ხომ არ არის ეგ შენი ჭყინტლი შეშა, მიეცი-მეთქი. - ახლა შეშის პატრონს მოუბრუნდებიან მხერხავები და ბევრჯერ თავშიაც წაუთაქებენ, თუ გამყიდველი ბეჩავია და თავის დაცვა არ შეუძლიან.

დილის ათი საათია. საშინელი ყინვაა. სუსხისაგან წელში ოთხად მოხრილან გამვლელ-გამომვლელნი. მოედანი მთლად გაჭედილია შეშის ურმებით, ტევა არ არის, თუმცა პოლიციელი ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ რაც შეიძლება კედლისაკენ მჭიდროდ მიაყენოს ურმები. ურმები თანდათან მოდიან და მოდიან. პოლიცია ქუჩიდან მიერეკება ურმებს. მოედნის ზედამხედველი აქა-იქ დალასლასებს, თვალ-ყურს ადევნებს, რომ

გაყიდული შეშა არ გამოეპაროს და ქალაქის იჯარა, ურემზედ ორი შაური, არ ასცდეს. ადრე მოსული მეურმეები ხტიან სიცივისაგან, ხელებს იორთქლებენ, ეღრიჯებიან მყიდველებს, ჩალას უდებენ პირში თავ-ჩაღუნულ და ყინვისაგან აბურძგნულს საქონელს.

თორმეტი საათია. თუმცა ბევრი იყიდება შეშა, მაგრამ მაინც მოედანზე ალაგი აღარ არის და პოლიციელი ახალ მოსულებს ქვემოდ, მტკვრის პირას ისტუმრებს. ქუჩაში, დიდი პოვოსკები მთლად იჭერენ ვერის ხიდის ჩასავალ ვიწრო ქუჩას.

სწორედ ამ დროს გამოჩნდა ჩვენი ნინიკა მოედნის თავში. ურმის თავზედ ბრძენსავით დინჯად ზის პატარა მიხა თავისს ძველ მაზარაში გახვეული და თავზედ პაპის ცხვრის ტყავის ქუდჩამოფხატული. ნინიკა კი მხარდამხარ მისდევს ურემს და უღლის თავს უჭერს

თავის შიმშილისაგან დაოსებულს ხარებს. იმისი ურემი სასაცილოა თავისი სიპატარავით. მოკლე, ვიწრო, მაგრამ მაღალი და თხელი, ბავშვის სათამაშოსა ჰგავს. შეშა მხოლოდ ორპირად უწყვია რიგზედ. შეშა შეშაზედ, ლამაზ კოშკივით არის აშენებული; გარედან ხმელები აქვს შემორიგებული და შიგნიდან ნედლი და დაკლაკნილ შეშებით არის ამოვსებული. და ეს სიფრიფანა შენობა რომ არ გადმოწვეს, არ შეირყეს, მსხვილის საბლით ათასგვარად არის გადასალტული.

ნინიკა სცდილობს შეშის მოედანზედ გაჩერდეს, სადმე მიიკუნჭოს. პოლიციელი უყვირის, ხელსა სწევს, ქვევით, წყლის პირისაკენ უთითებს.

- შენი ჭირიმე, აქ სადმე გავჩერდები, იქ ვერ ჩავლენ ჩემი ხარები და თუ ჩავლენ ვეღარ ამოიტანენ, დავარდნილები არიან, მთელი ზამთარი უღლიდგან არ გამოშვებულან,

ნახევარზე მშივრები ჰყრიან, - საცოდავად შეღიჯინებდა ნინიკა პოლიციელს.

- არ შეიძლება, წადი, თორემ კისერში წაგკრავ, წადი!

- კაცო, ხომ გეუბნები, დავარდნილი ხარები მყავს-მეთქი. იმ ყინულზედ როგორ ჩაიტანენ, დაიმსხვრევიან და ჩემს ცოდვაში ჩასდგები!

- წადი, წადი, წადი! - და პოლიციელმა, რომელსაც ნინიკასი ერთი სიტყვაც არ ესმოდა, დაუშინა ხმლის ყუა ხარებს.

მეტი გზა არ იყო, ნინიკა ჩაუძღვა ხარებს მთლად ყინულით გასიპულ დაღმართზე. თან საშინელი ბოღმა აბრჩობდა, იცოდა რომ ბინდამდის ვეღარ ეღირსებოდა შეშის გაყიდვას და სიბრაზით თითქმის ტიროდა.

- ოჰ, თქვენი რჯული, თქვენი! უღმერთოებო! ახალ-წელიწად ღამე ბოგანოსავით ქალაქის გომში უნდა გავატარო, ცოლ-შვილი ჩემს გზის ცქერაში უნდა გამოღამდეს! რა დიდი ალაგი ჩემს ურემს მოუნდებოდა! ერთი ორი შაური მქონოდა, ჩუმად ხელში ჩამედო, ამას ხომ არ მიზამდა. ამ ფიქრებში გართული ნინიკა გულისხმიერებით ვეღარ ადევნებდა თვალს თავისს ხარებს; ერთს ამათგანს ფეხი გახეთქილ ყინულში ჩაუვარდა, მეორე ფეხი წაუსხლტა და ორთავე წინა ფეხით გაილასტა. ვიწროდ აკოკოლავებული შეშა საჩქაროდ გადიხარა გვერდზე და მსუბუქი ურემიც თან გადაიტანა.

ერთ წამზე ურემს დუნდგო ხალხი დაედო და სეირს შეჰყურებდნენ. ნინიკა გაშრა, ენა ჩაუვარდა, მოძრაობა შეეკრა; ის გაშტერებული დასცქეროდა თავის ღვინიას

საშინლად გაფართხულ ფეხებს და იმის ტანჯვით სავსე თვალებს. გადაბრუნებულმა ურემმა და მაყურებელმა ხალხმა გზა შეუკრეს სხვა მიმავალ ურმებს. ,,დესეტნიკები'' გაცეცხლდნენ და ნინიკას დაეტაკნენ. ,,კაცო, კაცო! აიღე ურემი, გზა გაწმინდე, ვერა ჰხედავ, ურმები მოდიან''.

ნინიკა უძრავად იდგა, ღვინიას თვალებში ჩასცქეროდა. საქონლის უსიტყვო, საზარელი ტანჯვა უსიტყვოდვე იბეჭდებოდა იმის პატიოსანს სახეზედ და კაცს გულს უკლავდა. ნინიკას გვერდზე პატარა მიხა საზარლად ქვითინებდა.

- კაცო! არ გესმის, არ გესმის? - და მოთმინებიდგან გამოსულმა პოლიციელმა წაუთაქა თავში, წაარტყა კისერში გაშტერებულ მეურმეს. ნინიკა გონს მოვიდა, ჩოხის კალთით მოიწმინდა მარცხენა თვალიდგან

ჩამოგორებული მსხვილი ცრემლი და ღვინიას აპეურები შეაგლიჯა. ხარი უღონოდ გვერდზე გადავარდა და ორივე წინა ფეხები მჩვრებივით დაეკიდა.

- ბიჭო, შეშაში ორი აბაზი მოგცე?

- ორი აბაზი, შე ოხერო, ღმერთი არა გყავს, ბზე ხომ არ არის!

- ოთხი აბაზი მოგცე, ძმაო-ჯან, - ვითომ წაჩხუბებულმა, მაგრამ ნამდვილად კი პირშეკრულმა ჩარჩებმა დაუწყეს ნინიკას გაჭირვების დროს ვაჭრობა.

- ოთხი აბაზი?.. არა, შეშას არ ვყიდი, ისე მინდა გადავყარო, - ამოოხვრით სთქვა ნინიკამ და ურემს ცლა დაუწყო.

- მაშ რა გინდა, შე ცხონებულო! გინდა შენი ერთი მუჭა შეშა რვა მანეთად გაჰყიდო? - აჰა, მანეთი მოგცე! ახლა პოვოსკა უნდა ამას, რომ აქედგან ბინამდის გადავიტანო და! შენი ფეხებდაგლეჯილი მოზვერი ურემში ხომ აღარ შეებმება! აჰა, ერთი მანეთი! აიღე-მეთქი, გეუბნები, ჭკუას ნუ ჰკარგავ.

- არა. გამიშვი, თუ ღმერთი გწამს! გეუბნები არ გავყიდი-მეთქი.

- სულელი! არა ვყიდიო! მაშ მწნილად გინდა ბებიაშენს ჩაუდო?

- მამეშვი-მეთქი, კაცო, რას ჩამაცივდი. ყელში სისხლი მომდის, აქ ცოდოს არას შემამთხვიო.

- ვა, ცოდოს რას, მამა გიცხონდა, რევოლვერი არ

დამახალო! ასეთსა გდრუზავ მაგ გოგრაში, რომ თვალებიდგან სულ მაშხალები წამოყარო!

ნინიკამ ერთი კი გადახედა გალირფებულ ვაჭარს და ხმაგაკმენდილმა ურემს ცლა დაუწყო.

რიყის ერთ კუნჭულზედ ოდნავ მსუნთქავი ღვინია შესდო.

- კაცო, ყელი გამოსჭერ, მანამ ცოცხალია, უსულოდ რადა ჰკლავ? - ეუბნებოდნენ აქეთ-იქიდგან ნინიკას. მაგრამ იმან ყურიც არავის ათხოვა.

ყელი გამოსჭრას ღვინიას და მერე ვინ? ნინიკამ? და განა ეს შესაძლოა? განა ღვინია ნინიკასთვის მარტო საქონელი იყო და სხვა არაფერი? არა. ღვინია იყო მისი იმედი, იმისი მარჯვენა ხელი და განა მარჯვენას მოიჭრის ვინმე, თუნდ

ის მარჯვენა სამუშაოდაც აღარ ვარგოდეს?

III

ნინიკას ოჯახი სოფელში ახალ-წლის სამზადისში იყო და ქალაქიდგან მონატანის იმედით მხიარულობდა. ნენემ დარბაზი ისე დააკრიალა, ისე დაასუფთავა, რომ გალიპულ მიწაზედ ერბო აიკრიფებოდა. ქოთნები, ჯამები, ქვაბები სულ ნაცარტუტით დარეცხა და თაროზე დაალაგა. ქმარ-შვილისა და მამამთილის ძველ-ძულები უსაპნოდ დარეცხა და რკინის ღუმელთან მიჰფინა დასაშრობად. გიგოლამ გასასყიდი შეშის გადანარჩენი კუნძები წვრილად დააპო და სახლში შემოზიდა. ღუმელს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უმარჯვებდა: - ,,დაყინულები მოვლენ ი ბიჭები და, თუ სახლი თბილად არ დაუხვდათ, დაიხოცებიანო”.

შებინდდა, ნენემ შვილები დააძინა და, ქმრის მოსვლამდის, რომ თავი როგორმე შეეყოლებინა, მეზობლებთან საბაასოდ და საახალწლო სამზადისის დასათვალიერებლად გადავიდა. გოგია ღუმელთან ჩიბუხს სწმენდდა და თამბაქოს მოლოდინში სიამოვნებით იღიმებოდა. ცეცხლის გუზგუზზედ ჩაფიქრდა. ბევრი რამ ავი და კარგი გაახსენდა თავისის წარსულის ცხოვრებისა. ბევრჯერ ამ მოგონების დროს პირს ღიმი მოუვიდოდა და ბევრჯერ გულიანად ამოიკვნესებდა. ბოლოს დაღალულობამ დასძლია და ისე ღუმელთან წაკუნტულს ჩაეძინა. თუ ფხიზლივ შავი ფიქრებიც გაივლიდნენ ხოლმე იმის სახეზედ, ეხლა სიზმრად მხოლოდ ბედნიერება და მხოლოდ ბედნიერება დაესიზმრა. გოგიამ ნახა, რომ ვითომ ნინიკას პატარა "დიღმურის" მაგივრად, დიდ რკინასავით გამოჭედილ თელის ურემში ორი ლომა კამეჩი ება და თითონ ნინია კოფოზედ მორთულ, მოკაზმული არხეინად იჯდა: ნახა,

რომ ნინიამ შუა ცეცხლით გაჩაღებულ დარბაზში შემოიტანა პირამდის გატენილი ხურჯინი, მთელ თავისს ჯალაბს სიხარული მოჰფინა: პატარა ფეფეს წითელი ჩუსტები, ნენეს ჭრელი შალის კაბა, მიხას ქუდი და ქალამნები, საღვინით თაფლი, ტიკით არაყი, გოგიასთვის დასტადასტა თამბაქო კერას წინ დიდ გორასავით დაგროვილი იყო და პატრონები ცეკვითა და ღრიანცელით გარს უვლიდნენ. თითონ გოგია საახალწლო ტაბლით, წმინდა სანთლებანთებული, კარებში იდგა და თავისის ოჯახის ბედნიერებით ხარობდა.

უცებ სანთლები ჩაქრნენ, ხონჩა ხელიდგან გაუვარდა და გოგიამ თვალები გააჭყიტა. შანდორინის ჭრაქის პატრუქი ოდნავ ბჟუტავდა და საზარელის ნავთის სუნი იდგა მთელს სახლში. რკინის ღუმელი ჩამქრალი იყო და სიცივისაგან მთლად აძაგძაგებდა საწყალ მოხუცს.

- არ გესმის, კაცო! რამ გამოგაყრუა? კარში გამო, დაგვეხმარე, ე ოხერი ხარი გადმოვიღოთ ურმიდან.

- ხარი... ი... ი... რას ამბობ, ნინიკო? ხარიო?

- ჰო, მამავ, ღვინია გადაგვეჩეხა ყინულზედ! - შეჰბღავლა ნინიკამ მამას და მთელის დღით შეკავებული ჯავრი და ვარამი დედაკაცურის ქვითინით და მდუღარებით ეხლა გადმოანთხია.
- ღვინია დაჩეხილა, ღვინია დაჩეხილა, ჩვენი ღვინია! - ზარივით გაისმა ყინვისაგან მოკრიალებულს ჰაერში გოგიას ოჯახის გოდება და ძველ წელიწადთან ერთად მისწყდა შეუნიშნავად ჟამთა ვითარებაში...

რომანი დიდ-ხევაში

შუა ზამთარია. სოფელს დიდ-ხევაში თოვლი ადლზე დევს. სახლები წასილულია თოვლისაგან და ერდოებიდან რომ ბოლი და ნაპერწკლები არ ამოდიოდეს, კაცს გაშლილი მინდორი ეგონება. საშინელი სიჩუმეა. ძაღლებიც კი არა ჰყეფენ. მარტო აქა-იქ დიდროვან მუხებს დიდი, თოვლით დატვირთული ტოტები დაუშვიათ და დასცქერიან გაჩუმებულს სოფელს. სოფლის ბოლოს, გზის პირას, დგას მიწური სახლი. ამ სახლის ერდოდამაც ძლიერი ცეცხლის ბოლი ამოდის. კარებწინ, დიდ თოვლზე, მრავალი ფეხის კვალია.

ეს სახლი არის ოსტატ ტასიასი. ტასია კარგა ხნიერი დედაკაცია. თავით ფეხამდე შავებშია ჩაცმული. ის კერას

ახლოს ჭილობზე ზის და წინ ჭურჭლის ჩარხი უდგია: ქოთანს აკეთებს. გარშემო ხუთი თუ ექვსი შეგირდი უზის და სწავლობს.

- ოსტატო, აბა ნახე, როგორი მოკითხვის წიგნი დავწერე.

- კარგია, შვილო, შენ მაინც კარგი ხელი გაქვს. ისე სწერ, როგორც თავადიშვილის ქალი.

- ოსტატო, - უთხრა მეორემ, - აბა ჩემი უფალოცა ნახე.

- ოსტატო, მე როდისღა დამაწყებინებ ქაღალდზე წერასა? - გულდაჩაგვრითა ჰკითხა ყველაზე უფროსმა ქალმა, რომელიც ბეჭზე სწერდა წათლილი ინდაურის ფრთითა.

- ღმერთი მოწყალეა, შვილო, გაზაფხულამდის შენც კალამს აიღებ. აქამდინაც აგაღებინებდი, მაგრამ

დედაშენი მარინე არა შვრება, სადა მაქვს ერთი მანათი, რომ კალმის ასაღებში მოგცეო.

- ოჰ, ღმერთო, რა რამ არის ის დედაჩემი, ამოდენა გოგო ვარ და პატარა ბალღივით ისევ ბეჭზე ვწერ.

- დილა მშვიდობისა, ოსტატო! - წარმოსთქვა მაღალმა და ლამაზმა, მოსხვეპილმა გოგომ, რომელიც გაქანებული შემოვიდა დარბაზში და უცბად შედგა, თავისი ამხანაგები და ოსტატი საქმეში რომ დაინახა.

- სად იყავ, მარო, აქამდის? ჩვენ წავიკითხეთ კიდეც ჩვენი დასები, დავწერეთ და ახლა ქისის ქსოვას უნდა შევუდგეთ.

- მარომ თუ არ დაიგვიანა, არ იქნება, - ცოტა ყვედრებით სთქვა ტასიამ.

- რა ვქნა, რომ დავიგვიანე, - გაიცინა მარომ, - ერთ წამში გავაკეთებ იმას, რასაც თქვენ მთელი დილა მოუნდით და ეხლავე დაგეწევით.

მარომ საჩქაროდ აიღო ჭუჭყიანი რვეული, მიუჯდა ტასიას და მაღალის ხმით წაიკითხა:

“აწ საყვარელსა მიუწერს გულ-ამოსკვნილი მტირალი,

მისმანვე ცრემლმან დავუსის, ვის ედებოდა ვის ალი!

დასწერა წიგნი, მსმენელთა გულისა გასაგმირალი,

და ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჭვირალი”.

ამის კითხვას ყველამ ყური დაუგდო; ისე წარმოსთქვა ეს ,,ვეფხისტყაოსნის'' სიტყვები, თითქო განთიადზე ტოროლამ დაიგუგუნაო. მერე აიღო ხელისოდენა ნახევი ქაღალდი და საწერ-კალამი თაროდგან და მუხლზე დასწერა.

ტასიამ დაწერილიც მოუწონა.

მარო, როგორც ზემოთა ვსთქვით, მაღალი და წარმოსადეგი გოგო იყო. მის ხორბლისფერს, გარდაშლილ პირისახეს ამშვენებდნენ ორი მაყვლისფერი თვალები, რომელნიც არასოდეს არ შეჩერდებოდნენ. ფონთო ცხვირი და მსხვილი ალისფერი ტუჩები ლაზათს აძლევდნენ, თუმცა მშვენიერს კი არა, მაგრამ ძლიერ სასიამოვნო და ცოცხალ სახეს. ყოველივე მიხვრა-მოხვრა მაროსი იყო მარჯვე, ყოველი იმისი სიტყვა იყო ტკბილი და ცოცხალი. თავისს ამხანაგ გოგოებში მარო, როგორც მარგალიტი, ისე

ირჩეოდა. თამაში, ლხინი, არაკები ზამთარში და არიფანები ზაფხულში უმაროოთ არ შეიძლებოდა. ამ შემთხვევაში მარო ყოველივეს მოთავე იყო. მაროს დაირას, ,,ბუზიკას'' და სიმღერას ვისი შეედრებოდა! ამ დარდიმანდობასთან მარო კაი მუშაც იყო. ვის შეეძლო ამაზე ადრე ადგომა და სახლის მოვლა, ძნის მიწოდება, კალოს გაშლა და, თუ ნებას მისცემდნენ, არც სიმინდის მოჭრაში ჩამოუვარდებოდა ვაჟკაცებს. მარო მთელი დიდ-ხევას საყვარელი იყო. თუმცა ბევრს დედასა შურდა იმისი სილამაზე, მაგრამ მაროს ისეთი თვისება ჰქონდა, რომ რაწამს დაინახავდა მას, მტერიც კი მოყვარედ გადაექცეოდა.

მარო ჩვიდმეტი წლის საპატარძლო ქალია და ყველას უკვირს, რომ სოსიკა მგელაძე, ამის მამა, აქამდის არ ათხოვებს. საქმროები მაროს მრავალი ჰყავს. მთელ ამ მხარეზე ბიჭი არ არის შეღერებული, რომ არ ეთხოვნოს.

იმისთანა საქმროებიც ჰყავდა მაროს, რომ ოცი თუმნის მოტანასაც არ დაიზარებდნენ, მაგრამ სოსიკა არა ჩქარობს. ის თითქო გრძნობს, რომ ამისთანა ცოცხალ და მხიარულ გოგოს გათხოვება ფრთებს შეაკვეცს და არ ეშურება თავის ტოროლას ხმა გამოსწყვიტოს ოჯახში.

წერის შემდეგ გოგოები გაჯიბრდნენ ქსოვაში. ყველამ თანასწორად ძაფები გადაიხვიეს და მოჰყვნენ გაჩქარებულ ქსოვას. ვინც ქსოვაში ჩამორჩებოდა, უნდა ჯარიმად ასი ფთილა მატყლი დაერთა ტასიასი.

რამდენიმე ხანი სიჩუმეა. ტასიას ჩარხს გაუდის გრიალი და შუა ცეცხლს გუგუნი.

უცებ გაიღო კარი და შემოვიდა პავლე.

- დედას გაუმარჯოს! ეგრე როგორ გართულხართ საქმეში,

რომ ცხენით მოველ კარებზე და ვერა გაიგეთ რა?

- შენ კი გენაცვალოს დედის თვალები, ჩემო მშვენიერო, - დაიკივლა ტასიამ, ყმაწვილი ქალივით სწრაფად წამოხტა და მოეხვია თავისს შვილს.

- შვილო, პავლე, შვილო! ვაი შენ დედას, ამ საშინელ თოვლში სად გივლია? ხომ გაიყინე, გენაცვალოს დედა. გოგოებო, ახლა შინ წადით, თქვენთვის აღარა მცალიან. სამი წელიწადია ჩემი პავლე არ მინახავს და მინდა ამაზე გავიხარო. ხვალ, შვილო, ხომ კვირაა, და ორშაბათამდის მშვიდობით.

გოგოებმა ხელსაქმე და წიგნები შეინახეს, დარბაზი დაალაგეს, ცეცხლს შეშა დაუმატეს, შეჭამანდს წყალი დაასხეს და გასწიეს შინისაკენ.

- შვილო, მარო, გენაცვალოს შენი ძალუა, შენ ნუ წახვალ, დღეს დამეხმარე. წადი ბოსელში, მეგრულა ვარია დაიჭირე და დააკვლევინე ვისმე. ამ სიშორეთ მოსულა ჩემი პავლია და ცარიელ ლობიოს ხომ ვერ ვაჭმევ.

- აბა, შვილო, პავლე, რას აკეთებდი, გენაცვალოს დედის თვალები, ამ სამ წელიწადსა? მიამბე შენი ალიან-ჩალიანი. როგორ გალამაზებულხარ, შვილო, რამოდენა წვერ-ულვაში ამოგსვლია, ჩემო ვაჟკაცო. ახლა რაკი შენ შინ დამიბრუნდი, ხელახლად გაყმაწვილდება დედაშენი ტასია. ჰა, შვილო, ხომ აღარ გამექცევი? მეორედ შენს განშორებას ვეღარ აიტანს ჩემი ბებერი ძვლები! არა, შენ მაგას არ მიზამ! - აკანკალებულის ხმით ზედიზედ აყრიდა სიტყვებს ტასია თავის პავლეს და სიყვარულით შესცქეროდა თვალებში.

- არა, დედა, თავს აღარ დაგანებებ, თუ ღმერთი არ

გამიწყრა და ლაქიობამ არ წამძლია. მაშინაც რომ მოვედი, ვამბობდი, აღარ წავალ-მეთქი, მაგრამ განა არ გახსოვს, ჯავრით კინაღამ მოვკვდი და შენ თითონ ხელი მომიმართე წასასვლელად. მე ეხლა ძალიან გულმოწყვეტილი და დაღონებული დავრჩი ქალაქში, თორემ იქნება ეხლაც არ წამოვსულიყავ. დასწყევლოს ღმერთმა! დიდ ქალაქს რაღაც მიმზიდველი ძალა აქვს, და შეჩვევაც, ხომ იცი, დედა, დიდი რამ არის. ეხლა, როდესაც ჩემი ბატონი გიორგი რუსეთს წავიდა და მარტო დავრჩი, ისევ შენთან წამოსვლა ვარჩიე: გიორგის შემდეგ შენზე უკეთესი ვიღა მყავს!

- ვაი ჩემი ბრალი, შვილო, გიორგი გირჩევნია დედაშენის თავსა? ჩემი ყმაწვილ-ქალობა და ჯანი შენ შემოგალიე, შვილო, და გიორგის შემდეგ შენაო. ოჰ, მადლობა შენთვის, ღმერთო.

- დედა, რად გეწყინა, გიორგი ისე მიყვარს, როგორც კარგი და პატიოსანი ჩვენი ბატონი და ამხანაგი, და შენ ისე, როგორც დედა. უნდა იცოდე რა ყმაწვილია გიორგი და შენ თითონვე შეგიყვარდება. ვენაცვალე იმის ვაჟკაცობას! ვითომ ის ბატონია, თავადიშვილი და მე უბრალო გლეხი. ისე მექცეოდა, როგორც თავის ნამდვილ ძმასა. გიმნაზიიდამ რომ მოვიდოდა და სადილს შემდეგ გაკვეთილებს მოამზადებდა მეორე დღისთვის, დამიძახებდა თავის ოთახში და მასწავლიდა ყველაფერს, რაც კი თითონ იცოდა. წერა-კითხვა, არითმეტიკა, გეოგრაფია, რა გითხრა, რომ მე არ მასწავლა. ყოველთვის ქართულ წიგნებს მიკითხავდა; როცა კი შინ არ იყო, მე თითონ ვკითხულობდი და მოვიდოდა თუ არა, წანაკითხს ვუამბობდი ხოლმე. რუსული მასწავლე-მეთქი, ვეუბნებოდი, მაგრამ არ მასწავლა. მანამ რუსულს ისე კარგად ისწავლი, რომ ამ ენაზე წიგნები წაიკითხო, შენს ენაზე, ვინ იცის, რამდენის წაკითხვას მოასწრებო.

თავის გულისპასუხს სულ მე მიამბობდა. დედა და ის ცოტა კარგად ვერ არიან და მე ვიყავ იმისი დედაც და ამხანაგიც. წასვლის დროს ბევრი იტირა ჩემმა კარგმა; ერთი ვიღაცა გიმნაზიის ქალი უყვარდა, მაგრამ რას უშველიდა! უთუოდ უნდა წასულიყო უნივერსიტეტში და ან იმ ქალისთვის თავი უნდა დაენებებინა, ან სწავლისათვის. რასაკვირველია, სწავლამ და დედის სიყვარულმა დასძლია. წავიდა პეტერბურგს. ბევრს ვეხვეწე, მეც თან წამიყვანე-მეთქი, მაგრამ არ შეიძლებოდა, ჩემ საყოფ ფულსაც ძლივს გამომიგზავნის დედა და შენ რითი გარჩინოო. მე გიორგიმ მირჩია შინ დაბრუნება, დედა. იმან მითხრა, რომ სოფლის მუშაობა უფრო საპატიოსნო და კაცის შესაფერი საქმეა, მანამ სხვის ბრძანების შესრულება და ხელებში ცქერაო. მეც გავუგონე. და ან კი შესაძლებელი იქნებოდა, რომ ჩემი გიორგის შემდეგ მემსახურნა ვისთვისმე? მე მოსამსახურე კი არა, ამხანაგი ვიყავ და სხვა ვინ მიზამდა

ამ საქმეს. დიდი ქალბატონი კი ზიზღობდა ჩვენს ამხანაგობას, მაგრამ ვინ დასდევდა. ახლა დედა, მე ოცდაათი თუმანი მოვიტანე, ჩემს ჯამაგირს გადავარჩინე. როგორ გინდა მოვიხმაროთ, რა გავაკეთოთ?

მარომ ამათ ლაპარაკში საჩქაროდ ქათამი გააკეთა, ერბოში მოხრაკა, ჭილობზე ფარდაგი გადაშალა და სუფრა დააგო.

ტასიამ თავის მუთაქაზე თავისი შვილი დასვა, შუაში თითონ დაჯდა და ბოლოს მარო მოისვა.

- შვილო, პავლე, ვინ იცის ვეღარც კი იცან ჩვენებიანთ მარო.

- ვეღარა, დედა, რამდენა გაზრდილა, გალამაზებულა. რისგან არის აქამდის სოსიკას არ გაუთხოვებია?

- შვილო, ხომ იცი, რომ სოსიკა ერთი ქეიფის კაცია. იმან თუ მთელი დღე არ იმღერა და არ იმასხარავა, ხომ ვერ გასძლებს. ეს ერთი გოგოღა დარჩა სახლში და ეშინიან, რომ გაათხოვოს, არ გამოყრუვდეს. ცოლი სულ ავად არის და აბა თუ მარომ სახლს არ უპატრონა და არ იღიღინა, რა გააძლებინებს სოსიკას.

- ეგ სოსიკასათვის კი კარგია, მაგრამ მაროს კი არა ჰკითხავს! ჰა, მარო, შენ რას იტყვი?

მაროს ცოცხალი ბუნებისთვის ამდენი ხნის სიჩუმე საშინელება იყო და გაეხარდა, რომ ძლივს შეხვდა ხმის ამოღება. დასძლია სირცხვილს ლაპარაკის სურვილმა.

- სხვა კარგი რამა სთქვით, თორემ გათხოვება ხომ ჩვენს იქით სად წავა! - სთქვა მარომ. - თონეში ჩაკიდებას კი მოვესწრები და გოგოობას კი ვეღარა. - ამ სიტყვებზე მარო

გაწითლდა და გაჩუმდა, თითქო მოაგონდა, რომ უცხოსთან ესეები არ უნდა ეთქვა.

- სხვა, დედა, ახლა შენი ამბავი მიამბე, ჩვენი სოფლისა. როგორა ხართ, როგორი მოსავალი მოგდით?

- აბა, შვილო, ჩემი სიცოცხლე უშენოდ რა იქნება. ვაკეთებ ძველებურად ქოთნებს, ვბებიაობ ორ-სამ სოფელში, ვაქიმობ, შეგირდებსა ვზდი და ამით ვცხოვრობ. ჩემი ოჯახი არა მაქვს, შვილო, და სხვისი ოჯახის ჭირითა და ლხინით ვხარობ. შემოდგომაზე გოგოები დამითხოვდებიან, იმათ საოსტატოს ავიღებ. აი ამ ჩემი მაროს წამყვანს ორ თუმანს არ დავჯერდები. უნდა იცოდე, შვილო, როგორ კითხულობს, როგორა სწერს და რა ქისებსა ქსოვს. ნეტა იმას, ვინც ამას წაიყვანს.

დალოცვილმა ტასიამ არ იცოდა, რომ მოწაფის პირში ქება

პედაგოგიაში მიღებული არ არის, და არც იმას ამჩნევდა, თუ რა ცხელ წყალს ასხამდა თავის ოცდახუთის წლის შვილის გულს ლამაზი მაროს ქებით. მარო და პავლე ტასიას ლაპარაკში ერთმანეთს ჩუმად გასცქეროდნენ, და როცა ამათი თვალები ერთმანეთს შეხვდებოდნენ, რაღაც გამოუთქმელის სიამოვნებით ჩაღუნავდნენ ხოლმე თავებს.

* * *

თითქო ბუნებამაც თანაგრძნობა გაუწია ტასიას გულს და მეორე დღეს, კვირას, მზემაც თავი გამოჰყო. დღეს სოფელი დიდ-ხევა სულ სხვა სურათს წარმოადგენდა. მთელ სოფელში რაღაც მოძრობა იყო. კაცები სოსიკა მგელაძის ბოსელში გროვდებოდნენ საბაასოდ, დედაკაცები ტასიასთან და ყმაწვილი ქალები ბატონიანთ "სასახლეში" სალხინოდ.

ქათამი, ინდაური და საქონელი თავისუფლად დაიარებოდა სოფელში. მზემ და კვირა დღემ განათავისუფლა თოვლისაგან დატყვევებული ყოველი სულდგმული.

სოსიკას ბოსლის ოდაში დიდი ცეცხლი ენთო და გარშემო სოფლის დარბაისელი კაცები უსხდნენ ჩიბუხებით ხელში. ცოტა მოშორებით ახალგაზრდები ისხდნენ და ერთმანეთში ლაზღანდარობდნენ, უფრო პავლეს დაბრუნებაზე ლაპარაკობდნენ: რად მოვიდა, რა ამბავი მოიტანა ბატონებისაგან? ყველასათვის ეს ძლიერ საგრძნობელი კითხვა იყო.

სამი წელიწადია, რაც დიდ-ხევას მებატონის ქვრივი კნეინა ქეთევან არ მოსულა თავის მამულში. მთელი სოფლის მცხოვრებნი ეული გლეხები არიან, დიდი

ხნიდგან გადმოსახლებულნი, ზოგი იმერეთიდგან, ზოგი ქართლიდგან. რამდენიმე წლის განმავლობაში, ვიდრე ქეთევანის ქმარი, სტატსკი სოვეტნიკი თ. ლუარსაბ გულმართლიძე მფლობელობდა დიდ-ხევას, გლეხები ბედნიერნი იყვნენ: მხოლოდ მოსავლის მეექვსედი იყო ამათი გადასახადი. ზაფხულში ორი-სამი თვით მოვიდოდა გულმართლიძის ოჯახი ამ სოფელში, მოაგროვებდა ღალას, ბოსტნეულობას, საბალახეს, მუშა-გუთნის ფულს და დანარჩენს დროს დიდ-ხეველები თავისუფლად იყვნენ. შობა-აღდგომას თუ მოიხსენებდნენ ბატონებს თითო ქათმით და ერთი თუნგი ღვინით, თორემ სხვაფრივ ამათი შემწუხებელი არავინ იყო. ამ სამ წელიწადში კი სულ სხვარიგად დატრიალდა ამათი ბედის ჩარხი: ლუარსაბი მოკვდა და იმის სახლობას ჯამაგირი დააკლდა. შვილები დასაზრდელები გაუხდა კნ. ქეთევანს და, როგორც მოგეხსენებათ, ამისთვის ბევრი და ბევრი ფულებია

საჭირო. აი ამ მიზეზით შეუდგათ ჭირი დიდ-ხეველებს მოურავ ივანიკას სახით. ქეთევან ზაფხულობით აღარ მოდიოდა დიდ-ხევაში და ივანიკას ძალას ატანდა, ფულები და ფულებიო. ივანიკაც, როგორც ერთგული მოურავი, ყოველ ღონისძიებასა ხმარობს, რომ დიდ-ხეველებს უფრო და უფრო ბლომად გამოსწუროს ფულები. ამასთანავე, რა საკვირველია, თავის ჯიბესაც არ ივიწყებს და დიდ-ხეველებს ტყავს აძრობს.

მეექვსედის ღალის მაგივრად ივანიკამ დღიურზე ორი კოდი გახადა, მუშა-გუთნის მაგივრად კომლზე თუმანი გასწერა. როცა კი დასჭირდებოდა ურმები, ცხენები და კაცი ყოველთვის გამზადებული უნდა ყოფილიყო, თორემ ვაი დიდ-ხეველების ბრალი! მათრახი და საუკეთესო მიწის წართმევა იყო მათი სასჯელი. ყველა ამ უბედურებასთან ივანიკამ გააღო დუქანი და დაუწყო გლეხებს ძარცვა. ღვინო-არაყს, მარილს, ცუდ დამპალ

თევზს მამასისხლად ჰყიდდა და თუ ვინმე ასცდებოდა იმის დუქანს და სხვა სოფელში წავიდოდა სავაჭროდ, ცუდ დღეს დააყენებდა. ერთი სიტყვით, ივანიკა სრული ბატონია დიდ-ხეველებისა და ბატონობასაც ისე ხმარობს, როგორც სისხლის მწოველს ფოცხვერს შეჰფერის.

ამ ორი თვის წინათ დიდ-ხეველებმა ამოირჩიეს მთელ სოფელში სამი უკეთესი კაცი და ქეთევანს დეპუტაცია გაუგზავნეს. დაწვრილებით შეატყობინეს თავიანთი მწუხარება და სთხოვდნენ ქალბატონს, მობრძანებულიყო და თავისი თვალით ენახა ამათი საშინელი მდგომარეობა. კნეინა დაჰპირდა ამოსვლას და ხალხსაც პავლესაგან იმედი ჰქონდა შეეტყო, როდის მობრძანდებოდა ქეთევან და ან რას უპირებს თავის გლეხებს. პავლემ დიდხანს არ ალოდინა: საუკეთესო ტანისამოსი ჩაიცვა, ვერცხლის მასრები ჩაიწყო, ვერცხლის ჯაჭვი დაიკიდა, მაღალი ქუდი დაიხურა, გავაქსული

წაღები ჩაიცვა და ისე წამოვიდა სოსიკას ბოსლისაკენ. შევიდა თუ არა, ყველანი უნებურად ფეხზე წამოუდგნენ. ტყუილად კი არ იტყვიან, კაცს ტანისამოსით დაუხვდებიანო. დიდს და პატარას პავლემ ხელი ჩამოართვა და სთხოვა, დაბრძანდით, რად ირჯებითო. რამდენსამე წამს ბოსელში სიჩუმე იყო. მორთულმა პავლემ პირი შეუკრა აქამომდე გაცხარებით მობაასე ხალხს. ის ამათ როგორღაც უცხოდ ეჩვენათ და არ იცოდნენ, რითი დაეწყოთ ბაასი.

- კაცო, ჩემი მოსვლა გეწყინათ, რატო ეგრე ჩაჩუმდით? სამი წელიწადია, შვილო, არ მინახავხართ და ერთი სიტყვის თქმა როგორ ვერ მოახერხეთ? რასა იქთ, როგორა ხართ? სად არის თქვენი ბატონი ივანიკა?

- ისეთშიაც წასულა ის ოჯახდაქცეული, საიდგანაც ველარავინ მოსულა! - უპასუხა პავლეს სოფლის

მამასახლისმა, გიორგი კვესაძემ, დიდ-ხევას მდივანმა და წინამძღოლმა. - მართლა, პავლე , რას გვიპირებს ქალბატონი? ამაზე მეტი მოთმინება აღარ შეგვიძლიან.

- ქალბატონი ისეა, შვილო, ვალებში გახლართული, რომ ლამის თავი დაიხრჩოს. მე მგონი, წამოსვლა რომ მოინდომოს, მოვალეებმა აღარც კი გამოუშვან. ეხლა გიორგის გასასტუმრებლად რუსეთში სამოცი თუმანი კიდევ სადღაც ივალა. თქვენს ბედს მაშინ თუ ეშველება, გიორგი რომ დაბრუნდება, თორემ მანამდის არა მგონია, კნეინამ გაგირიგოთ რამე. იმას ბევრი ფულები უნდა და ივანიკასთანა მარჯვედ ფულებს ვერავინ უშოვნის. ფული ჰქონდეს იმას, თორემ რას დასდევს, საიდგან მოდის.

- ის დალოცვილი იმას კი არ ფიქრობს, რომ მოთმინებასაც თავისი საზღვარი აქვს. მეტი ღონე აღარა გვაქვს, ან ჩვენ

უნდა ვიყოთ და ან ივანიკა! - სთქვა ერთმა გლეხმა.

- ჩვენ კი ავიყრებით, შვილოსა, და მაშინ დეე თავის ივანიკას გამოსწუროს ფულები, - დაუმატა მეორემ.

- გუშინ რომ იმან ჩემი სისხლით აშენებული დარბაზი დამიქცია, განა შევარჩენ?! ერთი იმის სისხლს კი დავლევ და მერე თუნდ ციმბირს გამგზავნონ! - სთქვა მესამემ.

- როგორ თუ დარბაზი? - იკითხა პავლემ.

- ისე რომ დარბაზი ვიყიდე, ხის ჭდეული, ათი თუმანი ფული მივეც ალაგობრივ ყიფიაანთ ტყეში. ჩამოვიტანე, დავდგი ჩემი ძველი სახლის გვერდით. ძმის ქორწილს ვაპირებდი. მანამ არ გავათავე, არა მითხრა რა და როცა გავათავე, მიბრძანა, ან ორი თუმანი უნდა მომცე ალაგის ფასი, ან უნდა დაანგრიოო. მე არ მივეცი ორი თუმანი და

როცა ნახა, რომ კაცები შინ არ ვიყავით, მიეჭრა დედაკაცებს და სახლი ძირს დასცა.

- რას ამბობ, კაცო, ეგ როგორ იქნება? უბატონოდ რა ნება ჰქონდა?

- სად არის ბატონი, ვინ არის ბატონი? ივანიკაა დღეს ჩვენი ბატონიც და ღმერთიც. უნდა აგვაშენებს, უნდა დაგვაქცევს.

- ცოტა კიდევ მოითმინეთ, ჩემო ძამია, - უთხრა პავლემ გლეხებს, - ღმერთი მოწყალეა, ისეთი ღვთისნიერია ჩვენი გიორგი, რომ სულ სხვანაირად წაიყვანს თქვენს ბედს. მთელი დღე და ღამე იმას მელაპარაკებოდა, თუ როგორ მოუვლის ის თავის მამულს და როგორც ძმებს ისე მოექცევა თავის გლეხებს. გადმოვიდეს, მერე იმან იცის, საცა ამოუყოფს ივანიკას თავს.

- როდის უნდა გადმოვიდეს გიორგი? - იკითხა გიორგამ.

- ოთხი წელიწადი უნდა ისწავლოს და მერე მეცნიერი გამოვა, - უპასუხა პავლემ.

- ეჰ, შე დალოცვილო, ,,სანამ პეტრე მოვიდაო, პავლეს ტყავი გააძვრესო", ისე მოგვივა ჩვენ საქმე. მანამ გიორგი მოვა ივანიკა სულს ამოგვაძრობს და მერე, ბევრიც რომ ეცადოს, გადაშენებულებს რიღათი აგვაშენებს?

- გამარჯვება თქვენი!

ხალხში სიჩუმე ჩამოვარდა. ამ სალამს პასუხი არავინ მისცა. ეს სალამი წარმოსთქვა ივანიკამ, დიდ-ხეველების ბედის მჭრელმა. ის გახლავთ მაღალი, ცოტა კისერში წახრილი, ოცდაათი წლის ვაჟკაცი. იმის განიერს მხარ-

ბეჭს და მრისხანე სახეს ადვილად ვერავინ შეებრძოლება. მაგრამ უსამართლობა კაცს მთასაც შეაბრძოლებს. სოფელმა და ივანიკამ ერთმანეთს ბრძოლა განუცხადეს და ვინ ვის აჯობებს, ეს შემთხვევამ იცის.

- რა ღმერთი გაგიწყრათ, თქვე მამა-ოხრებო, - დაიღრიალა ივანიკამ, - თქვენში სალამი არ იცით?

- რას ყვირი, შე კაი კაცო! გამარჯვება! - უპასუხა პავლემ.

- ოჰ, ვაჟბატონო, მობრძანებულხარ, დიდება თქვენს მობრძანებასა ბატონის ვეზირო! - დაცინვით უთხრა ივანემ პავლეს და მოწიწებით ხელი ჩამოართვა, თითქოს ეშინოდა, რომ პავლეს შავი მაუდის ჩოხა არ გაეჩირქიანებინა.

- არა გრცხვენია, ბიჭო, რომ სოფელი ასე აგიყავყავებია.

შენ ისე მოგდის, რომ იტყვიან: ,,სოფელი ვნახე უძაღლო და შინ გავიარე უჯოხოო”.

- მერე შენ რაო? ან იქნება დღეის უკან შენ აპირებ ამ სოფლის ძაღლობას?

- მეხი კი დავაყარე იმ სოფელს, რომელიც ეგრე გაექელვინება შენისთანა წუწკ იმერელს! მისამარ, ივანიკა, სინდისი მოიკრიფე, თორემ შენი საქმე ცუდად წავა: ,,ცხვარი ცხვარიაო და რომ გაცხარდება, ცხარეზე ცხარიაო”.

- ჰეი, ჰეი, ვირის ტლინკებივით კი მოგვაყარა ანდაზები და! ეგეები ისწავლე, შვილო, ლაქიობაში? მაგაებისთვის, შე დალოცვილო, თბილისში რომ არ წასულიყავ, შენი ,,ოსტატი “ დედა კი ვერ გასწავლიდა?

- შენ აქეთ-იქით ნუ გადაუხვიე, გრცხვენიან განა? აბა რა იყო სოფელი ამ სამი წლის წინათ და რას დაგიგვანებია ახლა? ზამთარში ცეცხლს რომ შემოვუსხდებოდით ხოლმე, ჩვენი ბაასი და ღიღინი ღმერთსაც იამებოდა და კაცსაც, და აბა ახლა შეხედე ამ დარბაისელ ბერიკაცებს რანაირად დაუღმეჭიათ პირები!

- პავლე, შენ არავინ გთხოვს მედიატორობას. ახლავე გამომიცხადებია შენთვის, ან თავი უნდა დაანებო გლეხების გახელებას და ან ხვალვე ნაჩალნიკს გამოვუცხადებ, რომ გლეხებს აბუნტებ და ისევ შენ საყვარელ თბილისში ამოგაყოფინებ თავს, მაგრამ სასახლეში კი არა, იქ, საიდგანაც ბევრი მიდის სამარეში.

- გიცხონდება მამაშენი ზესტაფონე, ყურებზე ხახვი არ დამაჭრა. გინდა მეც დიდ-ხეველების ჯოგში ჩამირიო და გამხედნო განა?!

- სუ, თორემ მოგკალ! - დაიღრიალა ივანემ და პავლეზე მიიწია.

გლეხები წამოხტნენ და მისცვივდნენ ივანეს. ივანემ ამოიღო რევოლვერი, გადგა განზე და დაუმიზნა ჯგუფს: ,,ერთ ექვსს კი მიგაწვენთ, თქვე წუწკებო, თქვენა. მარტო ჩამიგდეთ განა? რა ვაჟკაცები ხართ! დამაცალეთ, დამაცალეთ. მაშ ბიჭი არა ვყოფილვარ, თუ ივანიკას სახელი არ გაფიცებინოთ''.

რევოლვერმა უიარაღო ხალხი უკან დააყენა. ივანიკამაც უკან-უკან დაიწია და ბოლოს კარებში გავარდა.

- აი თქვე ლაჩრებო, ერთმა კაცმა როგორ გაჯობათ. მე ხვალვე მივსწერ გიორგის. მამულის პატრონი ის არის, გიპატრონოთ რამე. სირცხვილია, რომ ორმოცი კომლი

თავისუფალი გლეხი ყმად გახდენიხართ ამ მხეც გადამთიელ იმერელს.

- გვიპატრონოს, გვიპატრონოს! - შეღრიალა ერთად ხალხმა. - მართალია, მამული იმათია, მაგრამ შრომა ჩვენია. გვიპატრონოს, თორემ მეტს ვეღარ მოვითმენთ. მართალია, თავს გავიუბედურებთ, მაგრამ იმათაც არ დავაყრით კეთილს.

მშვენიერმა მზის ბრწყინვამ ვეღარ გააღიმა დიდ-ხეველების გული. ამ ლაპარაკის შემდეგ ისინი დაღონებულნი და გულზე თავჩამოკიდებულნი დაბრუნდნენ თავ-თავიანთ სახლებში. ,,სასახლეშიაც'' ლხინი შესწყვიტეს. მარომ, მართალია, თავი მოიგიჟიანა, გამხიარულდა, ითამაშა, იმღერა, მაგრამ რაწამს შეიტყეს გოგოებმა, რომ ივანეს და პავლეს ჩხუბი მოუვიდათო, მაშინვე ჩაჩუმდნენ. ამათაც კარგად იცოდნენ, რა

მოჰყვებოდა ივანეს ჩხუბსა. აკლებისა და დაფორიაქების წარმოდგენამ მოსწამლა ამათი ლხინიც.

* * *

ამგვარმა ვაჟკაცურმა გულადობამ გმირად გახადა პავლე დიდ-ხეველ გოგოების გულში. მეტადრე მარომ ოსტატთან სიარულს ძალიან დაუბეჯითა. მთელ დილას შუადღემდე ტასიასთან ატარებდა. ის იყო ტასიას ქალის მაზლისწული და თავისუფლად მიდიოდა იმ სახლში, თუმცა ყმაწვილი ვაჟკაცი ეგულებოდა. ჭორებისა არ ეშინოდა. გაზაფხულამდე პავლე და მარო თითქმის სულ ერთად იყვნენ, მაგრამ ერთმანეთს სრულებითაც არ დაახლოვებიან. გულითა გრძნობდნენ, რომ უერთმანეთოდ ყოფნა უძნელდებოდათ და ცდილობდნენ ერთად ყოფნის მიზეზი ეპოვნათ. სოსიკაც, მაროს მამა, ძლიერ დაუმეგობრდა პავლეს. იმას უყვარდა

ბაასი, ძველისა და ახლის მოგონება, და პავლეც, მაროს ცქერით წახალისებული, გაუთავებლად უამბობდა სოსიკას ქალაქის ცხოვრებისა და თეატრის ამბავს და ბევრ წაკითხულ მოთხრობებსაც. მარო ამ ბაასის დროს ყოველთვის კერასთან იჯდა და ორთავ ხელებზე თავდაბჯენილი პავლეს ლაპარაკს ყურს უგდებდა. ზამთარი იყო, საქმე არ ღალავდა პავლესა და სოსიკას და დილიდან შუაღამემდის შეეძლოთ ბაასის გაგრძელება. წამოსვლის დროს პავლე ქალაქურად სოსიკას და მაროს ხელს ჩამოართმევდა ხოლმე და მარტო ამ ხელის ჩამორთმევით აცხადებდნენ მარო და პავლე ერთმანეთისადმი თანაგრძნობას.

გაზაფხულამდის ამათ შუა მომეტებულად დამაახლოვებელი შემთხვევა არა ყოფილა რა. ყოველ დღე ერთმანეთს ხედავდნენ და ამით სრულიად კმაყოფილნი იყვნენ.

გაზაფხულმა კი სრულებით ბოლო მოუღო ამათ მშვიდობიანს ცხოვრებას. მუშაობის დრო მოადგათ გლეხებს კარებზე. ყველას სახლში მოძრაობა შეიქნა. გუთნები შეიბა, თესვა გაჩაღდა. დედაკაცები, როცა კი ჯერს წაუღებდნენ მუშებს, გამოეშურებოდნენ შინ ბოსტნების სამარგლავად. რადგანაც კაცებს არ ეცალათ შეშა-ფიჩხის მოსატანად, თითონ დედაკაცები ზიდავდნენ თონისთვის ახლო ტყიდან.

მაროს დედა გაზაფხულზე ლოგინად ჩავარდა და მაროს დააწვა მთელი ოჯახის საქმე: სარეცხი, საკერავი, მუშა-გუთნის ჯერი, საქონლის მოვლა, - ერთ წამსაც აღარ სტოვებდა მაროს თავისუფლად. ის ცეცხლივით მოედებოდა საქმეს, მაგრამ თუ მთელი დღე პავლე არ დაენახა, საღამოზედ მთლად დაუძლურდებოდა ხოლმე. ერთი წამის დანახვა კი გაუათიათასებდა ღონეს.

პავლე კი მინდორში მუშაობას გადაჩვეული იყო, სულ კერას წინ იჯდა და თაგის გულს ჩასცქეროდა. ამას აშფოთებდა თავისი უსაქმობა, დიდ-ხეველების ბედი და მომეტებულად მაროს სიყვარული, რომელიც გულიდგან ვერას გზით ვერ ამოერეცხა. არც ერთ თავის ვაების შემსუბუქება იმას არ შეეძლო. მუშაობას გადააჩვია ათის წლის მოსამსახურობამ და ეხლა ნახევარ საათით სიმინდის თოხნა მთელი დღით წელსა სწყვეტდა. დიდ-ხეველების ბედი გიორგიზე იყო დამოკიდებული და იმისაგან არავითარი პასუხი არ მოსდიოდა. ბევრჯერ დააპირა გაქცევა ჩუმად პავლემ ქალაქს, მაგრამ თავის გულს ვერ დასძლია. მაროს მოშორება რომ მოაგონდებოდა, იმის გულს ისეთი მუხრუჭი მოუჭერდა, თითქო ეს არის, გაისრისებაო. პავლემ კარგად იცოდა, რომ მარო ამის მძახლის ქალი იყო და შეიძლებოდა ჯვარისწერის ნება არ მიეცათ. ამის შეტყობას ვერცა

ბედავდა, ისე ეშინოდა ცუდის ამბის გაგებისა.

ამ ვაი-ვაგლახში იყო პავლე ერთს ლამაზს აპრილის საღამოს. ბუნება მშვენიერებას წარმოადგენდა ამ შებინდებაზე. ჩამავალის მზის სხივებით მთლად მოფენილი იყო სოფელი. ჰაერში ასკილის სუნი იდგა და ახლოს ტყიდან ბულბულის სტვენა ისმოდა. მთელი სოფლის მცხოვრებნი თავიანთ დერეფნებში წამოწოლილიყვნენ და დაღალულობისაგან მძიმედ სუნთქავდნენ. ამათთვის ბუნებას მშვენიერი ფერი არა ჰქონდა.

პავლეს კი, დასვენებულს და სიყვარულით გულსავსეს, ეს სიმშვენიერე უფრო ცხოვლად ეჩვენებოდა. ამის გული სავსე იყო იმ სურვილით, რომ ახლა მარო ენახა და თავის გახურებულ მკერდზე მიეკრა. ეს სურვილი თანდათან ისე გაუძლიერდა, რომ როცა მართლა მაროს ხმა გაიგონა,

მოჩვენება ეგონა, არა სჯეროდა და, როგორც გიჟი, მაროს ისე შესცქეროდა.

- პავლე, ოსტატი სად არის? დედაჩემი ძლიერ ავად არის, გვიშველოს რამე, - ხმის კანკალით წარმოსთქვა მარომ.

პავლე დარწმუნდა, რომ ეს მარო ნამდვილი მაროა, მოჩვენება არ არის და აირია.

- მარო, გოგო, აქ შემოდი, ხომ არ შეგჭამ, - უთხრა ისეთის ხმით, რომ მარო ამ სიტყვებმა ანდამატის ქვასავით მიიზიდა. ის ნელა და საშინელი გულის ძგერით მიუახლოვდა პავლეს.

- პავლე, შინ რას უზიხარ...

პავლე და მარო დიდხანს იყვნენ მხურვალედ

გადახვეულნი და იქნება დასთენებოდათ კიდეც ამ ყოფაში, რომ ტასიას მოსვლას არ დაერღვია ამათი ტკბილი და სიცოცხლის აღმაგზნებელი წამები. პავლე და მარო ბედნიერნი იყვნენ ამ ერთის წუთის წინათ, მაგრამ ტასიას მოსვლამ ჩაუშხამა ეს ბედნიერება!

მარო გაიქცა.

ტასია და პავლე დიდხანს იდგნენ გაჩუმებულნი ერთმანეთის პირდაპირ. უეცრად პავლემ ქვითქვითი დაიწყო და მოეხვია დედას.

- დედავ, ნუ დამძრახავ, ღმერთმა ხომ იცის, მე ცუდი არა მიქნია რა. მარო მიყვარს და უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლიან. ჩემს ბიჭობას და ჩემი გიორგის სახელს გეფიცები, დედაჩემო, რომ თუ მარო არ შევირთე, თავს მოვიკლავ. დამეხმარე, დედაჯან, ეცადე როგორმე, და

მერე მე ვიცი, რა შვილობასაც გაგიწევ.

- შვილო, პავლე, გონზე მოდი, რაებს ამბობ? განა არ იცი, რომ მარო ჩვენი მოყვარის ქალია და კანონით არ გერგება? და თუნდაც კანონმა რომ მოგცეს, სოსიკა არ მოგცემს. იმას ისეთი ოჯახიშვილები სთხოვენ მაროს, რომ შენ, ბიჭობაში გაზრდილს, კარზედაც არ გაგიტარებს. იმან კარგად იცის, რომ არავისზე ნაკლები არა ხარ, ჭკუა, გონება და შეხედულობა თავადიშვილისას მიგიგავს, მაგრამ, შვილო, შენ თავადიშვილის სახლში ნამსახური ხარ და ოჯახისშვილი ქალს არ მოგცემს.

- დედა, ნუ ამბობ მაგას! გულს ნუ მიხეთქავ. ერთი სიტყვით, ძალით იქნება, თუ ნებით, მარო ჩემი უნდა გახდეს, და ვინც წინ დამიდგება, მე იმას ვუჩვენებ სეირსა. მაროს გულისთვის სოსიკას კი არა, მთას შევეჭიდები. ჩემი სულის ამოცლა კი შეიძლება და მაროს

თავის დანებება კი არა.

- ვაი შენ დედას, შვილო, ვაი შენ დედას! დაბადებიდგანვე დაგყვა, შე უბედურო, ეგ ბედი. სიყვარულის შვილი ხარ, შვილო, და სიყვარულმა კი არ გადაგიტანოს. შენი ბედი მაგონებს, შვილო, ჩემ შავ წასულ ბედს. მეც შენსავით მოსამსახურე ვიყავ, მეც შენსავით კეთილი მებატონე მყავდა!.. მეც შემაცდინა გიორგის მამის სიყვარულმა... დღემდის არ მითქვამს, შვილო, შენთვის ეს ამბავი... აი, რა არის მიზეზი, რომ შენ გიორგი ძმასავით გიყვარს და სიყვარულიც დიდკაცური გაქვს. ვეცდები, შვილო, ქვეყანას შევყრი, იქნება გიშველო რამე და, თუ ვერას გავაწყობ, დიდკაცურად უნდა მოერიო შენს გულისწუხილს.

- დედავ, დედავ, ეგ რა მითხარი, რარიგად ააღელვე ეს ჩემი ისეც უბედური გული! მე გიორგის ძმა ვარ? გიორგის

სისხლი დგას ჩემს ძარღვებში? აქამდის რად მიმალავდი? კანონით თუ არა, გულით ხომ ძმები ვიქნებოდით. არა, გიორგი ისეთი კეთილია, რომ უკანონოდ შობას თავში არ გაივლებს და თავის ძმა პავლეს გულში მიიკრავს!

- შვილო, ახლა ხომ გაიგე, ვინცა ხარ იქნება მარო აღარც კი იკადრო.

- ოჰ, დედა, რა ცუდად გიცვნივარ, ჩემს გულში მაროს სიყვარულს მეფობაც ვერ ამორეცხს. მარო ისეთი გოგოა, რომ, თუ პატრონი ეყოლება, თავადიშვილსაც უმეუღლებს. ოღონდ ღმერთმა მაღირსოს იმისი ცოლობა და გიორგი ცოცხალი მყვანდეს, თორემ სხვაფრივ რა მიჭირს! დიდ-ხევას მოურავად მე გავხდები და მაშინ ნახავ, თუ რარიგად შევცვლი იმათ ბედ-იღბალს. ივანიკასაგან დამწარებულ ცხოვრებას ძმობით და მეგობრობით დავუტკბობ. მოყვრობით იმათაც ვარგებ და

ჩემ ბატონსა და ძმასაც ვასარგებლებ. გიორგი სწავლით შემეწევა და მე იმას შრომით შევეწევი. შრომა და სწავლა ხელიხელს ჩაკიდებული მტრისგან დაუძლეველია, და თუ ბედმა არ მიღალატა, ვეცდები შენი სიყმაწვილის შეცდომაც გავასწორო და თავანკრებს უკან არ ჩამოვრჩე.

* * *

შაბათი საღამოა. დიდ-ხევას დანგრეულ წმიდა გიორგის ეკლესიაში საღამოს ლოცვის ზარი დარეკეს. ხვალ დიდი დღესასწაულია. ეკლესია მშვენიერ ალაგზე მდებარეობს. მაღლა გორაზედ დგას და ტრიალ მინდორს გადაჰყურებს. გარშემო კარგა მაღალი ტყე არტყია... კედლებს ბუჩქ-ბუჩქად მწვანე ხავსი გადაკვრია. ეკლესიის კარ-მიდამო სუფთად არის დაგვილი; ნელ-ნელა გროვდება სოფლის ხალხი. დიდის სასოებით იყრის მუხლს ქალი თუ კაცი შესავალ კარებში, მიწას ემთხვევა და შიგ შედის. სხვათა

შორის ეკლესიაში შემოვიდნენ ტასია და პავლეც. მარო კი არსად არის.

აგერ ორი კვირაა მას აქეთ, რაც ტასიამ მოასწრო პავლეს და მაროს პირველ ალერსს და ამ ხანში მარო თვალით არავის უნახავს. ეს შემთხვევა პავლეს დიდად აწუხებს და გულის კანკალით ათვალიერებს ყმაწვილი გოგოების ჯგუფს, იქნება მაროც იქ ერიოსო; მაგრამ სად არის? ავად ხომ არ არისო, გაუელვა პავლეს ფიქრმა და სწრაფად გამოვიდა ეკლესიიდგან.

* * *

მარო ცეცხლის პირასა ზის და ცხარედ მოსთქვამს. სახლში არავინ არის. ავადმყოფი მარინეც კი საყდარში წაიყვანეს. პავლე დიდხანს იდგა კარებში და სტკბებოდა მაროს ცქერით. თავის დღეში ისე მშვენიერი არა სჩვენებია იმას

მარო, როგორც ეხლა თმაგაწეწილი და ცრემლებით სავსე თვალებით ეჩვენა.

- მარო, რად სტირი? გენაცვალოს შენი პავლეს თვალები. მანამ პავლე ქვეყანაზე დადის, ვის შეუძლიან შენი ატირება?

- პავლე, პავლე! იქით, არ მომეკარო! - უცებ წამოხტა მარო და შუა ბოძს მოეფარა. - არ მომეკარო, ახლო ნუ მოხვალ, თორემ თავს მოვიკლავ. იმდღევანდელმა შენმა ალერსმა ლამის გამაგიჟოს. რა გინდა ჩემგან, რად მოსულხარ? წელან აკი საყდარში მიდიოდი?

- მარო, რას მერჩი, გოგო, რა დამიშავებია? მთელი ორა კვირა რადა მტანჯავ, ღმერთი არა გაქვს? ეგ არის შენი სიყვარული, მაგას მეუბნებოდი?..

- სუ, სუ, ნუ მომაგონებ იმას, რასაც გეუბნებოდი. გიჟი ვიყავ მაშინ... მე სიზმარი ვნახე, რომ ღვთისმშობელი ჯოჯოხეთში მიმათრევდა, ნათესავები ვართ მე და შენ და... - თავით-ფეხამდე აკანკალებდა მაროს და ფეხზე ძლივსღა იდგა.

- მარო, ნუ ჰკანკალებ, შენი ჭირიმე, ნუ გეშინიან, ხელს არ გახლებ. დაჯექ ცეცხლთან, გათბი. ტკბილად მოვილაპარაკოთ, იქნება შეიძლებოდეს ჩვენი შერთვა. მე ისეთი მაგალითები ვიცი ნათესავების შერთვისა თავადებში, რომ ჩვენი ნათესაობა იმასთან რა არის! მე თითონ ვიცნობ იმათ, პაპიდაშვილებმა ერთმანეთი შეირთეს. ორმა ძმამ დედა და შვილი შეირთეს, გესმის, დედა და შვილი მაზლის ცოლები გახდნენ, და აბა, ჩვენი ნათესაობა რა არის? ნათესავები კი არა, მძახლები ვართ. აბა ჩემი და რომ ბიძაშენს ჰყავდეს, მე და შენ რა? თუკი ჩემი და ბიძაშენს ერგება, შენ მე რატო არ უნდა მერგო?

- პავლე, თუ აგრეა, რა გენაღვლება, ჯერ შეიტყო. ოღონდ მღვდელმა კი ნება მოგვცეს და მე სად წაგივალ.

- ოჰ, მარო, ოღონდ კი შენგან იმედი მქონდეს, რომ არ მიღალატებ და ხელმწიფემდის ვივლი, შენ თავს კი არავის დავანებებ. მაგრამ შენ...

- მე რა? ჩემში ეჭვი გაქვს? აბა ქვეყანაზედ გასათხოვარ ქალს უქნია ვისმე ჩემოდენა უნამუსობა? ყმაწვილ ბიჭს კისერზე მოგექენი და აქ ცოლ-ქმრობაზე გელაპარაკები. - ეს სიტყვები მარომ თავჩაღუნულმა და გაწითლებულმა წარმოსთქვა. - პავლე , რომ იცოდე, რა მემართება ღამეობით: ვგიჟდები. ბევრჯერ მინდა წამოვხტე ლოგინიდგან და შენთან გამოვიქცე... მაგრამ ღვთისმშობლის მეშინიან. ან ქვეყანა რას იტყვის? ნესტან-დარეჯანი ხელმწიფის ქალი იყო და იმანაც კი ვერ

შეიძლო თავის საყვარლის შერთვა.

- მაშინ სხვა დრო იყო, ჩემო მარო, ეხლა სიყვარული თავისუფალია; ეხლა სიყვარული სირცხვილი როდიღაა! ეხლა სირცხვილი ის არის, თუ უსიყვარულოდ ცოლს შეირთავს ვინმე. მე და შენ რომ ერთმანეთი გვიყვარს, ვის რა აკლდება? და ჩვენ კი თუ არ გაგვყრიან, მაროს მზემ... - და სიტყვების მაგივრად პავლე მხურვალებით გადაეხვია მაროს, თითქო საქმით უფრო ნათლად უნდა დაემტკიცებინა, რა სიტკბოება მოელოდათ იმათ.

* * *

ლოცვა გამოვიდა. ხალხი და მღვდელი კარებზე გამოვიდნენ და გაიმართა ბაასი .

- მამაო, შენდობა, შენი ჭირიმე, - წადგა გიორგი ხუნდაძე.

- ღმერთმა შეგინდოს, შვილო! - მღვდელმა პირჯვარი გადასწერა და მისცა ხელი საკოცნელად.

- ხვალ წირვაც გვექნება, რაკი ამაღამ გვილოცეთ, მამაო?

- ხვალა? თუ კაი დარია, იქნება გადმოვიდე. ჩემი ცხენი შინ არ არის და ფეხით სიარული აღარ შემიძლიან, ჩემო გიორგა.

- ბატონო, ოღონც კი გვიწირეთ ხვალა და გაუთენებლივ ცხენს გაახლებთ. ან არა და, შე დალოცვილო, ამაღამ აქა ბრძანდებოდეთ. ისე დაგიხვდებით, შენი ჭირიმე როგორც შეგეფერება. დილაზე ცისკარიც გვილოცეთ და წირვაც თან მოაყოლეთ. თქვე დალოცვილო, წელიწადში ორჯერ წირვა, აბა რას გვეყოფა, ქრისტიანები ვართ, შენი ჭირიმე.

- ოჰ, მე დამავიწყდა, რომ ხვალ შაშვეთელებს დავპირდი წირვას. ვისაც გინდათ, იქ ამოდით და მოისმინეთ წირვა, შორს ხომ არ არის.

დიდ-ხეველებს თავიანთი მღვდელი არა ჰყავთ; ექვს-შვიდ სოფელში მღვდლობს მამა შიო. ის არის სამოცი წლის მოხუცებული: თავის ხნის შესაფერად უფრო მოტეხილია: ბევრი არაყისა და ღვინის სმის გამო ძალზე წახრილია წელში, თმა და წვერი მთლად გათეთრებული აქვს და ცხვირი წითლად დასიებია. თუ სად უსწავლია საღვთო წერილი მამა შიოს, ეს არავინ იცის. ეხლა კი ძლიერ ცუდად კითხულობს სახარებას; ნახევარ სიტყვებს ხველაში ჰყლაპავს. ძლიერ გულით რომ გინდოდეთ, მთელ წირვაში ,,ქრისტე'' და "ღვთის მშობლის'' მეტს ვერას გაიგონებთ. ეს ორი სიტყვა სრულიად საკმაოა გლეხების სასოების გასაღვიძებლად. ტანსაცმელი შიოს ძლიერ ჭუჭყიანი აცვია: თავზე რაღაც აღა-მაჰმად-ხანის

დროინდელი დანგრეული შლიაპა ხურავს და ფეხებზე წაღების ნაფხრეწი. აბა წარმოიდგინეთ, რა პატივისცემა უნდა ჰქონდეთ გლეხებს ამ ზნეობითაც და გარეგან შეხედულობითაც დანგრეულის კაცისა.

იქნება გგონიათ, რომ შიო მღვდელი ღარიბია და ამისთვის დაიარება ასე დაგლეჯილ-დაფლეთილი? სრულებითაც არა. აგერ ოცი წელიწადია, რაც ის ამ მაზრაში მღვდლად არის და ამ ხნის განმავლობაში აიშენა თავის საუკეთესო სამრევლო სოფელში ორეტაჟიანი ხის სახლი; შეიძინა ორი კარგი დიდი ვენახი, რამდენიმე ნაფუზვარი და სამი ქალი გაათხოვა; თითოს ორას-ორასი თუმანი მისცა მზითვად. ვაჟს პეტერბურგში თვეში ოთხს თუმანს უგზავნის და ამის ცოლი ,,ფოფოდია'' ხავერდის ქათიბით დაბრძანდება.

- მამაო შიო, შენდობა მიბოძეთ! - მოწიწებით წამოდგა

ოსტატი ტასია და ხელზე ემთხვია მღვდელს.

- თუ შეიძლება, ბატონო, ერთს საათს ჩემთან შემობრძანდით, - გააგრძელა სიტყვა ტასიამ. - ძლიერ საჭირო საქმე მაქვს და რჩევა უნდა გკითხოთ.

- არაყი გაქვს, ჩემო ტასიავ?

- ღმერთი მოწყალეა, გიშოვნით, წამობრძანდით.

ტასიამ შეიყვანა მღვდელი თავის სახლში და სამფეხა სკამი მიართვა ცეცხლის პირას. ყუთზე სუფთა ტილო გადააფარა და წინ დაუდგა. სუფრაზე დააწყო ჯამით ჯონჯოლი, ბოლოკი და არაყის შავი ბოთლიც გვერდზე მოუდგა.

- მიირთვით, მამაო, და მანამდისინ მე გიამბობთ ჩემს

ამბავს.

ტასია მოუყვა პავლესა და მაროს ამბავს და ჰკითხა მღვდელს, შეიძლება იმათი ჯვარისწერა თუ არაო, და თუ შეიძლება, სიკეთე მიყავით და სოსიკასთან შუამავლად მიმეგზავნეთო.

- ძლიერ კარგი, ჩემო ტასიავ, ძლიერ კარგი! - ამბობდა შიო მღვდელი. - ჯვარისწერა როგორ არ შეიძლება, თქვენში არაფერი ნათესაობა არ არის. სოსიკაც უარს არ გეტყვით, რითი დაგიწუნებთ? პავლე კარგი წარმოსადეგი ბიჭია და ფულებიც ექნება, ჰა?.. - და ტასიას ეშმაკურის ღიმილით თვალი უყო. - შენც კი გექნება დარდუბალის კიდობანი, ჩემო ტასიავ!

- რას მიბრძანებ, ბატონო, ვინ რა მომაქვავა. მაგრამ ოღონც კი სოსიკამ ქალი მისცეს და ჩემი პავლეს გულს ნუ

მომიკლავს, საიდგანაც იქნება ვიშოვნით და კარგ საქორწილოს მივუტანთ.

ამ ლაპარაკში შიო მღვდელმა გამოსწურა ბოთლი და მთელი ჯამი ჯონჯოლი შეჰყლაპა. წამოდგა ფეხზე, პირჯვარი გადიწერა და ტასიას სიცილით უთხრა:

- კარგი, კარგი! ჩემო ბებერო. იმიტომ ასწავლიდი ისე გულიანად მაროს, რომ შენთვის გინდოდა, განა, შე ოინბაზო. ვეტყვი, ვეტყვი სოსიკას და თუ საქმე გაგირიგე, სააღდგომოდ კარგი ინდაური და ნაზუქები არ დაგავიწყდეს.

- ჰო, შენი ჭირიმე! ოღონც ეს საქმე მომიხერხეთ და თქვენი მადლი არ გამიწყრეს, რომ მე თქვენი ძღვენი არ დამავიწყდეს.

- ხვალ შაშვეთში წირვაა. უეჭველია, სოსიკაც იქ ამოვა და ვეტყვი. მშვიდობით! კურთხევა იყოს შენს სახლზე, ჩემო ტასიავ! სად იშოვნე ამისთანა მშვენიერი არაყი? თქვენი ივანიკა ხომ არ მოქრისტიანებულა, რომ ამისთანა კაი არაყი გამოუხდია?

* * *

- ვაი, ვაი, მოვკვდი, - კრუსუნებდა მარინე, სოსიკას ცოლი.

- მოკვდი და მორჩი, შე ოხერო, ექვსი თვეა კრუსუნებ და ბოლო არ მოეღო შენ ჭირსა. აგერ გოგო უნდა გავათხოვო და აბა მაშინ ოჯახს რაღა ეშველება? ან მოკვდი და ან მორჩი, რომ სახლს პატრონი გაუჩნდეს და!

- სოსიკა, სოსიკა, არა გრცხვენიან, რომ ორი დღე დამრჩენია და იმასაც მაშხამებ! ღმერთი არა მკლავს და რა

ვქნა. განა მე თითონ არ ვიცი, რომ კისერზე გაწევართ, მაგრამ... - და ქვითქვითი ამოუშვა უბედურმა, დაუძლურებულმა დედაკაცმა.

- სუ, კარგი, ნუ ტირი, დედაკაცო. ღმერთი მოწყალეა, კარგად გახდები, - დატკბობით უთხრა მარინეს სოსიკამ, ცრემლებით დარცხვენილმა, და გულით შეინანა თავისი წინდაუხედავი სიტყვები.

- დედაკაცო, იცი ვინა გვთხოვს მაროსა? რომ იცოდე, არ დაიჯერებ. არ ვიცი, ღმერთმანი, რა ვუთხრა. ისეთ ოჯახიშვილებს ვუთხარ უარი, რომ მთელს სოფელს გაუკვირდა და ახლა ,,ნამსახურსა'' როგორ მივცე. ვინ რას მეტყვის? სულმა რომ წასძლიოს და ისევ ბიჭად წავიდეს, მერე სოფელში თავი როგორ გამოვყო?!

- კაცო, რას ამბობ, ჯერ მითხარი, ვინა გთხოვს?

- ვინა და პავლე, ტასიას ბიჭი!

- უი, დამიდგეს თვალები! იმ ოჯახგამოფიტულს უნდა მივსცე ჩემი მარო? არა ქნა მაგისთანა საქმე და უიმისოდაც მკვდარს ცოცხლად თავი არ დამამარხვინო.

- ოჯახი გამოფიტული აქვს, ჩემო მარინე, მაგრამ თითონ კაი ბიჭია ის დალოცვილი. მე ისე შემიყვარდა, რომ უიმისოდ ვერ გამიძლია და აბა მარო, ვინ იცის, გაგიჟებულია. არ ატყობ, ადამიანო? აგერ ორი კვირაა, სულ ცხვირჩამოშვებულია და წამდაუწუმ ტირის?

- რა ვქნათ, რომ კარგი ბიჭია. კარგი ბიჭობა ხომ არ გააძღობთ და ტანთ არ ჩააცმევთ. მუშაობა სრულებით არ იცის პავლემ და რითი უნდა არჩინოს თავისი ცოლ-შვილი. შენ რომ გიყვარს, იმიტომ უნდა გააუბედურო შენი შვილი

და გლახას მისცე?

მაროს ბედმა ისე ააღელვა მარინე, რომ სულ დაავიწყდა თავისი უძლურება და ზეზე წამოჯდა.

- გლახას, გლახას! შენმა მზემ ორიოდე იქნება სოფელში იმისთანა ბიჭი.

- ეგ არის და! მაუდის ჩოხამ აგიხვიათ თვალი. ეგენიც შემოაცვდება და მერე რითი შეიკერავს? იქნება ტასიას საბებიაოთი ჩაიცვას ჭრაჭაჭრუჭიანი წაღები?

- ოოოჰ! დედაკაცებს სულ ტანისამოსზე გიჭყეტიათ თვალები. არ ჩაიცვამს და შალის ჩოხაშიაც კარგა ივლის. მე რო შალის ჩოხა მაცვია, მამა უცხონდა რა, არ ვარგივარ თუ? გახსოვს, მარინე, შენზე რო დავინიშნე, რა ბიჭი ვიყავი? ერთი ჩემოდენა ბიჭი ვერ გაბედავდა ჩემ

დაჭიდებას. მთელი ჩვენი მხრის ფალავანი მე ვიყავი.

- ნეტა იმ დროს, - ამოიოხრა მარინემ, - მე კი არ ვიყავი ქალი! მამაჩემმა რომ შენ მოგათხოვა ჩემი თავი, ქვეყანას უკვირდა.

- არა, რა იყო საკვირველი, შე ოჯახქორო! ბიჭი არ ვვარგოდი თუ!

- ბიჭი, ბიჭი! რა არის ცარიელი ბიჭობა? ერთი ხარი არა გყავდა, რომ ურემში შეგება და ოჯახში შეგეყვანე. მერე შენს ოჯახს მე დავადე ნიშანწყალი.

- დიაღ, დიაღ, შენ არ მომიკვდე, უშენოდ მშიერი მოვკვდებოდი. მე ისეთი ბიჭი ვიყავ, რომ ქვაზედაც საზრდოს ვიშოვიდი.

- შენ მარტო ჯვაროობები გიყვარდა და ახალი ტანისამოსი, საზრდოზე თავის დღეშიაც არ გიფიქრია. სუყოველთვის მუშა მე ვიყავ შენს ოჯახში და შენ კი ბატონი. და აი ამისთვისაც დავუძლურდი ახალგაზრდა დედაკაცი ასე უდროოდ.

- მაშ რა გნებავდა, ბატონი შენ უნდა ყოფილიყავ? მამა გიცხონდა, შენ დედ-მამას კი მზეთუნახავად უჯექი. პირველად მე რომ გნახე, ისეთი კოკა გეკიდა ზურგზე, მეგონა წელები ჩააწყდება-მეთქი. რომ მოგიყვანე, ფეხებზე კამეჩის ტყავივით დახეთქილი ქერქი გეკრა. მასუკან ფეხშიშველი არც კი გამიტარებიხარ.

- ჰო, კოხტა პრუწა კი ხარ! ფეხშიშველა კი არ გიტარებივარ, მაგრამ მჭადით კი მუცელი ბევრჯერ შემომბერვია.

- რა არის, რა ამბავია, რაზედა ჩხუბობთ, მამა? დედას რაღა ჩხუბი უნდა, წუხელის, შენ რომ შინ არ იყავ, ორჯერ გულს შემოეყარა, - უთხრა მარომ სოსიკას და მხრიდგან დიდი კოკა ჩამოიღო. მარინე მისუსტებული მიეშვა ლოგინზე. სოსიკა ჩუმად ჩიბუხს ეწეოდა და მარო გაშტერებული იდგა ბოძთან და თითქო რაღაცას მოელოდა.

- მარო, გოგო, იმაზე ვჩხუბობთ, - სთქვა სოსიკამ წყნარად და ტკბილი სხმით, - რომ მინდა გაგათხოვო და მარინე შენს საქმროს იწუნებს.

თუმცა ერთი კვირაა მარო ამ ამბავს მოელოდა, მაგრამ მაინც გულმა ძგერა დაუწყო და მუხლებმა კანკალი. შიშმა და იმედმა სული შეუხუთა, უნებურად ჩაჯდა და თვალებგაჭყეტილმა დაუწყო მამას ცქერა.

- შენ რაღას იტყვი, შვილო? პავლე კარგი ბიჭია, მაგრამ ღარიბია. ოჯახში არც ქვაბი აქვს და არც ქოთანი.

- ქოთნები კი ბლომადა აქვს, - დაცინვით წაიტუტუნა მარინემ, - იმის მეტს რას აკეთებს იმისი დედა ტასია.

- იმ დღეს შიო მღვდელი მოეგზავნა, - განაგრძო სოსიკამ. - მე ჯერ პასუხი არ მითქვამს. ისე შემაყვარა თავი იმ ბიჭმა, რომ მეძნელება უარის თქმა.

- უარი რად უნდა უთხრა, მამა?.. - კანკალით სთქვა მარომ.

- როგორ თუ რადა, შე აშარო შენა, - დაიკივლა მარინემ, - მოგაჯადოა იმ მოახლის შვილმა? იცი, ვინ არის ის თქვენი პავლია, იცი? ნაბუშრად მოჰყვა იმ პატიოსანს შენს ოსტატს. ამბობდნენ, ზაალის შვილიაო და კიდეცა ჰგავს.

ეხლა წვერ-ულვაში რომ გამოსვლია, სწორედ პირწავარდნილი ის არის.

- დედა, ექვსი თვეა, ტასია მუქთათა გწამლობს და შენ მადლობის მაგივრად იმაზე რაებს ამბობ!

- რა ვქნა, რომ მწამლობს, იმიტომ იმის გლახა შვილს უნდა მიგცე? არა, მანამ მე ცოცხალი ვარ, არ შეიძლება. მე კარგა ვიცი, რა არის გლახის ცოლობა. წელი მომწყვიტა მამიშენის სიღარიბემ და შენც ისე უნდა მოგივიდეს?

- დედა, დედა... იცი... თუ პავლეს ვერგები და მღვდელი ჯვარს დამწერს, მე იმის მეტს არავის შევირთავ. რა ვქნა, რომ ღარიბია, ერთ ლუკმა პურს როგორ ვერ ვიშოვნით?

- გოგო, აგრე ენა სად ამოიდგი, იქნება პავლემ გასწავლა?!
- სიცილით უთხრა სოსიკამ მაროს. - ვნახოთ, შევიტყობ,

იქნება ფულები აქვს რამე მოჯამაგირეობისა შენახული, და თუ არა, ზედსიძედ შემოვიყვან. აი დედაშენი მაინც სულ ავად არის და შენც რომ იმან წაგიყვანოს, შიმშილით გავწყდებით მე და შენი ძმები.

- ჰო, მამავ, შენი ჭირიმე, ნუ დამღუპავ, მე პავლე დიდი ხანია მიყვარს. განა შენ კი არ იცი, რა კარგი ბიჭია? თავის დღეში ცუდი სიტყვა არავისთვის უთქვამს. უშენიჭირიმოთ "ოსტატისთვის" ხმა არ გაუცია. აბა ჭინჭარაქის ბიჭი რომ მდიდარია, იმიტომ ვერა სცემს თავის ცოლს! საწყალი მათაი წუხელი წყაროზე სულ თვალებს ითხრიდა ტირილით. მჭადი ჰქონდეს და გული მხიარული, ის არ ურჩევნიან?!

- კარგი, შვილო, მე პავლეს ვნახავ. ღმერთი მოწყალეა, კალმის კაცი შიმშილით არ მოკვდება. მაშინ დამიჯექით ხოლმე ზამთარში და სულ ისტორიები მიამბეთ, - და

სიხარულით მაროს ხელი წამოჰკრა სოსიკამ.

- შენ კი გენაცვალოს შენი მაროს თვალები, შენა, ჩემო კარგო მამილო! - მოეხვია ყელზე მარო მამას და სიხარულის ცრემლებით დაუსველა ლოყები. სოსიკასაც გული ამოუჯდა და საჩქაროდ გარეთ გავიდა.

- ვაი, ვაი, მოვკვდი.. - დაიკრუსუნა მარინემ. - მე ყურსაც აღარ მიგდებენ. ცოცხლებშიაც აღარა მთვლიან. ვაი ჩემს მოსწრებას! გასათხოვარი გოგო მამას ყელზე ეკიდება, გამათხოვეო. რატო ჭერი თავზე არ დაგვენგრევა. რა დღეს მოვესწარით? წარღვნის ნიშანია სწორედ! მე თვალითაც არ მინახავს სოსიკა, ისე დამნიშნა იმისმა მამამ .

სოსიკა პირდაპირ ტასიასთან წავიდა. ტასია და პავლე დერეფანში ისხდნენ. ტასია ჩვეულებისამებრ საქმეს აკეთებდა და პავლე წამოწოლილი ოცნებობდა.

- ბარაქა ამ ოჯახსა, - უთხრა სოსიკამ. - ბიჭო, რა არის, სულ მხართეძოზე ხარ წამოწოლილი, შენ უთუოდ ოქროს მადანი გაქვს, რომ არაფერს აკეთებ! ან იქნება თვალი ისევ ქალაქისკენ გიჭირავს?

- მობრძანდი, მძახალო, მობრძანდი. აი აქეთ, მუთაქაზე. დაბრძანდი. პავლე უქეიფოდ მყავს, მთელი ღამეობით არა სძინავს; ლამის ჯავრით გავგიჟდე.

- რო არას აკეთებს, ჩემო ტასია, იმიტომ არა სძინავს. აბა მთელი დღე წაკუზული სთოხნიდეს და წყაროსავით ოფლი სდიოდეს, ისე დაეძინება, მე შენ გეტყვი, რომ ლეკი შემოესიოს, ვერას გაიგებს. იმ დღეს დაღალულს მეძინა, სათონის ბანი ჩამოიქცა იქვე, თითქმის ჩემს გვერდით და ვერა გავიგერა რა. მეორე დღეს რომ ვნახე, გამიკვირდა.

- სოსიკა, რაღა შორს ვუვლით, ძმაო, ერთმანეთს; ბარემ გადაწყვეტილი სთქვი და გაათავე. პავლეც განა თვითონ არა სწუხს, რომ უსაქმურად ზის, მაგრამ განა არ იცი, თუ კაცს გულში ჯავრი აქვს რამე, საქმე აღარ აგონდება. ჯერ იმის ჯავრი ჰკლავდა, რომ ვაითუ მარო არ მერგოსო, მძახლის ქალიაო, და ახლა, როცა მღვდელმა სთქვა, გერგებაო, იმისი ეშინიან, სოსიკა არ მომცემსო.

- გადაწყვეტილი რა, შე დალოცვილო, ყანწის გადაკვრა ხომ არ არის! ქალის გათხოვება აგრე ადვილი როდია. მე მაშუალები არ მინდა, ჩემო ტასია, ყველას პირში გეტყვით. პავლე მაროზე ნაკლებ არ მიყვარს, კარგი ბიჭია, მაგრამ კარგ ბიჭსა და გოგოს კარგი ოჯახიც მოუხდება. აბა პავლეს რა აქვს, რითი უნდა არჩინოს თავის ცოლ-შვილი? მე წინდაწინვე მითქვამს, რომ მოსამსახურედ დადგომა აღარ შეიძლება. მე პავლეს უარს არ ვეტყვი, როგორც

ეტყობა, გოგოსაც უნდა, მაგრამ პავლემ ჯერ სახლი უნდა ააშენოს, ერთი-ორი უღელი ხარ-კამეჩი გაიჩინოს. სხვა არა იყოს რა, სოფელი რას იტყვის, მძახალს გოგო მისცა და იმასაცა გლახასაო.

- სოსიკა! - აღტაცებით წამოხტა პავლე ფეხზე და საჩქაროდ უთხრა: - ოღონც შენ კი მომეც მარო და მაშ ბიჭი არ ვიქნები, თუ ამ ექვს თვეზე ყველაფერი არ მქონდეს: ახალი სახლიც, საქონელიც და ფულებიც. დღეიდგან ჩემი სიზარმაცე სიმამაცეზე შეიცვლება და, რაკი მაროს იმედი მექნება, ჩემი ღონე ერთი-ათასად გადამექცევა. გაძლევ სიტყვას პატიოსანის კაცისას, რომ ოღონც მაროზე დამნიშნე და მანამ ჯვარს არ დავიწერ, მანამ მაროს სახელობაზე ოცდაათ თუმანს არ გავცემ.

- შე დალოცვილო, ოცდაათი თუმანი იქნება ოცდაათ წლამდის ვერ გასცე და მანამ გოგო შენ უნდა

გიყურებდეს?

- ფიქრი არ არის, ექვს თვეზე მზად ვიქნები, ჩემო სოსიავ, ჩემო სიმამრო და ჩემო მამავ, - და მხურვალედ გადაეხვია პავლე სოსოს.

- კარგი, კარგი. მე ყოველთვის ვიცოდი შენი კარგი ბიჭობა. მოდი, შვილო, ყველაფერს თავი დავანებოთ, ჩემთან ზედსიძედ შემოდი და ჩემს ოჯახს უგდე ყური, აღარც საქონლის ყიდვა მოგინდება და აღარც სახლის აშენება.

- მერე მე სადღა უნდა ვიყვე? სოსიავ, მაგას რას ამბობ? დედაკაცი ძლივს ვეღირსე, რომ შვილი შინ დამიბრუნდა და ახლა შენ უნდა წამართვა? არა, დედავ და თვალო, ჩვენ ისე ღატაკები არა ვართ, რომ ზედსიძედ შემოვიდეს. ღმერთი მოწყალეა, ყველაფერს ვიშოვნით. სამადლო არა გვიჭირს რა.

- დედა, დედა, რას ჯავრობ? ამ კაცს სიკეთე უნდა, რომ ჯვარი უფრო ადრე დავიწეროთ და შენ იწყინე? რასაკვირველია, ზედსიძედ შესვლა შეიძლება, ან შენ რას გიზამ და ან რა იქნება ჩემი სოსიკასთან შესვლა; ამის ბიჭები ხვალ ზეგ ცოლებს მოიყვანენ და მაშინ მე და ჩემს ცოლს რა გვერქმევა. არა, ექვსი-შვიდი თვე საცა უნდა იყოს. მაროს გულისთვის ექვს წელიწადსაც ექვს დღედ არ შევიმჩნევ. მოვიმართოთ ოჯახი და ჯვარი მაშინ გადვიწეროთ.

- კარგი, თქვენი ნებაა, მაშ კვირას საღამოზე ნიშანი მოუტანე და ჯვარის დაწერა შემოდგომამდის იყოს. მშვიდობით, ძველო და ახალო მძახალო!

- მოითმინე, შენი ჭირიმე, ეგრე პირცარიელი როგორ იქნება შენი წასვლა? უნდა დაგვილოცო ოჯახი და ახალი

დამოყვრება.

- მზადა ვარ, მზადა, ჩემო ტასიავ, მოიტა შენი შავი ბოთლა არაყი და სირისკუდიც მოატანე.

დიდხანს ისხდნენ ახალი მოყვრები საუზმეზე და რამდენსაც სტაქანს არაყს გადაჰკრავდნენ, იმდენი უფრო აგრძელებდნენ თავიანთ ბაასს ახალგაზრდების მომავალს ბედზე.

* * *

კვირამდის სოფელში არავის გაუგია პავლეს და მაროს ამბავი. კვირა საღამოს სოსიკას ბიჭმა დაიარა მთელი სოფელი და კომლზე კაცი დაჰპატიჟა მაროს ნიშნობაში. როდესაც გაიგეს, რომ სოსია თავიანთ მძახალს პავლეს ქალს აძლევსო, ხალხმა ძლიერ გაიკვირვა. ეს პირველი

მაგალითი იყო ,,ნათესაობის” შერყევისა, ყველას ძლიერ უკვირდა ამგვარი უღვთოობა და ჩვეულების დარღვევა, მაგრამ კარგის ვახშმის ჭამამ დასძლია ყველანი და საღამოზედ ადრიან მოიყარეს თავი სოსიკას ფართო დარბაზში.

შუა დარბაზში, ორ დედა-ბოძს შუა, ხალიჩაზე გამოჭიმულია მარო. ლეჩაქ-ყურგადაგდებული, ოქრომკედის თავსაკრავით, ჭარბად ფერ-უმარილწასმული მარო არა შვენის; მაგრამ სახეზე ისეთი ბედნიერება აწერია, რომ შესაშურიც არის და შესანატრიც. სოსიკა გულუხვი კაცია: ჩინებული მასპინძლობა გაუწია დიდ-ხეველებს და წითელმა ღვინომ დაავიწყა სტუმრებს ნათესაობის დარღვევის ცუდი შთაბეჭდილებაც.

ტასია და პავლეც მოვიდნენ თავის ახლო ნათესავებით. ტასიას ატლასის ქათიბი აცვია და პავლეს წითელი

პლისის ახალუხი. ნიშანი პავლემ ქალაქურად მოუტანა: ორი თავი შაქარი, დიდი ლანგრით ხმელი ხილი და ზედ ალმასის ბეჭედი: ტასიას ერთადერთი ძვირფასი განძი, რომელიც გამოჰყვა გულმართლიძის ოჯახიდგან. პავლე და მარო ერთად დასხეს. მღვდელმა ნიშანი აკურთხა.

- ღმერთმა ისე გაგაბედნიეროთ, შვილო, როგორც ისაკ და რებეკა! - უთხრა შიო მღვდელმა და ნიშნულებს და დაუმატა: - პავლე, ეხლავე იცოდე, რომ ოცდახუთ მანეთზე ნაკლებ არ დაგჯერდები ჯვარის საწერს.

- შე დალოცვილო, ოცდახუთი მანათი რომ შენ მოგცეს, ქორწილი რიღათი გადიხადოს, - უთხრა ერთმა სტუმართაგანმა, რომელიც შვილის დასახლებას ეპირებოდა.

- ეგ ჩემი საქმე არ არის. გეყოთ, რომ აქამდის თორმეტ

მანათად გწერდით ჯვარს. ახლა ცხოვრება გაძვირდა, ყველაფერს ფასი მოემატა და მე ხომ თქვენი ყმა არა ვარ. აი იორდანე მღვდელი, რაც უნდა ღარიბი ნეფე იყოს, თხუთმეტ მანათს ართმევს. ქვრივებსაც კი აღარ სჯერდება წითელ ქაღალდს.

- შე დალოცვილო, ქორწილზე, ნიშანზე, და მარხვაზე სულ ფულსა გვთხოვ და იმ ოხერ ორ კოდ პურს წელიწადში რაღაში გაძლევთ?! სააღდგომოდ, საშობაოდ ქათამი კიდევ სხვა არის.

- იმაში გართმევთ, რომ მთელი წელიწადი სულ თქვენთვის და თქვენის განსვენებულებისათვისა ვარ მწირველი.

- მწირველი, ვინ იცის, კვირას არ აგვაცდენ წირვასა! წელიწადში ორჯერ რომ გვიწირო, ისიც დიდი მოწყალებაა

თქვენგან.

- ბევრს ნუ როტავ, მამა გიცხონდა და! თავისს დღეში ასე ყოფილა და ახლა დიდ-ხეველები ხომ არ გამოსცვლით წესსა და კანონს. შენ ისიც გეყოფა, რომ დედიშენის დამარხვაზე რვა მანათის მეტი არ მომეცი.

- რა დროს ვაჭრობაა, მამაო, შენი ჭირიმე, - სთქვა მხიარულად სოსიკამ. - დაბრძანდით, სუფრა აკურთხეთ და ვიქეიფოთ.

კარგა შუაღამემდის გასწია ნიშნობის ვახშამმა. დარბაისელმა კაცებმა მღვდლის თანადასწრებით აუჩქარებლივ და დარბაისლურად გადაჰყლაპეს სოსიკას მომზადებული ღვინო და ზედ ხუთი-ექვსი არაყიც დაატანეს. ბარბაცით და ბებრულის ღიმილით გამოდიოდნენ კარგა შუაღამის უკან მოწვეული

სტუმრები. პავლეს ძლიერ ეძნელებოდა მაროს გვერდიდგან ადგომა, მაგრამ ბოლოს მაინც უნდა დამორჩილებოდა თავისს ხვედრს და პირველად გადაეხვია ხალხში თავისს საყვარელს ძვირფას საცოლოს. კარებში ერთი კიდევ შესდგა და დიდხანს დაკვირვებით და აღტაცებით უყურა თავის მაროს. მერე ესეც ბარბაცით წავიდა სახლში, ეს ბარბაცი კი ღვინის მიზეზი არ იყო: პავლე დამთვრალი იყო ეშხით, უძლიერესის დამათრობელი ნექტარით.

* * *

პავლემ თავის ოცდაათ თუმანს ტასიას თითო შაურობით მოგროვილი ათი თუმანიც დაუმატა; წავიდა ქალაქს საქონლის საყიდლად. მშვენიერი ხარი და კამეჩი გამორეკა სოფელში, იყიდა ორი ურემი, დაიჭირა ერთი მოჯამაგირე და გაემგზავრა სამუშაოდ. დიდ-ხევას

დაახლოებით მაშინ რკინიგზას აკეთებდნენ და პავლემ დაიწყო ტრავერსების ზიდვა. რკინიგზის გათავების ვადა მოახლოვებული იყო და ამისათვის მოთავეები ძალიან აჩქარებდნენ საქმეს და კარგს ქირას აძლევდნენ მუშებს. პავლემ ათიოდ ურემი სხვისიც იქირავა და იჯარით აიღო რამდენიმე ათი ათასი ტრავერსის ჩამოტანა მთიდგან. დღეში თოთხმეტ საათს დაუსვენებლივ მუშაობდა პავლე. სად იყო იმის სიზარმაცე, ან იმის უძილობა. ნაბადში გახვეული მიეგდებოდა დაქანცული ურმის ხმელ ლართხებზე და რიჟრაჟამდის ისე ეგდო, როგორც უსულო. ირიჟრაჟებდა თუ არა, წამოხტებოდა მამაცად პავლე, დაიბანდა რუზე ხელ-პირს და დააღვიძებდა თავის მუშებს. კვირის-კვირობამდის ცარიელ პურზე და წყალზე იყო. თბილს საჭმელს ვინ დაანახვებდა თვალით! მაგრამ კვირა დღის სრული სიამოვნება უქარწყლებდა ექვსი დღის განუწყვეტელს ჯაფას. გაუთენებლივ გასწევდა დიდ-ხევისკენ და ჩაეკონებოდა თავის

საპატარძლოს. ეს კვირა დღეები უძვირფასესი დღეები იყვნენ პავლესთვის და ამ დღეებისთვის ის მზა იყო ოფლი კი არა, თითო-თითო წვეთად სისხლი ეღვარნა თავის ბედნიერებით გაღონიერებულ გვამიდგან.

მაროს ნიშნობის ერთი თვის უკან მარინე გარდაიცვალა. მაროს გათხოვებამ მოუახლოვა საწყალ დედაკაცს სიკვდილი. ის ჩუმად და უჩივლელად დაემორჩილა თავისი ქმარ-შვილის სურვილს და ჩუმადვე გამოეთხოვა წუთისოფელს .

პავლე კვირაობით რომ მოვიდოდა საცოლოსთან, სოსიკა რამდენსამე წამს შემდეგ აიღებდა ჩიბუხს და გავიდოდა გარეთ. კვირაობით, არამც თუ ზაფხულში, ზამთარშიაც კი იშვიათად დარჩება შინ გლეხკაცი. დუქნის წინ კაცები მოიყრიან თავს, ვისმე ბანზე კი ქალები და ყაყანობენ თავიანთ ბედ-იღბალზე. პავლე და მარო სრულიად

კმაყოფილნი იყვნენ ამ შემთხვევისა და უმოწმოდ სტკბებოდბენ თავიანთ სიყვარულით.

პავლე ისე არ მოვიდოდა, რომ მაროსთვის არ ამოეტანა რა. დაირა, მუზიკა, დიპლიპიტოები, ვერცხლის ქამარი, პალტო და ხელთათმანები აამაყებდნენ მაროს ამხანაგ გოგოებში.

ამასობაში ზაფხულიც გავიდა და დაიწყო შემოდგომა. დღესდღეობით სთვლიდა პავლე თავის განსაცდელის დღეებს. ერთი თვე უნდა ვიშრომო კიდევ, ამბობდა დაწოლის დროს პავლე და მერე, მერე... მარო ჩემი იქნება.

მაგრამ ბედმა სულ სხვა რიგად დაატრიალა მაროს და პავლეს ჩარხი. ბუნება თითქო არ ყაბულობს, რომ კაცი დიდის ხნით სრული ბედნიერი იყოს. მაროს და პავლეს ბედნიერებას ბოლო მოეღო და შავი ნისლი გადაეფარა.

ერთს ვიღაცა მთის მღვდელს სიმთვრალეში ჯვარი დაეწერნა რძალ-მაზლისთვის. ეს შემთხვევა შეეტყო ეგზარხოსს ვიღაც პატიოსანის მღვდლის ენით და გაეცა სასტიკი ბრძანება მთელ თავისს ეპარქიაში: ,,დიდად და დიდად გაფრთხი ლებულნი იყავით ჯვარის დაწერის დროს ნათესაობის გამოკითხვაშიო”.

ბლაღოჩინებმა დაიბარეს თავიანთ ხელქვეითი მღვდლები და უფრო სასტიკად და მკვეხად გადასცეს ეს ბრძანება: ,,თუ ვინიცობაა ნათესაობა დაგირღვევიათ ვისმე ან შეცდომით, ან ქრთამის აღებით, იცოდეთ, რომ ყოველ წელიწადს დავივლი თქვენს სამრევლოებს და შეცდომისათვის გაიკრიჭებითო”.

სხვათა შორის შიო მღვდელსაც გადაეცა ეს ბრძანება. ეს გაკრეჭამ ისე შეაშინა, რომ ყველა გოგო-ბიჭზე

იჭვნეულობდა, ნათესავები ხომ არ არიანო. იმის იჭვნეულობამ იქამდის მიაღწია, რომ ნოზაძეს აღარ აძლევდა ნებას ნოზაძის ქალი შეერთო, თუნდა რომ ვაჟისა და ქალის შუა ადამ და ევას ჩამომავლობის მეტი ნათესაობა არა ყოფილიყო რა. რასაკვირველია, პავლესა და მაროს მძახლობაც მოაგონდა და ერთს მშვენიერს დღეს სოსიკას გამოუცხადა.

- შვილო, შენი გოგო და პავლე ერთმანეთს უნდა მოაშორო, ნათესავები არიან და არ ერგებიანო.

- რას ამბობ, მღვდელო, სადაური ხუმრობაა! ხვალ არა, ზეგ ქორწილს ვემზადები და ახლა უნდა მოვაშორო? მაშინ სადა გქონდა, შე კურთხეულო, თვალები, როცა შუამავლად მოდიოდი, მაშინ სადა გქონდა ენა, როდესაც ნიშანი უკურთხე? საქმე შენ დაიწყე და ახლა შენი დანაშაული ჩვენ უნდა გადაგვახდევინო?

- ბევრიც რო ილაპარაკო, არა გამოვა რა, შვილოსა. მე ჯვარს არ დაგწერ და თუ გინდა ხასად დაუსვი შენი ქალი ქალაქში ნათრევ პავლიას.

- მღვდელო, მღვდელო, შენს წვერს პატივი დასდე, მაგას ნუ გვიზამ. ნუ დამღუპავ, შენი წირვის ჭირიმე; ყელს ნუ გამოგვჭრი! ჩემი მარო პავლეს ცოლია ღმერთთანაც და კაცთანაც და ნუ დაგვღუპავ, ჯვარი გადასწერე. ოცდახუთ მანათის მაგივრად ხუთ თუმანს მოგართმევთ.

- რას ამბობ, კაცო, ხომ არ გაგიჟდი, ხუთი კი არა, ორმოციც რომ მომცე, არ შემიძლიან. თქვენი გულისთვის რომ გამკრიჭონ, რამდენი მაგისთანა ხუთი თუმანი დამეკარგება მაშინ?

მთელი სოფელი შეგროვდა, ერთი არეულ-დარეულობა

გაიმართა. ტასია მუხლქვეშ ჩაუვარდა შიო მღვდელს, მაგრამ ყველა ტყუილი იყო; შიო თავის სიტყვაზე ჯიუტად იდგა.

მარომ წყაროზე შეიტყო ეს ამბავი. გიჟსავით თმაგაწეწილი, გუისპირჩამოგლეჯილი ამოიჭრა მარო წყაროდგან. იმის პირისახე კაცს შეაშინებდა. ლოყებდაგლეჯილი მარო მღვდლამდის კი მივიდა და იქ მოჭრილ ხესავით დაეცა. დიდხანს იყო გულშემოყრილი. ბოლოს რის ვაი-ვაგლახით გონზე მოიყვანეს. პირველი სიტყვა მაროსი ეს იყო: ,,ორსულადა ვარ, შემიბრალეთ!''

სოფელმა დიდი თანაგრძნობა განუცხადა სოსიკას უბედურებისათვის და ყველა თავის საქმეზე წავიდა. გაცხარებული სიმინდის რჩევა იყო და ამ დროს სხვისი უბედურება გლეხკაცის გულში იშვიათად შევა. სოსიკამ მეორე დღესვე მარო თავისი ჩალაგებულის მზითვით

ურემში ჩასვა და გზას გაუყენა. იმან კარგად იცოდა, რომ პავლე ცოცხალის თავით მაროს არავის დაანებებდა და იმის მოსვლამდის სხვაგან წაიყვანა.

გათენდა კვირა დილა. მხარზე ჩოხაგადაგდებული, სიმღერით მოვიდა პავლე სოფელში. გარეთ გამოფენილი ხალხი სიჩუმით შესცქეროდა იმის მხიარუელს პირისახეს და ბედნიერებით სავსე თვალებს.

- გამარჯვებათ, კაცებო! რატო ეგრე ჩაჩუმებულხართ, ძმაო. ივანიკამ ხომ კიდევ არ დაგარბიათ? ნუ გეშინიანთ, ღმერთი მოწყალეა. ექვს თვეზე გიორგი მოვა და შემდეგ მე ვიქნები თქვენი მოურავი და მეგობარი.

- მადლობელი ვართ, ჩვენო პავლე. ღმერთმა გადაგიხადოს, რასაც შენ ჩვენთვის სცდილობ, მაგრამ...

- მაგრამ რა, კაცო? მითხარით. დედაჩემი როგორ არის? - ფერი ეცვალა პავლეს და მუხლი მოეკვეთა. - რა იყო, თქვით რაღა!..

პავლე იდგა გაშეშებული, შემკრთალი უცოდნელობით და ეს ამოდენა ხალხიც ხმაამოუღებლივ მისჩერებოდა. ყველა გრძნობდა, რომ საშინელება იყო პავლეს უბედურების გამჟღავნება.

- მითხარით, კაცო, მითხარით, - დაიღრიალა საშინელის ხმით პავლემ და გიჟივით შინისაკენ გაექანა.

- შვილო, შენა ხარ? - ტირილით უთხრა ტასიამ. - მოდი, დაჯექ, გული გაიმაგრე. ვაჟკაცი ხარ, ლაჩარი ნუ იქნები. ზოგს ჯვარდაწერილი...

- რაო, დედავ, მარო სად არის, ავად გახდა?.. მოკვდა?

მითხარ, მითხარ! - მივარდა პავლე დედას და რაც ძალი და ღონე ჰქონდა ისე დაანჯღრია.

- დამშვიდდი, შვილო, კარგად არის, ნუ გეშინიან, ღმერთი მოწყალეა. ხელმწიფემდის ვივლი და შენ გულს კი არ მოვკლავ.

- რა არის, დედა, ჩქარა, ნუ მომკალით, შემატყობინეთ, მაგრამ პასუხს კი აღარ მოუცადა და ახლა სოსიკას სახლისკენ დაეშვა. მთელი სოფელი უკან დაედევნა. მთლად გიჟის სახე ჰქონდა პავლეს. თმა მაღლაამდგარი, ხელებგაფარჩხული და თვალებდაჭყეტილი შეაზარებდა კაცს.

- მარო სად არის, მარო, მიჩვენეთ, მიჩვენეთ, თქვე უღვთოებო, - ღრიალებდა საშინელის ხმით. სოსიკას სახლი ცარიელი დახვდა. შუა ბოძს მიეყუდა პავლე და

გაოცებული ხალხს შესცქეროდა.

- მარო მამამ შაშვეთში წაიყვანა მამიდასთან. - უთხრა სოსიკას უფროსმა შვილმა.

- რადა? - ამ სიტყვებში იყო პავლეს მთელი სიცოცხლე და მომავალი.

- ბიჭო, პავლე, დამშვიდდი, ეგრე როგორ გადაირიე, - უთხრა გოგიამ. - გაიგონე რა ამბავია და მერე იტირე. პარასკევს, შვილო, შიო მღვდელი გადმოვიდა, რაღაც ეშმაკები მოსჩვენებოდა და სოსიკას გამოუცხადა, შენი გოგო და პავლე ნათესავები არიან და, ერთმანეთს მოაშორეო.

- მერე იმ ურჯულომ დაუჯერა და მარო მომტაცა? - პავლემ ხმამაღლა ტირილი დაიწყო. საშინელია ამგვარი

ტირილი. დიდი და პატარა ჩაჩუმდა, თითქო სიჩუმით პატივსა სცემდა პავლეს მწუხარებას. დიდხანს იტირა პავლემ, მერე ზეზე წამოდგა და მწარედ გაიცინა: - ერთი დრო კაცს არ შერჩენია, მე ისე ადვილად მერგო ჩემი ბედნიერება, რომ არ იქნებოდა ბედს არ ემუხთლა ჩემთვის, მაგრამ ჩემის ცოცხალის თავით კი მაროს არავის არ დავანებებ, გამიშვით.

ხალხი ჩამოეცალა კარებიდგან და პავლე შინისაკენ წავიდა.

- შვილო, პავლე, სად მიხვალ მაგ თოფ-იარაღს რომ იკეთებ? - ტკბილად ეუბნებოდა დედა. - დაფიქრდი, შვილო, წინდაუხედავად ნუ მოიქცევი, ძალაობით არა იქნება რა. ჯვარს თუ არ დაგწერენ, ხასად ხომ ვერ დაისვამ. ჯერ ვეცადოთ, არქიელთან წავიდეთ, იქნება შენი ყმაწვილ-ბიჭობა შეიბრალონ და ნება მოგცენ.

- მართალს ამბობ, დედა. აჩქარება არ შეიძლება. მე მგონი, არქიელი უარს არ მეტყვის. თავადიშვილებში მესამე ნათესავებს ირთვენ და მარო ხომ ჩემი ნათესავი სრულებითაც არ არის. მე ისევ რკინიგზის უფროსთან წავალ, ფულს მივიღებ და მერე წავიდეთ ქალაქს. მიშველე, დედა, შემეწიე. მაროს ნუ დამაკარგვინებ, თუ შენი პავლეს დაკარგვაც არ გინდა.

- უწინამც დღე დალევია დედაშენსა, შვილო. სისხლის ცრემლით შევტირებ, შვილო, ამბობენ, ის არქიელი ანგელოზიაო. შეიბრალებს უბედურს დედას. უარს როგორ მეტყვის!

წელმოწყვეტილი და ფერმიხდილი მივიდა პავლე რკინიგზის ზედამხედველთან, ჩაიბარა ორი თვის ნამუშევარი ოცდახუთი თუმანი ფული და დედით

წამოვიდა ქალაქში.

ბევრისაგან ბევრს ეცადნენ უბედურნი, მაგრამ სულ ტყუილად. მოხუცებულ ,,მუჟიკ'' ტასიას სასამართლოებში არც კი უშვებდნენ. პავლემ რუსული არ იცოდა და ფული იმდენი არა ჰქონდა, რომ უენოდ გაეგებინებინა ჩინოვნიკებისთვის თავისი ამბავი და ეგზარხოსამდის არავინ მიუშვა. კნეინა ქეთევანმა არა თუ შემწეობა მისცა რამე, სახლშიაც აღარ შეუშვა პავლე თავის დედით. ივანიკამ დიდი ხანია შეატყობინა კნეინას, რომ პავლე გლეხკაცებს აქეზებს და გიორგისთან დედის განკარგულებას აბეზღებსო.

ბევრს ეცადნენ, ბევრი იტირეს სინოდის კანტორის სტოროჟთან, მაგრამ შინამდის კი ვერ შეაღწიეს. ერთხელ ტასიას უთხრეს დედაკაცებმა, სიონში წადი, არქიელი კვირა დღეს იქ მწირავიაო და როცა წირვა გამოვიდეს,

ფეხქვეშ ჩაუვარდი არქიელს და შეევედრეო. საცოდავმა ტასიამ ესეც გამოსცადა, მაგრამ თითქო ბედი დასცინოდა ამ უბედურს. არქიელს რომ ფეხქვეშ ჩაუვარდა და ღრიალი დაიწყო, აქეთ-იქიდგან დიაკვნები წასწვდნენ და გარეთ გამოათრიეს. არ უნდოდათ, რომ თავიანთი ბატონი შეეწუხებინათ ღარიბი დედაკაცის ცრემლებით.

როდესაც არქიელმა თავის სინიდისის დასამშვიდებლად კარეტაში ჩაბრძანების დროს იკითხა, ვინ იყო ის უბედურიო, დედამიწამდის თავი დაუკრეს ერთგულმა ქვეშევრდომებმა და ღიმილით მოახსენეს: Какая-то сумашедшая грузинка, Ваше преосвященство!

წამოვიდნენ პავლე და ტასია შინისკენ. პავლეს კიდევ იმედი ჰქონდა როგორმე შეესყიდნა ბლაღოჩინი და შიო მღვდელი; გული ვერას გზით ვერ დაეჯერებინა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მაროს დაშორება.

- მარო ჩემი ცოლია, დედა, გესმის თუ არა? - დღეში ათჯერ ეუბნებოდა ტასიას - რა ვქნა, რომ ჯვარს არ დაგვწერენ, - დაუმატა ატაცებულივით. - ჯვარდაუწერავს განა ღმერთი არ გვაკურთხებს. როდესაც მე და იმას ერთმანეთი გვიყვარს და იცი, დედა, შვილიცა გვყავს. არა, ქვეყანა ისე უგულო არ იქნება, რომ ჩვენი გული ამოგვგლიჯოს და ფეხით გაჰქელოს. რა ვიცი, თუ მე და მაროს გაყრაც შეიძლება, მაშინ ქვეყანაზე წმინდა აღარა ყოფილა რა და მე მაშინ აღარ ვიწამებ ღვთის განგებას...

* * *

მარომ, როგორც ბუნებით მხიარული ხასიათის მქონემ, უფრო ადვილად აიტანა თავისი მწუხარება. ის თუმცა დილით საღამომდის სტიროდა და ძლიერ სურდა თავის პავლესთან შეუღლება, მაგრამ იმის გულს კი არა

დასტყობია რა; ჯანზედ კარგად იყო და მოთმინებით მოელოდა თავის მომავალს. თანდათან მუცელი აჩნდებოდა და ამისათვის სოსიკა და იმის და დაეშურნენ მაროს ,,სინდისიანად'' მოშორებას. ერთი ვიღაც ქვრივი, ორი შვილის პატრონი შუა ხნის კაცი აიჩინეს და ჯვარის გადაწერა ორ კვირაზე გადასწყვიტეს. მაროს ქორწილის წინა დღემდის არა შეუტყვია რა; როდესაც შეიტყო, კინაღამ გადაირია.

- არა, არა, - ყვიროდა გაცოფებული, - მე ცოცხალის თავით სხვაზე ჯვარს არ დავიწერ. ჩემი ქმარი პავლეა და მეორე ქმარი მე რად მინდა!

- გოგო, სუ, - ეუბნებოდა სოსიკა, - თავს პატივი დასდე, ქვეყანაში არ შემარცხვინო, თორემ, ხომ იცი! ჩემს შერცხვენას შენს სიკვდილს ვარჩევ. ხელებს შეგიკრავ და ისე მიგცემ ვისაც მინდა.

- შვილო, - დაუმატა მამიდამ, - რით ვერ გაიგე, რომ პავლე რჯულმა არ გარგუნა, ხასად ხომ არ დაუჯდები. შვილო, ბავშვი ხომ არა ხარ, დაფიქრდი შენს მდგომარეობაზე, ორსამ თვის უკან გარეთ აღარ გამოგესვლება და აბა რასა იქ? ისევ ქმრის ხელში იყო ის გირჩევნიან. ქმარი ქალის ჯიღაა და მაშინ ვერავინ რას იტყვის.

- მამილო, მამილო, რას მეუბნები! პავლეს მაგივრად ვინ უნდა შევირთო? ოჰ, ჩემო მშვენიერო პავლე! ჩემო პირველო და უკანასკნელო ბედნიერებავ. სხვა ქმარს კი წავყვები, რომ მოხუცებული მამა არ შევარცხვინო, მაგრამ უშენოდ თავს არ ვიცოცხლებ.

* * *

პავლემ საქონელი გაჰყიდა, მოჭდეული დარბაზი ისევ

პატრონს შეუბრუნა; ამ ფულებით უნდოდა მღვდელი შეესყიდნა, მაგრამ ვერას გახდა. იმის საუბედუროდ „ბრძანება" ახალი გამოცემული იყო და ჯერ მღვდლების გული ვერ დაშოშმინებულიყო. გაკრეჭა ყველას თვალწინ უდგა და ამისათვის შიო მღვდელი შეუსყიდავი კაცი გახდა. ამ უკანასკნელმა იმედმაც რომ უმტყუნა, პავლემ თავის მოკვლა დააპირა. მაგრამ ტასია დღე და ღამ მოუცილებლივ ყარაულად ედგა. მუდამ ფიქრმა და მაროს ნახვის სურვილმა ისე მოუშალა პავლეს ძარღვები, რომ დღეში სამჯერ აციებდა. მთელი ღამე ბოდავდა და ბევრჯერ ორი-სამი დღე უგრძნობელად იყო. ტასიამ რაც ექიმობა იცოდა, სულ ზედ შეალია და ვერაფერს კი გახდა. პავლეს ავადმყოფობის წამალი დავიწყება იყო, მაგრამ ვერ იხმარა ეს წამალი. ის ძლიერ დიდხანს და ძლიერ მხურვალედ გრძნობდა მაროს სიყვარულს, რომ ისე საჩქაროდ გულიდგან ამოეღო. ან ეს რა საჭირო იყო? უმაროოდ პავლეს სიცოცხლეს რაღა ფასი ჰქონდა?! ის

დაუნანებლივ აძლევდა თავს ფიქრებს და ღიმილით მოელოდა სიკვდილს. მისი სურვილი მხოლოდ ის იყო, რომ სიკვდილის დროს კიდევ გადახვეოდა თავის მაროს და იმის ძვირფასს მკერდზე დაელია სული. დიდ ხანს იყო პავლე სიკვდილსა და სიცოცხლეს შუა, მაგრამ სიყმაწვილემ დასძლია და მოიხედა. ნელ-ნელა მობრუნდა პავლე წუთისოფლისკენ და ამხანაგებს ლაპარაკი დაუწყო. მთელი საღამოები ყმაწვილი ბიჭები უსხდნენ გარშემო და ემუსაიფებოდნენ. ის გაჩუმებული, ფერმიხდილი თითქო ყურს უგდებდა იმათ ლაპარაკს და თითქოც კი არა. პავლე გვამით გამობრუნდა, მაგრამ იმის სული სამუდამოდ დაიხშო. მთელი დღეობით ამხანაგების ლაპარაკზე, ოხუნჯობაზე ხმას არ ამოიღებდა და იმის პირზე ერთი ღიმილი აღარავის უნახავს. ყოველთვის ჩაფიქრებული იყო და სიცოცხლე თითქო ფუჭად ეჩვენებოდა. ამ ყოფაში იყო პავლე, როდესაც ერთ კვირა დილით შემოვიდა სინო, მეზობლის ახალგაზრდა

ბიჭი და უთხრა პავლეს:

- ბიჭო, კარგად გახდი, კვირას მაროს ქორწილია, მაყრად არ წაჰყვები?

რა იცოდა იმ უბედურმა ბუნების შვილმა, თუ როგორ იმოქმედებდა ეს სიტყვები პავლეს დაჭიმულ ძარღვებზე. პავლე წამოვარდა ფეხზე, მივარდა სინოს და დახრჩობა დაუპირა. სწორედაც დაახრჩობდა, ტასია რომ არ შემოშველებოდა. პავლემ რომ დედა დაინახა, ხელიდგან გაუშვა სინო და გარეთ გავარდა. მთელი სოფელი გამოუდგა და რის ვაი-ვაგლახით დაიჭირეს. პავლეს შეცდომის ნიშნები გამოაჩნდა. წამდაუწუმ წამოხტებოდა და გაქცევას აპირებდა. ღამე ორი ყარაული უწვა უბედურ ტასიას. პავლეს ძილი დაეკარგა და ხუთშაბათ ღამეს, როდესაც იმის ყარაულებს დაეძინათ, ადგა, ჩაიცვა ტანისამოსი, შემოიკრა ხანჯალი და ფეხის ფრჩხილებზე,

ნელ-ნელა გამოვიდა გარეთ.

მეორე დილას დიდი აყალმაყალი გაიმართა დიდ-ხევაში. სოფელი დიდის ყურადღებით მოექცა უბედურს ტასიას: ყმაწვილი ბიჭები აქეთ-იქით გაექანენ პავლეს საძებნელად. ორი დღე და ღამე ეძებეს, მაგრამ პავლეს კვალიც ვერსად ვერ იპოვნეს.

* * *

შაბათ საღამოზე შაშვეთის გასათხოვარი გოგოები შეგროვდნენ და, რადგან წყარო სოფელზე მოშორებით იყო, ჩვეულებისამებრ ერთად წყალზე წავიდნენ. გულჩათუთქული მაროც იმათ გაჰყვა. გოგოებმა აავსეს კოკები და წყლის პირას დასხდნენ. ლაპარაკი, რასაკვირველია, ხვალინდელ ქორწილზე იყო.

- მარო, გინახავს შენი საქმრო?

- ჩემთვის სულ ერთია, - ამოოხვრით უპასუხა მარომ, - თუნდა ვნახო, თუნდა არა. ჩემი თვალები თავის დღეში ველარავის ვერ მოიწონებენ.

- გოგო, როგორ მოგივიდა, შე საწყალო, მაგისთანა საქმე? ხვალ ჯვარს იწერ და ახლა მაინც გვიამბე შენი თავგადასავალი.

- ჩემი თავგადასავალი ქვასაც აატირებს, - სთქვა მარომ და მოთქმით, ხმამაღლა ტირილით უამბო თავისი ჭირი და უბედურება. ნორჩის გულის პატრონმა გოგოებმა ტირილითვე გამოუცხადეს თავიანთი თანაგრძნობა მაროს. მერე დიდხანს ისხდნენ ჩაფიქრებულნი და ბინდმა ისე მოატანა, რომ ვერც კი გაიგეს.

- ახლა კი წავიდეთ, გოგოებო, - სთქვა ერთმა.

ყველამ კოკები მხარზე შეიწყეს და შეუდგნენ პატარა გორას, რომელზედაც სოფელი იდგა. შუა გზაზედ რომ მივიდნენ, უკანიდგან საჩქაროდ ვიღაც მოეწიათ და ელვის სიჩქარით მაროს ბეჭებში ხანჯალი ჩაარჭო. გოგოებმა შიშისაგან კოკები დაჰყარეს და წივილკივილით სოფელში აცვივდნენ.

მაროს კრინტიც არ ამოუღია, მარტო ხელები გააქნია და უსულოდ დაეცა პირქვე .

პავლემ ხანჯალი ამოიღო და სისხლმა რომ თავ-პირზე შეასხა, პატარა ხანს გონზე მოვიდა, გადმოაბრუნა მარო და მხურვალედ ჩაეკონა.

- ახლა ჩემი ხარ, ჩემი, შენს თავს ვეღარავინ წამართმევს, -

აღტაცებით ჩასტუტუნებდა უსულო მაროს. - თუ აქ არა, იქ ხომ შევეყრებით ერთმანეთს. ახლა ჩემი რიგია! - დაავლო ხელი ხანჯალს, მაგრამ ამ დროს გარს შემოერტყა მთელი სოფელი და პავლე დაატყვევეს.

პავლეს დედა ტასიას შვილის ელდამ დამბლა დასცა; წაერთვა ჯანი და გონება და მადლიც მოუვიდა: გონებადაბნეული ტასია აღარ გრძნობდა მაინც თავისი შვილის უბედურებას.

ერთი კვირის უკან გამომძიებელი მოვიდა. მარო გასჭრეს. რისთვის? პავლეს გამოჰკითხეს მოკვლის მიზეზი, მაგრამ ის რაღაცას ბოდავდა. ამ ერთი კვირის განმავლობაში ერთ წამსაც არ მოსულა პავლე გონებაზე. ის სულ სისხლზე და უსამართლობაზე ლაპარაკობდა. ადგილობრივი გამოძიების შემდეგ პავლე ქალაქის ციხეში გაისტუმრეს მართლმსაჯულების ასასრულებლად.

* * *

ორი წლის შემდეგ ქალაქის სატუსაღოს ლაზარეთში გარდაიცვალა ჭლექით ოცდარვა წლის ყმაწვილი კაცი. უპატრონოდ, ხის კუბოთი ჩაუშვეს ის უბედური საფლავში. არც ერთი ცრემლი არ ჩამოვარდნილა; არც ერთი მეგობრული სიტყვა არა თქმულა ამ უდროოდ გაფუჭებულის ყმაწვილი კაცის საფლავზე.

ლაზარეთში, ავადმყოფობის სიაში, ეს კაცი ასე ჩაეწერათ: “კაცისმკვლელი, პავლე ცოდვისშვილი”.

მაგდანას ლურჯა

I

მაგდანა ჯერ ძლიერ ყმაწვილი დედაკაცი იყო, როდესაც ქმარი მოუკვდა და ოთხი უსუსური ბავშვი ხელზე ულუკმაპუროდ დარჩა. ერთადერთი ძროხა, რომელიც ამის ბავშვებს ზაფხულობით ლუკმას უსველებდა, ქმრის დამარხვას მოუნდა და სხვა სანუგეშებელი ქვეყანაზე აღარა გააჩნდა რა. რა ექნა უბედურს ქვრივს? რითი გამოეკვება თავისი ობლები? სოფელი "მწირი", სადაც მაგდანა ცხოვრობდა, იმისთანა უნაყოფო, უწყალოდ მოტიტვლებულ მინდორზე მდებარეობს, რომ იმის მცხოვრებნი დიდის ვაი-ვაგლახით შოულობენ დღიურ ლუკმას. და, აბა, ამგვარი მეზობლები რა ხელს

გაუწვდენდნენ წვრილშვილს, უვაჟკაცოდ დარჩენილ ოჯახს.

ამ უბედურ და ბუნების მხრით განწირულ სოფელს მხოლოდ ერთი ბედნიერება სჭირდა: ქალაქზე ძლიერ ახლო იყო და იქ მცხოვრები გლეხები ამ ქალაქში შოულობდნენ სამუშაოს, ბაზარს გასასაღებლად, თუ რამ ნაწარმი გააჩნდათ გასასაღებელი. მაგდანასაც ამ სიახლოვემ უჩვენა გზა და ხელი მიჰყო იმისთანა საქმეს, რომელიც ძლიერ მძიმე და თითქმის აუტანელი იყო მისთვის. მაგრამ რას გააწყობდა, როდესაც ოთხი ბავშვის ტირილი: "დედა, პური, დედა, პურიო!" - დღე და ღამე მოსვენებას არ აძლევდა და მშობელს გულს უფათრავდა.

მაგდანა სულ ერთი კვირის დაქვრივებული არ იყო, როდესაც მძიმე შავებში გახვეული, მაწვნის ქილებით ცალ მხარზე და კარგა მოდიდო რძის კოკით მეორე ხელში,

გაემგზავრა ქალაქისაკენ.

რძეს მაგდანა ყიდულობდა თავის მეზობლებისაგან, საღამოობით აყენებდა მაწვნად და მეორე დილაზე გაუთენებლივ გაუდგებოდა ხოლმე ქალაქის გზას. იქ, "იარმუკის" თავში, ტროტუარზე დაჯდებოდა, მოიხსნიდა თავის მძიმე ტვირთს, ჩამოამწკრივებდა სუფთად დახეხილ მაწვნის ქილებს, რძის ლიტრებს და თავჩაღუნული ელოდა მუშტარს.

პირველში საშინლად იტანჯებოდა საცოდავი ქვრივი, რომ ასე აშკარად, გაშლილ მოედანზე იჯდა ახალი მგლოვიარე, შავებით მოსილი და გამვლელ-გამომვლელს იწვევდა საყიდლად, მაგრამ შემდეგ შეეჩვია, მყიდველებს ღიჭინიც კი დაუწყო, მეტადრე მაშინ, როდესაც მის გვერდით სხვა ბევრი ქვრივ-ოხერიც გამოიჭიმა მაწვნის ქილებით, რძის ლიტრებით და მის ვაჭრობას შეეცილნენ.

მაგდანა იმდენს შოულობდა ამ ვაჭრობით, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო და ცარიელი ლუკმა მაინც მიეწვდინა თავის ობლებისათვის.

თუმცა სოფელი ,,მწირი'' ქალაქიდან სულ ხუთ-ექვს ვერსზე იყო მოშორებული, მაგრამ ამ მცირე მანძილის გავლაც დღეში ორჯერ, მძიმე ბარგით ზურგზე, ისე სწყვეტდა საბრალო დედაკაცს, რომ ბევრჯერ შინ დაბრუნებული მაგდანა ორი-სამი საათით უღონოდ ეგდო დერეფანში და თავს დასჩხაოდნენ თავისი პატარები. მუდმივმა მძიმე ტვირთის ზიდვამ მარჯვენა მხარი ჯერ დაუიარავა და შემდეგ ისე დაუკოჟიჟდა, რომ ყოველი ბარგის აკიდებაზე მაგდანა სიმწარით ცრემლებს ჰყრიდა და უღონოდ წაიჩოქებდა ხოლმე, მაგრამ შემდეგ წამს პირჯვარს გადაიწერდა და გაუდგებოდა გზას.

დედის დაბრუნებამდე ოჯახს პატრონობდა მაგდანას უფროსი გოგო, თორმეტი წლის სოფო და ჩინებულადაც პატრონობდა. მანამ პატარა და-ძმას ეძინათ, დაჰგვიდა დარბაზს, კოკებს აავსებდა დილის წყლით, წიწილ-კრუხს საზრდოს მისცემდა და, როცა პატარები გაიღვიძებდნენ, დაჰბანდა ხელ-პირს, დახეხდა სახვალიოდ საჭირო რძის ჭურჭელს და პატარა ბავშვით ხელში გავიდოდა ბანზე. იქ მზის გულზე ჩუმად ჩხირკედელაობდა დედის დაბრუნებამდე. ქალაქიდან მომავალი გზა ამათი სოფლის წინ კარგა მანძილზე იყო გაშლილი და შემდეგ დაღმართში იკარგებოდა; დაინახავდა თუ არა დედას პატარა სოფო აღმართზე ამოსულს ძირს დასვამდა თავის პატარა დას, სირბილით მიეგებებოდა დედას, ჩამოართმევდა ცარიელ ქილებს, ნაყიდ ხორაგს და ცოტათი მაინც შეუმსუბუქებდა მშობელს ტვირთს.

მაგდანას აუტანელი გაუხდა ჯაფა ზაფხულში.

მკათათვის მზის მწვავე სხივები ულმობლად სწვავდა საცოდავს თავ-პირს, ცეცხლს უკიდებდა მუდამ ფეხშიშველობით დაფათრულ ფეხებს და ერთიორად უგრძელებდა მანძილს; მაგდანა წამდაუწუმ ისვენებდა გზაზე, ბევრჯერ დაღალულ-დაქანცულს კიდეც მიეძინებოდა ჩრდილოში და საღამომდე ძლივს მიაღწევდა ხოლმე თავის სოფელს. რძის ყიდვა ადუღება, მაწვნების შეყენება უგვიანდებოდა და ერთ პირს დაძინებასაც ვერ მოასწრებდა, რომ მამლები იყივლებდნენ, და ისევ ხელახლად გზას უნდა გასდგომოდა. ამის გამო ყოველდღე ქალაქში სიარული შეუძლებელი შეიქნა და ობლების საზრდომაც იკლო. სოფო და დედა ნახევარზე მშივრები იყვნენ და თავის წილ ლუკმას პატარებს უზოგავდნენ.

II

მარიამობის თვეში, ერთ საშინელ ცხელ დღეს, მაგდანა ჯანმიხდილი, საშინელი ქშენით და ოფლში გაწუწული ავიდა იმ აღმართზე, საიდანაც სწორე გზა იწყებოდა სოფლამდე, და ძალიან გაუკვირდა, რომ სოფო ჩვეულებრივ არ მოეგება და შიშით გული გადმოუქანდა.

- ვაიმე, შვილებო! - გულში ხელი ჩაიკრა და თითქმის სირბილით მიიჭრა სახლში. იმისი შვილები და სოფლის გოგო-ბიჭები დერეფანში დიდი ღრიანცელით თავს რაღაცას დასტრიალებდნენ; მაგდანამ მისწი-მოსწია ბავშვების გროვა და გაოცებული შედგა: მიწაზე დაცემული სახედარი იწვა, კისერი საცოდავად გადაეგდო და მძიმედ ქშინავდა. მაგდანას სახეზე ღიმილმა გადაჰკრა და ბავშვები მირეკ-მორეკა. შემდეგ დიდის გულისხმიერებით გაუსინჯა სახედარს წელი, ფეხები და რა დარწმუნდა, რომ სახედარს მოტეხილი არა აქვს რაო, უფრო ტკბილად გაიღიმა.

- დედა, იცი, მიხას ეგ ვირი გზის ნაპირას ენახა; დამიძახა და რის ვაი-ვაგლახით მოვაგდეთ შინამდინ. ის იყო უნდა დამება და ბალახზე წავსულიყავ, რომ საცოდავი დატორტმანდა და ძირს დაეცა. მე ყვირილს მოვყევი, გოგო-ბიჭები შემოცვივდნენ და აი ზედ დატანებაზედ შენც მოხვედი.

- ოჰ, შვილო, თუ სახედარი გამობრუნდა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს, აბა, წადი ჩქარა ბატონიანთ სათივეში, ღობის გვერდებში მიგლიჯ-მოგლიჯე მწვანე, სულ ნორჩი ბალახი და საჩქაროდ მოირბინე.

მაგდანას სულ დაავიწყდა, რომ დაღალულ-დაწყვეტილი იყო და საჩქაროდ სახედრის მოვლას შეუდგა. გაათბო წყალი, გადაგლეჯილი და დაიარავებული ზურგი მოჰბანა, ნავთში გავლებული ჩვარი დააფარა, შეკრული

კრიჭა გაუხსნა და ცივი წყალი ჩაასხა. შემდეგ მარილმოყრილი ლუკმა ჩაუდო და გადასავსავებული პირუტყვი მოაბრუნა. ამასობაში სოფოც მოვიდა მწვანე ბალახით დატვირთული და ვირს ალერსით წინ დაუყარა.

III

ორი კვირის შემდეგ, როდესაც სახედარმა იმდენად მოიხედა, რომ შეეძლო ტვირთის აკიდება, მაგდანამ ერთიორად მეტი რძე იყიდა, ერთიორად მომეტებული მაწონი შეაყენა, მეზობლებისაგან ორი დიდი გოდორი ითხოვა, გადაჰკიდა თავის ბედაურს, შიგ მჭიდროდ ჩააწყო თავისი ქილები და გაუდგა ქალაქის გზას. დღეს ვერავინ იცნობდა მაგდანას, ისე გაღიმებული, ბედნიერებით სავსე იყო იმისი შეხედულება. ჩვეულებრივ ტვირთქვეშ მოხრილი კი აღარ მიღოღავდა, არა, ამაყად აბიჯებდა და მხიარულად შესცქეროდა თავის

თანაშემწე - ლურჯა სახედარს და მის გარშემო სიხარულით მხტუნავ თავის ბავშვებს.

- დედა, დღეს ხომ უფრო ადრე ჩახვალ ქალაქს? - ღიმილით ეკითხებოდა მაგდანას მისი პატარა მიხა.

- რასაკვირველია, შვილო, ადრე კი არა ერთიორად ადრე ჩავალ და შუადღემდე იქნება კიდეც მოვბრუნდე.

- რას ამბობ, დედა, შუადღემდე! იქნება საღამომდინაც ვერ მორჩე მაგოდენა მაწვნის გაყიდვას; მთელი სოფლის ქოთნები მათხოვნინე წუხელ, - უთხრა სოფომ დედას.

- გაყიდვისა კი აღარ მეშინიან, ამ ოთხ-ხუთ დღეში, შვილო, იმოდენა ხალხი გავიცანი, იმდენი მუშტარი ვიშოვე, რომ ფიქრი არ არის, მალე დავაცარიელებ მაგ დიდ გოდრებს, მერე ვერა ხედავ, რა ცხელ დღეს იჭერს?

მაწვნის მეტს რას შესჭამს ამ პაპანაქებაში ვაჭარი კაცი?! ახლა კი დაბრუნდით, შვილო, დაიღლებით.

- არა, დედი, არა, დაღმართამდის მიგაცილებთ და იქიდან გიყურებთ, როგორის გოგმანით წავა ჩვენი ლამაზი ლურჯა. რა ლამაზი თვალები აქვს, დედა, შავი, ჭკვიანი! მაგრამ ისევ ისე დაღონებული კი გამოიცქირება, როგორც მაშინ, დავარდნილი რომ ვიპოვეთ. ახლა ხომ აღარა შიან, დაღონებული რაღად არის?

- რა ვიცი, შვილო, ვირის ჯიში აგრეა, სულ დაღონებულნი არიან ვირები, თავს მაღლა თავის დღეში არ აიღებენ. მაძღრობა ვირს მარტო კუნტრუშზედ ეტყობა, და განა არა ნახე, გუშინ ჩვენი ლურჯა მინდორზედ როგორ კუნტრუშობდა?

- ხა, ხა, ხა, როგორ დაკუნტრუშობდა გოგიანთ ვირებთან!

- გადიხარხარეს პატარებმა, - მანამ მოხვალ, დედი, იმდენ ბალახს მოვუტანთ, იმდენს, რომ სულ შიგ ჩაიფლოს ჩვენი ლურჯა, - ხტუნვით და აღტაცებით შესჭიკჭიკებდნენ მაგდანას შვილები.

IV

მართლაც, მაგდანას ღმერთმა მოჰხედა, სახედრის წყალობით, იმისი საქმე კარგად წავიდა; რძისა და მაწვნის გარდა, მაგდანამ ხანდახან კვერცხს და ქათამსაც დაუწყო ყიდვა. მაგდანა ყოველთვის პატიოსნად ვაჭრობდა, რძეს და მაწონს წყალს არ ურევდა, ჭურჭელი, სოფიოს წყალობით, ყოველთვის მშვენივრად ჰქონდა დახეხილი და ამის გამო მუდმივი მუშტარი ბევრი გაიჩინა ქალაქში. გარდა ამისა, რომ მაგდანასაგან ვაჭრობდნენ, იბრალებდნენ კიდეც იმის ობლებს და აძლევდნენ იმათ თვის ნახმარ ტანისამოსს, ფეხსაცმელს.

შემოდგომამდე მაგდანამ დღიურ ლუკმას იმდენი გადაარჩინა, რომ შეეძლო ცოტაოდენი საწვრიმალო ეყიდნა და, როდესაც სოფლის საქონელი გაშრა და რძე აღარ იშოვებოდა, საწვრიმალოს ყიდვა დაიწყო; მიეკედლა ერთ მეწვრიმალე ხნიერ დედაკაცს, იმასთან სანახევროდ სავაჭრო იყიდა, წამოჰკიდა თავის სახედარს და წავიდნენ მთიულებში სავაჭროდ. ამ ვაჭრობით ორი-სამი ტომარა ფქვილი მოუმზადა საზამთროდ შვილებს, სახედარს-ბზე და ცოტაოდენი ქერი, ახლა კი დაისვენა, დაუბრუნდა თავის შვილებს, ცეცხლი ააბოლა თავის კერაზე. ზამთრის დიდ ღამეებში მაგდანა ცეცხლის პირას იჯდა განუშორებელი მატყლის წინდით ხელში და თან თავის შვილებს უამბობდა ქალაქის ამბებს, თავის თავგადასავალს, თავის ვაჭრობის უცოდინარობას პირველში.

- გამოცდილება კარგი ყოფილა, შვილო, - დარბაისლურად მიუბრუნდებოდა ხოლმე მაგდანა თავის ჭკვიან გოგონა სოფოს, - პირველად რომ მაწვნით ვაჭრობა დავიწყე, ყველა მასხარად მიგდებდა, ყველა ცდილობდა ჩემზე წინ წამდგარიყო, რათა უფრო მალე გაესაღებინა თავისი სავაჭრო და მე კი, ბეჩავი, ჩუმად აბუზული, უკან ვრჩებოდი. ბევრჯერ მტრობით ავმა სულებმა მიწა გადამიყარეს მაწვნებზე, ბევრჯერ განგებ დამეჯახნენ და დამაქცევინეს, მაგრამ მეც თვალი გავახილე, მეც მივხვდი, რომ ყველაფერში გამარჯვება სიმარჯვესა და სიმხნევეზეა და ხმა ამოვიღე, მივიძარ-მოვიძარ. მეტადრე როცა მომაგონდებოდა, რომ თქვენ აქ უპატრონოდ, მშივრები, ტიტვლები ეყარენით, ცეცხლი მომედებოდა ხოლმე გულზე და მაშინ ვინ იყო ჩემი წინ წამომდგომი. მე ყველაზე წინ გავრბოდი, მე ყველას უფრო მომეტებულად შევღიჭინებდი, რომ ჩემი რძე-მაწონი ეყიდნათ და ლუკმა ამით ვიშოვე.

V

ნააღდგომევს, როდესაც სოფელში ისევ გახშირდა წველა, მაგდანამ გაამზადა თავისი ბედაური, თავისი მაწვნის ქოთნები და გაუდგა ქალაქის გზას. მხიარულად მიერეკებოდა თავის ლურჯას და თანაც ღიღინებდა. მაგდანას გული იმედით იყო სავსე; ,,სააღდგომოთ შვილები ვერაფრით გავახარე, თითო ჩითის პერანგიც ვერ ჩავაცვი და ახლა მაინც ვუყიდი რასმე; სოფოს, ჩემს იმედს, ჩემს ჭკვიან გოგონას, წითელ ფოსტლებს ამოვუტან, ენაცვალოს დედა, მე შენ გითხრა, ჩემს პატარებს უჩემობას შეამჩნევინებს: ისე დაჰგურგურებს, როგორც კარგი დამზნილი დედაკაცი... ჩემს ვაჭრობას უფრო მოუმატებ, იქნება ორიოდე გროში მივაგდო სოფოს სამზითვოდ. დერეფნის შუა ბოძი ძლივს იმაგრებს გასაყარ ხესა, იმასაც გამოცვლა უნდა”...

ამ ფიქრებში გართული მაგდანა მიუახლოვდა ქალაქს. ის-ის იყო მზემ თავი ამოჰყო და მშვენივრად გააჩაღა ვერის ბაღები, პატარა ვერის მომჩქეფარე წყალი და უზარმაზარი სარკესავით აალაპლაპა მტკვრის მდორედ მოძრავი ზემოთა პირი. ახლად გამოღვიძებული ქალაქის ხმაურობა გუგუნივით მოისმოდა, შეშის ურმები, აგურის პოვოსკები, ფურგუნები ერთიერთმანეთში ირეოდა; მებაღეები მწვანილით დატვირთული სახედრებით, მერძევე დედაკაცები კოკებით, კინტოები თაბახებით თავზე მიეშურებოდნენ, გარბოდნენ, რომ ბაზარში არ დაგვიანებოდათ. მაგდანამაც ორიოდე სახრე გადაჰკრა თავის ლურჯას და ფეხი ააჩქარებინა.

მაგდანა რომ ვერის აღმართს ავიდა, იმის პირდაპირ საშინელის სიჩქარით გამორბოდა მთელი ჯოგი სახედრებისა. იმათი პატრონი, მთლად შემურული

მენახშირე, მშვენიერ იორღა ჯორზე იჯდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიერეკებოდა. ერთმა ვირმა წამოჰკრა გვერდი მაგდანას მაწვნის გოდორს და მთლად შეარყია. მაგდანა გაანჩხლდა და მენახშირეს წყევლა დაუწყო: ,,კისერი მოგტყდეს, კისერი, შე ღვთის მუხანათო! რაზე დამღუპე და დამაქციე! დოსავით გათქვეფილი მაწონი ვიღასთან უნდა მივიტანო? “

მენახშირემ მხოლოდ ახლა მოაბრუნა კისერი ამისაკენ და უცბად შედგა, საჩქაროდ გადმოხტა ჯორიდან და მაგდანასთან მიიჭრა: ,,დედობილო, ნუ კი იწყევლები ემანდა და, აბა მიბრძანე, ეგ სახედარი შენ ვინ მოგცა”.

მაგდანას მუხლები მოეკვეთა, პირზე მკვდრის ფერი გადაედო და ხმის კანკალით ძლივს წაილუღლუღა: - მინდორში დავარდნილი ვიპოვე, სული ამოსდიოდა და მოვაბრუნე.

- ,,დავარდნილი, სული ამოსდიოდა", - გააჯავრა მენახშირემ მაგდანას. - ვინ გეხვეწებოდა, მოაბრუნეო? მინდორში მე იმისათვის კი არ მივანებე თავი, რომ შენ მოგეპარა! სხვა სახედრებს ჩამორჩა, მე მეჩქარებოდა და თავი იმიტომ დავანებე; მეორე დღეს ტყიდან უნდა ჩამომევლო, წამეყვანა და რა გაგიშვია, რას ეძებ? თურმე რომ შენ მიგიჩქმალავს, შე არამზადავ, შენა, ახლავე მომე, თორემ ეგ არის შუაზედ გაგგლიჯე!.. მოხსენ ეგ შენი ქოთნები, თორემ ლუკმა-ლუკმად დაგიმტვრევ! ,,სუდში" წაგათრევ და ქურდობისთვის ციხეში დაგალპობინებ!..

მაგდანამ დაინახა, რომ ობლების საზრდო, იმედი ხელიდან ეცლება, საშინლად გააფთრდა, გოდრებს ზედ გადაეფარა, წივილ-კივილს მოჰყვა და, რაც ჯანი და ღონე ჰქონდა, იგერიებდა გაცოფებულ მენახშირეს.

- ვერ წამართმევ, ვერა. ეს ჩემი ნაპოვნია, ჩემი გამოკვებილია. ზამთარში, ჩემი შვილების ნუგეში ეს არის, ვერ წამართმევ! მომეცალე, მომეცალე, თორემ თვალებს გამოგწიწკნი, თავს აქ მოვიკლავ და არ დაგანებებ კი!

- იქით, იქით! ხელი აიღე, თორემ ეს არის მოთმინება დავკარგე! შენისთანებმა უნდა მაჯობონ, შე მასხარავ? იქით-მეთქი, გეუბნები! ცოდვაში არ ჩამაგდო, წიწილასავით არ წაგახრჩო! ნაპარავი ვიპოვე, შე არამზადავ, შენა, და კიდეც მიძალიანდები? რატო სირცხვილით თვალი არ გისკდება და დედამიწაზე არ დავარდები! იქით, იქით მეთქი!

- არა, არა! ჩემი ცოცხალის თავით არ დაგანებებ. ჩემია, ჩემი, არ მომიპარავს. განა, ურჯულოვ, შენ თვითონ არ იცი, რომ არ მომიპარავს? მთელმა ქვეყანამ იცის,

„ტარშინა” - მამასახლისთან გამოცხადებული მაქვს. ღმერთმა აჩუქა ჩემს ობლებს და შენ უნდა წაართვა? არა, ვერ წამართმევ, ვერა!

მაგდანას თავშალი გადაუვარდა, თმები ჩამოეშალა და გაეწეწა, პირზე მკვდრის ფერი დაედო, შუბლზე ცივი ოფლი ჩამოსდიოდა, იმის მუდამ წყნარ ხმას მრისხანება მიეცა, მკლავს - საშინელი ძალა, და ყმაწვილს, ლომივით მენახშირეს, კინაღამ აჯობა.

ამასობაში პოლიცია გაჩნდა, ჩხუბის მიზეზი გამოიკითხა და მენახშირე ამ სიტყვებით გაისტუმრა: წართმევა არ იქნება, წადი, სუდში იჩივლე, იქ გაარჩევენ საქმეს და, სახედარი ვისიც არის, იმას მისცემენო.

მაგდანამ სული მოიდგა, თავშალი მოიხვია, ტანისამოსი გაისწორა და თავჩაღუნული და შემკრთალი, რომ

ამოდენა ხალხმა ამის გაანჩხლება დაინახა, იარმუკისაკენ წავიდა.

VI

მშვენიერი, წყნარი, მთვარიანი ღამეა. მაგდანა თავისი ოთხი შვილით ვახშამს მოსჯდომია ეზოში, წინ პურჩაყრილი მაწვნით სავსე ტაფა უდგათ, მაგრამ კი არავინ სჭამს. იმათ მოშორებით, ბაკის ღობესთან, გამობმული ლურჯა კი მადიანად ახრამუნებს მწვანე ბალახს. მაგდანა მწარედ ჩაფიქრეაული შესცქერის მთვარეს და თვალები ცრემლებით ევსება, ვინ იცის, რითი გადაწყდება ხვალ იმისი საქმე. წაართმევენ ერთადერთ სახსარს ცხოვრებისას - ლურჯას, თუ შეიბრალებენ ამის წვრილშვილს და არ გასწირავენ? - ოხ, ღმერთო, სად არის შენი სამართალი! მომხედე მე საცოდავს, ჩემს საბრალო ობლებს! განა ლურჯა მართლა ჩემი არ არის? განა

მართლა მე და ჩემი შვილები ამის მოვლაში და საზრდოს ზრუნვაში არ ვიყავით!... რო წაგვართვან, რაღა გვეშველება! ისევ უნდა წელში მოვიხარო და ოთხფეხ პირუტყვსავით ზურგით უნდა ვზიდო რძე და მაწონი! ოხ, ოხ, ღმერთო, ღმერთო! შენ იყავი ჩემი მფარველი. - და მაგდანას გადმოსცვივდა მწარე მდუღარება.

- დედა, რათა სტირი? - უთხრა დედას გულამომჯდარმა სოფომ, - იქნება ,,სუდიებმა" ჩვენ გვარგუნონ, წინადვე გულს რად იხეთქავ?

- დედა, მოდი, მე ზედ შემსვი, - ტირილითვე უთხრა მიხამ, - და მანამ არ მომკვლენ, ძირს არ ჩამოვალ.

- შე საწყალო, შენა! მანამ არ მომკლავენო! შენ რა ხარ, შვილო, რომ შენი მოკვლა რა იყოს? პანტასავით იქით გადაგისვრიან და ბევრსაც გირტყამენ.

- მაშ, მოდი, დედა, მთიულებში წავიყვანოთ და იქ დავმალოთ, - იმედს არ ჰკარგავდა პატარა მიხა.

- დედა, პური ჭამე, გეთაყვანე, ღმერთი მოწყალეა! გუშინ ნოზაძიანთ ნინიკა ამბობდა: მთელი სოფელი უმოწმებს, რომ მკვდარი მოაბრუნაო. მაგდანას დამალვით ხომ არ დაუმალავს, საქვეყნოდ "ტარშინას" გამოუცხადა, რომ თუ ზამთარში გამოვკვებავ, მერე აღარავის დავანებებო. ან ვის გაუგონია დავარდნილი სახედრის უკან დევნაო, ეგ გზა სულ მენახშირეებით არის გათელილი, მაგის მეტი რა გვინახავსო? დავარდნილი სახედრები ბევრი გვიპოვნია, ბევრი მოგვიბრუნებია, მაგრამ პატრონს ხმაც არ ამოუღიაო.

- ეგ მეც ვიცი, შვილო, მაგრამ, ვინ იცის, ,,სუდიები" "კანცელარიაში" რა ქეიფზე იქნებიან, ვისას უფრო

გაიგონებენ. მენახშირე ფულით არის გატენილი, მე უბედური გლახა ვარ და გლახისას ვინ რას შეიწყნარებს.

-არა, დედილო, არა, ჩვენ ლურჯას ვერავინ წაგვართმევს, - ქვითინით წამოხტა პატარა მიხა და მივარდა სახედარს: - არა, ლურჯავ? შენ ნუ წაჰყვები იმ ოხერ მენახშირეს, ნუ წაჰყვები, შენი ჭირიმე! - და ამ სიტყვებთან ერთად ორივე ხელით შემოეხვია ლურჯას კისერზე.

VII

მეორე დღეს მაგდანამ თავზე ხელი გადაუსვა თავის ლურჯას, დიდხანს ჩასცქეროდა ტკბილ, დაღონებულ თვალებში და თავი გაიქნია: - განა ასეთი იყავ ამ რვა თვის წინათ? განა ასე გიბზინავდა აქა-იქ ამოგლეჯილი შენი ლურჯი ბალანი, ჩემო ლურჯავ? განა მენახშირე ისევ ისე არ გადაგაძრობს ჩემს მორჩენილ ბეჭებს? ნეტა ლაპარაკი

მაინც იცოდე, რომ შენა გკითხონ, თუ ვის აირჩევდი პატრონად. - ლურჯაც თითქოს გრძნობდა თავის განსაცდელს და, რაც შეეძლო ზედ ეკვროდა თავის პატრონს.

მაგდანამ კარგად მოუარა თავის ბედაურს, კურტანიც კი აღარ დაადგა, რომ ყველას ენახა, რა რიგად იყო მოვლილი მისი ლურჯა; კისერზე თოკი გამოაბა და რომ შვილების ტირილი და ვაგლახი აღარ ენახა, გაუთენებლივ გაუდგა გზას. ჯერ სოფლის ,,კანცელარიაში'' ჩამიჩუმიც არ იყო, რომ მაგდანა თავისი სახედრით იქ გამოცხადდა.

სოფო, მიხა და ორი პატარა მთელი დღე ბანზე ისხდნენ. არც ერთს იმათგანს მთელი დღე ხმა არ ამოუღია. თითქმის არა უჭამიათ რა და მხოლოდ გზას გასცქეროდნენ. მზემ კარგად გადაიწია და მაგდანა კი არსად ჩანდა.

ბავშვები სასოწარკვეთილებას მიეცნენ. სოფო, რაც ძალი და ღონე შერჩა, კიდევ ნუგეშსა სცემდა პატარებს, თუმცა თვითონ მთლად კანკალებდა მოუთმენლობით.

მზე ჩავიდა და აგერ გზის პირად გამოჩნდა მაგდანას შავი თავშალი. კიდევ ერთი წამი და მაგდანა, წელში გაშლილი, პირმოღიმარი, თოკით ხელში ლურჯას წინ მოუძღოდა და თავის მოწმეებით გარშემოხვეული მოუახლოვდა სოფელს. მაგდანას შვილები სახედრის დანახვაზე მთლად გადაირივნენ: ტიროდნენ, იცინოდნენ, ხტოდნენ, გარბოდნენ, უკან ბრუნდებოდნენ და ისევ გამორბოდნენ. ბოლოს ოთხივე წივილ-კივილით ვირს მოეხვივნენ, ჰკოცნიდნენ, ზედ ახტებოდნენ და უალერსებდნენ.

- კარგით, შვილო, კარგით! ხომ ხედავთ, ლურჯა ჩვენ

გვარგუნეს. სოფო, შვილო, გაიქე სახლში, ცეცხლი გააჩაღე, ამ პატიოსან მოწმეებს უნდა გავუმასპინძლდე.

მაგდანა თავის მოწმეებს გულუხვად დაუხვდა. ღვინო და არაყი ბლომად მიართვა, კარგი ჩასუქებული დედალიც დაუკლა და შუაღამემდის იმის ერდოდან, წუხანდელი ტირილის მაგივრად, ჰარიარალეს ხმა ამოდიოდა.

თინას ლეკური

I

გიორგობის თვეა, გიორგობა დღე. საშინლად ცივა; თუმცა ჯერ ზამთარი არ დამდგარა, მაგრამ მისი წინამორბედი რთვილით მთლად გადაპენტილა მთელი სოფელი ზედაშენი.

სუსხი ძვალსა და რბილში უვარდება კაცს და სიცივით ჰკუნტავს, ხელებს უბეში აყოფინებს და ჩვეულებრივ ქართულ მძიმე ნაბიჯს აჩქარებინებს.

ყოველი ბინიდგან ძლიერი კომლი ამოდის, დიდი და პატარა ცეცხლს აჩაღებს, რომ მისის სხივით მაინც

ინუგეშოს გაბუტულ პატარძალივით ღრუბლებში მიმალულ მზის გამოჯავრებული.

მთელ სოფელში მარტო თინას კერაა გაცივებული, მარტო მისი შვილიშვილები სიცივისაგან გალურჯებულნი სხედან ცივ კერასთან და ძველ ნაგლეჯ საბანში გახვეულნი მშიერი მგლის ლეკვებივით ყმუიან: “დიდედო, ცივა, ცივა! დიდედო, გვშია, გვშია!..”

რა ჰქნას საწყალმა თინამ, რა უშველოს, საიდგან გააჩინოს ან ცეცხლი და ან ლუკმა? ვის მიმართოს, ვის სთხოვოს ნუგეში! გაუჭირა საქმე მეზობლებს ჩინჩხერის თხოვნით, სხვის კარ-მიდამოზე ნაფოტის კრეფით; ვენახების ღობეზე ფიჩხის მტვრევისთვის ხომ არა ერთხელ იყო ნალანძღ-ნათრევი! სხვის ვენახიდგან ჩუმად სარების გამოტანა ხომ მძიმე ცოდვად ადევს თინას კისერზე.

აი ორიოდე ჩანახი ფქვილი კიდევ უყრია გოდრის ძირში, მაგრამ რითი გამოაცხოს? აგერ დღენახევარია თვალი უჭირავს, რომ ეგებ მეზობლებმა თონე გაახუროს ვინმემ, რომ გაციებულ თონეზე ლავაშები მაინც მიუკრას ბალღებს, მაგრამ სად არის? ყველამ სადღესასწაულოდ ადრე დაიმზადა ნამცხვარი და ახლა არხეინად სხედან.

- ნეტა ღონე მაინც მქონდეს, რომ აი გაღმა ჭალაში გავიდე, გამხმარი ჩირგვები, ძეძვები მივჩეხ-მოვჩეხო და სული როგორმე მოვიბრუნო, - ტუტუნებს საწყალი თინა, მაგრამ ეს წყეული გულის კანკალი მკლავს, მუხლებს მიდუნებს, კლავები სულ ძირსა მცვივა; ბევრჯერ ისე შემიხუთავს გულს, ისე წამიჭერს ყელში, რომ აჰა, გავთავდი დედაკაცი და ეს არის! ამ მწუხარებამ ხომ სულ ერთიან ძალა გამომაცალა: “ოხ, წყეული იყავ და შეჩვენებული, ჩემო რძალო, რომ უნამუსობამ წაგძლია, გათხოვდი და ეს უსუსური ბავშვები მე, უსუსურს და ცოცხალ-მკვდარ

დედაკაცს მომიყარე!”

- ბები, პური, ერთიბეწო პური! - გაიძახოდნენ დამშეული ბავშვები.

- რა ვქნა, რომელ წყალში გადავვარდე? - უნუგეშოდ გადმოყარა ცრემლები თინამ და თან დაუმატა: - ერთი ბატონიანთამდინაც ველარ ავედი, რომ ხელი გამენძრია, გამეკეთებინა რამე. დღეს ბატონის დღეობაა, მრავალ სტუმრებს თურმე მოელიან. ერთ-ორ გროშს მაინც ვიშოვიდი, ორიოდე ღერ შეშას მაინც გამოვთხოვდი! მაგრამ იმ მაღლობზე როგორ ავიდე, როგორ ავატანო ამ გულის კანკალის გადამკიდე.

- ბები, პური, ერთიბეწო პური! - საცოდავად იღმიჭებოდნენ ბავშვები.

- ოხ, ღმერთო, შენ მიიბარე ჩემი ცოდვილი სული და ამ საცოდაობას მომარჩინე! - ისეთი სასოებით და სასოწარკვეთილებით შეჰვედრა თინამ მაცხოვარს, რომ ბავშვებმაც კი იგრძნეს იმ ვაების ძლიერება და ტირილს უფრო მოუმატეს: “რათა, ბები, რათა? ჩვენ რაღა გვეშველება, ჩვენ ვიღა გვაჭმევს ლუკმას! ..”

უცებ დუდუკის ხმა მოისმა შორიახლო მდგომ ბატონის სახლიდგან და მისმა მხიარულმა, ეშხით სავსე წკრიალმა ქაჯის ხარხარივით გაირბინა ამ უბედურთა სადგურში და თითქო მწარის დაცინვით ხმა მისცა მის დამშეულ მცხოვრებთა ტირილს.

თინას ამ ხმაზე თითქო რაღაც გაახსენდა, იმის ათასად დაღარულ, გაყვითლებულ პირისახეზე ღიმილმა გადაირბინა; მის ნუგეშდაკარგულ გულში რაღაც იმედმა გაახილა თვალი და წამს წინათ დავრდომილი და

მკვნესავი ფეხზე ააყენა.

თინამ პირი დაიბანა, თავზე სუფთა, ათასის საკერებლით დაკონკილი თეთრი ჯალაშის ლეჩაქი მოიხვია, ფეხებზე სუფთა ღაზლის წინდები ჩაიცვა, ფოსტლების ნაგლეჯში ფეხები წაჰყო და დუდუკის ხმისაკენ გაეშურა.

ბატონიანთ სახლი კარგა მაღლობ სერზე იდგა და თინა თავისის გულის ავადმყოფობის მიზეზით დიდის ვაგლახით და გაჭირვებით მიაბიჯებდა, მაგრამ მის თვალწინ მის გონებას ისეთი საოცნებო, ისეთი ფერად-ფერადი ზოლებით მოქარგული სურათი ეხატებოდა, რომ თავის გაქანებულ ქშენას, ყელში მობჯენილ სულს ყურს აღარ უგდებდა და მხოლოდ მოგონებით გამოწვეულ სიტკბოებაში იფლოდა.

მის სამოცი წლის მოწყალებით დაბინდებულ თვალებში

თითქო ცეცხლიც კი აინთო, მის მიწისფრად ქცეულ პირისახეს ალისფერმა გადაჰკრა, უკბილობით ჩავარდნილი მოკუმული ტუჩები ოდნავ გაეღო და ზედ ნეტარების ღიმილი დაჰხაროდა: “ნეტა იმ დღეს! - გულის სიღრმიდგან ოხვრიდა საწყალი თინა, - სწორედ ორმოცი წელიწადია მას აქეთ, ისე მახსოვს, როგორც გუშინდელი დღე და ან როგორ უნდა დამვიწყებოდა! იმაზე უკეთესი რა უნახავს ჩემს თვალებს.

თუმცა ამ პატარა ბატონმა თავისი მამისეული სახლი გააახლა, გაადიდა, გაამშვენიერა, მაგრამ ისევ იმ ალაგას კი სდგას და ამაყად გადმოჰყურებს მთელ ჩართულას ხეობას. ცხონებული დიდი ბატონი მშვენიერი ვაჟკაცი იყო, მშვენიერ დიდ გვარიშვილის ქალზე იწერდა ჯვარს და დიდებული ქორწილი გადაიხადა. მაშინაც სწორედ ეს გიორგობის თვე იყო. თუმცა ასე არა ციოდა, მაგრამ გიორგობული სუსხი კი მაინც ტრიალებდა. თავადებს

გარდა შვიდი სოფლის გლეხკაცობა ჰყავდა მოწვეული, მე სულ წლის მოყვანილი პატარძალი ვიყავ. მწვანე ფარჩის კაბა მეცვა, ალისფერი სარტყელ-გულისპირით, ფეხებზე ალისფერი ახალციხური წუღები. ჰაი, დედას, მე კი არ ვიყავ აბა ყმაწვილი ქალი! მთელ ქორწილის ხალხში ისე ვირჩეოდი, როგორც ობოლი მარგალიტი. "აი დაილოცა შენი მშობელ-გამზდელიო", მომესმოდა აქეთ-იქიდგან და ძოწისავით ვწითლდებოდი...

- აბა პატარძალს პატარძლების ლეკური უჩვენეთო! - ბრძანა დიდმა ქალბატონმა და ჩვენც იმ დარბაზში შეგვიყვანეს, რომელშიაც ნეფე-დედოფალი ბრძანდებოდნენ. მე თავჩაღუნული, მორცხვად სხვებს ვეფარებოდი და სხვა სოფლის პატარძლები კიდევ ერთმანეთს. უკან დედამთილები და უფროსები გვიდგნენ. გაისმა დაირა და დიპლიპიტო და თითო-თითო გამოვედით პატარძლები სათამაშოდ.

როცა ჩემი ჯერი მოდგა, მუხლები ამიკანკალდა, გული ამითამაშდა, სახეზე ცეცხლი წამეკიდა, მაგრამ მეტი რა გზა მქონდა, გამოველ, აქეთ-იქით დაბლად თავი დავუკარ და მკლავები გავშალე, გავშალე და დავტრიალდი. აქეთ-იქიდგან ვაშა, ვაშას ძახილი მოისმა, დამკვრელებმა საკრავების დაკვრას მოუმატეს, ტაში გაძლიერდა... შემდეგ რას ჩავდიოდი, აღარ მახსოვს, გონს მხოლოდ მაშინ მოველ, როდესაც დედამთილმა ჩამომძახა: "აკრიფე ე შაბაშის ფული და ბატონებს მადლი გადუხადეო". ჩემს წინ ექვსი თუ შვიდი ჯვრიანი ვერცხლის მანეთიანი პრიალებდა და ქართული ორაბაზიანები ხომ რამდენიმე... ამ ალაგას შესწყდა თინას ბრწყინვალე მოგონება და დროც იყო, ის ბატონიანთ კარებზე იდგა და ქაქანით იხრჩობოდა. "ღმერთო, ეს რა მემართება, ეს რა უცნაურად, რა მძლავრად ადის და ჩადის ჩემი გულის ფიცარი! სულიც მეხუთება. ორთავ

მკლავები მწყდება, გული მისკდება ტკივილით, ძარღვებში თითქო სისხლი მეყინება! ნუთუ ჩემი აღსასრულის დღე დადგა?.. ბავშვები, ბავშვებს რაღა ეშველებათ?”

გალურჯებული, თვალებჩასისხლიანებული თინა კიბეზე იჯდა. თავისს ბერკეტზე დაბჯენილი, სიკვდილის მოახლოვებას ჰგრძნობდა და, როგორც ყოველი მომაკვდავი, შიშით ძრწოდა. გარშემო ადამიანის ჭაჭანება არსად მოსჩანდა, ყველა სულდგმული სახლში იყო და იქ გამეფებულ ლხინს შეჰყურებდა და შეჰხაროდა.

დიდხანს იყო თინა სიკვდილისა და სიცოცხლის შუა. შემდეგ გული ნელ-ნელა დაუწყნარდა, სისხლმა ჩვეულებრივ უწყო მოძრაობა, სუნთქვა გაუადვილდა, მკლავების ტკივილი დაეშვა, სიკვდილის შიშმა გადაუარა და ის წყნარად შევიდა სახლში და მოსამსახურეთა

ჯგუფში შეერია.

II

დიდი ლხინია, დიდი! ჩვენებური, ძველებური, უზომო და განიერი.

პურადი, უხვი მასპინძელი მზესავით გაბრწყინვალებულის სახით თავს დასტრიალებს თავის აუარებელს სტუმრებს და ყველას ერთად და თითოეულს განსაკუთრებით ტკბილის სიტყვით, მიმზიდველის ღიმილით იწვევს, ახალისებს სალხინოდ და სალაღობოდ. ორას-სამას კაცამდე წვეულნი უმაღლეს მხიარულების წერტილამდის არიან მისულნი.

ალაგ-ალაგ ხმაშეწყობილი, ტკბილი ღიღინი მოისმის, ალაგ-ალაგ ლოთური “ჰარი-ჰარალი!” შორს დარბაზის

კუთხეში დუდუკი შიქასტას ღუღუნებს, საზანდარი “ოაჰაბს” მღერის.

ქალნი ნაზობენ, კეკლუცობენ, თვალთაგან ცეცხლებს აფრქვევენ. ვაჟკაცნი შეზარხოშებულნი მათ თვალთ გიშრისა ტბაში სიამოვნებით ჰბანაობენ. ტოლუმბაში, ღირსეული მეთაური ღირსეულის კრებულისა, ღირსეულად ასრულებს თავისს მაღალ დანიშნულებას და ისეთის მჭევრმეტყველებით და გატაცებით წარმოსთქვამს სადღეგრძელოებს, რომ სუყველანი ერთხმივ, დაუყონებლივ ასრულებენ მის ბრძანებას და სიამოვნებით სცლიან ლალისფერ ღვინით ავსილს ჭიქა-სტაქანს.

ლხინი იქამდის მივიდა, როდესაც კაცის ბუნება ვეღარ იტანს ერთ ალაგას ჯდომას და უფრო მძლავრს მოძრაობას, უფრო მძლავრ გამოხატულებას,

მხიარულებას ებრძვის.

- აბა, ოსეფავ, ლეკური! - დაიღრიალა ვიღამაც და მონასტერი აირია. ხალხი აიშალ-დაიშალა, სტოლები მისწი-მოსწიეს, ძვირფასად მოწყობილი სუფრა მგლების ნასუფრალივით გაიღეღ-გამოიღეღა. შეიქნა მისვლა-მოსვლა, სიცილ-კისკისი, ხარხარი, ლეკურმა უცბად შესცვალა დუდუკის წყნარი შიქასტა.

საჩქაროდ გაკეთებულ წრეში გაჩნდა მშვენიერი ახალგაზრდა, ალვის ხის მსგავსი ტანადი; მან არწივივით გაშალა თავისი მძლავრი მკლავები, კისერი კეკლუცად მიმოხარა და ნელ-ნელა რხევით, ფრთებისმაგვარად მკლავების ქნევით, ჩოხის კალთების შრიალ-ფრიალით ლეკური ჩამოუარა; ის აქეთ-იქით ავლებდა თავისს მშვენიერ შავ ბრიალა თვალებს და თითქო ვიღაცას ეძებდა მრავალთა მშვენიერთა შორის ლეკურში

გამოსაწვევად.

დარბაზის გაღებულ კარებში მრავალი მოსამსახურენი იდგნენ და პირდაღებულნი უცქეროდნენ ბატონების ლხინს და ნადიმს; ამათში ორიოდე გლეხკაცის ჭუჭყიანი მაზარაც მოსჩანდა და მათ შორის დედაკაცებიც მორცხვად გამოიყურებოდნენ. უცებ ამ კარებიდგან წამოვიდა ბებერი თინათინა, ოთახის კუთხეში მიაყუდა თავისი ბერკეტი, იქვე ფლოსტები წაიძრო და მარტო წინდების ამარა ყმაწვილ მოთამაშეს გამოეთამაშა. სტუმართ ყიჟინი ასტეხეს დართულნი და ბრწყინვალე მანდილოსანნი ისტერიულმა სიცილმა შეიპყრო, სახლის პატრონი გასახტებული, გაოცებულ იდგა და არ იცოდა, რა ექნა, გაეგდებინებინა ლაქიებისთვის ეს გამბედავი, კონკებში გახვეული მოხუცი, თუ სხვებთან ერთად დაეწყო სიცილი და აღტაცებული ყიჟინი.

თინა კი ამასობაში, ხელებგაშლილი, თავაღებული, ტუჩებმოკუმული, სერიოზულათ, ციბრუტივით ტრიალებდა, ძველებურად ბუქნით უვლიდა დავლურს. თავმომწონე ვაჟკაცი არ შეკრთა, არ იუკადრისა დაგლეჯილ, ჭუჭყიან ძონძებში გახვეულ მოხუცთან თამაში და საერთო სიცილ-ხარხარით გახელებულმა დაჰკიჟინა და დაჰკიჟინა თავის მშვენიერ დამას, განივრად გაშლილი მკლავები თავზე გადააწყო და მოღიმარი თვალები, ვითომ არშიყობით დამჭკნარ, მკვდრისფერად ქცეულ სახეზე დააშტერა. სიცილ-ხარხარმა სიგიჟემდის მიაღწია.

ქალებს მეტი სიცილით თვალებიდგან ცრემლები სდიოდათ, კაცების ტაშისკვრით და ვაშას ძახილით სახლი ზანზარებდა. მოსამსახურეები შეუნიშნავად ბატონებში აირივნენ და მათთან ერთად ჟივილ-ხიოდნენ.

დედაბერი უცებ შესდგა, თვალები გადაატრიალა, ჰაერში დაწყვეტილივით მკლავები გადაიქნია, ერთი მძლავრად ამოიფშვინა და იატაკზე დაეცა.

საკრავის ხმა შესწყდა. მოკიჟინე ქალ-ვაჟთ ულმობელი სურათის წინ ბაგე შეეკრათ. მხიარული სახლის პატრონი მთლად დაიბნა.

წამის წინათ ცამდის აწვდილი ბედნიერთა მხიარულება უკიდურეს მდუმარებით შეიცვალა.

იატაკზე გაშეშებული ეგდო სათამაშოდ ხელებგაშლილი, თვალებდაჭყეტილი, საოცარის ტანჯვით ჯვარცმული თინათინა და თავის საზარელის შეხედულებით იქ მყოფთა გულში რაღაც სინდისის ქეჯნას იწვევდა.

არც ერთი მოძრაობა, არც ერთი ხმა არ არღვევდა იმ

საშინელ სურათს, რომელსაც სიკვდილი და მხოლოდ სიკვდილი წარმოუდგენს ხოლმე ცოცხლებს და გაახსენებს სოფლის ამაოებას.

- ბები, ბები! მართლა მოკვდი?! პურს ვინღა გვაჭმევს! - გაისმა ამ საოცარ სიჩუმეში და ბების მოლოდინით გაბეზრებული ორი მშიერი ტიტლიკანა, სიცივისაგან გალურჯებული ბალღი შემოვარდა ოთახში და ღრიალით დაეკონა გაცივებულ გვამს. სურათი შემზარავი იყო; აქამომდე გამეფებული მდუმარება დაარღვია საერთო ტირილმა და წამს წინათ ხარხარით მოღალული საზოგადოება ეხლა გულწრფელად ღვრიდა მდუღარებას.

- მოწყალება ობლებს! - ვიღაცამ წამოაყრანტალა.

გულგალმობიერებულმა საზოგადოებამ ხელი იკრა ჯიბეს და უხვად გასცა მოწყალება.

თინას ლოცვა ასრულდა. იმან სამუდამოდ განისვენა და მისმა უკანასკნელმა “შაბაშმა” მის ობლებს ლუკმა გაუჩინა.